# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 25 (270) ◆ 19–25 ივნისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## საქართველოს საზღვარი 10 დღე დაუცველი იყო

გვ.5



### „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტური მოკვლევის გაგრძელება

მესაზღვრეები თავისით არ გაქცეულან! პირველი დაბომბვისთანავე გაიცა ბრძანება, პოსტი მიეტოვებინათ... ზოგმა იარაღის გადმოტანაც ვერ მოასწრო... არანაირი გამოძიება არ ჩატარებულა...

დასჯის ნაცვლად პირიქით — გამოქცეულები (რა თქმა უნდა, შერჩევით) დააჯილდოვეს კიდეც.

ათი დღე საზღვარი დაუცველი იყო და კაციშვილმა არ იცის, ვინ სად გადადი-გადმოდიოდა...

— როცა უფროსი გარბის, ჯარისკაციც გაიქცევა, აბა რას იზამს?

უპატრონოდ მიტოვებული საზღვარი რომ ნახეს რუსებმა, ადგნენ და თავად დაეპატრონნენ — სტრატეგიულ ადგილს.

... ჯერ კიდევ 1921 წ. გენერალმა სიკორსკიმ კრემლს წარუდგინა საქართველოს დემონტაჟის გეგმა — საქართველო აფხაზეთის, აჭარის და სამეგრელოს გარეშე.

...აღევსეთ, ბატონებო, თვალი ტელეეკრანებზე ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში — როგორ ფსიქოლოგიურ ზღვრამდეა მიყვანილი ევროპულ კულტურაში პიროვნების ღირსებისა და ქვეყნის იგივეობის განცდა...



გვ.3

## ყველაზე კოლორიტული პარლამენტარი

ვახტანგ ბოჭორიშვილი გვ.31

მკითხველის შეკითხვები

## შეეძლო 65 კილოიან დალაქიშვილს 150 კილოიანი სააკაშვილის გალახვა?

— გია დალაქიშვილი ოთხ ადამიანში ამოვიცანი...

*მიხეილ სააკაშვილი*

— იმ დროს, როცა სააკაშვილს ურტყამდნენ, დალაქიშვილი შტაბში, სხდომაზე იყო.

— „კორუმპირებული ისტერიჩკის“ განცხადება უსაფუძვლოა.

*ჯონდი ბაღათურია*

გვ.7

## რა ემის ლარს? გვ.21

— არ უნდა მიექცეს დიდი ყურადღება ლარის სტაბილურობას და არასტაბილურობას, რადგან მოსახლეობას ლარი უბრალოდ არ გააჩნია...

## რა გვემართება ჩვენ?

ადრეული ზაფხულია და აქაურობა უკვე ლამის შემოდგომის ფერებს დაუმორჩილებია... გიკვირს, ბევრი რამ გიკვირს ამ წმიდა ადგილს მიახლოებულს...



როგორ ასწრებდნენ ყველაფერს ჩვენი წინაპარნი და ამ დიდი ცივილიზაციის დროს, ჩვენ რაღა გვემართება.

გვ.4

## მოსკოვმა დსთ-ს ალიყური აჭამა

...მოსკოვმა საკონსულო სამსახურების მეშვეობით აცნობა დსთ-ის ქვეყნებს ბიშკეკის 1992 წლის შეთანხმებიდან გამოსვლის შესახებ...

...იტოვებს უფლებას ცალმხრივად შემოიღოს



სავიზო რეჟიმი. ეს არ შეეხება ბელორუსიას, ყაზახეთს, ყირგიზეთს და ტაჯიკეთს... ალბათ, სომხეთსა და უზბეკეთს...

...შერისხულთა სიაში რჩება კატეგორიულად — საქართველო და უკრაინა...

გვ.2

*იზვესტია №110*

## „რა შნდა დავიკიდოთ, სად?..“

— ხალხს ხელფასებს ვერ ვუხდით და ეს ჯილდოები მაინც დავურიგოთ. სოციალისტურმა პარტიამ შემოიღო ჯილდო „ზა ლაგოდეხა“ და გადავეცით ჯგუშიას...

გვ.6

*ვახტანგ რჩეულიშვილი*

## ახალი რუბრიკა-ავტოსალონი

გვ.20



მრავალი სიახლე ავტომოყვარულებს...

## მოღალატე ცოლებისა და ავჭალელი „ფანტომასების“ თავგადასავალი

ვერსია

...მონასტერს რომ მიუახლოვდნენ, კოკისპირული წვიმა წამოსულა. გზა აღარ ჩანდა. შეჩერებულან, გადაიღებს და მერე გავაგრძელებთ გზასო...

ის იყო მანქანაში უნდა ევახშმათ, რომ თოფმომარჯვებული ნიღბოსნები მანქანას შემოერტყნენ და ცოლ-ქმარს გარეთ გადმოსვლა უბრძანეს.

...შვიდი ქალის პასპორტი აღმოვაჩინეთ. სათითაოდ გამოვიძახეთ. ექვსი მათგანი ქმარშვილიანი აღმოჩნდა. ექვსივე საყვარელთან ერთად იყო ასული მონასტერთან... შავ დღეში ჩაცვივდნენ... ერთი საქართველოში კარგად ცნობილი კაცის ცოლი იყო.

გვ.10


EVRO-AMERICAN
IBM - Compaq - HP
- Dell - Unisys



99 $ -დან
კომპლექტი
დღგ-ს გარეშე

მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23 ☎ 94-28-33
ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 13 ☎ 2-21-16
ქ. გორი, ჭონქაძის ქ. №11 ☎ 2-73-90





სასწავლო სატელევიზიო ცენტრის
მედიისა და ტელეხელოვნების
სახელმწიფო კოლეჯი
აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:
ტელერეჟისურა; ოპერატორის ხელოვნება; ტელეჟურნალისტიკა; მონტაჟი და რეკლამის რეჟისურა.
საბუთების მიღება 1 ივლისამდე
მისამართი: წერეთლის გამზ. №1
(„ნორჩ ტექნიკოსთა სახლის“ შენობაში)
☎ 34-41-15; 34-01-97

ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

ALLIGATOR SERVIS
გთავაზობთ ავტომობილებზე
სიგნალიზაციის, შუშის ამწევების,
მაგნიტოფონის მონტაჟს
შეღავათიან ფასად
გარანტია 3-5 წლამდე
მის: ვაჟა-ფშაველას 37
ტ: 899-50-31-52


## საკვირაო



ტელე-კინოგიდი
19-25 ივნისი

გვ. 14-15


Неделя
КОММАНДОС
Частная жизнь
Телохранитель
За рубежом
Московские новости
Newsweek
Focus
Общая газета
Der Spiegel
Комсомольская правда
stern
Сегодня
Известия
Труд
Совершенно секретно
Аргументы и факты
Иностранец
Match
ТВ Парк
Лица
Огонёк
daily
Le nouvel Observateur
Итоги

ხუთშაბათს გამოდის ჟურნალ „გზის“ ახალი ნომერი

## ლტოლვილებს არძინბა-პუტინის იმედიღა დარჩათ

სულ უფრო მწვავდება აფხაზეთიდან ლტოლვილებთან დაკავშირებული ვითარება. მას შემდეგ, რაც ბოლო დროს ლტოლვილებმა რამდენიმე მძაფრი საპროტესტო აქცია მოაწყვეს სოციალური მოთხოვნებით, ხელში კი, ფაქტობრივად, არაფერი შერჩათ, ამჯერად გამოვიდნენ უპრეცედენტო, აშკარად საშიში და ჩვენი ხელისუფლებისათვის თავლაფდამსხმელი მოთხოვნით: ისინი კატეგორიულად სვამენ საკითხს, რათა მათი თქმით, საქართველოს უვარგისმა ხელისუფლებამ ხელი არ შეუშალოს მათ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაში, კერძოდ, ლტოლვილები აპირებენ მიმართვის გაგზავნას არძინბასა და პუტინისათვის, რათა შეუშვან აფხაზეთში და საამისოდ მზად არიან, მიიღონ „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობაც“ და თუ საჭირო შეიქნა, რუსეთის მოქალაქეობაც(!). ლტოლვილები აცხადებენ, რომ თბილისში შიმშილით სიკვდილს და ძაღლურ ცხოვრებას აფხაზეთში სიკვდილი ურჩევნიათ, ჩვენი წინაპრების მიწაზე მაინც დავიხოცებითო...

ეს განზრახვა დაგმო ლტოლვილთა საკოორდინაციო საბჭომ, ხოლო თამაზ ნადარეიშვილმა ამაში რუსეთის სპეცსამსახურების ხელიც დაინახა, ხელისუფლებას კი ხმა არ ამოუღია, ან რა უნდა თქვას...

## ბორჯომმა რუსთავს მიჰბაძა

რუსთავის საკრებულოს პრეცედენტი გამეორდა ბორჯომშიც, სადაც საკრებულოს წევრებმა თავმჯდომარეს იმპიჩმენტი მოუწყვეს და თანამდებობიდან გადააყენეს. მიზეზი — ბიუჯეტის ჩავარდნა. თავმჯდომარემ ბევრი ბოდიში იხადა, კომისიის შექმნაც მოითხოვა, მაგრამ ამაოდ. შედეგად, ბორჯომის მოქკავშირის წევრი როინ ბოლქვაძე იძულებული შეიქნა, დემონსტრაციულად დაეტოვებინა საკრებულო. გასასვლელისაკენ მიმავალს საიმპიჩმენტო დასკვნის ტექსტი მიაცილებდა, რომელსაც მისი უმცროსი კოლეგა კითხულობდა!

## საქართველოს ახალი ომბუდსმენი ჰყავს

საქართველოს რიგით მეორე, ახალი ომბუდსმენი ჰყავს, უკვე ყოფილი №2 ქართველი სოციალისტი ნანა დევდარიანი. მის დამტკიცებას კი ამ პოსტზე დიდი შეხლა-შემოხლა უძღოდა წინ, რადგან კონკურენციას უწევდნენ „მრეწველი“ ვახტანგ ძაბირაძე და მიხეილ სააკაშვილის „ინკოგნიტო“ კანდიდატურა. გათამაშდა მორიგი ტრაგი-ფარსი, რომლის მსხვერპლიც კვლავ მიშა სააკაშვილი აღმოჩნდა საქმე ის იყო, რომ ამ საკითხზე წინა დღეს უმრავლესობამ საგანგებო სხდომა გამართა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — არ დაეჭირათ მხარი არც დევდარიანისათვის და არც ძაბირაძისთვის, შესაბამისად, გაეყვანათ უმრავლესობისათვის სასურველი „ინკოგნიტო“ კანდიდატურა („მოქალაქეებს“ სიაში რამდენიმე „ინკოგნიტო“ მომავალი ომბუდსმენი ჰყავდათ, მათ შორის, ლევან ბერძენიშვილი, ვიქტორ რცხილაძე, პაატა ზაქარეიშვილი...). ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ პლენარულ სხდომაზე სააკაშვილი უამრავი არგუმენტის (მათ შორის, თენგიზ ასანიძის პატიმრობის) მოშველიებით იბრძოდა დევდარიანისა და ძაბირაძის კანდიდატურების ჩასაგდებად, რის გამოც მოთმინებადაკარგულმა „მრეწველებმა“ მოხსნეს ძაბირაძის კანდიდატურა დევდარიანის სასარგებლოდ. სააკაშვილი ახლა დევდარიანს „დააცხრა“, მაგრამ უშუალოდ კენჭისყრის წინ უმრავლესობამ მოითხოვა შესვენება სათათბიროდ და ამ თათბირის შემდეგ ტრიბუნაზე ვიხილეთ აშკარად აღელვებული და საშინლად უხერხულ მდგომარეობაში მყოფი სააკაშვილი, რომლის ბაგეთაგანაც შევიტყვეთ, რომ ფრაქცია „მოქკავშირი“ მხარს უჭერს... ნანა დევდარიანს(!). ექსპერტებმა ეს ფაქტი ნიკო ლეკიშვილსა და მიშა სააკაშვილს შორის გამართულ მორიგ დუელად შეაფასეს (ლეკიშვილი აშკარად ემხრობოდა დევდარიანის კანდიდატურას), რომელშიც აშკარა გამარჯვებული მხოლოდ ნანა დევდარიანი გამოვიდა!

## გერმანიის დამმარცხებელნი დამარცხდნენ

სახელმწიფო კანცელარიას მორიგი „დაუპატიჟებელი“ სტუმრები მიადგნენ, ამჯერად მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, რომლებმაც კატეგორიულად მოითხოვეს ვეტერანთა ჰოსპიტლისათვის გამოყოფილი 700.000 ლარი! ეს თანხა განკუთვნილია ომის ვეტერანთა მედიკამენტებით მომსახურება-მომარაგებისთვის. როგორც სხვა შემთხვევებშიც, ფაშიზმის დამმარცხებელი ყოფილი მეომრები კანცელარიიდან ამჯერადაც დამარცხებულნი, ანუ ხელცარიელნი წავიდნენ, თუმცა ის მაინც მოახერხეს, რომ ვეტერანთა დიდ მეგობარს ედუარდ შევარდნაძეს საპროტესტო წერილი დაუტოვეს (რა თქმა უნდა, პრეზიდენტი თვალითაც არ უხილავთ) და იერიში ფინანსთა სამინისტროზე მიიტანეს. ხაზინის უფროსის მოადგილემ მარტომ შეძლო იერიშის მოგერიება და ვეტერანებს 700.000 ლარის შესახებ საკითხის გასარკვევად სპეციალური კომისიის შექმნას შეჰპირდა(!).

## ახალ მოძრაობას ქვეყნის გადარჩენა სურს

ორთვენახევრიანი სიჩუმის შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე თავის ამალასთან ერთად კვლავ გამოჩნდა ჯუმბერ პატიაშვილი, რომელმაც მამუკა გიორგაძესა და ავთო მარგიანთან ერთად გვაუწყა ახალი საზოგადოებრივ-სახალხო მოძრაობის „ერთიანი საქართველოსთვის“ ჩამოყალიბების შესახებ. ორგანიზაციის ძირითად ბირთვს სახალხო პარტია და სახალხო-პატრიოტული მოძრაობა წარმოადგენს. მამუკა გიორგაძემ ჩვეული იუმორით განაცხადა, — მიუხედავად პრეზიდენტის მტკიცებისა — ჯანმრთელად ვარო — აღარ არის, ბატონო, ძველებურ სპორტულ ფორმაშიო, შემდეგ კი მკაცრად დასძინა: „შექმნილ უმძიმეს ვითარებაში ამ ხელისუფლების კიდევ დიდხანს არსებობა არის დანაშაულებრივი და დამღუპველი საქართველოსთვის. ჩვენც ამიტომ შევიკრიბეთ და გავერთიანდით, რათა რაღაც უბედურება არ დაატეხოს ამ მთავრობამ ქვეყანას!“

ახალი მოძრაობა კვლავაც აპირებს თანამშრომლობას ბათუმურ ალიანსთან, მაგრამ არა ყველა მის წევრთან! კაკო ასათიანმა საერთოდ გამორიცხა ტრადიციონალისტების რაიმე სახით ურთიერთობაც კი მემარცხენე მარგიანთან და პატიაშვილთან, შესაბამისად, მათ გვერდით მყოფ მემარჯვენე გიორგაძესთან, რომელიც ასათიანის ვარაუდით, ალბათ უკვე იზიარებს მემარცხენეთა იდეებს...

## არძინბამ რუს „შუამავალს“ უმასპინძლა

ისე, რომ არ გაუფრთხილებიათ საქართველოს ხელისუფლება, ანუ თბილისის გვერდის ავლით, არძინბას საგანგებო და გასაიდუმლოებული ვიზიტით ეწვია რუსეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ერთობლივი დელეგაცია ჩვენთვის კარგად ცნობილი „შუამავალ“ ლევ მირონოვის ხელმძღვანელობით. მართალია, არძინბას სამდივნომ განაცხადა, რომ მოლაპარაკება მიზნად ისახავდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესის დაჩქარებასო, მაგრამ თბილისში სერიოზული ეჭვი აქვთ, რომ რუს დიპლომატთა და გენერალთა ჩასვლა არძინბასთან გუდაუთიდან სამხედრო ბაზის მომავალ გატანა-არგატანასთან, მოსალოდნელ სავიზო რეჟიმსა და საქართველოსთვის სხვა აქტუალურ პრობლემებთან არის დაკავშირებული, სადაც მოსკოვი და სოხუმი, როგორც ყოველთვის, ალბათ ერთიანი ფრონტით გამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ!

## სავალუტო ფონდმა მკაცრად დაგვტუქსა

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, საქართველოს კვლავ ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია და ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, მაგრამ მტრისას, რა ვითარებაც მათ აქ დახვდათ! წლების მანძილზე სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ნალოლიავები ჩვენი საბიუჯეტო პროცესი ბუნებაში აღარ არსებობს! არადა, იყო დრო, როცა დასავლელი ექსპერტები საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყველაზე ერთგულ „შვილობილად“ იხსენიებდნენ და შესანიშნავი პერსპექტივების პროგნოზებსაც არ იშურებდნენ, დღეს კი...

მოკლედ, სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა, შეიძლება ითქვას, „კედელთან მიაყენეს“ ჩვენი ხელისუფალნი და კატეგორიული მოთხოვნები წაუყენეს! ხოლო წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, როცა საქართველოს მთავრობის წევრები „აი-თი-ეს“-ის, „ეიეს-თელასისა“ და სხვა ორგანიზაციების მიმართ პრეტენზიებს არ იშურებდნენ, ამჯერად ხმაჩაწყვეტილნი ისხდნენ და სავალუტო ფონდის მისიის „ნოტაციებს“ მორჩილად ისმენდნენ... შემდეგ მისიამ ჩაიბარა „პატაკი“ საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებში მძვინვარე კორუფციის და მისი სავალალო შედეგების შესახებ. მართალია, მოლაპარაკების დეტალები არ გაუხმაურებიათ, მაგრამ ცნობილი შეიქნა, რომ კორუფციის შესახებ ინფორმაცია სწორედ მიშა მაჭავარიანმა მიაწოდა მისიის წევრებს, თუმცა გაირკვა, რომ სავალუტო ფონდს ისედაც ჰქონია „საკუთარი წყაროებიდან“ ამომწურავი ინფორმაცია ჩვენს ხელისუფლებაში არსებული განუკითხაობის შესახებ. მოკლედ, მისიის ხელმძღვანელობამ უკანასკნელი გაფრთხილება-რჩევა მისცა ქვეყნის ხელისუფალთ, რომ „კორუფციის აღმოსაფხვრელად რეალური ბერკეტების ამოქმედების გარეშე“, საქართველოს ფინანსური დახმარების იმედი ტყუილად ნუ ექნებაო! ხოლო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა დევიდ ოუენმა გია არსენიშვილს სამწუხარო და რეალური ამბავიც „ახარა“ — ამ წელიწადში სავალუტო ფონდისგან ცენტსაც ვერ მიიღებთო. ფონდმა კატეგორიულად მოითხოვა სიღატაკის აღმოსაფხვრელად რადიკალური ნაბიჯების გადადგმა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან!

## ვის ეკუთვნის აღმოჩენილი არსენალი?!

საარჩევნო ბატალიებისგან დიდი ხნით მოსვენებული ცენტრალური საარჩევნო კომისია გვარიანად შეაფუცხუნა ყოფილი „იმელის“ შენობაში ერთ-ერთი ოთახის რადიატორთან აღმოჩენილმა არსენალმა. ეს ოთახი „უხსოვარ“ დროში ჯაბა იოსელიანის დაცვას ეკუთვნოდა და წინასწარვე გამოითქვა ვარაუდი, რომ აღმოჩენილი იარაღი, ტყვია-წამალი და ყუმბარები „მხედრიონის“ იყო. მაგრამ გამოძიებამ განაცხადა, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ ეს ოთახიც საგულდაგულოდ გაიჩხრიკა და დაილუქა! ისმის კითხვა, მაშ, ვის ეკუთვნოდა ან ვინ ჩააწყო რადიატორის საფარში ეს იარაღი, რა მიზნით? ჯუმბერ ლომინაძე აცხადებს, რომ იარაღს მტვრის სქელი ფენა ედო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი არათუ თვეების, არამედ წლების მანძილზე ეწყო იქ... მიმდინარეობს გამოძიება და ამ საქმეში საინტერესო ის არის, რომ ცსკ არსენალის აღმოჩენას მკვდარ წრუწუნას უნდა უმადლოდეს, ლეშმა ისე შეაწუხა იმავე ოთახში მომუშავე ცსკ-ის პერსონალი, რომ წრუწუნას ძებნაში გადააქოთეს იქაურობა და შედეგიც ფანტასტიკური გამოდგა!

მომხდარს „ოპერატიულად“ გამოეხმაურა ჯაბა იოსელიანიც, რომელმაც უშიშროების „გასაგონად“ განაცხადა, — ციხიდან რომ გამოვედი, პირდაპირ „იმელში“ წავედი, ეს იარაღიც მე შევიტანე იქაურობის ასაფეთქებლადო!

## უნდა სცოდნოდათ, მაგრამ... არ იცოდნენ

როკის გვირაბის მახლობლად რუსეთის კუთვნილმა ვერტმფრენმა განიცადა კატასტროფა. წინასწარი მონაცემებით, ვერტმფრენი ცხინვალიდან მიფრინავდა კავკასიონის ქედს გადაღმა და კატასტროფა დასაშვებზე მეტი რაოდენობის მგზავრების მიზეზით მოხდა. გადატვირთულმა ვერტმფრენმა კავკასიონზე გადაფრენისათვის საჭირო სიმაღლე ვეღარ აიღო და ჩამოვარდა... რთული რელიეფის გამო მაშველებს ძალზე გაუჭირდათ ჯერ დამსხვრეული ვერტმფრენის ადგილსამყოფლის მიგნება და შემდგომ იქ მისვლა. საგულისხმოა, რომ თბილისის აეროპორტის დისპეტჩერებს ურეკავდნენ და სთხოვდნენ რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო ჯარების ხელმძღვანელები, დახმარებოდნენ დაკარგული ვერტმფრენის მოძებნაში... ქართველმა დისპეტჩერებმა ისიც თქვეს, რომ არავინ იცოდა ამ ვერტმფრენის საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოსვლის ფაქტის შესახებ და, საერთოდ, თუ რა მისიით ასრულებდა იგი რეისებსო... არადა, წესით და რიგით, უნდა სცოდნოდათ!

მიმდინარეობს მოკვლევა დაღუპულთა ვინაობისა და რაოდენობის შესახებ.

## „რაში და ვისშია საქმე...“

კონტრაბანდისა და, შესაბამისად, კორუფციის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა, ჯერჯერობით, კონტრაბანდისტთა და კორუმპირებულ ჩინოვნიკთა გამარჯვებისა და ბიუჯეტის დამარცხების აკომპანემენტით მიმდინარეობს. ამის კლასიკურ მაგალითად იქცა ახლახან ზესტაფონის საბაჟოზე დაკავებული კონტრაბანდული ბენზინის დიდი პარტიის „გაუჩინარება“. ჯერჯერობით, გაირკვა, რომ ბენზინის მეპატრონე კონტრაბანდისტმა დიდი ფულით მოქრთამა მებაჟეები და ბენზინი წაიღო. რა თქმა უნდა, „პასუხისმგებელმა პირებმა და სამსახურებმა“ გულმოდგინედ ძებნეს და სდიეს ბენზინის კვალს, მაგრამ ამაოდ... ამაზრზენი პარადოქსია, მაგრამ ისიც გაირკვა, რომ „აორთქლებული“ ბენზინის საქმეს თავად ბენზინის „აორთქლებაში“ ეჭვმიტანილი პირები იძიებენ თურმე(!). უკვე აშკარად გადაღლილი და იერშეცვლილი შემოსავლების მინისტრი მიშა მაჭავარიანი კი აცხადებს, რომ მას არ აძლევენ იურიდიულ უფლებას საკადრო წმენდა განახორციელოს საბაჟო დეპარტამენტში და რომ ასეთი სამინისტრო არც მას უნდა და არც ქვეყანას სჭირდება! არადა, არათუ გასაწმენდია ეს უწყება, არამედ წმენდის შემდეგ დიდი „სადეზინფექციო“ სამუშაოებიცაა ჩასატარებელი. ისე კი ძალიან „საინტერესოა“, რატომ არ აძლევენ მაჭავარიანს ამ უფლებებს?! როგორც ჩანს, თუ ასე გაგრძელდა, მალე თავად მიშა მაჭავარიანი აუწყებს საზოგადოებას, თუ „რაში და ვისშია საქმე...“. „კვირის პალიტრისთვის“ სარწმუნო წყაროდან ცნობილი შეიქნა, რომ მალე შემოსავლების სამინისტროსა და მინისტრის ირგვლივ შეიძლება „დიდი ამბები“ მოხდეს და მაჭავარიანმაც ძალიან მაგრად გაიჯახუნოს კარი.

## დსთ-ის დასასრული

**(კავკას-პრესი)** მოსკოვმა საკონსულო სამსახურების მეშვეობით უკვე აცნობა დსთ-ის ქვეყნებს ბიშკეკის 1992 წლის შეთანხმებიდან გამოსვლის თაობაზე. რუსეთი იმის უფლებას იტოვებს, რომ თანამეგობრობის ქვეყნებთან ცალმხრივად შემოიღოს სავიზო რეჟიმი. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართულ მხარეს წარუდგინა ორი დოკუმენტი. ერთ-ერთი მათგანი ითვალისწინებს შეღავათებს რუსეთთან მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ავთანდილ ნაფეტვარიძემ განაცხადა: „სავიზო რეჟიმის შემოღების შემთხვევაში, მან უნდა იმოქმედოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამა თუ იმ რაიონში ყოველგვარი შეღავათების გარეშე“.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თქმით, ქართული მხარე არ წავა იმაზე, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ მიიღოს რაიმე შეღავათები რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას. ამისათვის რუსეთი მზად არის საკონსულოები გახსნას სოხუმსა და ცხინვალში, რათა შეუმსუბუქოს ამ რეგიონებში მცხოვრებთ რუსეთში თავისუფალი შესვლა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი პირველი ქვეყანა არ არის, რომელმაც დსთ-ის საზღვრებში შემოიღო სავიზო რეჟიმი. ერთი წლის წინ თურქმენეთმა თავისი საზღვრები დაუხურა თანამეგობრობის ყველა ქვეყანას.

## თევდორაძე ეტაპირებული პატიმრების შეწყალებას ითხოვს

**(გეა)** პარლამენტის წევრი ელენე თევდორაძე აპირებს წერილის გაგზავნას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისათვის თხოვნით, რომ გამონაკლისის სახით შეიწყალოს გამარჯვების 55-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ამნისტიის ფარგლებში ის პატიმრები, რომლებიც რუსეთიდან საქართველოში არიან ეტაპირებულნი. თევდორაძის ინფორმაციით, რუსეთმა ამნისტია გამოაცხადა, მაგრამ არსებობს პუნქტი, რომლის თანახმადაც ამნისტია ეხება მხოლოდ იმ პატიმრებს, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ევროსაბჭოს მიერ ამნისტიის თაობაზე შემუშავებული ერთ-ერთი პუნქტის თანახმად კი ამნისტია, რომელიც გამოცხადებულია ერთი სახელმწიფოს მიერ, უნდა შეეხოს იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არიან გასამართლებულნი. ამ საერთაშორისო აქტის თანახმად, პატიმრები, რომლებიც გაასამართლეს რუსეთის ტერიტორიაზე და შემდეგში მოხდა მათი ეტაპირება საქართველოში, უნდა შეიწყალონ ამ ამნისტიის ფარგლებში, რადგან ეს პუნქტი, რომელიც რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ შეიმუშავა ამნისტიის თაობაზე, ანტიკონსტიტუციურია.

თევდორაძემ იუსტიციის სამინისტროს სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს გივი ყვარელაშვილს სთხოვა, რომ მან მიაწოდოს იმ პატიმრების სია, რომლებიც ეტაპირებულნი არიან რუსეთიდან და ეკუთვნით ამნისტია. კერძოთ, ამნისტია უნდა შეეხოს მას, ვისაც პირველი ნასამართლობა აქვს 5 წლამდე და ვინც სასჯელის ნახევარი მოიხადა; ვისაც 10 წლამდე აქვს მისჯილი და უკვე მოიხადა 2/3; ვისაც 10 წელზე მეტი აქვს მისჯილი და მოიხადა სასჯელის 3/4. ასევე მათ, ვინც სერიოზულად არიან დაავადებულნი ტუბერკულოზით, აქვთ ინვალიდობის წინა მდგომარეობა და ა. შ.




## ...3 თვე მოსაფიქრებლად

**(ბლექსი პრესი)** თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა აუკრძალა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საზღვარგარეთ საბანკო ანგარიშების გახსნა. იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნიათ ანგარიშები საზღვარგარეთ, ეძლევათ 3 თვე სამშობლოში სახსრების გადმოსარიცხად.

## თურქეთში 33 ისლამისტს სიკვდილი მიუსაჯეს

**(კავკას-პრესი)** თურქეთის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა 33 მუსლიმან აქტივისტს. მათ ბრალი ედებათ 1993 წელს მომხდარ ისლამურ ამბოხებაში მონაწილეობაში, რომლის დროსაც 37 ადამიანი მოკლეს. მართლმსაჯულება სასჯელის ამგვარ ზომაზე იმიტომ შეჩერდა, რომ დასჯის სხვა მეთოდი რბილი ეჩვენა.

80-იანი წლებიდან, თურქეთში სიკვდილით დასჯა სისრულეში არ მოყვანილა. ევროკავშირში შესვლის შემდეგ (1999 წლის დეკემბერი) სიკვდილით დასჯის საბოლოო გაუქმების საკითხი საკვანძოა თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებში.

## რადიოაქტიური ფხვნილი კონვერტით

**(გეა)** დააკავეს 42 წლის იაპონელი მამაკაცი, რომელიც ეჭვმიტანილია ამ თვის დასაწყისში იაპონიის პრემიერ-მინისტრის იოსირო მორის რეზიდენციაში და სხვა სამთავრობო დაწესებულებებსა და უწყებებში ფოსტის საშუალებით კონვერტებში ჩაყრილი რადიოაქტიური ფხვნილის გაგზავნაში. პოლიციის თქმით, ბოროტმოქმედი დააკავეს მაშინ, როცა იგი 10 ანალოგიური წერილის გაგზავნას ცდილობდა სამთავრობო დაწესებულებებში. ყველა კონვერტში მცირე რაოდენობით ისეთივე ფხვნილი იყო, რომლის შემადგენლობაშიც რადიოაქტიური ელემენტები შედიოდა.

# „ხიშტები კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ცუდია ზედ დასაჯდომად...“

დღე არ გავა, საპროტესტო აქციები არ მოეწყოს სახელისუფლო „ციტადელებთან“. შეუძლებელია, გულგრილად უყურო გაღატაკებულ-გამწარებული ადამიანების შეშლილ სახეებს, მათ „არასტანდარტულ“ ქმედებებს. ხოლო მაშინ, როცა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოლიდარულია ამ მოთხოვნებისა, რატომღაც, ყოველთვის და ყველა საკითხში აქტიური ქართული ინტელიგენცია „სფინქსის მდუმარებით“ შესცქერის შექმნილ ვითარებას და თუნდაც სიტყვიერ, მორალურ მხარდაჭერასაც არ გამოხატავს გაუბედურებული თანამემამულეებისადმი. რატომ? ამასთან, პასუხგასაცემია შეკითხვაც — შექმნილ ვითარებაში გამოიკვეთა თუ არა 1991-1992 წლების მოვლენათა განვითარების პერსპექტივა? აქვს თუ არა ამგვარ პარალელს ობიექტური საფუძველი და მიზეზები? ამ და სხვა პრობლემებზე ვესაუბრები ეროვნული თანხმობის დარბაზის თავმჯდომარის მოადგილეს, პროფესორ **გიორგი გაჩეჩილაძეს:**

— თქვენ მიერ მოხმობილი პარალელის ობიექტური მიზეზი ბევრია. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და მომდინარეობს ჩვენი პოლიტიკური ისთებლიშმენტის ანტისახელმწიფოებრივი მენტალიტეტიდან, ამას ემატება გლობალური პოლიტიკური პროცესების კონტექსტიც, რაც ასევე ხელს უწყობს კრიზისის აგორებას საქართველოში. ვითარება კი ასეთია: რუსეთში მოვიდა „დერჟავნიკების“ ფავორიტი პუტინი. აშშ-ში ხელისუფლებიდან მიდის კლინტონი. ექვს თვეში ამერიკას ეყოლება ახალი პრეზიდენტი. აი, ამ ტაიმაუტის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობს რუსეთი, რომლის მიზანიცაა, „სიურპრიზები“ შესთავაზოს დასავლეთს „მატჩის“ განახლებამდე. „სიურპრიზის“ ერთ-ერთი ობიექტი კი საქართველოა! შესაძლო დესტაბილიზაცია საქართველოში კორექტივებს შეიტანს კლინტონის რვაწლიანი მმართველობის დროს განხორციელებულ პოლიტიკურ სცენარში, რომელსაც ძირეული ცვლილებები მოჰყვა ევრაზიულ სივრცეში. რუსეთი ვერ შეურიგდა ამ სივრცეში თავისი პოზიციების შესუსტებას და აქედან გამომდინარე, მისი სურვილი — საქართველოში 1991-1992 წლების მოვლენათა განმეორებისა — არის რეალურიც და ლოგიკურიც. ახლა ჯერი ჩვენს არჩევანსა და შეგნებულობაზეა. რა პოზიციას დავიკავებთ ამ შუალედურ პერიოდში, ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. ამიტომ, თუ შექმნილ ვითარებაში ვიმოქმედებთ ისე, როგორც გამსახურდიას მიმართ იმოქმედა ქართულმა საბჭოურმა ნომენკლატურულმა ბიუროკრატიამ, საქართველოს მომავალს ჯვარი აქვს დასმული! გარწმუნებთ: ქართულ პოლიტიკურ ისთებლიშმენტს გამსახურდიას დროს რომ სულმოკლეობა არ გამოეჩინა, რომ გუშინ დამოუკიდებლობის გამომცხადებელ ქვეყანაში არ დაეშვა პუტჩი, რომ რევოლუცია არ მიეჩნია სოციალური და პოლიტიკური რეფორმის ოპტიმალურ საშუალებად — სულ სხვანაირი იქნებოდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და მორალური მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში, ევრაზიული დერეფნის როლის შესრულებას საქართველო შეუდგებოდა ეროვნული სხეულის მთლიანობის მდგომარეობაში...



დღეს შევარდნაძის კრიტიკაზე ადვილი არაფერია. შევარდნაძის მდგომარეობაში ყოფნაა ძნელი და შექმნილ ვითარებაში ყვედრება: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, კრიზისის გამკლავების საშუალება არ არის! მე მაქვს მიზეზები, უკმაყოფილო ვიყო ხელისუფლებისა, თანახმა ვარ, რომ ეს ხელისუფლება ყველაფრის ღირსია, მაგრამ პუტჩი, რევოლუცია და ტერორი არ არის კრიზისის დაძლევის პანაცეა...

**— თუ აფხაზეთის დაკარგვიდან მოყოლებული, საქართველოში მძლავრობდა რუსეთის საწინააღმდეგო პოზიცია, დღეს შეიმჩნევა მკვეთრად ანტიდასავლური, ანტიამერიკული განწყობილებები. ანუ ერთი უკიდურესობიდან ვვარდებით მეორე უკიდურესობაში. ანტიდასავლური პოზიციის გასამაგრებლად კი მოჰყავთ საქართველოში რელიგიურ სექტათა თარეში, მასონიზმი, სიონიზმი, კოსმოპოლიტიზმი და ა.შ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, საკმარისია დასავლეთმა რაღაც სასიკეთო მოიმოქმედოს ჩვენს სასარგებლოდ, რომ ეს განწყობილებაც დიამეტრულად შეიცვლება...**

— ჯერ რუსეთზე: ქართული პოლიტიკის საჭეთმპყრობლებმა აღმოაჩინეს რუსეთი, როგორც ევრაზიული სივრცის მაორგანიზებული ძალა და იმავდროულად ერთმორწმუნე ქვეყანა. საუბედუროდ, მათ მხედველობიდან გამორჩათ — „რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება“ — რეალური პოლიტიკის დონეზე იქნებოდა უტოპია, რუსეთმა კი არ დაიცვა საქარველო, არამედ დაიპყრო.

ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ სადმე, როდისმე, ერთხელ მაინც, თუნდაც სიმბოლური მნიშვნელობით, რუსეთს დაეცვას საქართველოს ინტერესები. რუსეთის ამოცანა იყო და არის საქართველოს დაშლა და მისი განხილვა გეოპოლიტიკურ სივრცედ, სადაც უნდა ბატონობდეს რუსეთი. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დროს საქართველოს ინტერსი დაიცვა დამარცხებულმა გერმანიამ და არა რუსეთმა. ამაზე დიდი დაცინვა შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა? არანაირი ორი რუსეთი არ არსებობს. არის ერთი რუსეთი. მეფის რუსეთს და მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ დეკაბრისტების რუსეთსაც ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოსადმი. დეკაბრისტმა პესტელმა ქართველობა შეიტანა რუსეთისთვის არასაიმედო ხალხთა სიაში. ამიტომ, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ, ცარიზმისა და ბოლშევიკური რუსეთის იმპერიულ გეგმებს ვადარებთ რუსეთის ამჟამინდელ პროგრამებს, თუნდაც 1997 წელს გამოქვეყნებულ „Стратегический план России на Юге“-ს, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის საუკუნეების მანძილზე ცოცხალი ერთი ავტორის მიერ დაწერილი გეგმა. 1921 წელს გენერალმა სიტინმა კრემლს წარუდგინა საქართველოს დემონტაჟის პროგრამა, რომელშიც ლაპარაკია საქართველოსათვის აფხაზეთის, აჭარისა და სამეგრელოს ჩამოჭრის შესახებ. შევადაროთ ახლა ეს გეგმა 1997 წელს შედგენილ ზემოხსენებულ „სტრატეგიულ გეგმას“. იქ სიტყვა-სიტყვით წერია იგივე. ამასთან, 1997 წელს რუსეთს უკვე გადაწყვეტილი აქვს აფხაზეთისა და ოსეთის საკითხი. ახლა დღის წესრიგში დგას სამეგრელო და აჭარა. რუსეთის სტრატეგიულ გეგმაში წერია, რომ რუსეთი უნდა იქცეს სამეგრელოს ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტად(!!!)

**— ახლა კი, საქართველოს „ახალი მტრის“, დასავლეთის შესახებ. რა თქმა უნდა, ამ ანტიდასავლურ განწყობას, გარკვეულწილად, კვლავ რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ...**

— დიახ, ჩემი აზრით, დღევანდელი საქართველო იქცა რუსეთის აგენტურის მორიგი ექსპერიმენტების პოლიგონად.

ბუტაფორიული დასავლური კოსმოპოლიტიზმის, მასონური იდეოლოგიის, სიონიზმის შესახებ და განსაკუთრებით საქართველოში ანტიებრაული ტალღის აგორების მცდელობა, მათი შემოქმედებაა. ამ მოძრაობის მიზანი არის, ქართველ კაცს ჩაუნერგოს აზრი, რომ თურმე საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ორი საუკუნეა იბრძვის არა რუსეთი, არამედ დასავლეთი; რომ აფხაზეთი და შიდა ქართლი საქართველოს წაართვა არა რუსეთმა, არამედ ამერიკამ; რომ ქართველების წაკვეთილი თავებით აფხაზეთში ფეხბურთს თამაშობდნენ არა რუსეთის, არამედ ამერიკის ჯარისკაცები; რომ აფხაზეთში ქართველი ხალხის გენოციდის განმხორციელებლები იყვნენ არა რუსეთის რეგულარული არმია და გენერლები, არამედ დასავლელი მასონები.

ჩვენ უნდა დავუჯეროთ ამ ზღაპარს, თუ რეალობას? ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ, რომ პოლიტიკაში სივრცეს აქვს ორი განზომილება — ფიზიკური და სოციალური? ფიზიკური არის სივრცის გეოგრაფიული მონაკვეთი, სოციალური — ამ სივრცეში მცხოვრები ხალხი, რომლის სულიერ-გონითი ცხოვრების ანაბეჭდიც კულტურის ძეგლების სახით არის ამოტვიფრული ამ ლანდშაფტზე.

ამ ლოგიკის მიხედვით, რუსეთმა რომ სოჭის ოლქი წაართვა საქართველოს და იქიდან აბორიგენი მოსახლეობა გარეკა, აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნაც დასავლეთის „წყალობა“ ყოფილა და არა რუსეთის ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფის პროგრამა თურმე ამერიკის გეგმაა, თორემ ჩვენი ერთმორწმუნე რუსეთი, რომელიც მართლმადიდებლურ გრძნობებს აფრქვევს საქართველოში, ამისთანა რამეს როგორ იკადრებდა?

რაც შეეხება ქართულ-ებრაულ ურთიერთობას, ეს არის ფაქტი, რომლითაც დაკოდილია რუს დერჟავნიკთა გულები.

ებრაელობას თავისი პრობლემები აქვს, მაგრამ ცილი დასწამო მათ, ეროვნულობის წინააღმდეგ იბრძვიო, ერს, რომელმაც ორიათასწლიანი ბრძოლით შეძლო აღთქმულ მიწაზე დაბრუნება, ხალხს, რომელმაც ყველა მცირერიცხოვანი ერი აღაფრთოვანა საკუთარი სახელწიფოებრიობისათვის ბრძოლით, ეს ცინიზმია.



ევროპის ანტიეროვნულობის შესახებ მსჯელობა ცალკე თემაა. ამჯერად თქვენი გაზეთის მკითხველს მხოლოდ იმას შევახსენებ, რომ სამართლებრივი ბაზის შექმნა ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეალთან ადამიანის მორალური კავშირის მიზნით, სწორედ ევროპული კულტურის მონაპოვარია.

იმის მისახვედრად, თუ როგორ ფსიქოლოგიურ ზღვრამდეა მიყვანილი ევროპულ კულტურაში პიროვნების ღირსებისა და ქვეყნის იგივეობის განცდა, იკმარებდა თუნდაც ტელეეკრანზე ფეხბურთში დღევანდელი ევროპის ჩემპიონატზე თვალის დევნება.

პოლიტიკაში იცვლება ბევრი რამ, მაგრამ გეოგრაფია რჩება უცვლელი... ამიტომ, „პრორუსულ“, „პროდასავლურ“, უფრო ადრე კი „პროთურქულ“ თუ „პროირანულ“ კურსს წინ უძღვის როგორც რუსეთთან, ისე სხვა მეზობელ ქვეყნებთან ჩვენი განგებისეული თანაყოფნის გარდუვალობა. ერთ მსოფლმხედველობრივ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: ქართველმა პოლიტიკოსებმა უკრიტიკოდ გაითავისეს მე-19 საუკუნეში დიდი ბრიტანეთის პრემიერის პალმერსტონის კლასიკური ფორმულა: „ინგლისს არა ჰყავს მუდმივი მეგობრები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები!“ თუ გავაანალიზებთ ამ ფორმულას, დავინახავთ, რომ ეს არის კუნძულოვანი ინგლისის და არა კონტინენტალური ქვეყნების უნივერსალური დოქტრინა. ვერც ერთი გონიერი რუსი და ქართველი, ფრანგი და გერმანელი, ამიერ და იმიერკავკასიელი, მათი ინტერესების მუდმივობის მიუხედავად, ვერ იტყვის, რომ — მას არ ჰყავს მუდმივი მეზობელი. აქედან გამომდინარე, მათი ინტერესები ან მუდმივად უნდა გაიფლანგოს მეზობლებთან მუდმივ კონფლიქტში, ისეთში, რამაც ორჯერ კინაღამ გაანადგურა გერმანია, ან მუდმივად უნდა ფიქრობდნენ, რომ თავიანთი მოქმედება დაუქვემდებარონ ერთობლივი გეოპოლიტიკური სივრცის ლოგიკას. სწორედ ამ მომენტის გაცნობიერება დაედო საფუძვლად ევროპაში ჯერ ნატოს, შემდეგ ერთიანი ევროპული სახლის შექმნის იდეას! აი, აქედან მომდინარეობს დასავლეთისკენ საქართველოს სწრაფვის სურვილი. თუ რა განსხვავებაა გეოპოლიტიკური სივრცისადმი რუსეთისა და აშშ-ის დამოკიდებულებათა შორის, მექსიკის მაგალითიც კმარა: მექსიკას აქვს აშშ-ის ათეულ მილიარდობით ვალი, მილიონობით მექსიკელი ცდილობს გადასახლდეს ამერიკაში, ბევრი მექსიკელი ფიქრობს აშშ-სთან შტატის სტატუსით გაერთიანებაზე... ამ დროს ვაშინგტონში განიხილავენ მილიარდობით დამატებითი კრედიტის გამოყოფის საკითხს მექსიკის ეკონომიკის განსავითარებლად... აშშ-ის აქვს მუდმივი ინტერესები და ნუთუ სოლდაფონების ჭკუაზე მოსიარულე რუსი პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ ამერიკას არ შეუძლია პუტჩის პროვოცირება მექსიკაში და დოლარების ფრიალის ნაცვლად ტანკების გრიალი? მაგრამ ამერიკა არ იყენებს ამგვარ შესაძლებლობას. არ იყენებს, იმიტომ, რომ მისი მუდმივი ინტერესები არ იქნება გაწონასწორებული მისი მუდმივი მეზობლის ინტერესებთან და ამერიკასაც, რუსეთის მსგავსად, გაუჩნდება მუდმივი რევოლუციური აფეთქებების, სისხლის, დიქტატურის, ეკონომიკური კრიზისისა და ა.შ. უბედურებების მუქარა...

წესით და ლოგიკით, საქართველო რუსეთისათვის უნდა იყოს რუსეთისათვის მტრული ძალების ბარიერი და ბუფერი. საქართველოს სურვილიც ეს არის, რუსეთისა — არა! ამ ვითარებაში არსებობს როგორც რუსეთის, ისე რუსეთის კონკურენტი ქვეყნების საქართველოსადმი დამოკიდებულების სამი ვარიანტი:

1. საქართველომ შეასრულოს რეგიონის სტაბილურობის ფუნქცია და არ იყოს ვინმეს პრიორიტეტული პლაცდარმი ვინმეს წინააღმდეგ. ლოგიკის ენაზე ეს პოზიციაა.

2. საქართველოს მეზობლებიდან რუსეთს, ან რუსეთის რომელიმე კონკურენტ ქვეყანას მიენიჭოს პრიორიტეტი. რუსეთის აზრით, ეს უნდა იყოს უთუოდ — რუსეთი.

3. საქართველოს ტერიტორია გადანაწილდეს კონკურენტ ქვეყნებს შორის, ქართველობა აღიგავოს პირისაგან მიწისა და კაცობრიობას აღარ ჰქონდეს ამ გეოპოლიტიკური რეგიონის ფუნქციონირების სურვილი და მიზეზი. აი, რა პრობლემის გამკლავების წინაშე დგას ქართული პოლიტიკური აზროვნება...

**— და გაუმკლავდება კი შექმნილ ვითარებაში, თუნდაც მოკლევადიან პერსპექტივაში? ხომ ფაქტია, შეცდომებმა არა თუ რაიმე გვასწავლა, პირიქით, — გაორმაგებული ენერგიით ვიმეორებთ და ვიმეორებთ ძველ თუ ახალ შეცდომებს...**

— დიახ, ასეთი ვითარება ჩვენს შინა ცხოვრებაში ჩვენგანვე დაშვებული შეცდომების სასჯელია, რაზეც პასუხისმგებლობა აკისრია გადაწყვეტილებათა მიმღებ ქართულ ელიტას! ელიტა სამი კრიტერიუმით ფასდება: პოზიციით, რეპუტაციით და გადაწყვეტილებებით. ქართული ელიტა კომპრომეტირებულია სამივე პუნქტში. ამასთან, ცეცხლზე ნავთის გადამსხმელად იქცა განუკითხაობა პრესასა და ტელევიზიაში. კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „კაცს თუ გინდა ძირი გამოუთხარო, ისეთი რამე უნდა დასწამო, რის წინააღმდეგაც ის იბრძვის“. აბა, გაიხსენეთ აჟიოტაჟი ბაკურ გულუას გამო. მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება აღმოჩნდა ბლეფი და მორალური და ინტელექტუალური კაპიტალის მქონე პოლიტიკური ფიგურის თავიდან მოცილების ინტრიგა... რაღაც დოზით მაინც არაანგაჟირებული ადამიანი ბუნებაში არ არსებობს. არ არსებობს არაანგაჟირებული პრესაც, მაგრამ საზოგადოებას რომ სამართლიანობის ინსტიქტის დაჩლუნგება დაეწყება, ის საზოგადოება ისჯება!

დღეს, კორუფციით დაწყებული, ეკონომიკური კრიზისისა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით დამთავრებული, სტრატეგიული ბერკეტი საქართველოსათვის არის — რეფორმები ეროვნული თანხმობის სფეროში. ამ რეფორმებისთვის ისტორიისაგან ბოძებული დრო ქვიშის საათივით იწურება. ნათქვამს რომ რეზიუმე გავუკეთოთ, ორ პოლიტიკურ სენტენციას შეგახსენებთ.

მაკიაველმა თქვა: „პოლიტიკაში არსებობს პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასაც სჭირდება დროში მომწიფება, მაგრამ არსებობს პრობლემებიც, რომლებიც ქვეყნის საჭეთმპყრობლის ნებით უნდა განხორციელდეს.“

ნაპოლეონმა შენიშნა: „ხიშტები კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ცუდია ზედ დასაჯდომადო“.

ჩემი აზრით, შევარდნაძეს არ უნდა გაუჭირდეს, როგორც ეროვნული თანხმობის გადავადებით გამოწვეული საშიშროების გაცნობიერება, ისე კორექტივები ნაპოლეონის ფორმულაში: მედროვეები კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ცუდია ქვეყნის მართვის დროს...

***ზურაბ მჭედლიშვილი***



*თბილისიდან სამღერლად ჩასულ სტუმრებს გურჯაანი ელოდა და ქართული სიმღერის ფენომენის აღიარებად ის ლამაზი საღამოც იქცა.*

...მადლიან კახეთს უმღეროდა თავად ავტორი, ამავე კუთხის შვილი, უკვე ჰიმნად ქცეულ „ირმების გადმოსახედო, კახეთო, ჩემო კახეთოს“ და ფეხზე ამდგარი დარბაზი დიდხანს არ უშვებდა სცენიდან.

შეხვედრის პირველი აკორდი კი გახლდათ: „ცოდვა თუ მაქვს ჩადენილი რამე, მომიტევოს ჩემმა თბილისმა“... ამ ნიჭიერი შემოქმედის „ცოდვა“ კი ალბათ ის გაუხუნარი სიმღერაა, რომელიც ყველა თაობისა და ყველა დროის ადამიანს სულს უფორიაქებს, სიკეთითა და სიყვარულით აღავსებს. სწორედ ამ განცდამ მოანატრა გურჯაანელ ახალგაზრდებს საყვარელი კომპოზიტორის მიერ ნამღერი „თბილისო“, „იმერეთის ნიავო“... მათ შემოქმედის ცხოვრების დეტალებიც აინტერესებთ, რომელი სიმღერა როდის შეიქმნა, რამ მისცა შემოქმედს ამის ბიძგი.

— ჩემი ვაჟი გიორგი გურგენიძე მაშინ პატარა იყო. დასასვენებლად მამის ნათესავებთან ქუთაისში გავგზავნე. ეს ჩვენი პირველი ხანმოკლე განშორება გაუსაძლისი გახდა. გულს მიღრღნიდა, არ მტოვებდა ბწკარები: „ქუთაისო, ჩემო დედა, შენთან არის გული ჩემი“... ასე დავწერე სიმღერა „ქუთაისო“ და „იმერეთის ნიავო“.

ცხადია, დარბაზში მყოფთათვის ყველაზე დიდ ინტერესს სიმღერა „კახეთო“ იწვევს.

ერთხელ შევკადრე ნუნუს, ღმერთმა უამრავი სიკეთე დაგაბერტყა, შენი მშობლიური მიწის მადლიც გატყვია-მეთქი. გულიანად გაიცინა, — რა დამებერტყაო? ჩამოვუთვალე — ალალი ხარ, ლამაზი, უშურველი, უღალატო, ეს ყველაფერი ქიზიყელის თვისებებია, გამართლება არა გაქვს, ამდენი რამ კარგი დაწერე იმერეთზე და კახეთზე არაფერი დაგიწერია. ჩემი დედულეთიც ქიზიყია, მე ვამაყობ, რომ ვანო სარაჯიშვილის, სანდრო ახმეტელის, სანდრო მირიანაშვილის, ჰამლეტ გონაშვილის კუთხიდან ვარ. მინდა ჩემმა შვილებმა შენით იამაყონ-მეთქი, — არ ვცხრებოდი. ერთი სიტყვით, დავამუნათე და კახეთზე სიმღერა პროგრამა „მინიმუმად“ დავუსახე. ცხადია, ეს მასაც გულში ჰქონდა. რაზეც მიმანიშნა კიდეც — იოსებ ნონეშვილის ლექსზე ვმუშაობო. შემდეგ სულ მალე დაიწერა ბრწყინვალე მელოდია „ირმების გადასახედო“, რომელიც კლასიკად იქცა. დამეთანხმებით, კლასიკაა ის მუსიკა, რომელსაც ჭირშიც უსმენ და ლხინშიც. მახსოვს, როცა იოსებ ნონეშვილის ნეშტს მივასვენებდით, გაისმოდა ეს ჰანგები: „კახეთო, ჩემო კახეთო“, ნუნუ დუღაშვილის შესრულებით. ამ სიმღერას, როგორც თავად ავტორი, ისე ვერავინ ასრულებს. ამაშიც არის რაღაც დიდი და ამოუცნობი ფენომენი. (მინდა სიამაყით გავიხსენო, რომ ამ სიმღერის პრეზენტაცია ჩემს სახლში, აბანოთუბანში, გრიშაშვილის №12-ში შედგა, ერთი მხრიდან ნარიყალა გადმოგვცქეროდა, მეორე მხრიდან — მეტეხი)

...სითბო, რომელიც იმ საღამოს დარბაზში სუფევდა, დიდხანს გაჰყვება შეხვედრის მონაწილეებს და შემოქმედს. სიყვარულით ანთებული თვალები და ნებისმიერი მისი სიმღერის თანმხლები მქუხარე ოვაცია იმის დასტურია, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას მსმენელი კვლავაც ჰყავს. საღამოს უძღვებოდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი ქორეოგრაფი გივი სიხარულიძე.

თბილისიდან ჩასული მცირერიცხოვანი ჯგუფი ვტოვებდით „ირმების გადასახედ კახეთს“ და თან მოგვყვებოდა დაუვიწყარი წუთები ალალ კახელებთან შეხვედრის სიხარულისა... გვიანი ღამე იყო, თბილისი გვეგებებოდა აჭრილი, აფორიაქებული და მბორგავი ათასნაირი პრობლემლებით, ყველანი ერთად ვღიღინებდით, „ცოდვა თუ მაქვს ჩადენილი რამე, მაპატიოს ჩემმა თბილისმა“.

რამდენს უნდა გვაპატიოს ცოდვა, ჩვენმა თბილისმა...

***დოდო იორდანიშვილი***



**24 ივნისს, ალ. გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრში თქვენ გელით შეხვედრა ცნობილ რუს მსახიობთან, პოპულარულ მომღერალთან, რფ სახალხო არტისტთან**

**ნიკოლაი კარაჩენცოვთან**

**შემოქმედებითი საღამო დაიწყება 19.00 სთ-ზე**

**საღამოს საიფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ: გაზეთები — „კვირის პალიტრა“ და „დილის გაზეთი“; ჟურნალი „ბომონდი“; ტელეკომპანია „რუსთავი-2; რადიო „ფორტუნა“ და „აუდიენცია“**


**ფოტომომსახურება: სწრაფი და ხარისხიანი ბეჭდვა**

**წახალისების სისტემა. ფასდაკლება პროფესიონალებზე და მაგთის აბონენტებზე**

**ა) გარანტია**

**ბ) აქსესუარები**

**გ) ჩართვა მაგთი GSM**

**მისამართები:**

1. ალმაშენებლის გამზ. 71 (ნოკია სერვის-ცენტრი) საგარანტიო და სერვისული მომსახურება. შეკვეთების მაგიდა. ტელ/ფაქსი: 94-15-66; 899-555-035

2. მარჯანიშვილის ქ. 15, ფოტოსალონი ფუჯი ტელ/ფაქსი: 95-80-03

3. რუსთაველის გამზ. 31, ფოტოსალონი ფუჯი (ცენტრალური ფოსტის შენობაში) ტელ/ფაქსი: 99-53-83


ღირსი მამა დავით გარეჯელის ხსენების დღე ყოველთვის ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს უწევს. კალენდარულად წელს ეს 15 ივნისი იყო.

ღირსი დავით გარეჯელი იმ ცამეტ ასურელ მამათა შორის ერთ-ერთი იყო, რომლებიც V ს-ში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მინიშნებით სირიიდან საქართველოში ჩამოვიდნენ. ღირსი დავითი თავდაპირველად თბილისში, წმიდა მთაზე ცხოვრობდა და თან დედაქალაქის ცხოვრებას თვალს ადევნებდა. ხშირად ხალხში ჩამოდიოდა და რწმენაში განამტკიცებდა. მოსახლეობას დავითი ისე შეუყვარდა, რომ გვერდიდან არ შორდებოდა, ამიტომ წმ. მამამ განმარტოებით ცხოვრება განიზრახა. ჯერ ნავთლუღში, შემდეგ კი გარეჯის უდაბნოში დასახლდა. აქ მან თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად მცირე სენაკი გამოკვეთა და თავდაპირველად მარტო, მოგვიანებით კი მრავალ ბერთან ერთად ცხოვრობდა. ასე ჩაეყარა საფუძველი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს.



სიტყვით ამის თქმა ძალზე ადვილია, მაგრამ რამდენი ფიქრი, რა მზადება, როგორი სულის სწრაფვა ედო საწყისად წმიდა ბერი დავითის გამგზავრებას იერუსალიმის სიწმიდეთა მოსალოცად. „გამგზავრებაც“ სიმბოლურად ნათქვამია, თორემ აქ ხომ მხოლოდ ფეხით სვლა და იქნებ, იშვიათად, აქლემის შენაცვლება მოიაზრება. ახლა წარმოიდგინეთ, რა გზა განვლო, რა ლტოლვით იარა და როცა იერუსალიმის კარიბჭეს მიადგა, დიდება შენს სიწმიდეს, მამაო დავით! — ბერმა ფეხი ველარ შედგა ჭიშკარში — თავი ღირსად არ მიიჩნია — მე, ცოდვილი, როგორ მივეახლო უფლის ფეხდადგმულ მიწასო...

მხოლოდ იმის ღირსად მიიჩნია თავი, გზიდან სამი ქვა აიღო და საქართველოსკენ იბრუნა პირი...

იერუსალიმის პატრიარქს ჩვენება ჰქონდა — ქართველმა ბერმა ისრაელის მთელი მადლი გაიტანა თქვენგანო...

გზაშივე დაეწივნენ დავითს და ორი ქვა ჩამოართვეს. მხოლოდ ერთი ქვა დაუტოვეს და ეს „მადლის ქვა“ დღესაც სიონის ტაძარში ინახება...

იყო დრო, როდესაც მონასტერს საქართველოს მეფენი მზრუნველობდნენ და იგი ერთ-ერთ უდიდეს სასულიერო და საგანმანათლებლო ცენტრად იყო მიჩნეული. კომუნისტების რეჟიმის დროს, მონასტერი თითქმის გაუდაბურდა და საბჭოთა ჯარების სამიზნედ იქცა. დღეს ყველაფერი თანდათან იცვლება და მონასტერს უამრავი მორწმუნე ადამიანი აკითხავს.

15 ივნისს დავით გარეჯის ტაძარში წირა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. საყდრის სიმცირის გამო სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მრევლი ლოცვას და ქადაგებას მიკროფონებით ეზოში ისმენდა. აქ იყვნენ უცხოელებიც. ჩვენი ყურადღება ორმა ადამიანმა მიიპყრო, რომლებიც რაღაცას ინიშნავდნენ უბის წიგნაკებში. რუსეთიდან მოსალოცად წმ. ნინოს გზებზე წამოვედით. ამ დღესასწაულის შესახებ რომ შევიტყვეთ, აქეთკენ გამოვეშურეთ. საქართველოსა და ქართული ტაძრების ნახვით საოცარი შთაბეჭდილებებით ავივსეთო, — გვითხრეს.

შთაბეჭდილება კი მართლაც ისეთი ძლიერია, აზრად ჩამოქნა დიდხანს გაგიჭირდება... გიკვირს, როგორ განვლო წმიდა ბერმა ეს გზები, მანქანით მომავალსაც რომ გაძრწუნებს და გღლის. აქაურობა ამ ადრეულ ზაფხულში ლამის შემოდგომის ყვითელ ფერს დაუმორჩილებია. იშვიათად თუ მოჰკრავ თვალს მცენარეს და წყალიც კი მლაშე და მკვდარია. სულიერ არსებათაგან აქ მხოლოდ ქვეწარმავლები, მტაცებელი ფრინველები და ცხოველები შეგხვდება. ბერების თქმით, მათ სენაკებს ღამით ხშირად სტუმრობენ მგლები, დღისით კი დაუპატიჟებელი ქვეწარმავლები ეწვევიან. მაგრამ წმიდა დავითი ცხადლივ ყოველთვის გვეხმარება და აქამდე საგანგაშო არაფერი მომხდარაო.

ისტორიამ ასეთი ამბავი შემოგვინახა: აქ ვაშლის ხე მდგარა, რომლის ნაყოფსაც ბერები სადილის დროს იღებდნენ. ვაშლი ხშირად გაკრეფილი ხვდებოდათ. ერთხელ დაუდარაჯდნენ. ორი ყორანი მოფრინდა, მოწყვიტეს ვაშლები და კლდისკენ გასწიეს. მამები მის კვალს მიჰყვნენ და აღმოაჩინეს კლდის ნაპრალში დაყუდებული ბერი. ამ დღიდან კლდეში არა ერთი სენაკი გამოიკვეთა და მონასტერი გამტკიცდა. დღემდე შემორჩა კედლებს ბრწყინვალე ფრესკები, რომელთათვის დროს მსახვრალი ხელი დაუტყვია.

ადამიანთაგან მივიწყებულ, უდაბნოს უკაცრიელობისთვის დამახასიათებელ უცნაურ სილამაზეში, ადამიანებსა და გარეულ სამყაროს, იდუმალი ურთიერთობა ჰქონიათ. ერთ ბზობა დღეს, მონასტრის მკვიდრთ არც საკვები და არც თევზი ჰქონიათ. მონასტრის წინამძღვარს ორი ბერისთვის სხვადასხვა მიმართულებით წასვლა დაუვალებია. საკვების საძებრად მიმავალი ერთი მათგანის წინ არწივი დაშვებულა და ცოცხალი ორაგული დაუგდია. ბერები იმ დღეს, ბზობას, მდიდრული ტრაპეზით შეხვედრიან. იქ მყოფი ერთი მოძღვრის ნათქვამი გამოგვყვა თან: „ძველად ადამიანი ბევრს ქმნიდა და ყველაფერს ასწრებდა, დღეს კი გადაადგილების და მოძრაობის ყველა საშუალებაა, მაგრამ ვერაფერს ასწრებს და ყველგან აგვიანდება.“ უსასრულოდ მშვიდია გარეჯის კომპლექსი და დღესაც ყველაფერს ასწრებენ აქაურები — ღვთის სადიდებელი მაღლდება ზეცად.

ზემოთ კი მოგახსენეთ, შთაბეჭდილება ძლიერიაო, მაგრამ სრული მაინც არ იქნება, თუ კიდევ ერთ მონაკვეთს არ გავიხსენებთ. უკან მომავალთ გზად სოფელი უდაბნო შემოგეგებებათ... ეს ახალი სოფელია და საკმაოდაც გაშლილა მხრებში, უკვე 250-მდე კომლი ვცხოვრობთ, უმეტესად სვანებიო, — გვითხრეს აქაურებმა.

სოფლის გაღმა, შემაღლებულზე, თვალი კოხტა, აგურით ნაგებ ბაზილიკას ვკიდეთ. სახელდახელო გზაც იქით მიემართება...

მივხვდით, უწმიდესმა და უნეტარესმა ახალი სამლოცველო უნდა აკურთხოს... მთელი სოფელი ელის ამ წუთებს... მთავარანგელოზების სახელობის საყდარში რამდენიმე ხატი და იქაური მოძღვარი დაგვიხვდა... პატრიარქმა დალოცა სამლოცველო, ერი და ბერი... და ახლა მთავარი სათქმელი — თქვენო უწმიდესობავ! ბავშვებს პატარა კონცერტი აქვთ მომზადებული და თუ ძალიან არ ჩქარობთ! — მორიდება ეტყობა იქაური სკოლის მასწავლებელს ხმაში... ჩქარობდა პატრიარქი, მაგრამ იქ უფრო საჭირო იყო მაშინ და... დაბრძანდა...

ბატონებო! მინდა გითხრათ, რომ დიდი ხანია ასეთი ქართული, ასეთი წმიდა, ასეთი ალალი სული ერთად მფეთქავი და ამაღლებული, არ გვიხილავს და დიდი ხანია, არ გვიგვრძვნია, რა დიდებულია, რომ ხარ ქართველი...

ამ უდაბნოში (მართლა უდაბნოში) ეულად გაშენებულ სოფელში, სადაც ალბათ სულ რამდენიმე გვარის ოჯახი ბუდობს, როგორ იხარა ქართულმა სიტყვამ, ქართულმა ჰანგმა, ქართულმა როკვამ და რაც მთავარია, რაშია საქმე, რა ფენომენია ასეთი, ამდენი ლამაზი ბავშვით რომ აავსო აქაურობა...

— მსოფლიოში არ მეგულება ასეთი ლამაზი ბავშვები, თქვენ რომ ხართო, — ბრძანა უწმიდესმა, რომელიც იმ ბავშვებივით უშუალო და ბედნიერი იყო იმ წუთებში.

არაფერი მოგვჩვენებია! იმ საღამოს (შემოგვაღამდა კიდეც) ჩვენ ამაყები ვიყავით...

ჩადით უდაბნოში! იქნებ დაგიბრუნდეთ მომავლის იმედი!

ჩვენ ვცოცხლობთ!..

***ანა ჩხეიძე***
***ლალი გუნთაიშვილი***



# „საზღვრის დაცვის დეპარტამენტი შესაძლოა დაიშალოს...“

„კვირის პალიტრა“ აგრძელებს ჟურნალისტურ მოკვლევას საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს მივაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია ზოგადად სასაზღვრო პოლიტიკისა და, საერთოდ, საზღვრების ამა თუ იმ მონაკვეთზე არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ. არ გვინდა ეს წამოწყება ვინმემ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კომპრომეტირებად ჩაგვეთვალოს, ჩვენც, როგორც ნებისმიერ ქართველს და მამულიშვილს გვინდა გვჯეროდეს, რომ საქართველოს საზღვარი საიმედოდ არის დაცული, გვსურს, ჩვენ მიერ მომზადებულ მასალებში დაფიქსირდეს ორმხრივი, თუნდაც სამმხრივი და მრავალმხრივი აზრი, თუმცა... დიდი მცდელობის მიუხედავად, ჯერჯერობით, ვერსად მივაგენით კაცს, რომელიც იტყვის — საქართველოს საზღვრებზე არც ისეთი სავალალო მდგომარეობაა, როგორც მავანს ჰგონიაო და ნათქვამს შესაბამისი არგუმენტებით დაასაბუთებს. სასაზღვრო დეპარტამენტის ოფიციოზი, რომლისგანაც ზემოხსენებულ ინიციატივას ველოდით, კატეგორიულად დუმს. უფრო მეტიც, მათ „პირობა მოგვცეს“, რომ ჩვენი ჟურნალისტური მოკვლევის დამთავრებამდე „დუმილს არ დაარღვევენ“ (ეს სასაზღვრო დეპარტამენტის საერთო პოზიციაა, თუმცა შეგვპირდნენ, რომ ბოლოს გააკეთებენ ვრცელ კომენტარს, ოღონდ არა რომელიმე კონკრეტული პირის, არამედ საერთოდ დეპარტამენტის სახელით). კი, მაგრამ რა ხდება, ბატონებო? ვინც ვალდებულია, რომ დაგვისაბუთოს, ჩვენი ოპონენტების აზრი არასწორია და სინამდვილეში ყველაფერს ვაკეთებთ საქართველოს საზღვრების დასაცავადო, სწორედ ისინი გაურბიან ამ თემაზე საუბარს. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ მათ, უბრალოდ, არაფერი აქვთ სათქმელი, მაგრამ...

ჩვენი მოკვლევის მორიგი თემა საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთს შეეხება. შატილის საკმაოდ გახმაურებულ ინციდენტთან დაკავშირებით, როგორც გავიგეთ, არანაირი გამოძიება არ ჩატარებულა, გარდა სასაზღვრო დეპარტამენტის შინა გამოძიებისა, რომლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ მოვახერხეთ. ფაქტი ერთია: საზღვრის ის მონაკვეთი, რომელსაც 1999 წლის 22 დეკემბრამდე ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებდნენ, დღეს უკვე რუსი „ფედერალების“ განმგებლობაშია.

მაინც რა მოხდა შატილში 22 დეკემბერს? რატომ მიატოვეს საზღვარი ქართველმა მესაზღვრეებმა (მათი ახსნა-განმარტებიდან ამონარიდს, ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, ქვემოთ შემოგთავაზებთ)? ვინ გვესროლა, რუსმა, ჩეჩენმა ბოევიკმა თუ...

ამ და სხვა კითხვებზე საპასუხოდ სასაზღვრო დეპარტამენტის ერთ-ერთი თანამშრომელი, წოდებით კაპიტანი, მხოლოდ მას შემდეგ დავითანხმეთ, რაც ანონიმურობის გარანტია მივეცით. მიზეზთა და მიზეზთა გამო მან ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. გთავაზობთ მის ნაამბობს.

— 22 დეკემბერს, როდესაც ჩვენი მესაზღვრეების საგუშაგო პირველად დაიბომბა, მე თბილისში ვიმყოფებოდი. იმ დღეს დეპარტამენტში შემთხვევით შევესწარი ვიცე-პოლკოვნიკ კოპაძის სატელეფონო საუბარს. იგი რაციით ელაპარაკებოდა „შატილს“. სწორედ მაშინ შევიტყვე, რომ ჩვენი სასაზღვრო პოზიციები დაბომბეს ორი მართვადი ჭურვით. იმ დროს იქ იდგა მოტო-სამანევრო ჯგუფი, რომელიც შატილში ადგილობრივი საგუშაგოს დასახმარებლად იყო მივლინებული. პირველი ჭურვი სწორედ მათი დისლოკაციის ადგილზე დაეცა, ხოლო მეორე — შატილის საგუშაგოზე, ზევით, სადაც მესაზღვრეები და ადგილობრივები იმყოფებოდნენ. დაბომბვის დროს შატილის საგუშაგოზე 6 მესაზღვრე დაიჭრა მსუბუქად (მოტოსამანევრო ჯგუფში დაჭრილები არ ყოფილან). მოგვიანებით თავად გავემგზავრე და ყველაფერი უკვე საკუთარი თვალით ვნახე.



— *თუ ნახა ვინმემ, როგორ გარბოდნენ პოსტიდან მესაზღვრეები და მათი მეთაურები?*

— მესაზღვრეები თავისი ინიციატივით არ გაქცეულან. ვიცი მათი სულისკვეთება, საკუთარი ნებით არ დაყრიდნენ იარაღს. როგორც ჩემთვის ცნობილია, პირველი დაბომბვისთანავე გაიცა ბრძანება, რომ პოსტი დაეტოვებინათ.

— *ბრძანება ვინ გასცა?*

— ჯარისკაცებს გამოვკითხე, თუ რა და როგორ მოხდა. მითხრეს, ბრძანება გასცა ვიცე-პოლკოვნიკმა ირაკლი სალიამ.

— *გამოკითხვა გამოძიების მიზნით ჩაატარეთ?*

— მთლად გამოძიების მიზნით — არა. უბრალოდ, მაინტერესებდა, რა მოხდა ან სად დაიკარგა 45 კაცისთვის გათვალისწინებული სამხედრო ინვენტარი.

— *იარაღს გულისხმობთ?*

— მაშინ იარაღი უკვე გამოტანილი იყო — დროდადრო გადმოჰქონდათ. მოგეხსენებათ, როცა დაბომბვა მოხდა, მესაზღვრეებმა უმალვე დატოვეს პოსტი. იარაღის წამოღება ზოგმა მოასწრო, ზოგმაც — ვერა. ამიტომ, შემდეგ ღამღამობით გადადიოდნენ და ნელ-ნელა გადმოჰქონდათ. როგორც ვიცი, იარაღი არ დაკარგულა.

— *რაიმე საიდუმლო მასალები თუ დაიკარგა?*

— ერთადერთ საიდუმლოებას წარმოადგენდა რადიოგრამების ჟურნალი, რომელიც მე პირადად, აღარ მინახავს და ახლაც არ ვიცი, სად არის. რაც შეეხება ინვენტარს, არცთუ მცირე ფასეულობას წარმოადგენდა. ეს გახლდათ მუზარადები, ჯავშანჟილეტები, სამი კარავი, რომლებიც საკმაოდ ძვირი — თითო დაახლოებით 300-400 დოლარი ღირს, ორი საველე სამზარეულო, მშრალი საკვები, ჩაფხუტები, საძილე ტომრები და ა.შ.

— *როგორც ვიცით, დღემდე გაურკვეველია, ვინ ესროლა ჩვენს მესაზღვრეებს. თქვენ ხომ არ შეგიძლიათ გვითხრათ, ვინ იყო დაბომბვის თაოსანი?*

— დანამდვილებით არაფრის თქმა არ შემიძლია. შეიძლება რუსებმა ისროლეს. არც ის არის გამორიცხული, რომ ჩეჩენ ბოევიკებს ესროლათ, რომლებიც ჩვენს საზღვართან იდგნენ და ცდილობდნენ, საზღვარი გადმოეკვეთათ და აქეთ შემოსულიყვნენ.

— *თქვენი იქ ყოფნის დროს თუ ჰქონდა ადგილი ასეთ მცდელობებს?*

— დიახ, იყო ასეთი შემთხვევები. 5-6 კაცი მოადგებოდა საზღვარს და ცდილობდნენ, ძალით შემოსულიყვნენ.

— *მაინც როგორ გგონიათ, ვისი მხრიდან უფრო იყო მოსალოდნელი სროლა? იქნებ უფრო ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ჩეჩენმა ბოევიკებმა ისროლეს. რუსებმა კი, რომ დაინახეს, ქართველები გამოიქცნენ, მივიდნენ და მიტოვებული საზღვარი დაიკავეს?*

— დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით. ისე კი, რუსებს შეეძლოთ ესროლათ იმ მოტივითაც, რომ დაეზარალებინათ ჩეჩნები, რომლებიც იმ პერიოდში ჩვენს მესაზღვრეებთან ახლოს იმყოფებოდნენ.

— *გამოძიება არ ჩატარდა ამ ფაქტთან დაკავშირებით?*

— რამდენადაც ვიცი, არ ჩატარებულა. დეპარტამენტის ხელმძღვანელობის და სხვა ჩინოვნიკების მხრიდან ამაზე იყო მხოლოდ ზოგადი გამოსვლები პრესით და ტელევიზიით.

— *ვინმე დაისაჯა ამ ფაქტის გამო?*

— რა დასჯა, რის დასჯა. მგონი, პირიქით — დააჯილდოეს ხალხი.

— *როგორ თუ დააჯილდოეს?*

— მაგალითად, მოტოსამანევრო ჯგუფის უფროსმა დანელიამ, რომელიც იქიდან გამოიქცა, ვახტანგ გორგასლის ორდენი მიიღო, ვიცე-პოლკოვნიკმა სალიამ, რომელმაც პოსტის დატოვების ბრძანება გასცა — პოლკოვნიკის წოდება.

— *შატილში ადგილობრივმა მოსახლეობამ როგორ მიიღო მესაზღვრეების მიერ პოსტის მიტოვება?*

— რა თქმა უნდა, უარყოფითად! 22 დეკემბერს, შატილსა და მუცოს ხეობაში დაბომბვის ხმა რომ გაუგონიათ, მთელი სოფელი აყრილა და მესაზღვრეების დასახმარებლად გაქცეულა, მაგრამ ანატორთან ჩვენს ჯარისკაცებს გადაჰყრიან, რომლებიც თავქუდმოგლეჯილები მორბოდნენ თურმე. მერე რუსებმა პირდაპირ გვითხრეს (ამ დროს „პალიანა“ უკვე დაკარგული გვქონდა), დატოვეთ „პალიანა“? — მოვედით და ჩვენ დავიკავეთ; დატოვებთ შატილს? — ახლა შატილში დავდგებით; თბილისამდე რომ ჩახვიდეთ, ჩამოგყვებით და იქ გავხსნით ჩვენს პოსტსო.

— *თქვენი იქ ყოფნის დროს ჩეჩენი ლტოლვილების გადმოსვლის პროცესი დაწყებული იყო?*

— მე რომ ჩავედი, ლტოლვილების გადმოყვანა დაახლოებით ერთი კვირის დაწყებული იყო. გადმოდიოდნენ მხოლოდ ქალები, მოხუცები და ბავშვები.

— *დაცული იყო თუ არა ლტოლვილების გადმოშვებისთვის აუცილებელი ყველა პირობა, რათა არ მომხდარიყო გადაცმული „ბოევიკების“ გადმოსვლა?*

— საერთოდ, წესია, რომ უნდა მოეწყოს ე.წ. საფილტრაციო ბანაკი საზღვრისგან ცოტა მოშორებით და მოხდეს ლტოლვილთა ძირისძირობამდე შემოწმება. იქ კი მსგავსი არაფერი გაკეთებულა. არ ხდებოდა ჩანთების დათვალიერება. ერთადერთი, ყურადღებას ამახვილებდნენ პასპორტებზე. ვისაც პასპორტი წესრიგში ჰქონდა, უპრობლემოდ უშვებდნენ. იმას აღარ უყურებდნენ, რა შემოჰქონდა. ისე, მესაზღვრის ფუნქციებში არც შედის ჩანთების შემოწმება. ეს მებაჟეს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ მებაჟეები იქ არ იდგნენ და ამიტომაც იყო ასეთი ქაოსი.

— *მესაზღვრეების გამოქცევის შემდეგ საზღვარი რამდენ ხანს იყო მიტოვებული და დაუცველი?*

— დაახლოებით ათი დღე საზღვარი დაუცველი იყო და კაციშვილმა არ იცის, ვინ გადადიოდა და ვინ გადმოდიოდა. სრული განუკითხაობა სუფევდა.

## „ფიქვნზე იმიტომ გაამახვილეს ყურადღება, რომ 22 დეკემბრის ფაქტი მიეჩუმათებინათ“




**შატილის ამბებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ შატილელ „მწიგნობარ კაცებს“, ბატონებს — ალექსი ჭინჭარაულს და კობა არაბულს, რომლებმაც თავის დროზე ამ ინციდენტის გამო თბილისში განგაშის ზარები შემოჰკრეს და ფარხმლის დაყრას არც ახლა აპირებენ.**

**კობა არაბული**, მწერალი: — ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ამბობენ, ამ ერთი კილომეტრის გამო აჟიოტაჟის ატეხა არ ღირდაო. ერთი მითხარით, რა მნიშვნელობა აქვს, ერთი კილომეტრი იქნება თუ — ორი. რაც არის, ჩვენი წინაპრების მიერ დიდი ბრძოლის შედეგად არის დაცული და შენარჩუნებული.

— *ჩეჩნებს ოდესმე მოუთხოვიათ ეს მონაკვეთი?*



— აი, სწორედ ეს არის საქმე, რომ ჩეჩნებს ამ ტერიტორიაზე პრეტენზია არ გასჩენიათ... ისტორიას არ ახსოვს ასეთი შემთხვევა. ახლა კი... კაცმა არ იცის, რა უდევს გულში ჩვენს ხელისუფლებას. აბსოლუტურად დამალულ-დაფარულია მათი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ასე საგულდაგულოდ იმიტომაც ნიღბავენ, რომ შემდგომ უფრო კარგად მიაფუჩეჩონ. საზღვრის არც ერთ მონაკვეთზე არ გვაქვს მოწესრიგებული სიტუაცია. არსად ვდგავართ ჩვენს ადგილზე — ყველგან უკან ვიხევთ. ჩვენი ქვეყანა შაგრენის ტყავივით პატარავდება და ჩვენ განგაშს არ ვტეხთ, პროტესტს არ გამოვთქვამთ. იმას კი არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც ზარბაზანი და რაკეტა ვისროლოთ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საპროტესტო ნოტა ხომ მაინც უნდა გაგვეგზავნა?

— *არიან კი საერთოდ ჩვენი მესაზღვრეები საბრძოლო მზადყოფნაში?*

— აი, ეგეც საკითხავია! შატილში ყოფნისას ვნახე, 30 ჯარისკაცს 7 თუ 8 ავტომატი ჰქონდა. რა იარაღზეა ლაპარაკი. არბალეტი და შურდულიც კი არა აქვთ, რომ ვიღაცა შეაშინონ. რითი გინდა, რომ საზღვარი დაიცვა? არადა თუ ვინმე ამ ყველაფერზე ხმას ამოიღებს, მაშინვე პროვოკატორობას, დემაგოგობას და პოპულისტობას დასწამებენ. „პატარა შატილის“, „პატარა წითელი ხიდის“, „პატარა დარიალის“ გულისთვის ამხელა აურზაურის ატეხა არ შეიძლებოდაო, წარმოგიდგენიათ? დიდი სამაჩაბლო და აფხაზეთიც ახლა უკვე „პატარა“ გახდა. ჩვენი რაღა არის, ერთი გამაგებინეთ! 10 ათასი ჯარისკაციც აღარ გვყავს დღეს საქართველოში, სამაგიეროდ, 80 ათასი პოლიციელი გვყავს. კი, მაგრამ რას ვიცავთ ამ 80 ათასი პოლიციელით? ტერიტორიები ჩვენ აღარ გვაქვს და გამოდის, რომ ვიცავთ ბიუროკრატულ სავარძლებს და მეტს არაფერს.

**ალექსი ჭინჭარაული**, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე: — აკლდამებთან ჩემმა რძალმა (ძმის ცოლმა) საკუთარი თვალით დაინახა, როგორ გამორბოდნენ მესაზღვრეები შატილისკენ. ამ დროს ჩემი ძმისშვილი საზღვარზე იდგა. ჩემს რძალს დაბომბვის ხმა რომ გაუგონია, მაშინვე გაქცეულა ამბის გასაგებად. ჩემს რძალს ყური მოუკრავს, როგორ ეძახდა თურმე ერთ-ერთი ოფიცერი მესაზღვრეებს — ავტომატი დამრჩა და წამომიღეთო. როცა უფროსი გარბის, ჯარისკაციც გაიქცევა, აბა, რას იზამს? არადა ეს ხალხი იმ ტერიტორიაზე კი არ იდგა, რომელსაც ახლა სადავოდ მიიჩნევენ, არამედ კარავი, რომელშიც ადგილობრივი მესაზღვრეები იმყოფებოდნენ, შატილის მხარეს, სწორედაც ჩვენს ტერიტორიაზე იდგა. ახლა ყველა მაღალჩინოსანი ცდილობს გააუბრალოოს ყოველივე, თითქოს იქ არაფერი მომხდარა, თითქოს არანაირი სტრატეგიული მნიშვნელობა ფიქვნს არა აქვს. ათი დღე ასე იყო საზღვარი მიტოვებული. რუსებმაც რომ ნახეს, საზღვარს პატრონი არ გამოუჩნდა, თავად დაეპატრონნენ. იმ ადგილიდან ხელისგულივით მოჩანდა ხევსურეთი, არდოტისა და შატილის ხეობა. რუსებიც ადგნენ და ეს სტრატეგიული ადგილი (ფიქვნი) თვითონ დაიკავეს.

— *რატომღაც ფიქვნზე შემდგომ უფრო მეტად გამახვილდა ყურადღება, ვიდრე 22 დეკემბრის ფაქტზე. რატომ, ფიქვნის ინციდენტი უფრო მნიშვნელოვანი იყო?*

— ფიქვნზე იმიტომ გაამახვილეს ყურადღება, რომ ნაღდი აგრესიის (22 დეკემბრის) ფაქტი მიაჩუმათონ. ვერაფერი უთხრეს რუსებს. ვერც ნოტა გაუგზავნეს, ვერც პროტესტი განაცხადეს.

— *რატომ, შეეშინდათ?*

— აბა სხვა რა არის? როცა გესვრიან და იმასაც კი ვერ ეუბნები, რა გინდა, რატომ მესროლეო, შიშია, აბა რა არის? რა ვიცი, იქნებ ხათრი იყო, სიყვარული ან ძმაბიჭური დათმობა? მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი კობა ბუჩუკური ამბობს, — ჩვენსა და რუს მესაზღვრეებს სამაგალითო, მეგობრული და კოლეგიალური ურთიერთობა აქვთო. კი მაგრამ, რომელ კოლეგიალობაზეა საუბარი, როდესაც ჩვენი მესაზღვრეები გააქციეს, თავად დაიკავეს პოზიციები და ადგილობრივ მცხოვრებლებს იქით დარჩენილი ნივთების წამოსაღებადაც აღარ უშვებენ? ამასაც რომ თავი დავანებოთ, რა განცხადებებს აკეთებენ — ჩვენ ვეცდებით, რომ ეგ მონაკვეთი დავიბრუნოთ და სამაგიეროდ ტერიტორია სხვაგან მივცეთ რუსებსო. ეს რას ნიშნავს? რა სამაგიეროს აძლევ? ე.ი. უკვე დათმე! რუსებმა იქ უკვე ბლინდაჟები გააკეთეს, სანგრებს თხრიან, ყველა იარაღი — ნაღმსატყორცნი თუ სხვა — შატილისკენ აქვთ დამიზნებული. ჩვენები აქედან ბინოკლით უყურებენ და ყველაფერ ამას აფიქსირებენ. საზღვრის გასწვრივ მთელი ტერიტორია ჩვენს მხარეს დანაღმულია.

— *გამოდის, რომ მათ ჩვენი მესაზღვრეებისა ეშინიათ?*

— ეშინიათო?! ჩვენი იქ არავისაც არ ეშინია — არც რუსებს და არც ჩეჩენ ბოევიკებს.

— *აბა ასე მონდომებით რატომ ნაღმავენ?*

— დანაღმეს, ეტყობა, ყოველი შემთხვევისათვის. მარტო მანდ კი არა, საზღვრის სხვა მონაკვეთებზეც მთელი ტერიტორია დანაღმულია. წითელ ხიდთან ერთი ჩვენებური ხევსური ბიჭი აფეთქდა. საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია დანაღმულია აზერბაიჯანის საზღვართანაც.

— *ე.ი. შატილის მონაკვეთზეც ჩვენი ტერიტორიაა დანაღმული?*

— დიახ, ჩვენი ტერიტორიაა. რუსებმა იციან, სად უნდა იარონ, ხოლო ქართველები ვერ გადადიან. ჩვენი ტერიტორიაა, მაგრამ ვერ გარისკავ, ძალიან დიდი შესაძლებლობაა, რომ ვინმე აფეთქდეს. ახლა ისიც საკითხავია, რომც წავიდნენ რუსები და დაუბრუნდნენ რეალურ პოზიციებს, ყველა ნაღმს გააუვნებლებენ? დარწმუნებული ვარ, ერთი-ორს მაინც დაგვიტოვებენ „საჩუქრად“. ჩემმა ძმიშვილმა მითხრა, რუსებმა გაგვაფრთხილეს, ჩვენკენ ერთი ტყვიაც რომ გამოვარდეს, ნაცარტუტად ვაქცევთ მთელ პირიქითა ხევსურეთსო.

(გაგრძელება იხ. გვ.6)


**სიახლე საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკისაგან**

**ევროკომისიის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით შექმნილი ბანკი შესაძლებლობას აძლევს სოფლის მეურნეობის, სურსათის წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებსა და კერძო მეწარმეებს ისარგებლონ უფასო საბანკო მომსახურებით. ეს შეღავათი გავრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც მიმდინარე წელს გახდება ბანკის კლიენტი.**

დაგვიკავშირდით
ჩვენი მისამართია:
თბილისი, ბუდაპეშტის 10
ტელეფონები: 25-08-20; 25-13-52

Tacis

# „რა უნდა დავიკიდოთ, სად?..“

ვინ თქვა ჩინ-მედლების დრო წავიდაო? არსადაც არ წასულა... პირიქით, ჩვენში მისმა სიყვარულმა უფრო მოიკიდა ფეხი და დემოკრატიულ საქართველოს მალე კანონის დონეზე ექნება გადაწყვეტილი, რამდენი სახის ჯილდო გაიცეს და რა დამსახურებისთვის. ზოგი იფიქრებს, რა დროს ჩინ-მედლებიაო?! ხელისუფლება ასე არ ფიქრობს. მართალია, პენსიები და ხელფასები შარშანდელი თოვლივით აღარ გვახსოვს, მაგრამ „მადლობას მაინც ვეტყვით ამ ხალხსო“ — გვაიმედებენ. ასე და ამრიგად, გასულ კვირას პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა კანონი სახელმწიფო ჯილდოების შესახებ და კინაღამ საკანონმდებლო-სალაღობო ორგანოდაც გადაიქცა. „ეს კანონი კი არა, ანეკდოტია“ — ასე შეაფასეს ოპოზიციურმა ძალებმა ნორმატიული აქტი. ეს შედარება ნაწილობრივ უმრავლესობამაც გაიზიარა. მხიარული შეძახილები დარბაზში ხშირად გაისმოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. სერიოზულ სვლებს კი, შიგადაშიგ, უკვე დაღვინებული დეპუტატები აკეთებდნენ. ახლა უფრო სერიოზულად იმაზე, თუ ვინ, რას და რატომ ფიქრობს ჯილდოების კანონის შესახებ. მათ აზრებში ბევრ კურიოზულს დაინახავთ, ბევრი თქვენთაგანი კი, განსაკუთრებით სსრკ ომისა და შრომის ვეტერანები, სერიოზულადაც დაფიქრდებიან.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი:** „ამდენი ორდენი და მედალი ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში არ შეიძლება გაიცეს — ეს ერთი. მეორეც — რა ვუყოთ იმ ხალხს, ვინც საბჭოთა კავშირის პერიოდში მიიღო ჯილდო. უნდა იამაყოს ამ ხალხმა თუ არა?! მესამეც — დაუშვებლად მიმაჩნია ამ კანონში სსრკ-ის დროინდელი კანონიდან ფრაზის გადმოტანა: უცხოეთის ქვეყანამ რომ ჩვენი მოქალაქე დააჯილდოოს, ამისთვის ხელისუფლების თანხმობაა საჭირო. ვინ უნდა გასცეს ეს თანხმობა, პრეზიდენტმა თუ პარლამენტმა? გამოდის, რომ საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა მისმა მოქალაქემ მადლობა და საჩუქარი საზღვარგარეთიდან. ეს რა უბედურებაა?!“

**გიგი წერეთელი:** „კანონში ზედმეტია იმის განმარტება, სიამაყით ატაროს ვეტერანმა ან გმირმა მედლები თუ არა. თუკი ადამიანს სურს ჯილდოების ტარება — სიამაყეც შორს არ არის“.

**ვახტანგ ხმალაძე:** „ვის უნდა მივცეთ ჯილდო ან რა ჯილდოზეა ლაპარაკი? ხალხი დამშეულია. სირცხვილია ამ თემაზე მსჯელობა. ჩუმად მაინც შეიკრიბოს რაღაც ჯგუფი და იმათ მოითათბირონ“.

**გიგი წერეთელი:** „რა არის სირცხვილი? პრეზიდენტმა განსახილველად შემოგვიტანა და აბა რა ვქნათ? მარტო პენსიებსა და ხელფასებზე ვილაპარაკოთ? ასეთ რეჟიმში ჩვენ ვერ ვიმუშავებთ“.

**ვახტანგ რჩეულიშვილი:** „გეთანხმებით, ბატონო გიგი. სირცხვილი არაფერი არ არის, მით უმეტეს, ჩინ-მედლებზე საუბარი. ხალხს ხელფასებს ვერ ვუხდით და ეს ჯილდოები მაინც დავურიგოთ, გაუხარდებათ. ისე, ჩემი პარტიის გამოცდილებას გაგაცნობთ: სოციალისტურმა პარტიამ შემოიღო ჯილდო „ლაგოდეხისათვის“. ადრე რომ იყო „ზა სტალინგრადა“ — ასე გვაქვს ახლა „ზა ლაგოდეხა“. ერთ-ერთი მედალი ჯგუშიას გადავეცით უკვე. სსრკ სოცილისტური შრომის გმირებს კი საქართველოს სოცილისტური პარტია მოწიწებასა და პატივისცემას უდასტურებს. ისე, ამ პროექტის განხილვა მართლა კურიოზულ ხასიათს იღებს. აქ იმაზე მიდის ლაპარაკი, რა უნდა დავიკიდოთ, სად?.. ხალხი ერთობა, რა“...

**გია ბარამიძე:** ისე, ვახტანგი მეც დამპირდა ერთ მედალს... ახლა სერიოზულად ვისაუბროთ. დარბაზში მხიარული განწყობა დამკვიდრდა, მაგრამ საფუძველს ვერ ვხედავ. მინდა, ზოგიერთი შენიშვნა გამოვთქვა: ძალიან პათეტიკური დასახელების ორდენები გვაქვს. მაინტერესებს, საიდან მოიტანეს ეს სახელწოდებები — იმედის ორდენი, მეწამული ორდენი, ოქროს საწმისი, სათნოების ორდენი. ვერ გამიგია, ყველაზე იმედიანი მიიღებს იმედის ორდენს, ყველაზე წამებული კი — მეწამულს? საკითხი სხვანაირად განვიხილოთ და ნუ ვიქილიკებთ. ხალხს სამუშაო და საცხოვრებელ პირობებს ვერ ვუქმნით და მადლობა მაინც ვუთხრათ წესიერად. უნდა შემოვიდეს წესიერი კანონი და არა ასეთი „ხალტურა“.

**ხმა პარტერიდან:** „თუ წამებულზე მიდგა საქმე, პრეზიდენტს ხუთი მილიონი ასეთი ორდენის დამზადება მოუწევს“.

**როლანდ გილიგაშვილი:** „როგორც საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ვაკეთებ განცხადებას: დადგენილია, რომ პრეზიდენტის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე პარლამენტმა უნდა იმსჯელოს. ამიტომაა ეს კანონიც აქ მოტანილი. ადრე, საკომიტეტო განხილვებისას, თევდორაძემ და მრეწველებმა პროექტი მოიწონეს, ახლა საჯაროდ გამოდიან და ამბობენ — არ ვარგაო. მიკვირს, ხალხი როგორ იტანს ჩვენს ასეთ მიდგომას ნორმატივებთან. უამრავი კანონი პარლამენტშია შემოტანილი, კომიტეტებში კი — დაკარგული. მკაცრად მოვითხოვ მიეცეს ნორმალური შეფასება — ვარგა თუ არ ვარგა. რას ჰგავს ეს?!

**კობა ამირხანაშვილი:** „აქ წერია, რომ მესამე ხარისხის ორდნის დამზადება ორმოცი ლარი ჯდება, მეორის — 26 ლარი. მე მგონია, თვალი არ მატყუებს. ფულის ინფლაცია გამიგია, მაგრამ ორდენებისა — არა.

**გიორგი თარგამაძე:** „ეს კანონი აბსოლუტურად უპრინციპო, გამოუკვეთელი და უსისტემოა. ამას ადასტურებს ყველა საპარლამენტო პარტია. ვერ გამიგია, ბატონო გიგი, ასე დაჟინებით რატომ გსურთ მისი დამტკიცება?..

***ხოლო, სანამ დეპუტატთა პირველხსენებული ნაწილი საკანონმდებლო-შემოქმედებით წვაში იყო, ჩვენ ერთი კითხვა გაგვიჩნდა: თუ კანონი სახელმწიფო ჯილდოების შესახებ ორი წელია მუშავდება და ჯერ მაინც პროექტის დონეზეა, რა კრიტერიუმებით შეირჩეოდა ამ პერიოდში როგორც მედლები და ორდენები, ისე, მათი მფლობელები. კომენტარი მიხეილ სააკაშვილს ვთხოვეთ: — ისე ბევრი ადამიანი საკმაოდ გაურკვეველ პირობებში იღებს ჯილდოებს. პრეზიდენტი კი, რასაც გადასცემენ, იმას აწერს ხელს. აბა, თვითონ ხომ არ დაადგენს სიას ან სათითაოდ ხომ არ შეისწავლის თითოეულ პერსონას? მე ხშირ შემთხვევაში ეს გაუმართლებლად მეჩვენება. რაღაც ნაწილი დაუმსახურებლად იღებს ალბათ ჯილდოებს, მაგრამ ეს ვერ წაშლის ღირსეულთა დამსახურებას.***

***ქეთი ბერეკაშვილი***

# თუ მეტროში მანქანაჩამორთმეული მთავრობის წევრი დაგემგზავრათ, აუღეთ ჟეტონი...



რაო, რაო ჩვენს მთავრობას ავტოპარკებს უნახევრებენო? რა ეშველებათ? ჩვენი პრობლემების მოგვარებისთვის გადაადგილების საშუალებებს თუ ჩამოართმევენ, ხომ დავიღუპეთ? რამდენი ოპერატიული საკითხის გადაწყვეტა უხდებათ თავგადაკლულ ხელისუფალთ და თუ ავტომანქანებს გაუყიდიან, მეტროთი ან „მარშრუტკით“ ხომ არ ივლიან? ეს უკვე მეტისმეტია! თუ ასე გაგრძელდა, მალე ალბათ აგარაკებსაც ჩამოართმევენ, შემდეგ იმუნიტეტსაც მოუხსნიან და რაღა დარჩებათ? არც არაფერი. ის, რაც ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველია ხელისუფლებაში მოსვლის მსურველთათვის, ერთი ხელის მოსმით ეკარგებათ. ასე რომ, თავს აღარავინ მოიკლავს დეპუტატობისა თუ მინისტრობისათვის და ჩვენ ვიღა მოგვხედავს და გვიპატრონებს? თუ ის უნამუსო კორუმპირებულებიც იპოვეს და დაიჭირეს, ხომ საერთოდ... არა, არა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. დროა ქუჩებში გამოვიდეთ და დავიცვათ ჩვენი მთავრობა, ჩვენგან მინიჭებული უფლებების ჩამორთმევისგან. ვერ წარმომიდგენია გავიარო მერიის, პარლამენტის, კანცელარიისა და სამინისტროების წინ და იქ მხოლოდ თითო-ოროლა „ფირმენი“ მანქანაღა დავინახო. ნეტა სად წავა ამდენი გაყიდული „შევროლეების“, „ჯიპების“ და „კიების“ ფულები? ამბობენ, თვითონ სამინისტროების და უწყებების თანამშრომელთა მატერიალურ სტიმულირებას მოხმარდებაო. ალბათ, იმათ გაუნაწილებენ, ვისაც ყველაზე ძალიან უჭირთ, თორემ ვისაც შეძლებული სიდედრები და ნათესავ-მეგობრები ჰყავთ, ისინი როგორ იკადრებენ ამ ფულის აღებას? კიდევ კარგი, ბიუჯეტში არ შეაქვთ, თორემ იქიდან იმუნიტეტგამომუშავებულ პენსიონერებს რომ გაუნაწილონ, ალბათ არ იქნება მართებული, რადგან ისინი ხომ უპენსიობას უკვე შეეგუენ.

მოკლედ, საცოდავი ჩვენი უტრანსპორტო მთავრობა!

არა, მათ მოადგილეებს, მერს და ვიცე-პრემიერს კი დაუტოვებენო, მაგრამ მარტო ეგენი ხომ არ აგვარებენ ჩვენს პრობლემებს? დანარჩენებს რა ეშველებათ? მე პირადად თუ მეტროთი რომელიმე მათგანი დამემგზავრა, აუცილებლად ჟეტონს ავუღებ ან ტროლეიბუსსა და „მარშრუტკაში“ მგზავრობის საფასურს გადავუხდი. აბა, ისე გული როგორ მომითმენს, ამხელა პრივილეგიადაკარგულს არ ვუთანაგრძნო და არ დავეხმარო.

**მიამიტი პროვინციელი**

**P.S. მორალი**: როგორც ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, მარტო ჩვენ კი არა, მთავრობასაც ისე გაუჭირდა, რომ იძულებული გახდა სახელმწიფო მანქანებით სარგებლობაზე უარი თქვას და მათი რეალიზაციიდან შემოსული თანხები საკუთარ თანამშრომლებს მოახმაროს. ჩვენ კი, ვისაც არც მანქანა გვყავს გასაყიდი და, მით უმეტეს, არც კორუფციასთან გვაქვს შეხება, როგორმე გავძლოთ იქამდე, სანამ ჩვენთვისაც რაიმეს იღონებენ და უკვე დავიწყებულ პენსია-ხელფასებს გვიწყალობებენ. იმისთვის, რომ ამ დროს მოვესწროთ და სიცოცხლის გახანგრძლივება თუ არა, შენარჩუნება მაინც შევძლოთ, საჭიროა შინაგანი ემოციურობის დათრგუნვა (ანუ გავუფრთხილდეთ საკუთარ ნერვებს) და თავს დატეხილი პრობლემების მიმართ ინდიფერენტული, ნიჰილისტური დამოკიდებულების გამომუშავება. ყოველივე ეს კი საშუალებას მოგვცემს ადვილად გავუმკლავდეთ თავსმოხვეულ მორალურ, სულიერ, მატერიალურ, ფსიქიკურ და ფიზიკურ ტერორს. უფრო კონკრეტულად კი, გთავაზობთ იუმორგაზავებულ რამდენიმე რჩევას და მიხვდებით, რომ ცხოვრების ავკარგიანობა მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. მაშ ასე: იმ შემთხვევაში, თუ ქუჩაში მიდიხართ და ჯიბეც ცარიელი გაქვთ, შეეცადეთ თვალი აარიდოთ თვალწარმტაც, მადის ალმძვრელ, ნერწყვის მომდენ ნაყინ-ჩისბურგერ-ჰამბურგერ გამოსახულ ფერად სარეკლამო აბრებს, რადგან ზედმეტი ნერწყვის ყლაპვა მავნებელია თქვენი კუჭისთვის.

ვინც უკვე გაბედეთ და მოწყალების თხოვნა თქვენთვის უცხო არ არის, შეეცადეთ პარლამენტისა და კანცელარიის შესასვლელებთან „იმუშაოთ“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენი მალალჩინოსნები ჟურნალისტებისა და ვიდეოკამერების წინ კეკლუცობენ. ასეთ დროს ისინი ზომაზე მეტად მოწყალენი ხდებიან ხოლმე.

შეეცადეთ, რაც შეიძლება იშვიათად შეხედოთ თქვენი ელექტრო მრიცხველების თავბრუდამხვევ ბზრიალს და მისი შემოწმება მთლიანად „ეიეს ბნელასის“ თანამშრომლებს მიანდოთ. ხოლო თუ ელექტროსადენის ჩაჭრას დაგიპირებენ, თავი მოიგიჟიანეთ და ჩაჭრილი სადენის პირში ჩადებით ანუ თვითმკვლელობით დაემუქრეთ. ეს მეთოდი უკვე აპრობირებულია წარმატებით და მერწმუნეთ, რომ ინკასატორი უკანმოუხედავად გაგეცლებათ. მოკლედ, ყველაფერი თქვენს არტისტულ ნიჭზეა დამოკიდებული.

გახსოვდეთ: პარლამენტის სხდომების ყურება მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის, რადგან ორსულ ქალებში იწვევს ნაადრევ მშობიარობას, ხოლო მამაკაცებში ნევროზებს და კენჭის გავლას. რაც შეეხება ე.წ. საპნის ოპერებს (ტელესერიალებს) წესით და კანონით სასურველია, რომ ისინი თქვენს გაღიზიანებას იწვევდნენ, მაგრამ თუ პირიქით ხდება, რა გაეწყობა, დატკბით მათი ცქერით ორჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

ყოველთვის უიმედოდ მოეკიდეთ ჩვენი მთავრობის ნებისმიერ გაფხაკუნებას, რაოდენ თვალისმომჭრელი და მიმზიდველიც არ უნდა იყოს მათ მიერ გადადგმული ესა თუ ის ნაბიჯი, რადგან თუნდაც ჩვენდა სასიკეთოდ მიმართული რაიმე მცდელობა, ხშირად უკუეფექტს იძლევა-ხოლმე. ხოლო თუ ყველაფერი „ჰეფი-ენდით“ დასრულდა და პირადად თქვენ ამით რაიმე შეღავათი იგრძენით, მხოლოდ მაშინღა გამოხატეთ სიხარული და აღტაცება.

მოკლედ, ყველაფერს შეხედეთ ზერელედ, შეინარჩუნეთ შინაგანი წონასწორობა და გახსოვდეთ, რომ თქვენი კუთვნილი პენსია-ხელფასები მიმდინარე წელს არც მოგეცემათ და არც დაგეკარგებათ, ამიტომ უაზროდ ნერვების წყვეტა ისევ და ისევ თქვენ დაგაზარალებთ!

***მამუკა ხუციშვილი***


**თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი და მასთან არსებული კოლეჯი**

**აცხადებს მიღებას (სექტორები — ქართული, რუსული; სწავლება — დღის და დაუსწრებელი).**

**1. იურიდიული ფაკულტეტი** — სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო სამართალი; ბიზნესის სამართალი. **2. ეკონომიკური** — საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ფინანსები და კრედიტი; საბანკო-საფინანსო საქმე; საგადასახადო-საბაჟო საქმე; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; წარმოების მენეჯერი; ტურიზმის მენეჯერი. **3. უცხო ენები** — მთარგმნელი რეფერენტის კვალიფიკაციით.

სტაჟირება უცხოეთში. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია. უნივერსიტეტი იძლევა სახელმწიფო დიპლომს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლინგაფონისა და კომპიუტერული ცენტრი სერტიფიკატის მინიჭებით. სტუდენტები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. კოლეჯის მოსწავლეები მიიღებენ ერთდროულად როგორც პროფესიულ, ისე საშუალო ზოგად განათლებას.

**მის: კოსტავას №70, IX კორპ, IV სართ, მ. „პოლიტექნიკური“. ტ: 36-60-59; 36-63-36; 33-53-92; 77-03-69**


# „ფიჭვნზე იმიტომ გაამახვილეს ყურადღება, რომ 22 დეკემბრის ფაქტი მიეჩუმათებინათ“

***(დასაწყისი იხ. გვ.5)***

*— ხევსურები ცოტა ფიცხი ხალხია და რაიმე ინციდენტს ხომ არ უნდა ველოდეთ საზღვრის იმ მონაკვეთზე?*

— შატილელებმა მითხრეს, — იმ დროს ვინმე რომ მომკვდარიყო, რამდენსაც მოვახერხებდით, იმდენს მოვკლავდითო. ამას ნამდვილად მოახერხებდნენ იმიტომ, რომ მათ რუსებზე კარგად იციან მისასვლელი გზები და ბილიკები, ეს არ გაუჭირდებოდათ. დღესაც რამე რომ მოხდეს რუსების მხრიდან, ხევსურები არ შეარჩენენ. სიფიცხე რა შუაშია? რაჭველებზე ცოტა ფიცხები კი ვართ, მაგრამ... სისხლში გვაქვს ის, რომ მტერს მტრულად უნდა მოვექცეთ, მოყვასს — მოყვრულად.

*— საზღვარზე მაშინ ადგილობრივი ხევსურებიც იდგნენ. მათაც მიატოვეს საზღვარი?*

— როგორც ვიცი, 22-ში არ მიუტოვებიათ. 23-ში კი იძულებულნი გახდნენ, ბრძანებას დამორჩილებოდნენ.

*— ერთ-ერთი კომპეტენტური პირის განცხადებით, სოფელ ფიჭვნთან საზღვრის სადავო მონაკვეთი სწორედაც რუსეთის კუთვნილებას წარმოადგენს. ხოლო რუკები, რომლებიც თითქოს ამ ტერიტორიის საქართველოს კუთვნილებას ადასტურებს, მოგონილია მხოლოდ იმისთვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ასე თუ ისე დააწყნარონ.*

— ნანახი მაქვს ის დოკუმენტი, რომელსაც რუსები ემყარებიან და რომელსაც რუსების გარდა, საუბედუროდ, ოთხი ქართველიც აწერს ხელს. ეს გახლავთ 1999 წლის რუსეთ-საქართველოს სადემილიტაციო კომისიის ექსპერტთა შეხვედრის ოქმი, რომელშიც ქართული მხარე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ეთანხმება საზღვრის იმგვარად გავლებას, როგორც აღნიშნულ დოკუმენტშია მითითებული. ამ ოქმის თანახმად, რუსები ახლა სწორედ ისე დგანან, როგორც უნდა იდგნენ. მგონი, ქართველებმა არც კი იცოდნენ, ხელს რაზე აწერდნენ. მათ უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მხოლოდ რუსული ვარიანტი არსებობს იმ ოქმისა, რომელსაც რუსები დღეს ცხვირწინ გვიფრიალებენ. მაშინ ქართული ვარიანტი არ შეუმუშავებიათ, თითქოს საქართველო სახელმწიფო არ ყოფილიყოს. მგონია, რომ ეს ოქმი 1960 წელს გენშტაბში შედგენილ რუკას ემყარება. დაუდეს ის ძველი დოკუმენტი ქართველებს, უთხრეს, საზღვარი აქ არისო და ამათაც ხელი მოაწერეს. ახლა, როცა რეზო ადამია აცხადებს, რომ არავითარ საზღვრის გადმოწევას ადგილი არ ჰქონია და ეს ტერიტორია იმთავითვე ჩეჩნებისა იყოო, ეს უკვე დამარცხებას ნიშნავს. შე კაი კაცო, წინასწარ რომ ამბობ, ჩვენი არასდროს ყოფილაო, რუსებს რაღა უნდა ვუთხრათ, რა ენაზე უნდა ველაპარაკოთ, რომ გავაგებინოთ? შატილში დავიბადე, გავიზარდე და იმ ადგილებში ვხნავდი და ვთესავდი, სადაც ახლა რუსები დგანან და ვიღაცა „ტამბოველი ვანია“ მიმტკიცებს, ეს მიწა ჩემია, შენი არ არისო.

სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკის განსაზღვრა ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში უმთავრეს ამოცანად ითვლება და ყველგან მოსაზღვრე ქვეყნის სავიზიტო ბარათად მოიაზრება. საქართველო, სამწუხაროდ, ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენს — სასაზღვრო პოლიტიკა ჩამოუყალიბებელია, საზღვრები — დაუკონკრეტებელი, სადავო ან ნეიტრალური; მესაზღვრეები ცეცხლის გახსნას ვერ ბედავენ მაშინაც კი, როცა მათზე აშკარა აგრესიას აქვს ადგილი... ამით გათამამებული მეზობლებიც ბოროტად იყენებენ ჩვენს სისუსტეს და როცა გაუხარდებათ, მაშინ გვბომბავენ. თუკი ფიჭვნი სადავო ტერიტორია იყო, 1999 წლის 22 დეკემბერს ხომ ნამდვილად ქართულ მიწაზე დაგვიბომბეს საგუშაგოები და ხომ სწორედ ქართული მიწიდან გამოიქცნენ ქართველი საზღვრის დამცველები. დღეს კი რატომღაც ფიჭვნზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე 22 დეკემბრის ფაქტზე. თუ საზღვრების დაცვა ასეთივე ტემპით (გაქცევებით) გავაგრძელეთ, აფხაზეთის, სამაჩაბლოს და დანარჩენი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე აღარც კი უნდა ვიოცნებოთ...

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# „შეეძლო 65 კილოიან დალაქიშვილს 150 კილოიანი სააკაშვილის გალახვა?“

შარშან, დეკემბერში, მიხეილ სააკაშვილზე განხორციელებული თავდასხმა თავიდანვე ეროვნულ-დემოკრატებს მიაწერეს, რადგან ედპ არაერთხელ იყო შემჩნეული პარტიის ლიდერის შეურაცხმყოფლების „გალამაზებაში“. ამ ინციდენტამდე სარიშვილის მიმართ სააკაშვილმა არცთუ უწყინარი გამოთქმა — „პოლიტიკური კახპა“ იხმარა. მეორე დღესვე მოქალაქეთა ლიდერის სახლთან უცნობი პირები დახვდნენ და ანგარიშსწორება მოუნდომეს. სააკაშვილი მაშინ საკუთარმა მოხერხებულობამ იხსნა — ჩახტა მანქანაში და თავს უშველა. საქმე ტერაქტის ბრალდებით აღიძრა.

რამდენიმე დღის წინ ედპ-სააკაშვილის დაპირისპირებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ მორიგ აჟიოტაჟს მხარეები ერთმანეთს აბრალებენ. სამართალდამცავების გააქტიურებას ედპ რუსული კომპანია „იტერასა“ და სააკაშვილის კავშირის ახალი დეტალების „გამომზეურებით“ ხსნის, სააკაშვილი კი პროკურორების მოახლოებული გამოცდებით — დიდი რეფორმების წინ ოპონენტები ჩემს დისკრედიტაციას ცდილობენო.

მხარეებმა ურთიერთბრალდებები ამ ბოლო დროს ახალი პუნქტებით გაამდიდრეს.

— **ბატონო მიხეილ, ედპ-მ თქვენი ოჯახი რეფორმების ხარჯზე ფულის კეთებაში დაადანაშაულა.**

— ეს არის ხელმოცარული პოლიტიკოსების მცდელობა, რომ გამიტოლდნენ. საკმარისია დავიწყო საუბარი რეფორმებზე, კორუფციასთან ბრძოლაზე ან რომელიმე ძლიერი კლანის ინტერესებს დავუპირისპირდე, რომ ჭაობიდან თავკომბალები წამოყოფენ თავს და ჩემს წინააღმდეგ ბრძოლას იწყებენ. 7 თვის მანძილზე ამ საქმით (თავდასხმის ფაქტით, — ი.რ.) არ დავინტერესებულვარ, და სწორედ ახლა, როცა იწყება საკომიტეტო მოსმენები და ახლოვდება პროკურატურის რეფორმა (მომავალ კვირას უნდა მივიღოთ პროკურატურის კანონი), ეს საკითხი ისევ წამოიჭრა. ეს ძალიან ჰგავს ორგანიზებულ კამპანიას. და მეორეც — ეს არის ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების სტილი, დაგვარტყან იმ კუთხიდან, რასაც ყველაზე მეტად ვებრძვით. იყო ლოზუნგი — „საქართველო კორუფციის გარეშე“ და მაშინვე **მეორე კი პროკურორების მოსამზადებელ კურსებს ხელმძღვანელობსო.**

— არც ტესტებთან და არც ნამუშევრების გასწორებასთან გვესაქმება რაიმე მე და იუსტიციის საბჭოს, ჩვენ მხოლოდ ორგანიზაციულად უზრუნველვყოფთ გამოცდებს. იმ კურსებზე, რომელსაც ჩემი ძმა დათო სააკაშვილი ხელმძღვანელობს (ის მამით არის ჩემი ძმა) მოდიან დიდი ხნის წინ გამოცდაგავლილი მოსამართლეები კვალიფიკაციის ასამაღლებლად. როცა ჩემი ძმა ამ საქმეს ჰკიდებდა ხელს, წინააღმდეგი ვიყავი, ვიცოდი, ვილაც ბინძური იდიოტი ამ ამბავსაც გამოიყენებდა. მაგრამ ჩემი ძმა იურისტია და ვერ ავუკრძალავ ამ სფეროში მოღვაწეობას. კურსები — „სამოსამართლო სწავლების ცენტრი“ — არანაირ კავშირში არ არის საბურთალოს პროკურატურასთან, უბრალოდ, ჩემს ძმას იმავე შენობაში აქვს იჯარით აღებული ფართი. ჩემზე თავდასხმის ფაქტს კი იმიტომ იძიებს საბურთალოს პროკურატურა, რომ ინციდენტი ამ რაიონში მოხდა. საჩივარი მე არსად შემიტანია.

— **აბა, როგორ დაიწყო საქმის ძიება?**

— როცა ჩემზე თავდასხმის ამბავი გახმაურდა, ჩემთან მოვიდნენ პროკურატურიდან, შეადგინეს ოქმი და ჩამომართვეს ჩვენება. ჩემმა მეუღლემ კი ამოიცნო მანქანის ნომერი. აღმოჩნდა, რომ იგი ედპ-ის წევრს, გია დალაქიშვილს ეკუთვნოდა. პროკურატურის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მივედი ამოცნობაზე, იმიტომ, რომ არავის დავედანაშაულებინე პროკურატურისა და კანონის აბუჩად აგდებაში. დალაქიშვილი 4 ადამიანში ამოვიცანი.


გია დალაქიშვილი

— **თავდამსხმელები ფიზიკურად შეგეხნენ?**

— დიახ, იყო მცდელობა ძალიან სერიოზული ზიანის მოყენებისა. როცა 3 მანქანით მოდიან და იარაღით გესხმიან თავს, ეს კეთილი განზრახვით არ ხდება.

— **ედპ ამბობს, რომ თქვენ რეალური მოწმეც არ გყავთ.**

— ჩემი მძღოლი და მეუღლე ადასტურებენ ამ თავდასხმის ფაქტს. თანაც თავდასხმას 50 კაცის თვალწინ არავინ აწყობს. ხომ შეიძლებოდა მარტო გამოვეჭირე ვინმეს სადარბაზოში და იქ ესროლა? არ ვიცი, ამ ხალხს რა მოტივები ჰქონდა.

ისინი აკეთებენ მარტივ გათვლას, როცა ჩემი სახელი 30-ჯერ მაინც ითქვა გაზთან დაკავშირებით, უნდათ, ხალხს აფიქრებინონ, რომ მართლაც დაინტერესებული ვარ ამ თემით. თუ ადამიანი დაუპირისპირდება არა მარტო ცალკეულ მინისტრს, არამედ კონკრეტულ ინტერესებს და ფინანსურ კლანებს, ის სუფთა უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, მას წინ დაუდებენ ამ მასალებს. ხალხს, რომელსაც ვუპირისპირდები, ამ საქმის დოკუმენტების მოპოვებაც ბევრად უფრო ადვილად შეუძლია, ვიდრე ედპ-ს. რადგან ვერ დაიდო იმის საბუთი, რომ რომელიმე კლანის ინტერესებს ვემსახურები, რჩება ერთი გზა — ტყუილის ლაპარაკი.

— **თქვენ პირიქით უყენებდით ბრალს ედპ-ს, რომ ენერგეტიკის სისტემაში მას ჰქონდა რაღაც ინტერესები.**

— ერთადერთი, ვინც გაზის საკითხით ჩემს დაინტერესებაზე ლაპარაკობდა, იყო ყოფილი მინისტრი თემურ გიორგაძე და როცა მოხსნეს, განაცხადა, წარმოვადგენ დოკუმენტებს, რომ სააკაშვილს თვითონ უნდა გაზის სისტემის ხელში ჩაგდებაო. მაგრამ გიორგაძე ამის შემდეგ არავის უნახავს. დარწმუნებული ვარ, ცუდად არ იქნება, მისი მინისტრობის დროს საკმაოდ კარგი ფული გაკეთდა ენერგეტიკულ ოპერაციებში.

— **მაგრამ რა შეხება აქვს ყოველივე ამასთან ედპ-ს?**

— გიორგაძისა და ედპ-ის ბრალდებები სინქრონულად დაემთხვა ერთმანეთს. პარლამენტში გვქონდა მათი ძველი კავშირების თაობაზე მასალები, მაგრამ ახლა არ მინდა ამის მუსირება. ისინი ამ თემის წამოწევას საკუთარი თავის აქტუალიზაციას, წარმოჩენას უკავშირებენ. მამუკა გიორგაძეს, იმისთვის, რომ მასზე ილაპარაკონ, შეუძლია შეეკრას პატიაშვილს და მარგიანს. იმიტომ, რომ ეს თავისთავად საინტერესო თაიგულია და რამდენიმე თვით აალაპარაკებს ხალხს. სხვას შეუძლია თქვას, — სააკაშვილი, რომელიც კორუფციას ებრძვის, თავად არის კორუმპირებულიო და ამით გამოიწვევს ინტერესს.

იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც პროკურატურა წაუყენებს ბრალს, არანაირი ინტერესი არ მაქვს. მე პირველი ვიქნები, ვინც მივა და მოითხოვს დალაქიშვილის გაშვებას. იმიტომ, რომ ის მარტო არ მოქმედებდა და მეორეც — ისინი არ წარმოადგენენ რაიმე ძალას, მათი მატარებელი უკვე წავიდა...

ედპ არანაკლებ „კორექტულია“ თავისი პოლიტიკური ოპონენტის მიმართ. გია დალაქიშვილი განცვიფრებისაგან მხრებს იჩეჩავს: „ასე მოურიდებლად, სახისა და მანქანის ნომრების შეუნიღბავად რატომ დავხვდებოდი სახლთან სააკაშვილს? თუ ფიქრობს, რომ მე ეს პარტიის დავალებით გავაკეთე, ჩემი წონითი კატეგორიისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რატომ მაინცდამაინც მე გამომიყენებდნენ ამ „დავალების“ შესასრულებლად?“.

— **თუ უდანაშაულო იყავით, რატომ იმალებოდით?**

— გაიხსენეთ სამართალდამცველების იმდროინდელი გამოსვლები. რა ეპითეტები არ გამოიყენეს ჩემი მისამართით — თითქოს ვარ ცნობილი ტერორისტი და არაერთხელ ვიყავი შემჩნეული მსგავს დანაშაულში. ამის გამგონეს ფიზიკური ანგარიშსწორებისა შემეშინდა, მივხვდი, რომ სერიოზულ პროვოკაციაში ცდილობდნენ ჩემს ჩართვას და 3 დღით ქალაქიდან გავედი.

ჯონდი ბაღათურია — საკრებულოს ფრაქცია ედპ-ის თავმჯდომარე: „საქმეში არ დევს ექსპერტიზის დასკვნა, რომ სააკაშვილს სხეულის დაზიანება ჰქონდა. როგორ შეიძლება ფიზიკური შეხება სხეულის დაუზიანებლად? არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილს ჩვენი პარტიის რომელიმე წევრი დახვდა, მაგრამ ეს არ ყოფილა გია დალაქიშვილი. იმ დროს, როცა სააკაშვილს ურტყამდნენ, დალაქიშვილი შტაბში, სხდომაზე იყო. ამიტომ „კორუმპირებული ისტერიკის“ განცხადება საფუძველს მოკლებულია. როგორ შეეძლო 65 კილოიან, ხერხემალდეფორმირებულ დალაქიშვილს 150 კილოიანი სააკაშვილის გალახვა?

— **თუ დალაქიშვილი უდანაშაულო იყო, რატომ „გაუხერხეთ“ მას საჩქაროდ ცსკოს წევრობა?**

— არ დავმალავ, რომ ეს შეგნებულად გავაკეთეთ. ვშიშობდით, რომ მას უკანონოდ დააპატიმრებდნენ. ცსკოს წევრობა მისთვის იმუნიტეტია. საქმეში უკვე გენპროკურორი ჩაერევა. საბურთალოს პროკურატურაში ამოცნობის პროცესი კანონდარღვევით ჩატარდა. პროცედურას სააკაშვილის 2 თანაპარტიელი ესწრებოდა.

— **რამდენადაც ვიცი, ამ პროცედურას თქვენც დაესწარით, თქვენი მხრიდან არ იყო ეს კანონდარღვევა?**

— მე მას მერე მოვითხოვე ამოცნობაზე დასწრება, როცა შევიტყვე, რომ პროცედურას სააკაშვილის მეგობრები ესწრებოდნენ. დალაქიშვილმა ამოცნობაზე ადვოკატის დასწრება მოითხოვა. იმ მოტივით, რომ ის მოწმედ იკითხებოდა და არა, როგორც ეჭვმიტანილი. უარი უთხრეს. მოხდა მისი ამოცნობა და 10 წუთში ის დაიკითხა, როგორც ეჭვმიტანილი.

საბურთალოს პროკურორი გამოცდების მოახლოების გამო გააქტიურდა. მას „იტერას“ კი არა, გამოცდის ჩაბარების ინტერესი აქვს.

ედპ-ის დაჟინებულ მტკიცებას, რომ სააკაშვილმა ჩვენება ხუთჯერ შეცვალა, გამომძიებელი ნანა ქურდაძე არ ადასტურებს. მისი განმარტებით, საქმე აღძრულია 209-ე და 228-ე მუხლით, ხულიგნობა და თანამდებობის პირის მიმართ ჩადენილი ძალადობა. „საქმე ტერაქტის ბრალდებით დაიწყო და ამ მუხლებამდე ჩამოვიდა. ძიების დასრულებისას გაირკვევა საბოლოოდ, რომელ მუხლს წაუყენებენ ეჭვმიტანილს. საკმაოდ სერიოზულად ვმუშაობ ამ თემაზე. არც ისე იოლი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს“.

ეროვნული დემოკრატიული ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ივლიანე ხაინდრავა კი აცხადებს: „თუ გია დალაქიშვილმა სცემა მიშა სააკაშვილი, სააკაშვილის საქმე მთლად კარგად ვერ ყოფილა, ეს აბსოლუტურად სხვადასხვა წონითი კატეგორიებია. რაც შეეხება ხელმოცარულ პოლიტიკოსობას, სჯობს, მიშა სააკაშვილმა საკუთარ თავს მიხედოს, ერთკაციანი ფრაქციის თავმჯდომარე რომ არის“.


მიხეილ სააკაშვილი

— **„იტერასთან“ დაკავშირებით თქვენი გუნდის წევრის, „საქგაზის“ ყოფილი ხელმძღვანელის, ბეჟუაშვილის გვარი ფიგურირებდა. ამბობენ, ამ კომპანიის აქციების გარკვეული პროცენტი მას ეკუთვნისო. აქედან გამომდინარე, ბეჟუაშვილი დაინტერესებულია ამ საკითხით.**

— ეს მგლისა და ბეკეკას ამბავს ჰგავს, — ნათესავი ხომ მაინც იქნებოდა შენიო. თუ ბეჟუაშვილის ძმა კიევში სწავლის დროს ჩემი კურსელი იყო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე „საქგაზთან“ რაიმე მიმართებაში ვარ. მე ვეწინააღმდეგებოდი რუსების მიერ გაზის პრივატიზებას. ჩვენი ამერიკელი მრჩევლის, ენრიხის რეკომენდაციით გადაიდო „თბილგაზის“ პრივატიზაცია. ამ კომპანიის პრივატიზება სასურველია მოხდეს დასავლური კომპანიების მიერ. იმიტომ, რომ მომწოდებელიც და დისტრიბუტორიც არ შეიძლება ერთი და იგივე მხარე იყოს. თუ ჩვენ დღეს გაზს რუსეთიდან ვყიდულობთ, ის მაინც უნდა შეგვეძლოს, რომ მასთან ვივაჭროთ. თუ აქ რუსული კომპანია აიღებს გაზს, გადაულახავი დაბრკოლება შეგვექმნება. ამიტომ ვეწინააღმდეგები რუსების მიერ გაზის სისტემის დასაკუთრებას, მაგრამ ჩვენთან ხომ ასეა, იმის საწინააღმდეგოდ უნდა დაგადანაშაულონ რასაც აკეთებ. თითქოს მოჩვენებით ვეწინააღმდეგები რუსების მიერ „თბილგაზის“ პრივატიზებას, სინამდვილეში კი მათთან შეთანხმებით ვმოქმედებ. პროკურატურის ხელმძღვანელობას ვითომ სიტყვით ვუპირისპირდები, სინამდვილეში კი მათთან ვარ გარიგებული.

— **იმასაც ამბობენ, ერთი რეფორმატორი ძმა გამოცდებს იბარებს,** ალაპარაკდნენ გაზთან ჩემი კავშირის თაობაზე. მინდა გაუწყოთ, გაზთან ისეთივე კავშირი მაქვს, როგორიც კოსმოსურ აპარატებთან.

**იზო რუკაძე**

# „ერთხანობას შევარდნაძის სადღეგრძელოს აღარ ვსვამდი“

*ცნობილ ქართველ სტალინელს, ბატონ გრიშა ონიანს უფრო პოლიტიკური ამპლუით იცნობენ. კარგა ხანია, რაც საზოგადოება „სტალინელის“ ლიდერი პასიურ მდგომარეობაშია ამ ასპარეზზე, რასაც სუბიექტური მიზეზი გააჩნია. როგორც ბატონი გრიგოლი ბრძანებს, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის გაშლა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, როცა სახელმწიფო მოხელეობის დამამუხრუჭებელი სტატუსი ხელს აღარ შეუშლის.*



*მას მერე, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა შემოსავლების მინისტრს მწვავედ უსაყვედურა, საგადასახადო უწყებაში სერიოზულ საკადრო ცვლილებებს ელოდებიან და ეს პროცესი, გარკვეულწილად, დაიწყო კიდეც. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ ბატონ გრიშა ონიანის პოლიტიკურ სარბიელზე კვლავ აქტიურად გამოსვლის მოსურნეებს დიდი ხნის ლოდინი აღარ დაჭირდეთ. მაგრამ რა მოხდება სინამდვილეში, ჯერჯერობით, მხოლოდ ღმერთმა და შემოსავლების ახალგაზრდა მინისტრმა იციან. მანამდე კი, ჩვენ ბატონ გრიშას გავესაუბროთ.*

— **ბატონო გრიშა, უკვე დაიწყო საგადასახადო სისტემაში საკადრო ცვლილებების პროცესი. ხომ არ შეუწყობს ეს ხელს იმას, რომ მალე აქტიურ ოპოზიციონერ პოლიტიკოსად გიხილოთ?**

— მომხსნიან თუ არა, ამაზეა ლაპარაკი არა? სხვათა შორის, მაინცდამაინც დაჩაგრულად არ ვგრძნობ ამ სისტემაში თავს. თუ დაიწყება საუბარი რეფორმებსა და მასშტაბურ საკადრო ცვლილებებზე, შეიძლება ჩემი გვარიც მოხვდეს, ასე ვთქვათ, შავ სიაში, თორემ რაიმე ლაპარაკი პირადად ჩემზე, ჯერ არ არის.

— **ისე, თუ რამე იქნება, აპირებთ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას?**

— ძალიან სერიოზულ მოღვაწეობას ვაპირებ. ახლა დროც არ მრჩება ამისათვის და არც შემფერის, რომ სახელმწიფო მოხელემ ხელისუფლება ვაკრიტიკო. მთელი ეს ამბავი იმისთვის სჭირდებათ, რომ როგორმე გადააგორონ საზოგადოების ყურადღება ერთი საკითხიდან მეორეზე, სატყუარად შეუგდონ ხალხს. ამასობაში წლებიც გავა, შეცვლით არაფერი შეიცვლება, სამაგიეროდ, ვიღაცა ცხოვრებას მოიწყობს.

— **არ გჯერათ რეფორმის?**

— ეს არის ფსევდორეფორმა. რომელ რეფორმაზე შეიძლება იყოს საუბარი ისეთ ვითარებაში, როდესაც გაბატონებულია კანონისადმი უპატივცემულობა, არაპროფესიონალიზმი, დაკნინებულია სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, ანგარიში არ ეწევა ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ნამდვილი რეფორმის გასატარებლად შესაბამისი ნიადაგის მომზადებაა საჭირო. მაგრამ ვატყობ, ამაზე უფრო მეტად სხვა რამე აინტერესებთ... ჩვენ არა მარტო ფინანსურად და ეკონომიკურად გვანგრევენ, არამედ ჩვენი თვითმყოფადობის გაქრობაც სურთ, სული უნდათ ამოგვართვან და ამერიკისა ჩაგვბერონ.

— **კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— იმათ, ვინც ოკეანის გაღმა ბრძანდებოდა ამერიკაში, იქ განათლდა, იქ ჩაუბერეს მათ ეს სული და მერე აქეთ გამოატანეს, რომ ახლა ჩვენც ჩაგვბერონ. არ მინდა, ბატონო, ეს ამერიკული სული, მე ჩემი ქვეყნის, ჩემი წინაპრების, ჩემი სარწმუნოების სული მინდა, არ მინდა ეს უზნეობა, ათასგვარი სექტა, უეროვნულობა და უგვარიშვილობა. მეც ხომ უნდა მკითხო არა? ყველაფერი რატომ უნდა იყოს სააკაშვილის და მისთანების ჭკუაზე და კარნახით? იმიტომ ვიბრძოდით თავისუფლებისთვის, რომ სააკაშვილი რასაც მიბრძანებს, ის გავაკეთო?

ვფიქრობ, ევრაზიის ამ შესაყარზე, სადაც საქართველოა, ამ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სივრცეზე, დასავლეთის ტრანსნაციონალურ გლობალისტურ წრეებს, რომელთა ხელშიც ნელნელა თავს იყრის მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის სადავეები და რომელთაც მსოფლიოს ახლებურად მოწყობის სათავისო გეგმები აქვთ (ამის მიღმა რა დგას, ეს კიდევ ცალკე თემაა), არანაირი სურვილი არ აქვთ, რომ აქ იყოს ეროვნულ სულისკვეთებაზე დაფუძნებული ქვეყანა, რომ მას თავისი ინტერესები და ეროვნული ღირსებები გააჩნდეს. ნელნელა გვაცლიან ყველაფერს, რითაც ჩვენ ჩვენს ინდივიდუალობას ვინარჩუნებთ. გვხდიან მსოფლიო მოქალაქეს, რომელსაც არაფერი თავისი არ გააჩნია და არც რაიმე პრეტენზიები ექნება. იქნება ერთ-ერთი უსახური და მორჩილი სუბიექტი ამ ახლებურ წესრიგში. აი, აქეთ უნდათ წაიყვანონ ყველაფერი.

ძლიერ ქვეყანას ყოველთვის შეუძლია თავისი ინტერესების დასაცავად ხმა აიმაღლოს, ქვეყნის ძლიერების სარკე კი მისი ბიუჯეტია. საგადასახადო და საბაჟო სამსახურებზე რომ ტყდება ყველაფერი, საგადასახადო სამსახურმა რა უნდა ამოიღოს, თუ ამოსაღები არაფერია? უნიფხვოს ნიფხავს ხდიდნენო, ისეა ჩვენი საქმე. ქვეყანაში რომ კრიზისი არ იყოს, ქვეყნის ეკონომიკა და მრეწველობა დანგრეული არ იყოს, პროდუქცია იქმნებოდეს და ფული ბრუნავდეს, მაშინ საგადასახადო სამსახურიც მშვენივრად შეასრულებდა თავის საქმეს და ბიუჯეტსაც ეშველებოდა.

მე მგონია, რომ ჩვენს ქვეყანაში სერიოზულად მუშაობენ სადივერსიო ჯგუფები, რომლებიც ქმნიან ისეთ კანონპროექტებს, ლობირებენ ისეთი პროექტების განხორციელებას, რომ სულ დაინგრეს ჩვენი ეკონომიკა და მრეწველობა. ეკონომიკის დანგრევას კი ყველაფრის დანგრევა მოჰყვება. როგორ შეიძლება ქვეყანაში, რომელსაც მრეწველობის ნატამალი არ გააჩნია, ბიუჯეტი არსებობდეს? ჩვენი რესურსების პატრონები შეიძლება მშიერი ვკვდებოდეთ და თურქეთიდან შემოტანილი ნაგვის გაყიდვის პროცენტზე იყოს ქვეყანა? როცა ანგრევ სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკას, ესე იგი მეცნიერულ დონეზეა ეს ჩამოყალიბებული. ასე დაანგრიეს საბჭოთა კავშირი. ალენ დალესის პროგრამაში პუნქტობრივად იყო ჩამოყალიბებული, თუ რის მერე რა უნდა გაკეთებულიყო. ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის კრახიც ასე მეცნიერულ დონეზეა დაპროგრამებული, რომელსაც შესანიშნავად უსრულებენ დამკვეთს შემსრულებლები. ეკონომიკური დივერსიის რეზიდენტები სხედან და აკეთებენ იმას, რასაც ავალებენ. სხვათა შორის, მარტო ეკონომიკაში არ გვყავს ასეთი რეზიდენტები. საქართველოში რამდენ არასამთავრობო ორგანიზაციას აფინანსებს უცხოეთი და მათ როგორადაც გამოიჩინეს თავი, მშვენივრად დაინახა ყველამ.

კიდევ კარგი, მთლად განწირულები არ ვყოფილვართ და პრეზიდენტმა გარკვეული რეაქცია გამოამჟღავნა უკვე, თორემ ეს ახალგაზრდები ისე არიან დაგეშილები, რომ მშობელს არ დაინდობენ.

— **პრეზიდენტის რეაქციაში რას გულისხმობთ, ბატონო გრიშა?**

— აი, ის დაპირისპირება, რომელმაც თავი იჩინა შევარდნაძესა და ე.წ. რეფორმატორთა გუნდს შორის. სხვათა შორის, ამ გუნდზე დიდ იმედებს ამყარებენ დასავლეთის გარკვეული წრეები.

ვფიქრობ, დასავლეთიც მალე დაუპირისპირდება შევარდნაძეს, მაგრამ როგორც არ უნდა დაუპირისპირდეს, შევარდნაძე ქართველობას მაინც ვერსად წაუვა. ის ქვეყანას ეროვნულობას არ დაუკარგავს.

— **მახსოვს, გულგატეხილი იყავით პრეზიდენტზე...**

— არა, არა, ახლა უკვე გამომიკეთდა გუნება. ჩემთვის შევარდნაძის რეიტინგი ნულზე დაბალი იყო. ყველაფერს გავუძლებთ, თუკი ისე აღარ წავა საქმე, როგორც მიდიოდა. შევარდნაძის ბოლოდროინდელი გამოკვეთილი მიმართულება იმედის მომცემია.

ერთხანობას შევარდნაძის სადღეგრძელოს აღარ ვსვამდი, მაგრამ ბოლო ორი კვირაა ვსვამ უკვე.

— **დარწმუნებული ხართ, რომ იმედი არ გაგიცრუვდებათ?**

— ღმერთმა ნუ ქნას. მე მარტო სურათებით არ ვიცნობ შევარდნაძეს.

*დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ბატონ გრიშას ოპტიმისტურ განწყობილებას ბევრი ალბათ ვერ გაიზიარებს და აქვთ კიდეც ამის საფუძველი. ხოლო აქვს თუ არა საფუძველი ბატონი გრიშას ოპტიმიზმს, ძალიან მალე უნდა გამოჩნდეს. როგორც იტყვიან, — აღდგომა და ხვალეო.*

**მამუკა გიორგაძე**

***თბილისში, ასათიანის ქუჩაზე საქვეყნოდ ცნობილი სახლი მდებარეობს. იგი ისევე ცნობილია თბილისელთათვის, როგორც ფილარმონია, ოპერა თუ ცენტრალური უნივერმაღი. მაგრამ იქ არც კულტურული ღონისძიებები იმართება და არც ალებ-მიცემობა. ეს ფსიქიატრიული საავადმყოფოა, სადაც ამ ცხოვრებით დაღლილ-დაქანცული, ნერვებდაწყვეტილი, სულიერად სნეული ხალხი ცხოვრობს და მკურნალობს.***

***საავადმყოფოს პაციენტთა დიაგნოზი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მათი ცხოვრება და ხასიათი. აქ ავადმყოფები, დაავადების მიხედვით, კატეგორიებად არიან დაყოფილნი და მსუბუქად დაავადებულთ ან განკურნების გზაზე დამდგართ, ეზოში გასვლის ნებასაც რთავენ. ეს მათი მორჩილი ხასიათის წყალობაა. ზოგიერთებს ასათიანის ქუჩაზე, კლინიკის შესასვლელთანაც შეხვდებით, მორცხვად ღერ სიგარეტს ან იქვე, ჯიხურში, „ბულკის“ ყიდვას გთხოვენ. თუ გაუჩერდი, მუსაიფსაც გაგიბამენ, აცრემლებული თვალებით თავიანთ უცნაურ, ხშირად დაუჯერებელ და ჭკვიანურ აზრებსაც გადმოგილაგებენ ამ ცხოვრების ავ-კარგზე და საუბარს აუცილებლად პირადი ტრაგედიითა და საკუთარი უთავბოლო ცხოვრების თხრობით დაასრულებენ.***

***ეველინა ერთ-ერთ ჯიხურთან გავიცანი. სხვებისგან განსხვავებით, მას არც სიგარეტი უთხოვია, არც „ბულკი“ და არც ფენოვანი ხაჭაპური. მაგრამ ინტერვიუზე უყოყმანოდ დამთანხმდა. როცა საუბარი დავიწყეთ, მოულოდნელად მკითხა:***

— შენც აქ წევხარ?

**— კი, მეც აქა ვარ (არ მინდოდა გამეწბილებინა და ვიცრუე).**

— ჰო, ეგრევე შეგატყვე. ეტყობა, ახალი ხარ, თორემ მეცოდინებოდა. იცი, აქ რამდენი ჟურნალისტი წევს? ადრე ერთი ჟურნალისტი შინ გაუშვეს. უძილობა სჭირდა და კაი ხანს იყო აქ. შორენა ერქვა. შენც უძილობა გჭირს?

**— კი, უძილობა... შენ რატომ მოგიყვანეს?**

— მე არავის მოვუყვანივარ, ჩემით მოვედი. ხმები მესმოდა, რაღაც უცნაური ხმები, ახლაც მესმის ხოლმე.

**— მაინც რა ხმები გესმის, როდის მოგესმა პირველად?**

— ადრე. სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი პედიატრიულზე. 1971 წელს ჩავაბარე, ავად გავხდი და ამიტომ ველარ დავამთავრე. ახლა 38 წლისა ვარ. ჩემი დეკანი, დამდევდა უკან და მეჩხუბებოდა, მემუქრებოდა. ერთხელ მითხრა, — რატომ დადიხარ ინსტიტუტშიო. დიპლომი მინდა-მეთქი, — ვუთხარი. იმან კი — დიპლომს კუბოში ჩაგატანო, — მითხრა. ვინერვიულე, ძალიან შემეშინდა. მას შემდეგ სულ ვიღაც დამდევს, მემუქრებიან და მელაპარაკებიან... ეს ამბავი 1975 წელს მოხდა.

**— რამდენი ხანია რაც აქ იმყოფები?**

— უჰ, ძალიან ბევრი წელია. არც მახსოვს. მე სოხუმელი ვარ, ტამიშიდან. სოხუმიდან რომ წამოვედით, მაშინ მომიყვანეს, ძალიან მალე.

**— ომი გახსოვს?**

— კი. ომის დროს სოხუმში ვიყავი. დამპლები, ყველა კრასნოდარსა და როსტოვში გარბოდა. ჩვენ კი მიგვატოვეს. ტამიშს ბომბავდნენ და მეც იქ ვიყავი. იცი, არ მეშინოდა, ბევრს კი ძალიან ეშინოდა, ძალიან ბევრი ახლობელი დავკარგე: დეიდაშვილი, ბიძა, ბიძაშვილი, რძლის ძმა. თუმცა ის თბილისში მანქანამ გაიტანა, მაგრამ ომი რომ არ ყოფილიყო, ხომ არც თბილისში ჩამოვიდოდა და არც მანქანა გაიტანდა? იცი, რა ბიჭებს ხოცავდნენ აფხაზები? ბევრი ქალი და ბავშვი მოკლეს. ველურები არიან.

**— ექიმები ქუჩაში რატომ გიშვებენ?**

— ვუყვარვარ და იმიტომ. ყველას კი არ უშვებენ. მიდი, აბა ექიმებს ჰკითხე, რა კარგი გოგო ვარ. ყველა გეტყვის, ეველინასნაირი გოგო აქ არ არისო. თუმცა, შენც ხომ ჩვენთან წევხარ, ნელა-ნელა ყველაფერს გაიგებ. ძალიან კარგი ექიმები არიან ცეზარ მედულაშვილი და არჩილ ბეგიაშვილი. განყოფილების გამგე როზა ჯღარკავა, ნატო ნანობაშვილი-კაპანაძე... ეს ყველა კეთილი ხალხია. ძალიან ბევრს მეფერებიან და არც მე ვაბრაზებ. რომ მეხვეწონ, არსად წავალ, რომ წავიდე, ექიმებს უფროსები წაეჩხუბებიან ჩემი გულისთვის და ამათ არ ვაწყენინებ. შენ მართლა გაზეთში უნდა დაწერო, რასაც ვყვები?

**— კი, უნდა დავწერო.**

— მაშინ ჩემი ექიმებიც დაასახელე, კარგი?

**— დავასახელებ.**

— ისე, რამდენი ხნით მოგიყვანეს? რა გითხრეს, მალე გაგიშვებთო?

**— მითხრეს, მალე გაგიშვებთო.**

— ჰო, აქ ყველას ეგრე ეუბნებიან. ისე, ვინც ვერ იძინებს, მათ მართლა მალე უშვებენ. აქ ისეთ წამლებს მოგცემენ, კარგად დაგეძინება. შეიძლება ორ კვირაში შინაც წახვიდე.

**— ცხოვრებაზე რას იტყვი? ძნელია ცხოვრება?**

— აქ, ჩვენთან, არ არის ძნელი. გარეთ უფრო ძნელია, უფრო რთული... აქ ყველა ერთმანეთს ეფერება. ისე, ზოგჯერ გოგოები ჩხუბობენ ხოლმე, მაგრამ იშვიათად. გარეთ კი სულ ჩხუბი და უბედურებაა. იმაზე უარესი ხდება, რაც აფხაზეთში. ბოროტი ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე კეთილი. არ მიყვარს ბოროტი ადამიანები, მეც კეთილი ვარ, ძალიან კეთილი.

**— ბევრი ფული რომ მოგცა, რას იზამ?**

— მე მქონდა ბევრი ფული. იცი, ტამიშში კაზინო მქონდა საკუთარი, დიდი, ლამაზი სახლიც და დამიწვეს. ახლა მართლა ბევრი ფული მინდა. შენც მოგცემდი, ყველას დავურიგებდი, ყველა გაჭირვებულს მივცემდი. პირველად კი აუცილებლად დიდ ეკლესიას ავაშენებდი აქვე, საავადმყოფოს ეზოში და ყოველდღე ვილოცებდი. ჩვენ გვყავს მამაო. მოდის ხოლმე, ლოცულობს, ტკბილად გველაპარაკება და ჭკუას გვარიგებს. სახელი არ მახსოვს, მაგრამ, ძალიან

# საქართველოს ხელისუფლებას ალტერნატივა გამოუჩნდა, იქნებ «რეალურიც»



კარგი მამაოა. ჩვენს მამაოსაც ახალ ეკლესიაში მოვაწყობდი სამუშაოდ, მერე ავტომატიან ბიჭებს მივცემდი ბევრ ფულს და არძინბას მოვაკვლევინებდი. მეჯავრება არძინბა, ბევრი ხალხი მოაკვლევინა. წავიდოდი აფხაზეთში და ყველას, ვისაც სახლი დაუწვეს და აუფეთქეს, ახალ, ლამაზ სახლებს ავუშენებდი, მანქანებსაც ვუყიდდი, ქორწილებს გადავუხდიდი და შვილებსაც მოვუნათლავდი. თამაზ ნადარეიშვილი კარგი კაცია, მას მივცემდი ამ ფულს და აფხაზეთში ერთად დავხარჯავდით. იცი, ჩემი ძმა დეპუტატია, ახლაც პარლამენტშია. ჩემს ძმასა და დასაც, — მივცემდი ბევრ ფულს, რადგან ორივე ძალიან მიყვარს.

**— საავადმყოფოში რითი ერთობით ხოლმე?**

— ადრე ტელევიზორი გვქონდა და გაგვიფუჭდა. ახლა კი რაღაცებს ვთამაშობთ. ხვალ გასწავლი ამ თამაშებს და ერთად ვითამაშოთ. იცი, რა კარგი გოგოები არიან ჩვენთან? ყველა შენსავით არის, არ ეძინებათ და აქ მოიყვანეს.

**— შენთან ვინ მოდის ხოლმე სანახავად?**

— ჩემი და-ძმა ხშირად მოდიან, საჭმელიც მოაქვთ. ექიმებს ფულსაც აძლევენ, რომ კარგად მომხედონ. გული მწყდება, რომ ჩემებთან არ ვცხოვრობ. მალე ჩემი ძმა წამიყვანს თავისთან. თვითონ ვაკეში, სტუდქალაქში ცხოვრობს. ისედაც ვიწროდ არის, მაგრამ ჩემი ადგილი მაინც ექნება.. თუმცა, ჯერ ვერ წამიყვანს. ისევ დამდევს ვიღაცა, დამდევს და ვიღაცას ეუბნება, — ეველინა დაიჭირეთო. შენ არ გელაპარაკებიან?

**— არა, მე ხომ უძილობა მჭირს.**

— ისე, თუ დაგელაპარაკნენ, ყურადღება არ მიაქციო. გეჩვენება, მართლა კი არ გელაპარაკებიან. ექიმებს ჰკითხე, ეგრე თუ არ არის.

**— მერე შენ რატომ გეშინია?**

— მე კი არ მეჩვენება, მართლა მემუქრებიან.

**— ტელევიზორი რომ გქონდათ, რა გადაცემებს უყურებდით?**

— ყველაფერს, რაც გადიოდა. ზოგჯერ გოგოებს ჩხუბიც მოგვდიოდა. მე ტელესერიალებისა და პარლამენტის სხდომების ყურება მიყვარდა. პარლამენტს ყველა უყურებდა. სხვა ყველაფერზე ვჩხუბობდით, პარლამენტის ყურება კი ყველას ერთნაირად უყვარდა.

**— მაინც რა მოგწონდათ პარლამენტის სხდომიდან?**

— რა არის, იცი? ზოგი ჩვენ გიჟებს გვეძახის, გიჟები თვითონ არიან. პარლამენტში ძალიან ბევრი ჩვენი ჭკუის ხალხია, რასაც მე ვფიქრობ, ისინიც იმასვე ფიქრობენ. კარგად ვერთობოდით.

**— რომელი დეპუტატების გამოსვლა გიყვარდა?**

— რა ვიცი, ძალიან ბევრნი არიან. ზოგი დეპუტატიც არ არის, მაგრამ დიდი კაცია და ჩემი ჭკუისაა. ზურაბ ჟვანია მიყვარს ძალიან. დიდი სიამოვნებით დავაწვენდი ჩვენთან, საინტერესო ლაპარაკი იცის და ბევრ რამეს მასწავლიდა. გიგი წერეთელი, თენგიზ კიტოვანი, შალვა ნათელაშვილი, ჯაბა იოსელიანი და ირაკლი წერეთელი მიყვარს კიდევ. ჯაბა ჩემი მეგობარია, სოხუმში გავიცანი, ჩემს სანახავადაც იყო რამდენჯერმე. საჩუქრებსაც მიგზავნიდა. ჯაბას წიგნებიც წამიკითხავს. როცა გიგი წერეთელი ჟვანიას მოადგილედ აირჩიეს, მეც მივეცი ხმა. აქედან არ გამიშვეს, პარლამენტში არ შეგიშვებენო. მეც წერილი დავწერე და გავგზავნე პარლამენტში — წერილობით მივეცი ხმა. ყველაზე ძალიან კი ირაკლი წერეთელი მეცოდება. ნიჭიერი და ჭკვიანი ბიჭია. მაიმუნები არიან, რომ პარლამენტში არ აირჩიეს. ჰოდა, გული რომ არ დასწყვეტოდა, ჩვენთან ჩავატარეთ საპარლამენტო არჩევნები და ირაკლი ჯერ დეპუტატად, მერე კი ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარედ ავირჩიეთ. მანდატები გავუგზავნეთ, შევავსეთ, ბეჭედიც დავარტყით და მისი სურათიღა იყო ჩასაკვრელი, ალბათ ჩააკრავდა. რა უნდა იმ სულელებში, ჩვენთან არ ურჩევნია? მოვუსმენთ, დავუჯერებთ და ნერვებს არ ავუშლით... მგონი, შენც არ უნდა იყო ცუდი ბიჭი. თუ გინდა, კიდევ ჩავატარებთ არჩევნებს




და შენც აგირჩევთ პარლამენტში. ლაპარაკი გეხერხება და სხვას არც ჩვენთან და არც საქართველოს პარლამენტში დეპუტატები არ აკეთებენ. მეც დეპუტატი ვარ და სიტყვითაც გამოვდივარ.

**— რაო, ირაკლი წერეთელს გაეხარდა თქვენი არჩევანი?**

— კი, გაეხარდა. თვითონ მოვიდა და მადლობა გვითხრა. ერთ სხდომასაც დაესწრო, პირველ სხდომას. საქართველოს ჰიმნიც დავუკარით. ექიმებიც იყვნენ. ახლა აღარ ვაწუხებთ წერეთელს, ისედაც ბევრი საქმე აქვს.

**— ეველინა, ვინ და რა გენატრება ხოლმე?**

— ბევრი რამ მენატრება. სოხუმი მენატრება ძალიან, ტამიში, ჩემი სკოლა ტამიშში. ფრიადოსანი ვიყავი. ჩემი კლასელები და სტუდენტობის მეგობრები მენატრება. ჩემი მეგობარი ლეილა მუშაობს აქ ექთანად, ჩემი კურსელი იყო ინსტიტუტში.

ჩემი შეყვარებული მენატრება, სახელი არ მახსოვს. თბილისელი, ძალიან კარგი ბიჭია, წერილებს ვწერთ ერთმანეთს და მალე ჩემს სანახავადაც მოვა.

**— წეღან საავადმყოფოდან ჩხუბის ხმა ისმოდა, რა აქვთ გოგოებს გასაყოფი?**

— რა ვიცი, ხშირად ჩხუბობენ, გიჟები არიან და იმიტომ. ყველაფერზე ჩხუბობენ. ახლა საჭმელზე ჩხუბობდნენ. ერთმანეთს არ უთმობენ, მეც არ მაჭმევენ — მეგრელი ხარო. ზოგს ეუბნებიან, შენ გურული ხარ, შენ კიდევ კახელიო და არ უნდათ საჭმელი მისცენ. აი, ამაზე ჩხუბობენ. რა, მეგრელი რომ ვარ, ჭამა არ მინდა. ზიზი კახელია და ყველაზე მეტს ჭამს. ჭამოს, რა ჩემი საქმეა.

**— რას გაჭმევენ აქ?**

— შენ რა, არ იცი, რასაც გვაჭმევენ?

**— არა, მე დღეს მომიყვანეს.**

— რას აღარ გვაჭმევენ... აი, შენც ნახავ. — ხორციც არის, კაკაოც, კომპოტიც... თევზსაც ვჭამთ ხოლმე. ყველაფერია აქ.

**— აქედან რომ გაგვიშვებენ, რას გააკეთებ?**

— რას? შინ წავალ, ჩემს ძმასთან. სოხუმში მალე დაბრუნდებიო, მატყუებენ. ვიცი, სანამ არძინბა ცოცხალია, აფხაზეთში არ შეგვიშვებენ. მალე მოკლავენ მაგ არაკაცს და მეც წავალ აფხაზეთში.

აუცილებლად გავაგრძელებ ინსტიტუტში სწავლას, ისევ მეოთხე კურსზე დამსვამენ. დიპლომს ავიღებ და სოხუმში დავიწყებ მუშაობას ბავშვების ექიმად. ყველას მოვარჩენ და ფულს არავის გამოვართმევ. ფული ხომ ისედაც მექნება, თან მოვარჩენ და თან ფულსაც ვაჩუქებ ბავშვებს. მერე მოვძებნი ჩემს შეყვარებულს. ძალიან მიყვარს და შვილებიც გვეყოლება. თბილისში არ ვიცხოვრებ, ქმარ-შვილს სოხუმში წავიყვან, ტამიშში ავიშენებ სახლს.

**— შენს აქაურ მეგობრებს არ ინახულებ?**

— ამათ? ვინახულებ კი არა, ამათაც თან წავიყვან. სოხუმში დიდ საავადმყოფოს ავუშენებ და ექიმებიც იქ წამოვლენ. ვისაც ექიმები შინ გაუშვებენ, იმათ ჩემთან, ტამიშში წავიყვან. შენც წაგიყვან იმ საავადმყოფოში. ფულს მოგცემ და იქ ერთი გაზეთი გამოუშვი, საკუთარი გაზეთი გექნება. მეტი რაღა გინდა? გაზეთს, იცი, რა დაარქვი? „სოხუმი“ ან „აფხაზეთი“. ისე „აფხაზეთი“ სჯობს. თუმცა ეგეთი გაზეთი კი გამოდის, მაგრამ მაინც, შენი ყველაზე უკეთესი იქნება. მილიონ დოლარს მოგცემ და გეყოფა.

**— შენ არ წერ ლექსებს?**

— კი, ბევრი ლექსი დავწერე. ერთს გეტყვი:

„აფხაზეთი დაიკარგა, აფხაზეთი, რერო,
დამავიწყდა ტამიშიც და აფხაზეთის გემო,
აფხაზეთში შეგვიძლევება ბურჭულაძე ნემო,
მალე გულში ჩეგეკვრები, აფხაზეთო, ჩემო!“

**— ნემო ბურჭულაძე რაღა შუაშია?**

— არა, ხომ კარგი ლექსია? დაბეჭდავ გაზეთში?

**— კი, დავბეჭდავ, მაგრამ ნემო ბურჭულაძე როგორ შეგიძლევებათ აფხაზეთში?**

— რაო, არ იცი, რომ ნემო ბურჭულაძე საქართველოს პრეზიდენტად ავირჩიეთ? ირაკლი წერეთელი ხომ პარლამენტის თავმჯდომარეა, ნემო ბურჭულაძე საქართველოს პრეზიდენტია. ხმა ყველამ ნემოს მივეცით. აი, მისი სურათიც მაქვს (ჯიბიდან გაზეთიდან ამოჭრილი ნემო ბურჭულაძის სურათი ამოიღო და მიჩვენებს, — **ლ.ჯ.**) ნემო ბურჭულაძეც იყო აქ, მადლობა გვითხრა. კიდევ მოვა. დაგვპირდა, აუცილებლად წაგიყვანთ აფხაზეთშიო. ნემოს ჯარი ჰყავს, დიდი ჯარი. თვითონ, ავტომატიანი ბიჭებით, წინ წავა და ჩვენ უკან მივყვებით. თამაზ ნადარეიშვილი და ლონდერ ცაავაც ჩვენთან იქნებიან, გერმანე ფაცაციაც და ბორის კაკუბავაც... აი, ეგრე შევალთ სოხუმში. იცი, გერმანე ფაცაცია როგორ მიყვარს? ნემო ბურჭულაძე ხომ პრეზიდენტია, მაგრამ გერმანეზე პატიოსანი კაცი არ არის საქართველოში, ლტოლვილებთან ერთად „ივერიაში“ ცხოვრობს. არადა უკვე 15 წელია, დეპუტატია. არ იპარავს არაფერს და იქით ეხმარება ლტოლვილებს.

**— სხვები იპარავენ?**

— კი, იპარავენ. აი, შალვა ნათელაშვილი სულ საფრანგეთში დადის, ესე იგი, იპარავს. რატომ მე ვერ დავდივარ საფრანგეთში? იცი, რა ღირს თვითმფრინავის ბილეთი? ათი ათასი დოლარი. ნიკო ლეკიშვილიც იპარავს, ისეთი ძვირფასი საათი უკეთია, საქართველოში სხვას არავის არა აქვს. აი, ქართლოს ღარიბაშვილი არ იპარავს. ძველი „მერსედესით“ დადის და ისიც აუფეთქეს. ღარიბაშვილი ჩვენი პარლამენტის წევრია. არც ბორის კაკუბავა იპარავს.

**— შენ საიდან იცი ეგ ამბები?**

— ვიცი, ადრე ტელევიზორით ვიგებდი და ახლა ექიმები გვიყვებიან, ან ერთმანეთში ლაპარაკობენ და ჩვენც გვესმის. მე ისიც ვიცი, კახა თარგამაძე ნიანგის მწვადებს რომ ჭამს. ზოგჯერ გაზეთებს გვჩუქნიან გაზეთის გამყიდველები და იქ ვკითხულობ.

**— ჩვენს ნამდვილ პრეზიდენტზე, ედუარდ შევარდნაძეზე რას იტყვი?**

— ეგ არ არის ჩვენი პრეზიდენტი, ნამდვილი პრეზიდენტი ნემო ბურჭულაძეა. ედუარდ შევარდნაძემ აფხაზეთი წააგო. აბა, ეგ როგორი პრეზიდენტია? ახლა მანქანებით დადის, თურმე ისეთი მანქანებია, ვერც ააფეთქებ. ეშინია და იმიტომ. მშიშარა პრეზიდენტი რა პრეზიდენტია? ნემოს არაფრისაც არ ეშინია. ახლა მოვრჩეთ ლაპარაკს, დავიღალე. მაინც აქა ხარ და საღამოს ვილაპარაკოთ, თუ გინდა ხვალ. მე სულ ამ სკამზე ვზივარ, ან გასასვლელთან, კარებთან ვიქნები. გაზეთში დაწერე, ეველინას ყველა უყვარხართ, ვინც არ იპარავთ და ვისაც აფხაზეთი გიყვართ-თქო. ყველას აფხაზეთში გეპატიჟებით.

***ლევან ჯავახიშვილი***

# პრეცედენტი — ძალოვნებმა საბედნიეროდ თავისივე პენსიონერები არ დაარბიეს

სამწუხაროდ, ქვეყანაში დღითი დღე მწვავდება სიტუაცია. უკვე დაწყებულია საკმაოდ კარგად შესამჩნევი უკუსვლისა და დაძაბულობის ზრდის პროცესი. ხალხსა და ხელისუფლებას შორის დაშორიშორება კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. ამის დასაბუთებად იქცა 12 ივნისს დედაქალაქის ცენტრალური, რუსთაველის გამზირის გადაკეტვა უშუალოდ პარლამენტის შენობის წინ.

თითქოსდა, ამდენი გაჭირვებული თუ გაწამებული ადამიანისგან არავის გაუკვირდებოდა მსგავსი საქციელი, მაგრამ გასულ ორშაბათს ასეთი საპროტესტო აქცია განახორციელეს მოქალაქეთა იმ კატეგორიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ცოტა ხნის წინ თავად ამყარებდნენ წესრიგს ქვეყანაში.



ყოფილი ძალოვნების — შსს-სა და შინაგანი ჯარების, აგრეთვე თავდაცვის სამინისტროს პენსიონერები განსაკუთრებულს არაფერს მოითხოვენ — მათ მხოლოდ კუთვნილი პენსიის მიღება სურთ.

პენსია მათთვის, ძირითადად, ერთადერთ საშემოსავლო და სასიცოცხლო წყაროდღაა დარჩენილი. სხვათა შორის, მათი პენსიები, სხვებთან შედარებით, საკმაოდ თვალში საცემია, დაახლოებით 60-180 ლარი. იმის გათვალისწინებით, ყოფილ ოფიცერს რა თანამდებობა ეკავა ბოლოს, რამდენი ჯილდო აქვს მიღებული, ასევე ნამსახურები წლების ჩათვლით, უფრო მაღალი პენსია ეკუთვნის.

სანამ ქვეყანაში ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი დაიწყებოდა, ყოფილი ძალოვნები პენსიების დაგვიანებით მიღებას არ უჩიოდნენ. მაშინ პენსიებს შესაბამისი ძალოვანი სტრუქტურები (თავდაცვის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები) მათთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან პირდაპირ შემნახველ ბანკებში გადარიცხავდნენ.

ამ კვირას ძალოვანი სტრუქტურების საპენსიო ფონდები, პრეზიდენტის ბრძანებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცემა. თუმცა როგორც ამ სამინისტროს ხელმძღვანელობა აცხადებს, ამ ოპერაციას ორი-სამი თვე მაინც დასჭირდება. ამიტომ ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერები მხოლოდ სექტემბერში მიიღებენ პენსიებს.

12 ივნისს, ყოფილი ძალოვანი პენსიონერების საპროტესტო აქციის დროს, ერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტი დაფიქსირდა, რომელმაც შეუძლებელია, ამდენი საპროტესტო გამოსვლებით ისედაც „დამფრთხალი“ ხელისუფლების ახალი შეშფოთება არ გამოიწვიოს — მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ძალოვნები თავის დროზე „საზეიმოდ“ დაჰპირდნენ რუსთაველის გადაკეტვის ყველა მსურველს, რომ აქციის დასაშლელად არც ძალის გამოყენებას მოერიდებოდნენ, პენსიონერების წინააღმდეგ „თემური და მისი რაზმი“ (ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმი და მისი მეთაური პოლკოვნიკი თემურ მღებრიშვილი) არ გამოუყვანიათ. თუმცა იმავე დღეს, იმავე რუსთაველზე ამ სპეცრაზმმა ლტოლვილების დასაშლელი თავისი „მთავარი“ ფუნქცია უნაკლოდ შეასრულა.

პრეცედენტი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ძალოვნები ვერ შეეხნენ იმ ხალხს, ვინც წლების მანძილზე მათი კოლეგები და უფრო მეტი — მასწავლებლები იყვნენ.

ფაქტობრივად, ბოლო წლებში ხელისუფლების ასე ნაცადმა „მეთოდმა“ „ფუჭი გასროლა მოახდინა“.

პენსიონერები კი ორიოდ საათში თავად დაიშალნენ, რადგან პარლამენტის თავმჯდომარე მასთან მიღებაზე მისულ საპროტესტო აქციის რამდენიმე წარგზავნილს მათი მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას შეჰპირდა.

ისე, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს — სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ხომ თავად დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე და „ძმანი მისნი“ ითხოვდნენ ამავე შენობიდან მაშინდელი ხელისუფლების გამობრძანებას და ხალხთან შეხვედრას. დღეს კი თავადვე აღარ კადრულობენ უბრალო ადამიანების გულისტკივილის გაგებას, ხოლო დაბურული და ისიც დიდი სისწრაფით მიმავალი ლიმუზინის ფანჯრებიდან ქვეყნის ცხოვრება „ცოტა“ სხვანაირად მოჩანს.

რაც შეეხება მოქმედ ძალოვნებს — მათაც, პენსიონერებისა არ იყოს, ბოლო სამ წელიწადში ერთი წლის ხელფასი არ აუღიათ და რაც ყველაზე მტკივნეულია, მისი მიღების არავითარი პერსპექტივაც არ ჩანს.

რა უნდა ქნან ოფიცერმა და ზემდეგმა (მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ძალოვან სტრუქტურებში მსახურობენ ისინი), თუკი უკვე არათუ ოჯახის შესანახი, არამედ სამსახურში მისასვლელი გზის ფულიც აღარ აქვთ? გსმენიათ რაიმე უხელფასო შვებულებაში გაშვებულ ჯარზე? თუ არა, მაშინ მალე მსოფლიოში ამაში ნამდვილად ვიქნებით პირველი.

მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს სამხედრო ძალებისა თუ სამართალდამცავი ორგანოების რიგებში მყოფ ყველა ჯარისკაცს, სერჟანტს, ზემდეგს, მიჩმანს, ოფიცერსა და გენერალს ეკრძალება როგორც რომელიმე პარტიაში გაერთიანება, ისე რაიმე საპროტესტო აქციებსა თუ მიტინგებში მონაწილეობის მიღება.

რას ნიშნავს უკმაყოფილო სამხედრო, რომლის ძირითად სამოქმედო ატრიბუტს, მასწავლებლისგან განსხვავებით, კალამი კი არა, ავტომატი წარმოადგენს, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ გამოსცადა, ამასთან, სულ ახლახან.

მეზობელ თურქეთში ბოლო ნახევარი საუკუნეა, სწორედ სამხედროები წარმოადგენენ იმ ძირითად, მძლავრ გარანტს, რომ ეს ქვეყანა, ირანისა ან ავღანეთის მსგავსად, ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა არ წალეკოს. ფაქტობრივად, თურქეთში სამხედროები ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ სახელისუფლო შტოს წარმოადგენენ. საქართველოს ამგვარი მომავალი ნამდვილად არ ემუქრება, რადგან ჩვენში პროგრესულად მოაზროვნე სამხედროთა კასტა ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ხოლო მაღალჩინოსან და მაღალი თანამდებობის მქონე ოფიცერთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, იმავე კორუფციაშია ჩაფლული, როგორც ხელისუფლების სხვა შტოების წარმომადგენლები. ამიტომაც რაიმეს შეცვლა — კერძოდ, ქართული არმიის რეალური რეფორმა და ნამდვილად ბრძოლისუნარიანი ჯარის ჩამოყალიბება მათ ინტერესში ნაკლებად შედის.

# „სატელეფონო ტერორისტებს“ ნამდვილი ტერორისტები ცვლიან

ორიოდე კვირის წინ ჩვენი გაზეთი წერდა — „გურამ თევზაძის მკვლელობა ერთადერთ რგოლად არ დარჩება იმ ჯაჭვში, რასაც ტერორიზმის ახალი ტალღის აგორება ჰქვია საქართველოში და, რომელსაც გარკვეულწილად, ის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა ქმნის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია გამეფებული“.

სწორედ ამ მოსაზრების დასტურად კინაღამ იქცა 12 ივნისს, თბილისის ცენტრში ახალი „ჯოჯოხეთის მანქანის“ აღმოჩენა.

სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროს“ ერთ-ერთ კუთხეში აღმოჩენილ იქნა თვითნაკეთი, საათისმექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დაახლოებით 2 კგ ტროტილს შეიცავდა.

სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ მათ ინფორმაცია მიაწოდა თვითმხილველმა, რომელმაც შემთხვევით დაინახა, თუ უცნობმა პირმა როგორ ჩადო „უცნაური“ მოწყობილობა კედელთან. აფეთქების ინიცირების მექანიზმი საღამოს 6 საათზე იყო დაყენებული და მისი განაღმვა მხოლოდ ერთი საათით ადრე მოესწრო.

გასაოცარია თვით ის ფაქტი, რომ არშემდგარი ტერორისტული აქტის „ავტორებმა“ ტროტილის ჩვეულებრივი ბრიკეტების ნაცვლად, სხვა გზას მიმართეს — გადაადნეს ტროტილის მყარი მასა და ხუთ, მცირე ზომის დახვრეტილ თევზის ქილაში ჩაასხეს.

თავად ეს ოპერაცია — ტროტილის თხევად მდგომარეობაში გადაყვანა და ჩამოსხმა, არცთუ ისე უხიფათო ოპერაციაა („კვირის პალიტრა“ „მომავალი ტერორისტებისთვის“ ამ ქიმიური პროცესის დაწვრილებით აღწერისაგან ამჯერად თავს შეიკავებს) და შეიძლება ხანძრითაც დასრულდეს (აფეთქება თითქმის გამორიცხულია). ამიტომაც თევზის ქილებში უკვე გათხევადებული ტროტილის ჩასხმა ამ საქმეში გამოუცდელ პიროვნებას არ შეეძლო.

თუმცა მაინც საკვირველია, რად დასჭირდათ ამდენი წვალება? ზოგიერთი სამართალდამცავი ამას ტროტილის ტრანსპორტირების გაადვილებით ხსნის. სხვათა შორის, საპნის ფორმის მქონე 200 გრ-იანი ტროტილის ბრიკეტის ტრანსპორტირებაც არ არის რთული და მისი შენიღბვაც უკეთ შეიძლება.

თევზის თითოეულ ქილაში დაახლოებით 400 გრ-მდე ტროტილი იყო ჩასხმული და გამყარებული. ერთმანეთზე გადაბმულ ხუთ ქილას კი ელექტროდეტონატორი ЭДП (სამრეწველო დანიშნულების ელექტროდეტონატორი) ეყენა. ჩინურ საათზე დაყენებული ელემენტი ექვსი საათის შესრულებისთანავე ელექტროიმპულსს მიაწოდებდა ЭДП-ს და ეს უკანასკნელიც ტროტილს ააფეთქებდა.

საინტერესოა თავად ის ადგილი, სადაც „ჯოჯოხეთის მანქანა“ იყო მოთავსებული. იგი „ეი-ეს-თელასის“ ელექტრომრიცხველის გვერდით, კუთხეში, ხის პანელის უკან ჩამალეს და ელექტროკაბელებს მიაბჯინეს. კედლის ერთი მხარე ქუჩაში გადის, მეორე კი სავაჭრო დარბაზში, რომელშიც „ოქროს ბირჟაა“ მოთავსებული.

სწორედ ეს „სახიფათო მეზობლობა“ ბუნებრივად შობს იმ ძირითად ვერსიებს, რითაც შეიძლება ხელმძღვანელობდნენ (ასეთ სახიფათო თამაშს ერთი კაცი, როგორც წესი, არ ეწევა) არშემდგარი ტერორისტები.

ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისთვის შეიძლება ბევრად უფრო მისაღები იყოს, რომ ტერაქტის მცდელობა ისევ უცხო, მტრულად განწყობილი ქვეყნის ინტერესებში შედიოდა. ჩვენი მთავრობის აზრით, ხომ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი გაჭირვება მხოლოდ უცხო ქვეყნების ბრალია.


ნაღმის აფეთქების შემთხვევაში, ამ ადგილზე ქვა ქვაზე არ დარჩებოდა..

უფრო რეალურია, რომ საქმე წმინდა კრიმინალთან გვქონდეს.

მარტო „ოქროს ბირჟის“ ამ დარბაზში არანაკლებ 300 დახლი დგას, საიდანაც ოქროსა და სხვა ძვირფასეულობის ათასობით ნაკეთობა იყიდება. აფეთქების შემთხვევაში, ტალღის ნაწილი აუცილებლად „შეიჭრებოდა“ დარბაზშიც, რასაც მსხვერპლიც მოჰყვებოდა და საშინელი პანიკაც ატყდებოდა, რომლის დროსაც გამყიდველებს თავიანთი ოქროსთვის ნამდვილად არ ეცლებოდათ. ამით კი ისარგებლებდნენ „სტარტზე“ მყოფი აფეთქების ორგანიზატორები. მაგრამ ამ ვერსიას ერთი მინუსიც აქვს — საღამოს 6 საათისთვის ბევრ გამყიდველს უკვე სეიფში აქვს ჩაბარებული თავისი ძვირფასეულობა და შინ მიდის. თუ ზემოთ გამოთქმული ვერსიით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ „ჯოჯოხეთის მანქანის“ მომართვა დილის 10-11 საათისთვის უფრო უპრიანი იყო, როდესაც „ოქროს ბირჟაზე“ თითქმის უკვე ყველა გამყიდველს აქვს დახლი გახსნილი და მყიდველიც შედარებით ცოტაა.

აქედან გამომდინარე, ძალაუნებურად იბადება კიდევ ერთი არანაკლებ ფანტასტიკური ვერსია — თბილისში რამდენიმე „ოქროს ბირჟაა“ და ბუნებრივია, რომ მათ შორის კონკურენციაც არსებობს. ტერორისტული აქტი კი „ბავშვთა სამყაროში“ არსებულ „ოქროს ბირჟას“ ძალზე დიდი ხნით გამოიყვანდა მწყობრიდან, ხოლო მსხვერპლით დაშინებული ხალხი შემდგომშიც გვერდს აუვლიდა ამ სახიფათო ადგილს.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავებმა უკვე შეადგინეს „ჯოჯოხეთის მანქანის“ ჩამდები მამაკაცის მიახლოებითი ფოტორობოტი, საეჭვოა, რომ იგი აღმოაჩინონ.

აქ შეუძლებელია, არ აღინიშნოს კიდევ ერთი ნიუანსი — ასაფეთქებელი მოწყობილობის ზედაპირიდან დაქტილოსკოპიური (თითის ანაბეჭდები) ასლი არავის აუღია. ამის გაკეთება მისი განაღმვისთანავე (საათისა და ელექტროდეტონატორის შემაერთებელი სადენების მოხსნის უმალ) იყო საჭირო. გამნაღმველის თითების ანაბეჭდები ავტომატურად გამოირიცხებოდა, დარჩენილი კვალი კი გამოძიებას ბევრ საინტერესოს უამბობდა.

თუმცა გურამ თევზაძის მანქანის აფეთქებისა არ იყოს, აქაც უამრავი სამართალდამცავი თუ სრულიად უცხო პირი ირეოდა, რომელთაგან თითოეული ორივე ხელით დიდი ინტერესით „ეცნობოდა“ უკვე განაღმულ „ჯოჯოხეთის მანქანას“. თევზაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტის ადგილი მართალია შემოფარგლული იყო, მაგრამ მანამდე აქ ათობით ადამიანის ფეხსაცმელმა აფეთქებული მანქანის სიახლოვეს ბევრი უწვრილესი სამხილი „გაანადგურა“.

დაახლოებით ერთი წლის წინ, როგორც გახსოვთ, თბილისი „სატელეფონო ტერორისტების“ ბუმმა მოიცვა; თუმცა მაშინ, საბედნიეროდ, ასაფეთქებელი მოწყობილობები არსად აღმოჩენილა.

ბოლო შემთხვევები კი ალბათ იმას ნიშნავს, რომ პროფესიონალი ქილერები და ტერორისტები წინასწარგაუფრთხილებლად „მუშაობენ“.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### კახელები საბრძოლველად ემზადებიან?

**თელავი.** გასულ კვირას საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მაღალჩინოსანი სამხედროების დიდი შეკრება გაიმართა. კახეთი თავდაცვის სამინისტროს მორიგ, გეგმურ ოპერატიულ შეკრებას მასპინძლობდა, რომლის პირობითი სახელწოდება იყო „სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთის დაფარვა“.

თითქოს სად საზღვარი და სად თავდაცვის სამინისტრო, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში მარტო მესაზღვრეებს რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის და დაღესტნის მონაკვეთის სრულფასოვანი დაცვა ძალზე გაუჭირდებათ. აქედან გამომდინარე, ქვეყნის სამხედრო ძალების სხვა სტრუქტურებმაც თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ამ რთულ საქმეში.



სხვა საქმეა, თუ როგორ სრულდება ეს რეალურად. სტატიის ავტორს, სამწუხაროდ, ძალიან ეეჭვება, რომ სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურის ურთიერთშეთანხმებული მოქმედება საჭირო დონეზე განხორციელდება ექსტრემალურ სიტუაციაში. ეს მარტო ამ უწყებებს შორის გარკვეული არაჯანსაღი პარტნიორობით (განსაკუთრებით მათ მაღალ ეშელონებში) არ არის გამოწვეული; ამას ემატება ავტოტრანსპორტის და, განსაკუთრებით, საწვავის კატასტროფული უკმარობა, რომელიც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის სამხედრო დანაყოფების საჭირო რაოდენობით დროულად გადასროლას, თუნდაც ჩეჩნეთის მიმართულებით საზღვრის დასაფარავად.

### ბუნდესვერმა უარი თქვა Ан-70-ზე

**გერმანია.** ამ ქვეყნის ხელისუფლებამ მოსკოვსა და კიევს, შეიძლება ითქვას, კინაღამ ინფარქტი დამართა, როდესაც ოფიციალურად განაცხადა — ბუნდესვერი არ შეიძენს უკრაინულ-რუსულ Ан-70-სო. მას გერმანელებმა დასავლეთევროპული A400M-ი არჩიეს.

საქმე ის არის, რომ საბრძოლო დანაყოფების მობილურობის ასამაღლებლად, ბუნდესვერმა თავისი სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის განახლება მოინდომა. ეს კი არანაკლებ 70-100 თვითმფრინავია. თუ რომელიმე ქვეყნის ავიასაკონსტრუქტორო ფირმა მიიღებდა ამხელა შეკვეთას, ეს ამ უკანასკნელის არნახულ გამდიდრებას მოასწავებდა. ამიტომაც ანტონოვის სახელობის უკრაინულმა საკონსტრუქტორო ბიურომ რუსეთის საავიაციო ქარხანასთან ერთად სცადა, მათი ერთობლივი ქმნილება — Ан-70 შეეთავაზებინა გერმანელებისთვის.



„კვირის პალიტრა“ Ан-70-ს ახლოს პირველად 1997 წელს გაეცნო საავიაციო გამოფენაზე МАКС-97. მისი ტურბოხრახნიანი ძრავები, ერთი შეხედვით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ კონსტრუქტორები წარსულს დაუბრუნდნენ და რეაქტიული ძრავები მიივიწყეს. სინამდვილეში, სწორედ ტურბოხრახნიანი ძრავები იძლევა საწვავის უზარმაზარ ეკონომიას და, შესაბამისად, ზრდის თვითმფრინავის ფრენის მანძილს, რაც სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავისთვის ერთ-ერთი მთავარი ნიუანსია. მას მაქსიმალური, 47 ტონა ტვირთის გადატანა შეუძლია, რაც წონით ერთი ტანკის — Т-90С-ის ტოლია.

ორიოდე წლის წინ, უკრაინის ცაში Ан-70-ს კატასტროფა შეემთხვა. ერთ-ერთი საცდელი ფრენის დროს, მას ჰაერში დაუშვებლად ახლოს მიუახლოვდა მეორე Ан-72 თვითმფრინავი, საიდანაც ვიდეოგადაღებას ახორციელებდნენ. ჰაერში შეტაკების შედეგად Ан-72 მართალია, უვნებლად დაეშვა აეროდრომზე, მაგრამ საგამოცდო Ан-70-მა მართვა დაკარგა და მიწას დაენარცხა. ამანაც გარკვეულწილად გაართულა Ан-70-ის შემდგომი ბედი.

თუმცა, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, გადამწყვეტი როლი ამ ტენდერში მაინც დიდმა პოლიტიკამ ითამაშა — NATO-ს ზეწოლით, ბუნდესვერმა მაინც დასავლეთევროპული თვითმფრინავი არჩია. იმასაც ამბობენ, რომ Ан-70 მთლიანად უკრაინული რომ ყოფილიყო, შეიძლება მისი ბედი სხვანაირად შემოტრიალებულიყოო. მოკლედ რომ ვთქვათ, NATO-ს რუსეთი ურთიერთობის მხოლოდ განსაზღვრულ დისტანციამდე ჰყავს მიშვებული.

# მცხეთასთან გაძარცული ჟუკოვის, მოღალატე ცოლებისა და ავჭალელი „ფანტომასების“ თავგადასავალი

1965-66 წლებში მცხეთის რაიონში, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედებდა 9 კაციანი შეიარაღებული ბანდა.

დამნაშავეთა მსხვერპლნი, როგორც წესი, ხდებოდნენ ჯვარზე მანქანებით ასული ახალგაზრდა წყვილები, რომლებიც გზის მახლობლად, ხშირ ბუჩქნარში დროის სატარებლად ჩერდებოდნენ. ბანდიტები მიჯნურებს მოულოდნელად ესხმოდნენ თავს, მანქანას უზიანებდნენ, ძარცვავდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ და დაზარალებულთა განცხადებით, ისე უჩინარდებოდნენ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

დრო გადიოდა, ბანდა გაუგონარი თავხედობით განაგრძობდა თავის საქმიანობას, მილიცია კი ამაოდ ცდილობდა დამნაშავეთა კვალზე დადგომას. სამართალდამცავებმა ერთხანს ასეთ ხერხსაც მიმართეს: იმ ადგილებში რამდენჯერმე თავისი მანქანა გაგზავნეს — წინ ორი მილიციელი ჯდებოდა, ქალი და მამაკაცი, რომლებიც შეყვარებულებს ასახიერებდნენ. უკანა სავარძელზე კიდევ ორი ოპერმუშაკი იყო ჩამალული. თავდასხმის შემთხვევაში ბრწყინვალედ შეიარაღებული და საგანგებოდ შერჩეული ოთხი ჩეკისტი ადვილად უნდა გამკლავებოდა რიცხობრივად ორჯერ მეტ მოწინააღმდეგეს, მაგრამ დამნაშავენი თითქოს გრძნობდნენ ეშმაკობას და შენიღბულ მილიციელებს სათოფეზეც არ ეკარებოდნენ.

ბრუნდებოდა ხელცარიელი ოპერჯგუფი ქალაქში და ჯვრის მონასტერთან კვლავ აყაჩაღებდნენ მოქალაქეებს...

ბანდიტები სახეზე აფარებული ნიღბებით მოქმედებდნენ და ამის გამო მათ „ფანტომასები“ შეარქვეს.

ვესაუბრებით, პოლიციის გადამდგარ ვიცე-პოლკოვნიკს, დავით (ბიჭიკო) ბეჟაშვილს, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ 34 წლის წინ „ფანტომასთა“ ვინაობის დადგენა და მათი შეპყრობა დაავალა.

— 1966 წლის ზაფხულში, როდესაც მცხეთის რაიონში ვმუშაობდი, მოულოდნელად გამომიძახა რესპუბლიკის შსს-ს საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა გოგი სოგორაშვილმა (ამჟამად იგი თადარიგის გენერალია და აშშ-ში ცხოვრობს). მის კაბინეტში შუახნის, დარბაისელი რუსი ცოლ-ქმარი იჯდა.

აღელვებულმა სოგორაშვილმა მითხრა, ეს მამაკაცი და მისი მეუღლე მოსკოველი სტუმრები არიან, გუშინ საღამოს ჯვართან მათ ყაჩაღები დაესხნენ თავს და ისე გაძარცვეს, ხურდა ფულიც კი არ დაუტოვესო. სამმართველოს უფროსმა ასევე მაუწყა, დაზარალებულები, ივანე და იულია ჟუკოვები, მთელ საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი და პატივსაცემი ხალხიაო: „ყველაფერი იღონეთ დამნაშავეთა დასადგენად, თორემ თავი მოგვეჭრება!“

ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ ივანე ჟუკოვის შესახებ. ალბათ, ყველასათვის ცნობილია ლეგენდარული ავიაკონსტრუქტორის სერგეი ილიუშინის სახელი. ის სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, ცხრაგზის ლენინის ორდენის კავალერი, აკადემიკოსი და გენერალ-პოლკოვნიკი გახლდათ. თავის დროზე ამ კაცმა შვილივით აღზარდა ივანე ჟუკოვი, რომელიც მოგვიანებით თავადაც გახდა უდიდესი გამომგონებელი, აკადემიკოსი, შრომის გმირი, გენერალი. იგი სიცოცხლის ბოლომდე ილიუშინის პირველ მოადგილედ მუშაობდა. სწორედ ამ ორი ადამიანის შექმნილია მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული თვითმფრინავები, „ილ“-ები.

მიუხედავად იმისა, რომ ხრუშჩოვის დროს სტალინისტებს სასტიკად დევნიდნენ, ილიუშინი და ჟუკოვი ჯუღაშვილს აღმერთებდნენ, მისი პორტრეტი მუდამ კაბინეტში ეკიდათ და გარდა ამისა, უამრავი ადამიანისგან ვიცი, რომ ამ გამოჩენილ ავიაკონსტრუქტორებს ბელადის სამშობლო — საქართველო და ქართველებიც გამორჩეულად უყვარდათ. სწორედ ამ გრძნობის გამო გადაწყვიტა ჟუკოვმა შვებულების საქართველოში გატარება და მეუღლესთან ერთად, ახალთახალი „ვოლგით“ აქეთ გამოსწია. სამწუხაროდ, ჩვენმა ბანდიტებმა მათ გეგმები ჩაუშალეს.

ილიუშინის საკონსტრუქტორო ბიურო ამჟამადაც არსებობს (მას ჟუკოვის მოწაფე, ნოვოჟილოვი ხელმძღვანელობს), იმხანად კი მის დაქვემდებარებაში იყო არაერთი საავიაციო ქარხანა, სადაც ასი ათასზე მეტი ადამიანი მუშაობდა. მცხეთასთან მომხდარი ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ ამ ქარხნებში უკვე ყველამ იცოდა საქართველოში ჟუკოვის პირწმინდად გაძარცვის შესახებ, თუმცა თავად ილიუშინს თავისი მარჯვენა ხელისთვის ასე უთქვამს, ვანია, ეს ყაჩაღობა ქართველების ნახელავს არ ჰგავსო...

...გამოვედი სოგორაშვილის კაბინეტიდან და დაზარალებულებთან ერთად მაშინვე შემთხვევის ადგილისკენ გავწიე. გზაში ჟუკოვებმა მომხდარის შესახებ მიამბეს. საქართველოში სამხედრო გზით შემოსულან. მცხეთას რომ მოვუახლოვდით და არაგვსა და მტკვარს მოვკარით თვალი, უმალ ლერმონტოვის „მწირი“ გაგვახსენდაო. ჯვარზე ასვლა დააპირეს — თან უძველეს მონასტერს დავათვალიერებთ და თან ულამაზესი ხედის ცქერითაც დავტკბებითო. მონასტერს რომ მიუახლოვდნენ, კოკისპირული წვიმა წამოსულა, თურმე გზა აღარ ჩანდა. მგზავრებმა მანქანა გააჩერეს. უფიქრიათ, გამოიდარებს და გზას მერე განვაგრძობთო, მაგრამ ამინდი უარესდებოდა. მალე ჩამოღამდა კიდეც და ჟუკოვებმა ღამის იქ გათევა გადაწყვიტეს. ამოუღიათ შავი პური, „სელიოდკა“ და ის იყო, მანქანაში ვახშამი უნდა გაემართათ, რომ ნიღბიანების მოახლოება შენიშნეს. თოფებმომარჯვებული უცნობები მანქანას გარს შემოერტყნენ და ცოლ-ქმარს გარეთ გადმოსვლა უბრძანეს.

„ფიზიკური შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ, — მიყვებოდა ივანე ჟუკოვი, — მაგრამ, როგორც იტყვიან, სულ მთლად გაგვასუფთავეს. ოთხი ათასი მანეთი წაგვართვეს, ხურდა ფულიც კი ამოგვაღებინეს და სხვა, მეტ-ნაკლებად ძვირფას ნივთებთან ერთად ურცხვად მიითვისეს. ამაოდ ვთხოვდი, ჯიბის ფარანი მაინც დამიტოვეთ, სტუმარი ვარ, ამ ადგილებს არ ვიცნობ და გზა როგორმე ხომ უნდა გავიკვლიო-მეთქი... თქვენც არ მომიკვდეთ, ფარანიც წაიღეს და აორთქლდნენ. მთელი ღამე უკიდურესად შეურაცხყოფილნი და ნერვებაშლილნი ვისხედით ბანდიტთა მიერ გაფუჭებულ მანქანაში. წვიმამ გადაიღო, მაგრამ გარშემო უკუნეთი სიბნელე იყო, ერთი სინათლეც კი არსაიდან ჩანდა. წარმოდგენა არ მქონდა, საით უნდა წავსულიყავი და ვისთვის მიმემართა დახმარებისთვის. გამთენიისას, დაახლოებით 400 მეტრში რაღაც შენობას მოვკარით თვალი. მივედით. პიონერთა ბანაკი აღმოჩნდა. გამგემ მაშინვე მილიციაში წამოგვიყვანა“.

ყველამ ერთად დავათვალიერეთ შემთხვევის ადგილი, შემდეგ ჟუკოვები მცხეთის ტურბაზაში დავაბინავე და რამდენადაც შესაძლებელი იყო, პატივი ვეცი. სამი დღის შემდეგ ჩემგან ფული ისესხეს და დადარდიანებულები მოსკოვში დაბრუნდნენ. ჯვრის მონასტერთან რამდენჯერმე ავედით, მაგრამ უშედეგოდ — დამნაშავეთა კვალს ვერსად წავაწყდით, ამასობაში კი მოვლენები მოულოდნელად განვითარდა.

ჟუკოვების გაძარცვიდან ორი კვირის შემ-



დეგ, გვიან ღამით, ზაჰესის დასახლებაში მცხეთის მილიციის თანამშრომლებმა ორი ახალგაზრდა მამაკაცი შენიშნეს, რომლებსაც იმ დროს მეტად მოდური „განდოკები“ (წითელი, ვიწრო, სპორტული მაისურები) ეცვათ, სწორედ ისეთი, როგორიც ჟუკოვების მძარცველთაგან ორს თუ სამს. ამიტომ მანქანა გააჩერეს და ჭაბუკები შეიპყრეს.

დაკავებული — 18 წლის ქართველი ბიჭები მცხეთის მილიციაში მიიყვანეს, დაჰკითხეს და როგორც ჩანს, სათანადოდაც დაამუშავეს... დაკავებულებმა მაშინვე აღიარეს მოსკოველი ცოლ-ქმრის დაყაჩაღების ფაქტი, თუმცა სხვა ბოროტმოქმედთა ვინაობა ვერ დაასახელეს და თანაც, მათ ბინებში არც ერთი ნივთმტკიცება არ აღმოჩნდა. ამ ამბავმა ძლიერ დამაეჭვა და ოპერმუშაკებს ვთხოვე, ეჭვმიტანილთა დაკითხვას მეც დამასწარით-მეთქი, მაგრამ მომიგეს, ორიოდ დღე გვაცალე და გახსნილ საქმეს ჩაგაბარებთო. მალე მართლაც დააპირეს საქმის გადმოცემა, თუმცა ჩემგან კატეგორიული უარი მიიღეს. მათი მხრიდან სახეზე იყო არაერთი აშკარა დარღვევა: ეჭვმიტანილები უკვე სამ დღე-ღამეზე მეტხანს ისხდნენ წინასწარი პატიმრობის საკანში; არ მომხდარა მათი გაყვანა შემთხვევის ადგილზე და ა.შ. გარდა ამისა, დაკითხვებს ახლოსაც არ გამაკარეს და დიდი ეჭვი მქონდა, რომ ბიჭებს ცემის ფასად ჩამოართვეს ჩვენებები.

როცა ყოველივე ამის გამო ერთი ამბავი ავტეხე, მცხეთის მილიციის უფროსმა პროვოკატორი მიწოდა და ჯერ რაიონულ პროკურატურაში მიჩივლა, მერე — შსს-შიც. დამიბარეს სამინისტროში. იქ, ფაქტები რომ შეისწავლეს, საგამოძიებო და სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებათა უფროსებმა გამამართლეს, თუმცა მცხეთის მილიციის შეფმა მაინც მოახერხა, აღნიშნული საქმე ჩემთვის აეცილებინა და რაიონის პროკურატურისთვის დაექვემდებარებინა. პროკურორის თანაშემწემ ეჭვმიტანილები კიდევ ერთხელ დაჰკითხა, შემდეგ სანქცია გასცა და სრულიად უდანაშაულო ბიჭები თბილისში, შსს-ს ციხეში გამოამწყვდიეს.

1966 წელს მილიციის გამომძიებელი მნიშვნელოვან ფიგურად ითვლებოდა და ყოველივე ამან ერთი თამამი ნაბიჯის გადადგმა გამაბედვინა — ცოლ-ქმარ ჟუკოვების დაყაჩაღების ფაქტზე ჩემ მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე პროკურატურაში არ გადავგზავნე. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა — ერთი და იმავე საქმეს (ოღონდ სხვადასხვა ნომრით) ერთდროულად პროკურატურაც იძიებდა და მილიციის საგამოძიებო ჯგუფიც.

ზაჰესელი ახალგაზრდების დაკავებიდან თხუთმეტი დღე იყო გასული. უდანაშაულო ბიჭები ისევ ციხეში ისხდნენ. იმ დროისათვის აღარც კი მახსოვს, უკვე მერამდენედ ავედი ჯვრის მონასტერთან. საათობით ვათვალიერებდი იქაურობას და ვცდილობდი ამომეხსნა ნამდვილი „ფანტომასების“ საიდუმლო. სულ ერთი კითხვა მიტრიალებდა თავში — მოქალაქეთა გაძარცვის შემდეგ ასე სწრაფად და უკვალოდ სად უჩინარდებოდნენ დამნაშავენი?

ერთხელაც, ჯვრისკენ ჩემი მორიგი რეიდის დროს, საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, ჩემგან ასე, ნახევარ კილომეტრში უცნობ ყმაწვილს მოვკარი თვალი. მივუახლოვდი, მაგრამ ის ბიჭი სადღაც გაქრა! მანქანიდან გაოცებული გადმოვედი და ბუჩქების თვალიერებას შევუდექი.

უცებ, შევნიშნე, რომ ხშირი, ეკლიანი ბუჩქნარის შუაგულში ოდნავ შესამჩნევი საცალფეხო ბილიკი იწყებოდა. უცნაური ბილიკი იყო, ბუჩქებსა და გორაკებს შორის ისე მიიკლაკნებოდა, რამდენიმე ნაბიჯიდანაც კი ვერ შეამჩნევდით. ადამიანს აქედან სრულიად შეუმჩნევლად შეეძლო მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის დატოვება. გავყევი ბილიკს, კარგა ხანს ვიარე და დავინახე, რომ ზემო ავჭალისკენ მიემართებოდა. დარწმუნებული ვიყავი, „ფანტომასებიც“ სწორედ ამ გზით ტოვებდნენ შემთხვევის ადგილს.

დავბრუნდი ჩემს მანქანასთან და გზატკეცილით ზემო ავჭალისკენ გავწიე. იქაურ მილიციაში ნაცნობი კაპიტანი ვნახე, „ფანტომასების“ შესახებ ვუამბე და ვკითხე, უბანში აღრიცხვაზე საეჭვო პირთა ჯგუფი თუ გყავთ-მეთქი. იმწამსვე მომიგო, არიან ასეთები, ათამდე ბიჭია, ერთი სომეხი, დანარჩენი რუსი, სულ ერთად დაძრწიან და თუ არ ვცდები, ამას წინათ ადგილობრივ მეცხვარეს სწორედ მათ მოჰპარეს ცხვარიო. დავადგინე ამ პირთა მისამართები და მცხეთაში დავბრუნდი.

შებინდებისას მცხეთის მილიციის თანამშრომელს ზაქარია ზარიძეს ვთხოვე დახმარება და მისი მანქანით ზემო ავჭალას მივაშურეთ. თან ვიახლეთ ავჭალელი უბნის რწმუნებული და ნაცნობი კაპიტნის მიერ მითითებული ერთ-ერთი ეჭვმიტანილის,ეროვნებით სომეხის, ვინმე ხაჩიკას ბინის ჩხრეკა ჩავატარეთ. თავად ხაჩიკა სადღაც დაგვემალა, მის ბინაში საეჭვო ვერაფერი ვიპოვეთ და ახლა სხვა ჭაბუკს, ვალოდიას ვესტუმრეთ. მის სახლში აღმოვაჩინეთ სანადირო





ი. ჟუკოვი (ქვემოთ) და დ. ბეჟაშვილი

თოფი, რომელსაც ლულა ოდნავ გამობერილი ჰქონდა. როგორც იქნა, პირველ რეალურ შედეგს მივაღწიე — კარგად მახსოვდა ივანე ჟუკოვის სიტყვები, ერთ-ერთ თავდამსხმელს ხელში ლულაგაბერილი სანადირო თოფი ეკავაო...

ჩხრეკა განვაგრძეთ და ერთ ჩინურ ჯიბის ფარანსაც მივაგენით. ასეთი ნივთი საქართველოში ძალიან ბევრს ჰქონდა, მაგრამ, როგორც წესი, შიგ შორაპნის ქარხანაში დამზადებული ელემენტები ეწყოთ ხოლმე. ამ ფარანში კი სხვანაირი ელემენტები იყო, წარწერით Московский Совнархоз... ნუთუ, ეს გენერალ ჟუკოვის ფარანია?

ვალოდიას ბინაში საკმაო მტკიცებულობანი შევაგროვე და იგი მცხეთის მილიციაში წამოვიყვანე, მეორე დღეს ჩემს ერთ-ერთ თანამშრომელს ამოღებული ფარანი გადავეცი და მოსკოვში, ჟუკოვებთან გავგზავნე. არ იყო გამორიცხული, დაზარალებულებს საკუთარი ნივთი ამოეცნოთ, თუმცა მხოლოდ ამის იმედად არ დავრჩენილვარ და ვალოდიას დაკითხვას დაკითხვაზე ვუწყობდი.

გავიდა ერთი დღე, მეორე, უკვე მესამეც იწურებოდა, დაკავებული კი ხმას არ იღებდა, არადა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ვადა სრულდებოდა და ეჭვმიტანილი რამდენიმე საათში უნდა გამეთავისუფლებინა. ჩემს უფროსსაც ეს უნდოდა! აცხადებდა, ნამდვილი ბანდიტები ციხეში იმყოფებიანო და ერთი სული ჰქონდა, „უდანაშაულო“ ვალოდია სახლში გაეშვა.

ამასობაში ჩემი თანამშრომელი მოსკოვიდან დაბრუნდა და ასეთი რამ მიამბო: მისულა ივანე ჟუკოვთან, ხუთი ერთნაირი ჩინური ფარანი წარუდგენია და უთხოვია, ეგებ, ამათში თქვენი ნივთი ამოიცნოთო. გენერალმა ათი წლის ვაჟს, იგორს დაუძახა და ჰკითხა, საქართველოში გამგზავრების წინა დღეს შენ ფარანი მათხოვე და აბა, თუ გამოიცნობ, ამ ხუთიდან რომელიაო. ერთი წუთითო, უთქვამს იგორს, ბინიდან გასულა და თავისი მეზობელი, სსრკ-ში სირიის ელჩის შვილი, ახმედა მოუყვანია — ამის ფარანი იყო, მათხოვა და ის უკეთ გეტყვითო. შავტუხა ახმედამ ფარნები გახსნა, შიგთავსი დაათვალიერა და რუსულწარწერიან ელემენტებს (ვალოდიას ბინაში რომ ვიპოვეთ) დაუფიქრებლად დაადო ხელი, ეს არის ჩემიო. ჟუკოვს უკითხავს, რატომ ხარ ასე დარწმუნებულიო და ახმედასაც მიუგია, დააკვირდით, ერთ-ერთ ელემენტს კუთხე ჩაჭეჭყილი აქვს, ერთი თვის წინ საწოლის გორგოლაჭს დაეცა და მაშინ დაზიანდაო. შემდეგ ის საწოლიც უჩვენებია... ერთი სიტყვით, ბიჭმა საკუთარი ნივთი ამოიცნო.

ბოლო ღამეა. ეჭვმიტანილი ვალოდია წინ მიზის, დუმს. კიდევ ერთხელ წარვუდგინე მასალები და ვაცნობე, ტყუილად ჯიუტობ, ამოღებული ნივთები შენს დანაშაულს ადასტურებს და თუ თავადვე აღიარებ ყოველივეს, სასამართლო გარკვეულ შეღავათებს გაგიწევს-მეთქი. ბედად, დამიჯერა. სახეზე ჭირის ოფლმა დაასხა და ჩაილაპარაკა, კი, ნამდვილად მე გავძარცვე ის ხალხიო... დაასახელა ოთხი თანამონაწილე და ნაძარცვი ნივთების ადგილსამყოფელიც მიმითითა. დაუყოვნებლივ გავეშურე იქით და ღამის 12 საათზე განყოფილებაში დაზარალებული ცოლ-ქმრის ბინოკლი, ბრეზენტის მოსასხამი და კიდევ რამდენიმე სხვა ნივთიც მოვიტანე. ამის შემდეგ ვალოდიას თანამოსაქმეებსაც ვესტუმრე და მილიციაში მოვაბრძანე, რა თქმა უნდა, მათ ბინებში ნაპოვნ ნივთმტკიცებებთან ერთად.

ღამის 3 საათი სრულდება. წარმატებით ფრთაშესხმული, სახლში ვურეკავ მილიციის უფროსს: „საქმე, ფაქტობრივად, გახსნილია! ვალოდიას გარდა ავიყვანე სხვა ბანდიტებიც. ამოვიღე უამრავი ნაძარცვი ნივთი. დაკავებულები აღიარებენ დანაშაულს. მათ გაძარცვეს ჟუკოვებიც და კიდევ ბევრი სხვაც... იქნებ, მობრძანდეთ და თავად დარწმუნდეთ...“

ჩემდა გასაოცრად, უფროსმა საკმაოდ უკმეხად მომაძახა: „არ მესმის, რაზე მელაპარაკები! „ფანტომასები“ 18 დღის წინ დავაკავეთ და ამჟამად თბილისის საპატიმროში იმყოფებიან. შენ, გეტყობა, რაღაც გეშლება... — და ყურმილი დამიკიდა.“

დრო არ დამიკარგავს და დაკავებულთა დაკითხვა განვაახლე. ისინი, მიხვდნენ, რომ ხაფანგში გაებნენ და ყველაფერი დაფქვეს, ბანდის სხვა წევრთა ვინაობა და მისამართებიც დამისახელეს.

დილის 8 საათისთვის, ვალოდიას ჩათვლით, დაკავებული მყავდა 8 „ფანტომასი“ (მხოლოდ ბანდის ატამანმა, სომეხმა ხაჩიკამ მოახერხა მიმალვა), მათი ბინებიდან ამოღებული ნივთმტკიცებებით ჩემი კაბინეტი პირთამდე აივსო. როგორც უკვე მოგახსენეთ, დაკავებულთაგან არც ერთი არ იყო ქართველი, ყველა რუსი ეროვნებისა გახლდათ.

ამ დროს მობრძანდა მილიციის უფროსიც. დაათვალიერა ნივთები, შეადგინა ეჭვმიტანილთა მოკლე, ანკეტური ცნობები და 15 წუთის შემდეგ სადღაც გაუჩინარდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, სამინისტროში გაქცეულა და ხელმძღვანელობისათვის მოუხსენებია, მთელი ღამე ვიმუშავე და იმ ორი ყაჩაღის გარდა (ციხეში მყოფებს გულისხმობდა), კიდევ რვა დავაკავეო...

იმავე დღეს მოვახერხე უდანაშაულო ბიჭების გათავისუფლებაც — პროკურატურა მათ სიმართლეში დავარწმუნე და ყმაწვილთა მიმართ დაუყოვნებლივ შეწყდა საქმის წარმოება. შემდეგ, „ფანტომასთა“ დაკითხვის დროს, დეტალურად აღვადგინე მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა მთელი სურათიც. მტაცებელი ცხოველებივით უსაფრდებოდნენ თურმე მსხვერპლს. ბუჩქებში დამალულები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ჯვრის მონასტერთან ასულ მიჯნურებს და როდესაც ეს უკანასკნელნი თავდავიწყებას მიეცემოდნენ ხოლმე, ბანდიტები იერიშზე გადადიოდნენ. რვა-ცხრა შეიარაღებულ ახალგაზრდასთან შერკინებას ვერავინ ბედავდა და თავდამსხმელებიც ამით სარგებლობდნენ. მამაკაცებს მანქანის ქვეშ აწვენდნენ, უმეტეს შემთხვევაში, ქალებს ავტომობილის სალონში რიგრიგობით აუპატიურებნენ, მერე პირწმინდად ძარცვავდნენ და საიდუმლო ბილიკით ავჭალისკენ ეშვებოდნენ. ყაჩაღებმა ასეთი დანაშაულის თოთხმეტი შემთხვევა აღიარეს.

მცხეთის სასამართლომ „ფანტომასები“ მალევე გაასამართლა და თითოეულს ათიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობა შეუფარდა. რაც შეეხება ბანდის ლიდერ ხაჩიკას, სამართალდამცავებმა იგი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შეიპყრეს და 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

კიდევ ერთ ეპიზოდზეც მსურს მოგითხროთ. დამნაშავეთა ბინების ჩხრეკისას, დაზარალებული მოქალაქეების პირადი ნივთების გარდა, შვიდი ქალის პასპორტი აღმოვაჩინეთ. ამ საბუთების მიხედვით სათითაოდ გამოვიძახე ქალბატონები. ექვსი მათგანი ქმარშვილიანი აღმოჩნდა. ექვსივე საყვარელთან ერთად იყო ასული მონასტერთან... როდესაც მანდილოსნებმა შეიტყვეს, რომ მათ სამიჯნურო თავგადასავლებს გახმაურება ემუქრებოდა, შავ დღეში ჩაცვივდნენ. ერთ-ერთმა, საქართველოში კარგად ცნობილი კაცის მეუღლემ და სამი შვილის დედამ მუდარით მომმართა, საქვეყნოდ ნუ შემარცხვენთ, მირჩევნია ახლავე გადავეშვა მტკვარშიო... უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი და რჩევისთვის ხელმძღვანელობას მივმართე. შსს-ში მითხრეს, ამ ქალების მეშვეობით მათი თანამგზავრების ვინაობა დაადგინე და დაზარალებულად მხოლოდ ისინი გააფორმეო. მართლაც ვიპოვე ქალბატონთა საყვარლები, რომლებმაც ჩვენებაში დაწერეს, თავდასხმის დროს თან უცნობი მანდილოსნები გვახლდნენო... ერთი სიტყვით, ნამდვილად დაზარალებული ქალები თავის მოჭრას გადავარჩინეთ...

დაბოლოს, ისევ ივანე ჟუკოვს მინდა მივუბრუნდე. მას შემდეგ, რაც „ფანტომასთა“ საქმე გავხსენი, მე და ბატონი ივანე დავმეგობრდით. არაერთხელ ვესტუმრეთ ერთმანეთს. მან, თავის მხრივ, ილიუშინიც გამაცნო. ჩემი თანდასწრებით ამ ლეგენდარულმა ავიაკონსტრუქტორმა ჟუკოვს გადაულაპარაკა, აი, ხომ გეუბნებოდი, ვანია, შენი მძარცველები ქართველები არ იქნებიან-მეთქი...

***მიხეილ ჩერქეზია***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გაუგებრობა



კომუნისტების დროს პლეხანოვზე მაწონს კარდაკარ დაატარებდა ასე 35-40 წელს მიტანებული ქურთი აზიზა. აზიზა — რბილად რომ ვთქვათ, მთლად(!) დალაგებული ვერ იყო. თუმცა, არც ქვებს ისროდა, კაცმა რომ თქვას. სხვათა შორის, ყოველ სისხამ დილით, 6-7 საათზე მიჰქონდა მაწონი ერთ ცნობილ პროფესორთან, რომელიც მარტო ცხოვრობდა.

ერთხელ პროფესორმა გვიან ღამემდე იმუშავა შრომაზე. გამთენიისას დაიძინა და მემაწვნის ზარს რომ არ გაეღვიძებინა, კარებზე გარედან ქაღალდზე დაწერილი ტექსტი აკრა: „არ დააბრახუნო, არც ზარი დარეკო, მაწონი კარებთან დატოვე!"

...ახალჩაძინებული პროფესორი დილის 6 საათზე უსაშველო ბრახუნმა გამოაღვიძა. მიხვდა... წამოხტა, კარი გააღო გაცეცხლებულმა და... აზიზა ხელში ატრიალებს „ზაპისკას".

— ბოდიში, ხაზეინჯან, ერთი, წამიკითხე რა, წერა კითხვა არ ვიცი რა...

***მურმან მერკვილიშვილი***

## ჭიქა წყალი

დედას მივყავართ მე და ჩემი და ბახმაროში. გზად ერთ-ერთ სოფელში შევჩერდით წყლის დასალევად. შევედით ეზოში და 80-90 წლის ცოლ-ქმარმა ჭიქა გამოუტანა დედას.

დედაჩემი სისუფთავის ავადმყოფურად მოყვარული ქალია და იფიქრა სახელურის მხრიდან დაელია წყალი. 5 ჭიქა წყლის დალევის შემდეგ, მოხუცი მასპინძელი ეკითხება: — შენც, მასთე გიყვარს ნენა დალევააა?

მახსოვს როგორ გადასცდა დედაჩემს ჭის ცივი წყალი და როგორ გამოვიყვანეთ ხველებ-ხველებით ეზოდან.



***მაკა თბილელი***

## — უნდა გადავკუხოთ



მიტო ეძახის მიხოს დილაადრიან:

— მიხო, დღეი მარო ჩვენთან გამოუშვი, უნდა გადავკუხოთ (ვაზის გადაკავებას ნიშნავს კახეთის ზოგ რეგიონში)

— დღეი მე ვკუხამ და ხვალე თუ გინდა წაიყვანე — უპასუხა მიხომ.

***მაია ყალაბეგაშვილი***

## თამადა



გორში ქორწილია. თამადა:

— გივი, თქვი სადღეგრძელო!

— მოდი, დავლიოთ!

გაიარა 10 წუთმა... თამადა:

— გივი, თქვი სადღეგრძელო!

— მოდი დავლიოთ!

ცოტა ხნის შემეგ — თამადა:

— ვანო, ახლა შენი ჯერია!

— დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ღირსშესანიშნავ ადგილას, რათა...

თამადა:

— ვანო, დაჯექი, გივი ისევ შენა თქვი სადღეგრძელო!

***ო. ირემაძე***

## — სემიჩკას ვჭამ და...

ჟორია ერგემლიძე ჭიათურის კოლორიტი პიროვნება იყო. მას დიდი იუმორის ნიჭი გააჩნდა. ერთხელ ჟორია სტუმრად იყო. დიასახლისმა მოუბოდიშა, სუფრას ეხლავე გავშლი, წიწილები კი პატარები მყავს და ვერ დავკალიო.

— შე ქალო, სემიჩკას ვჭამ და იმაზე პატარები რავა არიან შენი წიწილები, — უთხრა ჟორიამ.

***„მრგვალი მაგიდა", ჭიათურა.***



## ნეკროლოგი

საქართველოს მომტყუებელთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ირონიისგან გარდაიცვალა სრულიად ნორჩი სიმღერა:

„გიხაროდენ, გიხაროდენ!"

და თანაგრძნობას უცხადებს ავტორ-შემსრულებელთა ნიჭიერ კოლექტივს. გარდაცვალების ორმოცთან დაკავშირებულ პანაშვიდზე გთხოვთ რჩეულ ინტელიგენციას სამშობლოში თუ უცხოეთში, კაბინეტებში თუ კაზინოებში ილოცონ დამკვეთთა სულების განწმენდისათვის.



***გვანცა, ქუთაისი***

## „ზურიასი ვარ მე!.."

ჯარში, სამხედრო სამსახურის გავლის დროს, აფხაზეთის ომმა მოუსწრო ჩემ მეზობელ ზვიადს და როგორც სხვა ჯარისკაცი, ისიც წარბშეუხრელად ჩაება ბრძოლაში, ქვეყნის დასაცავად. ერთ დღეს მისი ბატალიონი, მორიგი შეტევის წინ სანგრებში ისვენებდა. ამ დროს მათთან სხვა ბატალიონის მეთაური მივიდა და მათი უფროსის ვიანობით დაინტერესდა.



— ვისი ბიჭები ხართ თქვენ? იკითხა მეთაურმა

— მე ზურიასი ვარ (მამამისს ზურიკო ქვია) და ესენი არ ვიცი ვისი არიან. თამამად უპასუხა მეთაურს, სანგრიდან ამოსულმა იმერელმა ჯარისკაცმა.

***კუკუშკა***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

— რა არის სექსი?

— სექსი არის ყოველი ნორმალური ადამიანის ჰობი, მიხვდი?

— როგორ არა, მივხვდი, მთელი ცხოვრება მარკებს ვაგროვებდი და არ ვიცოდი, თუ ეს სექსია!

***ჯილდა გორდაძე***



გურულს ეკითხებიან, რავა ხარ ძამაო, აუ! შეგირცხვა ნამუსი, ეს რა გამახსენეო...

***მარგო ც.***





ერთი ტურისტი სვანეთის მთაში დაიკარგა. ბევრი იბოდიალა და დიდი წვალების შემდეგ მშიერ-მწყურვალი მიადგა ხის პატარა სახლს. დიწყო კაკუნი, თან ყვირის:

— არის ვინმე აქ?

შიგნიდან პატარა ბიჭის ხმა ესმის:

— ხო, მე ვარ!

— მამაშენი მანდაა? — ეკითხება ტურისტი.

— არა, მამა გავიდა დედას შემოსვლის წინ.

— მაშ დედაშენი, მანდაა?

— არა, დედაჩემი გამოვიდა სანამ მე შემოვიდოდი.

— როგორ, ოჯახი ერთად არასოდეს არა ხართ?

— არა, აქ არასოდეს, ეს ფეხსადგომია.

***ვაჟა ნადირაძე***



ჭიჭიკიამ და შალიკიამ თავისუფლების მოედანზე მოძრაობის წესები დაარღვიეს, პოლიციელმა დააკავა და დასჯის მიზნით უბრძანა, ასი მეტრი ეცურათ ასფალტზე. „სასჯელის" მოხდის მერე, ხელ-ფეხ გასისხლიანებული ჭიჭიკია ეუბნება მასავით დასახიჩრებულ შალიკიას:

— ეს რა გვიყო ამ უღმერთომ, გაწყდა მაგისი ოჯახი!

— რას ამბობ, ეუბნება შალიკია, ღმერთმა ააშენა მაგისი ოჯახი, კი გვაცურავა, მაგრამ „ჩაყვინთეთო" რომ ეთქვა, რას შობოდი მერე?

***შოთა „სოხუმელი"***



— მართალია, მთავრობაში ან ცრუპენტელები სხედან, ან მექრთამეები?

— ტყუილია, არავითარი „ან".

***ჯილდა გორდაძე***



ბიჭი მივა გოგოს გასასინჯად. შეხედავს ელამია, გოგო ელამი ხარ? ჩოტათი, ჩლიფინაც ხარ? ხო, ჩოტათი. შენ ქალიშვილიც არ იქნები? ხო, ეგ შამი ნაკლი მაქვს მარტო.

***დ. ზუმბაძე, ახალციხე***

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**



რომელი საათია? ჰკითხა ქალს ჭიჭიკიამ. უკან არის ბატონო ჩემი საათიო, უთხრა ქალმა. ჭიჭიკიამ შემოუარა და უკანალზე დაუწყო ყურება.

***ჯანო ონიანი***

# — იმის შესახებ, რომ ვცხოვრობ საგიჟეთში და უნდა გამანადგურონ, ყოველთვის ვიცოდი...

**— სვიატოსლავ ნიკოლაევიჩ, რას წარმოადგენს დღეისათვის თქვენი მთელი ცხოვრებისა და საქმიანობის შედეგი?**

— ეს არის ერთ მუშტად შეკრული ასეულობით ექიმი, ასამდე მეცნიერ მუშაკი, 120-ზე მეტი ინჟინერი და მენეჯერი, უზარმაზარი საინფორმაციო განყოფილება — მასზე 3 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა. გვაქვს საკუთარი ქარხანა და მჭიდრო კავშირი რუსეთის 90 სამეცნიერო ინსტიტუტთან. ეს არის უზარმაზარი ინტელექტუალური საკუთრება!

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ვიმუშაოთ სწრაფად და წარმოუდგენლად იაფად.

**— რას ფიქრობთ საერთოდ წარმოებაზე?**

— ჩვენი ფესვები დალპა, ჩვენ აღარ გაგვაჩნია ფესვები. ჩვენ არ გვინდა წარმოება, ეს არ არის მომგებიანი, სახელმწიფო გვაიძულებს, ან ვიქურდოთ, ან ვიზარმაცოთ. ბატონისთვის კარგად არავინ მუშაობს, ყველა ცდილობს, გაახალტუროს. მონობის 800 წლის მანძილზე ეს სისტემა ბრწყინვალედ ავითვისეთ. შრომის ნაყოფიერება რუსეთში ამერიკასთან შედარებით 20-ჯერ დაბალია. ამის ახსნა აღარ შეიძლება ტექნოლოგიების ჩამორჩენით. მინდა ჩემთვის ვიმუშაო, მომეცით შესაძლებლობა, შევქმნა არტელი. ჩვენი უზარმაზარი წარმოება — ეს არის კიდეც არტელი. თითოეულს აქვს წილი თითოეული რუბლიდან. ფეოდოროვის წილი ყოველი რუბლიდან — 0,3 კაპიკია, ჩემი მდივნებისა — 0,014 კაპიკი. ექიმები ოპერაციების რაოდენობაზე არიან დამოკიდებულნი. საშუალოდ, თვეში 7-8 ათასი რუბლი უწევთ. სახელმწიფო კი 350-400 რუბლს უხდის, ჩემს მოადგილეებს — 800-ს, მე კი ორი ათასს. მხოლოდ ამ ფულზე რომ ვცხოვრობდე — უბრალოდ მოვკვდებოდი! ადამიანი, რომელიც 5-6 ათასს იღებს, მათხოვარი აღარაა, იგი მეტ-ნაკლებად გონიერი არსებაა და თუკი ის 500 რუბლს ღებულობს, საერთოდ აღარაა ადამიანი, იგი მშიერი, გაბოროტებული ცხოველია.

**— რამ გამოიწვია სირთულეები მას შემდეგ, რაც გენდირექტორად დაბრუნდით დეპუტატობის შემდეგ?**

— ყველას ხელს ვუშლი, ნუთუ არ გესმით? მე შევქმენი თავისუფალი სახელმწიფო მონათმფლობელურ წყობილებაში. წარმოგიდგენიათ, როგორ აღიზიანებთ ეს მონათმფლობელებს? თანაც ინსტიტუტის შიგნით გაჩნდა მეხუთე კოლონა, რომელსაც უნდა, აკეთოს მეტი ფული და იქურდოს. დღეს მედიცინის სფეროში ყველა იღებს ქრთამს, მე კი ნებას არ ვაძლევ, რამდენიმე კაცი უკვე დავითხოვე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეცნიერების დოქტორები იყვნენ.

**— რა გაწუხებთ?**

— ჩვენ დღე და ღამე ვმუშაობთ, გვინდა რაიმეს მივაღწიოთ, მაგრამ რუსეთის ელიტა — ესენი ხომ მონათმფლობელები არიან? მათ სჭირდებათ მუნჯი და შრომისუნარიანი მონები. ჩვენ არაფერი გამოგვდის. ეს თაობა მთლიანად უნდა წავიდეს, მომდევნოც. მხოლოდ ჩვენი შვილთაშვილები აითვისებენ ამ იდეებს.

**— თქვენს წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგას მაღალი ჩინოსნის მხარდაჭერა სჭირდებოდა. ხომ არ გაქვთ ვარაუდი, ვინ მეთაურობდა თამაშს?**

— ძნელი სათქმელია. ალბათ, ვინმე, პუტინის გარემოცვიდან და კიდევ ჩემი კონკურენტები. მე ხომ საზოგადოების ხარჯზე ვარსებობ. დაბალი ფასი იზიდავს ავადმყოფთა მასებს. თითოეული პაციენტიდან ჩემი შემოსავალი 5 დოლარია. ამიტომ ყველას ხელს ვუშლი. რუსეთში შეიძლება ცუდად მუშაობა, კარგად მუშაობა კი — სახიფათოა.

**— ინტრიგა რომ განხორციელებულიყო, ვის დანიშნავდნენ თქვენი აზრით, თქვენს ადგილას?**

— ვინც ყველაფერს ჩააგდებდა.

**— თქვენი ინსტიტუტიდან?**

— ალბათ. მას უბრძანებდნენ, პირველ რიგში მოეხდინა ყველაფრის პრივატიზება.

**— ეს ხომ აკრძალულია?**

— ახლა მზადდება კანონი, რომლითაც ეს ნებადართული იქნება. ამიტომ, ალბათ, ყველაფერს ნაწილ-ნაწილ გაყიდდნენ. მე, მთელი ცხოვრების მანძილზე 250 მილიონი დოლარი მოვახმარე ყოველივე ამის შენებას! მეოთხედი მილიარდი! ცხადია, არა საკუთარი ქონებიდან, არამედ უსინათლოთა საზოგადოებიდან და სსრკ-ის ბიუჯეტიდან. კარგია, არა? და ამასთან, ყველაფერი ხალხს დავუტოვე. პირადად მე არაფერი არ გამაჩნია. პატარა სახლი მაქვს.



**— არ გწყინთ, რომ შექმენით ძლიერი იმპერია, რომელსაც კაცმა არ იცის, რა ბედი ეწევა?**

— ბედნიერი ვარ. მე მაინტერესებს შემოქმედებითი პროცესი, საბოლოო შედეგს კი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

**„რის საფუძველზე ცხენოსნობთ, ლორდივით?“ ვუპასუხე: „მამაჩემი იმიტომ მონაწილეობდა რევოლუციაში, რომ მე ლორდივით მეჭენებინა“. ინსტრუქტორმა ბუტბუტი დაიწყო, მე კი მარცხენა ფეხი გამოვიღე და მაგიდას მივუბრახუნე, თან ვუთხარი: „გარდა ამისა, პროთეზი მაქვს, ცხენს კი — 4 ღონიერი ფეხი აბია, ტყეში დიდხანს სიარული არ შემიძლია, ცხენით 30-40კმ-ს გავივლი“.**

**— მაგრამ ხომ გყავთ შვილები, შვილიშვილები, მათი შვილები, დინასტია...**

— მიმაჩნია, რომ თავად უნდა გაიკვლიონ გზა. მე ახლა ვაძლევ მათ შესაძლებლობას, განივითარონ თავისი ინტელექტი. 11 წლის შვილიშვილი მყავს, ოთხი ენა იცის — ეს არის მისი სიმდიდრე.

**— გვიამბეთ რაიმე თქვენს ბოლო იმედგაცრუებაზე.**

— იმის შესახებ, რომ ვცხოვრობ საგიჟეთში და უნდა გამანადგურონ, ყოველთვის ვიცოდი. ეს აბსოლუტურად არ არის ჩემთვის საიდუმლო. უბრალოდ მიკვირს: ამდენ ხანს როგორ არ მომკლეს. მე მართლაც მუდმივად ვცხოვრობ რისკის ელემენტებით სახიფათო სივრცეში. მე შტრაიკბრეხერი ვარ. რუსი შტრაიკბრეხერი — მთელი ქვეყანა არაფერს აკეთებს, იპარავს და ანგრევს, ეს სულელი ფეოდოროვი კი მუშაობს — თეთრი ყვავი! რას იზამ? დაიხვრიტოს! აჯუბეი მეუბნებოდა, უფსკრულამდე ნუ მიამწყვდევინებ თავსო, როცა ვყვიროდი: „ჩვენ მონები ვართ, გვეყო მორჩილება, ინტელექტი — ცხოვრების საფუძველია, ადამიანმა უნდა გამოთქვას აზრი და არ უნდა იფიქროს: რას იფიქრებს სტალინი? რას იფიქრებს ელცინი, პუტინი?.. თქვენ, ჟურნალისტებიც მიგიმწყვდიეს, პროსტიტუცირებულ ხალხად იქეცით...

**— პირადად ჩვენზე ამას ვერ იტყვით. ასაკის გამო მაინც.**

— თქვენმა გაზეთმა ერთხელ დაბეჭდა, რომ თითქოს ფლორიდაში მდიდრული სახლი მაქვს, მე კი იქ 15 წლის წინ ვიყავი ერთადერთხელ, ერთი დღით! მაგრამ თქვენ ხომ სენსაცია გჭირდებათ!

ცხენები, ვერტმფრენები, თვითმფრინავები... თითქოს ყოველივე ეს ჩემი საკუთრება იყოს. რომც იყოს, მერე რა. რა არის ცხენი? 2 ათასი დოლარი ღირს. ცხენოსნობა რომ დავიწყე, ცკ-ში დამიბარეს. მეკითხებიან: „რის საფუძველზე ცხენოსნობთ ლორდივით?“ ვუპასუხე: „მამაჩემი იმიტომ მონაწილეობდა რევოლუციაში, რომ მე ლორდივით მეჭენებინა“. ინსტრუქტორმა ბუტბუტი დაიწყო, მე კი მარცხენა ფეხი გამოვიღე და მაგიდას მივუბრახუნე, თან ვუთხარი: „გარდა ამისა, პროთეზი მაქვს, ცხენს კი — 4 ღონიერი ფეხი აბია, ტყეში დიდხანს სიარული არ შემიძლია, ცხენით 30-40კმ-ს გავივლი“. მონური ქვეყანაა, ყმების ქვეყანა. საშინელებაა ამის გაცნობიერება. მე კარგი ექიმი ვარ, იმიტომ, რომ თავისუფალი ვარ და 480 თავისუფალი ექიმი მყავს. ჰიპოკრატეს ფიცი — ეს ხომ ფიქციაა. სინამდვილეში არსებობს რეალური ცხოვრება: ჭამა ყოველდღიურადაა საჭირო, საჭიროა ბინა, ჩაცმა. თავისუფალი შრომა რომ არ მქონდეს, თვეში ერთხელ მეც ჩამოვივლიდი და ვიკითხავდი: ოფლიანობდა პაციენტი სიკვდილის წინ? ფრთიანი ანგელოზები ვგონივართ. ანგელოზი 350 რუბლის ხელფასით თვეში? და ასეა დღეს რუსეთის მილიონ-ნახევარი ექიმი. მილიონ-ნახევარი ლატაკი უმაღლესი განათლებით, ინტელექტუალური მონები. მოთხოვნა, რომ მედიცინამ კარგად იმუშაოს ამ პირობებში, — აბსურდია!

**— გიფიქრიათ იმაზე, ვის ხელში ჩავარდება ყოველივე, თქვენი წასვლის შემდეგ? მემკვიდრე აღზარდეთ?**

— ვფიქრობ, ცენტრი დაირღვევა. ახლა ყველაფერი ჩემზე დგას, ჩემს თავხედობაზე, ბიუროკრატიის თვალსაზრისით, ჩემს საერთაშორისო და რუსეთში არსებულ ავტორიტეტზე. როგორც კი წავალ — ყველაფერი დაინგრევა.

**— მაგრამ ხომ შეიძლება აღზარდოთ ჯგუფი ან პიროვნება?**

— მას მინისტრი მოუღებს ბოლოს. ყველა ფილიალს დაიტაცებენ გუბერნატორი-ტურები, რათა მორიგი საროსკიპო ან კაზინო გახსნან.

**— მაგრამ თქვენ ხომ ის ადამიანი არა ხართ, ვინც ამგვარ პერსპექტივას შეურიგდება?**

— მე არ ვნებდები, მაგრამ ბიოლოგიურად ოდესღაც ხომ უნდა წავიდე. აგვისტოში 73 წლისა გავხდები. პოლიტიკას იმიტომ მივდევ, რომ ჩემს ქვეყანაში თავისუფალი შრომა ცხოვრების საფუძველი გახდეს.

**— მაგრამ თავად არ ამბობთ: მონების ქვეყანა, ყმების ქვეყანა...**

— მეც მონა ვარ! მონად დავიბადე მონურ ქვეყანაში. მაგრამ მე აღარ ვარ მონა! ჩემ ირგვლივ უკვე ცოტაა მონა, ბევრია შეგნებული ადამიანი. მონა რომ ადამიანად აქციო, არც ისე ძნელია, ამისათვის საჭიროა იგი შრომასთან მიაერთო — 2-3 წლით.

**P.S.** ინტერვიუ იმ დღეს ვერ დავასრულეთ და გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ შევხვედროდით ერთმანეთს.

— ტამბოვში უნდა გავფრინდე, — გვითხრა სვიატოსლავ ნიკოლაევიჩმა, — ხვალ ვერტმფრენის მართვის ნებართვა უნდა ავიღო, ოდესღაც ხომ მფრინავი ვიყავი, მაგრამ ფეხი დავკარგე. ახლა კი კვლავ გავფრინდები.

**— როგორ, შტურვალთან დაჯდებით? — შევშინდით ჩვენ.**

— მაშ როგორ, — ბიჭური სიამაყით გვითხრა მან, — ახლა ისევ მეტყვით, რომ ექიმს არ აქვს ფრენის უფლება, რადგან მან უნდა იხოხოს... ამას გარდა, შესანიშნავად ვცურავ, ვაჭენებ ცხენს, ვთამაშობ ჭადრაკს და დომინოს! ადამიანი — ესტეთიკური არსებაა, მე კი სულ კუთხეში მიმწყვდევენ...

პარასკევს, საღამოს იგი დაიღუპა...

***კომსომოლსკაია პრავდა №102***

## რას გვეტყვი, მამაო?

**— მყავს ორი შვილი, ორივე მონათლული. მათი ნათლობის სანთლებიდან აღარ მახსოვს, რომელი რომლისაა. ეს საკითხი სადარდებლად მექცა. ისიც არ ვიცი, როდის შეიძლება მათი დანთება.**

— თქვენ არაფერი გაქვთ საღელვებელი. იყავით მშვიდად. შვილებისადმი სანთლის კუთვნილებას არავითარი სარიტუალო მნიშვნელობა არა აქვს. სანთლის დანთება კი შეგიძლიათ ნებისმიერ დროს.

**— მოუხერხებელი ბინის გამო ვერ ვლოცულობ ხატებთან. თუ შეიძლება ლოცვების კითხვა ოთახში, განმარტოებით, სადაც არ არის მოწყობილი ხატების კუთხე?**

— ეცადეთ, ერთი ხატი მაინც დააბრძანოთ ოთახში და მის წინაშე ილოცოთ.

**— მიზანშეწონილია თუ არა ქორწინება მაისის თვეში?**

— მაისის თვეში ქორწინება დასაშვებია. არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს საეკლესიო კანონმდებლობით. შესაძლოა შეკითხვა მოდიოდეს რუსული ხალხური ჩვეულებიდან, რისი ანარეკლიცაა გამოთქმა „В мае венчаться - всю жизнь маяться“ („მაისის ჯვრისწერას მთელი ცხოვრება ჯახირი მოჰყვებაო“), რასაც არანაირი ქრისტიანული საფუძველი არ გააჩნია.

**— ეშმაკის ხსენებაზე ხეზე სამჯერ დაკაკუნება საეკლესიო წესია თუ ცრუმორწმუნეობა?**

— მსგავსი სახის ქმედება ცრუმორწმუნეობაა.

**— ვიმყოფები სამოქალაქო ქორწინებაში. შემიძლია თუ არა დავიწერო ჯვარი სხვა ქალთან? როგორ გაიყოფა ქონება, თუ გაცილება მოვინდომე?**

— ქონების გაყოფის შესახებ სადავო საკითხები სცილდება საეკლესიო კომპეტენციას — ეს პრობლემა სასამართლოს მეოხებით უნდა გადაწყდეს. რაც შეეხება ქორწინებას, ჯვარი შეგიძლიათ დაიწეროთ, რადგან დღემდე არ ყოფილხართ ამ საიდუმლოთი დაკავშირებული, ოღონდ განქორწინების ოფიციალურად გაფორმების შემდეგ.

**— არის თუ არა ცოდვა მომავალი ნეფე-პატარძლის ქორწინებამდელი ინტიმური კავშირი?**

— ქორწინებამდელი ინტიმური კავშირი ცოდვაა. ეს კავშირი იკურთხება ჯვრისწერის საიდუმლოს მესამე ნაწილის ჩატარებისას — გვირგვინის გახსნის შემდეგ ცოლ-ქმარს ეძლევა სარეცლის გაზიარების უფლება.

**— რამდენად მიზანშეწონილია ძილისწინა ლოცვების ლოგინში კითხვა?**

— თუ ადამიანს ავადმყოფობა არ აწუხებს, ღამის (ისევე, როგორც დილის) ლოცვა უნდა წარმოთქვას ხატების წინაშე, ფეხზე მდგომმა. მაგრამ თუ მას აწუხებს ხორციელი უძლურება, მაშინ ლოცვის წარმოთქმა შეუძლია მწოლიარე მდგომარეობაშიც.

**— მაქვს ნათლობის ოთხი ჯვარი. შეიძლება თუ არა მათი ერთ ჯვრად გადადნობა და მის ტარება?**

— ნათლობის ოთხი ჯვრიდან გადადნობით ერთი ჯვრის მიღება არ შეიძლება! ატარეთ რომელიმე ერთი ჯვარი, დანარჩენი სათუთად შეინახეთ.

**— მცირეწლოვან ასაკში ბებიის გარდაცვალებისას მომნათლეს გრიგორიანულ ეკლესიაში. ოჯახის ყველა წევრი მყავს მართლმადიდებელი. ვცხოვრობ მართლმადიდებლური წესებით. დიდი სურვილი მაქვს განვამტკიცო ჩემი მართლმადიდებლობა ეკლესიის წესით, რათა თამამად მივიღო მონაწილეობა მართლმადიდებლურ რიტუალებში. გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორ მოვიქცე?**

— 1104 წლის რუის-ურბნისის ძეგლისწერის თანახმად, მონოფიზიტური სარწმუნოების მიმდევრები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მიიღებიან ხელახალი ნათლობით, ამიტომაც უნდა მოინათლოთ ხელახლა.

**— ჩემს მეზობლად ცხოვრობს ორი ქალი. ერთი მათგანი უკეთილესი და უსათნოესია. ის არ დადის ეკლესიაში. მეორე მეზობელი წირვა-ლოცვას არ აკლდება, მაგრამ საშინელი ავსიტყვა და გესლიანია. როგორ გავიგოთ ყოველივე?**

— სიკეთე და უკეთურობა პირობითი ცნებებია. ყოველივეს გულთამხილავი მხოლოდ ღმერთია. ეკლესია არ არის წმიდანთა შესაკრებელი — იგია შესაკრებელი ადამიანთა, რომლებსაც სურვილი აქვთ ცოდვის ტყვეობიდან ხსნისა და ღმერთთან შეერთებისა. ამიტომ, თუ თქვენი მეზობელი ავსიტყვაა, არ შეიძლება ამაში ეკლესია დავადანაშაულოთ.

სიკეთე ის როდია, რაც ჩვენ გვეჩვენება სიკეთედ. მხოლოდ სარწმუნოებაზე დაფუძნებული სიკეთე ითვლება ღვთის სათნოდ, ანუ, როდესაც მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა, ანუ სიკეთე, დაფარული კაცთაგან. სწორედ ასეთ სიკეთეს მოჰყვება უფლის მისაგებელი.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 28***

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***

## რას წერენ ჩვენზე

### საზღვარზე სიმშვიდე არ არის

რუსი მესაზღვრეებისთვის, ქართველებისგან განსხვავებით საზღვრის „ჩეჩნურ“ მონაკვეთზე, განსაკუთრებით არღუნის ხეობაში სამსახური მეტად მძიმე, ამასთან სახიფათოა. ჩეჩენი სეპარატისტები პერიოდულად შეტევაზე გადმოდიან. ამ აქციათაგან უკანასკნელი, როცა 30-ზე მეტი ბანდიტი შეეცადა საქართველოს ტერიტორიაზე შეღწევას, არღუნის ხეობაში რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის კ. ტოცკის ყოფნას დაემთხვა. მართალია, გენერალმა თავის ვიზიტს „საინსპექციო“ უწოდა, მაგრამ ცხადია, რომ საქართველოსთან საზღვრის „გამჭვირვალებასთან“ იყო დაკავშირებული. საკითხი მწვავედ დგას, თუ უახლოეს დროში ვერ მოხერხდება საქართველოსთან საზღვრის ჩაკეტვა, „ანტიტერორისტული ოპერაციის“ წარმატებით დასრულება შეუძლებელი იქნება.

მესაზღვრეთა მონდომების მიუხედავად, მათი საკუთარი აღიარებით რუსეთ-საქართველოს საზღვრის საიმედოდ ჩაკეტვა ახლო მომავალში ძალიან გაძნელდება. მესაზღვრეთა ზურგში სამხედრო მოქმედებები არ წყდება. იმის მიუხედავად, რომ გენერალ-პოლკოვნიკი ვალერი მანილოვი აცხადებს — ჩეჩნეთში სიტუაციას ვაკონტროლებთო, ბოევიკთა ჯგუფები ატერორებენ ფედერალთა ქვედანაყოფებს, განსაკუთრებულ აქტიურობას კი არღუნის რაიონში იჩენენ. მიღებული ცნობების თანახმად, სეპარატისტები, რომლებმაც მარცხი იგემეს დაღესტნის მოსაზღვრე რაიონებში, კვლავ ეძებენ სუსტ ადგილებს საქართველოს მიმართულებით. შესაძლოა მათ მიზანს საქართველოში შეჭრა არა, მაგრამ დივერსიულ-ტერორისტული აქტები კი წარმოადგენდეს.

***სეგოდნია №128***

### თბილისი შეშფოთებულია მოსკოვის დაჟინებული მოთხოვნით

მოსკოვში დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა სამიტის წინ ედუარდ შევარდნაძე ყურადღებას ამახვილებს საქართველო-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე. პრეზიდენტი აღნიშნავს ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებათა მიზანმიმართულ ქმედებას, რაც, მისი აზრით, პასუხობს მეგობრულ, კეთილმეზობლურ ინტერესებს. მაგრამ ცხადია, ქართული მხარე ვერ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ ფაქტით. ამიტომ შევარდნაძემ შეგვახსენა მოლაპარაკება მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლობის შესახებ, რომელიც ფაქტობრივად, უმოქმედოა, მისი იგნორირების ფაქტი კი გოსდუმის მიერ, საქართველოს დედაქალაქში ბუნებრივ შეშფოთებას იწვევს.



მოსკოვის მომავალი სამიტი რიგით მეორე იქნება, რომელზეც ქართული დელეგაცია არ შეეცდება ზედმეტი დაწოლა მოახდინოს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე. შევარდნაძემ ეს ზედმიწევნით ლაკონურად ახსნა: აზრი არა აქვს. ქართულმა ხელმძღვანელობამ, როცა აფხაზეთის პრობლემისადმი თავის არიდების გადაწყვეტილება მიიღო, ალბათ კონკრეტული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. ჯერ ერთი, საკითხის განხილვა საგანგებო მომზადებას გულისხმობს, მეორეც, ჩეჩნეთში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით თბილისში მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ აფხაზეთის საკითხის ლობირებას სწორედ ახლა. ქართული დელეგაცია შედარებით უმტკივნეულო პრობლემებს წამოსწევს: თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ დსთ-ის სივრცეში. მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ აფხაზეთის საკითხი სამიტზე მთლად მივიწყებული არ იქნება — დაისმება მშვიდობისმყოფელთა მანდატის გაგრძელების საკითხი.

ოფიციალურ თბილისს აღელვებს მოსკოვის დაჟინებული მოთხოვნა სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით. მას ეს მიზანშეწონილად არ მიაჩნია და თვლის, რომ იგი უხერხულობას შეუქმნის არა მხოლოდ ქართველებს, არამედ რუსებსაც. ამასთან, რუსეთში მიაჩნიათ, რომ სავიზო რეჟიმი არ უნდა გავრცელდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაზე. „არ ვიტყვი, რომ განხილვა დრამატულ ფორმას იღებს, მაგრამ აღვნიშნავ, რომ სავიზო რეჟიმის შემოღების მომხრე რუსეთში საკმაოდ ბევრია“ — დანანებით აღნიშნა ქართველმა პრეზიდენტმა.

***ნეზავისიმაია გაზეტა №109***



ბატონო მშობლებო და ჩვენო ლამაზო პატარებო! მივიღეთ თქვენი წერილები, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით. გამოხმაურება იმდენია, რომ ყველას გამოქვეყნებას ვერ ვახერხებთ. ამიტომ, შერჩევით გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

კვირის პალიტრის რედაქციას, საბალღო-სალაღო გვერდის რედაქტორს

მე ძალიან გამეხარდა, რომ დიდების გაზეთმა ბავშვებისთვისაც იზრუნა და ასეთი საინტერესო გვერდი მოგვიმზადა. ყოველ ორშაბათს როდესაც დედა თავისთვის იყიდის ამ გაზეთს, იქ მეც ბევრ საინტერესო რამეს ვნახავ. მე სიამოვნებით გამოგიგზავნით ხოლმე ნახატებს და ჩავერთვები თქვენი გვერდის მომზადებაში.

მიხეილ გიოხაძე (12 წლის) თბილისი



## პატარები გვიყვებიან

**3 წლის მარიამს** ფეხსაცმელი უკუღმა ეცვა. შენიშვნა მისცეს, რომ გაესწორებინა. მარიამმა ფეხები გადააჯვარედინა და „გაასწორა“.

— — —

— ახალდაბადებულმა ბავშვმა არ იცის ლაპარაკი? — იკითხა მარიამმა.
— არა (მიიღო პასუხი).
— როცა დაძველდება?

*ირინე*

**4 წლის ლევანი** ზამთრის ცივ სალამოს დენის მოლოდინშია:

დედა, პატარა რომ ვიყავი, თბილ ქვეყანაში (უთითებს მუცელზე) ვიზრდებოდი, ახლა კი ცივ ქვეყანაში ვიზრდები.

— — —

— დედა, „ნაცარქექია“ მომიყევი?!
— ისე არ მახსოვს, რომ დავჯდე და მოგიყვე.
— იდექი და ისე მომიყევი.

**გიორგის** ახალი ჯინსის შარვალი უყიდეს. გიორგიმ ჩაიცვა შარვალი, მოეწონა და გახარებულმა იკითხა:
— ახლა მე ამ შარვალში უნდა ვიცხოვრო?

*ბაბორა ქოიავა*

**გიორგი** და **ვასიკო** დამალობანას თამაშობენ. გიორგი დაიხუჭა. დათვლას რომ მორჩა, მიიხედ-მოიხედა, ვასიკო ვერ დაინახა და ეძახის:
— ვასო, სადა ხარ?
— არ გეტყვი, — იყო პასუხი.

*თინიკო*

**3 წლის გიორგი გეგეჭკორს** დედა ეფერება: — შენ იცი, ჩემი სინათლე ხარ, დედიკო?!
— აბა ამანთე!

**2.5 წლის თეკლა** სეირნობისას: — თეკლა ტალახში არ ჩახტე, იქით გაიწიე...
— დიდი გოგო რომ გავხდები, ხომ ჩავხტე?

## (I) რებუსი



## ფრინველები




**შვეულად:** 1. ნოგლი; 2. ნადექი; 3. ტრიგვი; 4. ყმერწი; 5. როქი; 9. ვირაწი; 10. კვიჩხი; 12. ფოიფო; 14. უბ.

**თარაზულად:** 4. მომინი; 6. ოქრო; 7. ვავყი; 8. არძე; 11. ბოხოხი; 13. ბორი; 15. ვიფსა.

## (II)







(ასოები იმდენი უნდა იყოს, რამდენიც წერტილია).

## გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით

## (III)




## (IV) სახალისო გამოცანები

**ა)** რომელი უფრო მეტს იწონის: ერთი კგ 50 თეთრიანები თუ ნახევარი კგ 20 თეთრიანები?

**ბ)** რომელია ის კითხვა, რომელზეც არასოდეს არ შეიძლება დასტური მისცეს (დადებითად უპასუხოს) ადამიანმა?

**გ)** — გუშინწინ 12 წლის ვიყავი, გაისად 15 წლის გავხდები — თქვა ლიკამ. შეიძლება ასე მოხდეს?

**დ)** მართვის უფლება არ მქონდა, ავუხვიე ქუჩაზე, სადაც ამკრძალავი ნიშანია, გვერდზე ჩავუარე ავტოინსპექტორს და კარგა ხანს ვიყავი მის ახლომახლო გაჩერებული ტროტუარზე, მაგრამ მას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. რატომ?

**ე)** ვის ეხურა XV საუკუნეში ყველაზე დიდი ზომის ქუდი აღმოსავლეთ საქართველოში?



## გამაფერადე



## (V)



ამ ქართველი მწერლის კალამს ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხრობებიდან მხოლოდ ერთი არ ეკუთვნის. გამოიცანით მწერალი და გამორიცხეთ სხვისი მოთხრობა.

ა)
1) იავნანამ რა ჰქმნა?
2) ქაჯანა;
3) ერეკლე მეფე და ინგილო ქალი.

ბ)
ვინ გამოთალა ბურატინო?

1) ხელმარჯვე ოსტატმა;
2) პაპა კარლომ;
3) კომბლემ;
4) აიბოლიტმა;



## (VI) რა? სად? როდის?

**ა)** დაასახელეთ ქვეყანა, სადაც ერთდროულად უკუნი ღამეცაა და ნათელი დღეც.

**ბ)** რა მდებარეობს თბილისის „ქვემოთ“? — (გამოიცანით გლობუსის მიხედვით).

**დ)** რისგან მიიღება ლიმონმჟავა?




გვერდის პასუხები იხილეთ 32-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშ[illegible]

K

# „სული სულ თქვენკენ მოისწრაფვის“, ანუ როგორ უყვარდა აკაკის



**წელს, 21 ივნისს, აკაკი წერეთელს დაბადებიდან 160 წელი უსრულდება.** საქართველოს უგვირგვინო მეფეს, როგორც მას უწოდებდნენ, ნიავივით მსუბუქი ლექსების ავტორს ძალიან მძიმე პირადი ცხოვრება ჰქონდა: აწეწილი ფინანსური საქმეები, დაგირავებლი ქონება და საკუთარი სახლი საჩხერეში, გაუთავებელი სასამართლო პროცესები და დავა მარგანეცის ირგვლივ, ცალკე ოჯახის წევრები, რომლებიც მთლიანად აკაკის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ... ეს ყველაფერი ქმნიდა გარემოს, რომელიც აიძულებდა პოეტს, ეთქვა: „მე როგორ ვცხოვრობ? — ყველასაგან, თვით საკუთარი ოჯახისგან მიტოვებული და მუდამ ფარისევლებით და მტაცებლებით გარშემორტყმული, მწარე სიკვდილის მოლოდინში“.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ცოლშვილი ენატრებოდა. მეუღლე — ნატალია ბაზილევსკაია და ვაჟი ალექსი წერეთელი ლამის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობდნენ. ხშირად აკაკიმ არც კი იცოდა, სად გაეგზავნა წერილები: პარიზში, მილანში, აიერლინში თუ პეტერბურგში... და, რაც მთავარია, ფული, რომელსაც მისგან გამუდმებით თხოულობდნენ არა მარტო მისი საკუთარი ოჯახის წევრები, არამედ სხვა ბაზილევსკებიც. ნატალიას დას ხომ აკაკი არჩენდა... მისი ვალებითა და საქციელით შეჭირვებული პოეტი წერდა ერთ-ერთ პირად წერილში: „ბაზილევსკები ყველანი შექმნილნი არიან ავი სულისაგან, იმ მიზნით, რომ სტანჯონ ადამიანები და გააუბედურონ თავისი ახლობლები... მათ შორის მხოლოდ ნატაშაა გამონაკლისი“.

ნატაშა, რომელიც აკაკის სიყვარულის ობიექტი იყო... იგი შორიდან უგზავნიდა წერილებს ქმარს. მისი ბარათები ისეთი სასიხარულო იყო აკაკისათვის, როგორც „ცის მანანა“, „პირდაპირ მკვდრეთით აღვსდგები ხოლმე, როცა შენს წერილს ვღებულობ“, — წერდა მეუღლეს უკვე მოხუცი პოეტი... წერილებში კი ერთადერთი და უმთავრესი მოთხოვნა ფული იყო, ფული, რომელიც ასე სჭირდებოდა და თითქმის არასოდეს ჰქონდა აკაკი წერეთელს... მზად იყო, ყველაფერი ეღონა, რაც კი შეეძლო, ლექციები წაეკითხა, საიუბილეო საღამოს მოწყობაზე დათანხმებულიყო მხოლოდ ერთი მიზნით, მატერიალურად გამართულიყო წელში, რომ ნატალიას მოთხოვნები შეესრულებინა, ალექსის ვალები გაესტუმრებინა... თვითონ ხან სასტუმროს ღარიბულ ნომერში ცხოვრობდა, ხან რომელიმე რედაქციის შენობაში მისთვის გამოყოფილ ოთახში, ზოგჯერ შიმშილობდა კიდეც; ხან კი, თითქოს ყველაფერზე უსაზღვროდ განრისხებული, ბანქოს ან ლოტოს თამაშში იქარვებდა სევდას... რა არ ყოფილა მის ცხოვრებაში: შიმშილი და სასოწარკვეთა, ცოლ-შვილის სიშორით გამოწვეული დარდი...

ალბათ ყველას ახსოვს აკაკის იუბილეზე გადაღებული კადრები, მისი მოგზაურობის ამსახველი ეპიზოდები... ხალხს მართლა უყვარდა, ძალიან უყვარდა და როგორ განიცდიდა მოხუცი აკაკი, რომ ეს ვერც ალექსიმ, ვერც ნატალიამ ვერ ნახეს, ვერ ჩამოვიდნენ... მამა, რომელიც აღტაცებაში მოდიოდა თუკი „ლიოლია“ (ალექსის შინაური სახელია) ორიოდე სიტყვას ქართულად მოსწერდა, ვერ იგებდა, „რატომ გაურბის ლიოლია ჩვენს მხარეს? განა მას, მისი ყველა ღირსებისათვის აქ ნაკლები პატივისცემით მოეკიდებოდნენ?“ უამრავ ვალებში ჩაფლულ, თავგზააბნეულ საკმაოდ ნიჭიერ ალექსი წერეთელს აკაკი იმედით სავსე წერილებს უგზავნიდა... ყველაფრის მოგვარებას ჰპირდებოდა, გულში კი ერთ უმწვავეს ტკივილს განიცდიდა: „მთელი ქალაქისათვის მე თავისიანი ვარ, შვილისათვის კი — უცხო“.

მთელი ცხოვრება მათ წერილებს ელოდებოდა. შვილი დროს ვერ პოულობდა მოსაწერად, ცოლი გესლიან ბარათებს უგზავნიდა. ზოგჯერ აკაკიც კარგავდა წონასწორობას: „მე დასაყრდენის მაგიერ მხოლოდ ნერვიული ადამიანები მყავს. დიახ, ასეა! თქვენთვის ეს სულერთია! თქვენ გინდათ ფული, თუნდაც შუაზე გასკდი, ოღონდ იშოვე“.

მაგრამ მერე დადარდიანებული, წარსულზე დაფიქრებული ასეთ სიტყვებს მისწერდა მეუღლეს: „რისთვის მიყვარს არსება, რომელსაც ჩემთვის უბედურების მეტი არაფერი მოუტანია? — ალბათ სწორედ იმისათვის, რისთვისაც პირადად მე ჩემი თავი მძულს. ე.ი. ჩემი ჭაბუკური შეცდომებისა და შეცოდებისათვის... მაგრამ ეს შეცდომები ხომ ჩემი ეგოიზმისა და ცუდკაცობის შედეგი არ ყოფილა. ეს იყო შედეგი ჩემი საუკეთესო ადამიანური მისწრაფებებისა... ახლა მე შენ გიყურებ როგორც ავადმყოფს. მაინც მიყვარხარ, კიდევ უფრო მეტად...“

რაოდენ ძნელი გასაგებია, როგორ წერდა ავადმყოფი, რედაქციის ერთ-ერთ ოთახში მწოლიარე აკაკი ასეთ წერილს: „რედაქციაში დამხვდა ორი წერილი: ერთი ნატალია პეტროვნასაგან, დაბერილი ნესტოები რომ აქვს, მეორე ჩემი ნატალკასაგან, ანგელოზივით თვინიერი რომ არის... მაშინაც, როცა უსამართლოდ ბერავ ნესტოებს და იქცევი ნატალია პეტროვნად, ჩემი სულის სიღრმეში მაინც ჩემს იდეალურ ნატალკად რჩები“. და ეს არ არის ახალგაზრდა, რომანტიზმით სავსე აკაკის ნაფიქრი. როცა ამას წერდა, ის საკმაოდ მოხუცებული გახლდათ... თითქოს არანაირი ობიექტური სინამდვილე არ არსებობდა აკაკის ამხელა სიყვარული რომ ესაზრდოებინა, მაგრამ რაც უფრო გაუგებარია მოკვდავთათვის, თუ რატომ უყვარდა, მით უფრო მართალია ეს გრძნობა თავის თავთან... უანგარო სიყვარული კი ყოველთვის იშვიათობა იყო...

მარტოობით, ბევრი იმედის გაცრუებით, ყოველდღიური საარსებო წყაროს ძებნით ტანჯული საქართველოს უგვირგვინო მეფე, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრეც კი, ასე სწერდა თავის სანუკვარ ცოლ-შვილს: „მშობლიურ ოჯახს დაშორებულს ძლიერ მომწყინდა, სული სულ თქვენკენ მოისწრაფვის“... ვერაფერს იტყვი...

***ლელა ჯიყაშვილი***

# შენ ვინ დაგარქვა ბიჭო, ლოლიას...

აკაკი წერეთელს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა — ალექსი. მას საინჟინრო განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ რადგან ხელოვნებას თაყვანს სცემდა, პროფესიაზე მალე აიღო ხელი და ანტრეპრიზას მიჰყვა.

ალექსი წერეთელი დედასთან ერთად, ძირითადად, პეტერბურგში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. რუსეთის დედაქალაქში იგი მიჩნეული იყო რუსული თეატრისა და მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწედ. 1902 წლიდან ხელმძღვანელობდა საკუთარ საოპერო თეატრს. სპექტაკლები იდგმებოდა სახალხო სახლის სცენაზე. 1905 წლის ზაფხულის სეზონზე მის დასში პირველად იმღერა ვანო სარაჯიშვილმა. ალექსი წერეთელი გულმოდგინედ არჩევდა საუკეთესო მომღერლებს და თავის დასთან ერთად საგასტროლოდ დადიოდა რუსეთის იმპერიის ქალაქებსა და საზღვარგარეთ, შეიძლება ითქვას, რომ მას წარმატება არ მოკლებია.

ალექსი ცხოვრობდა ლიტეინის გამზირის №51 სახლში, სადაც ხშირად სტუმრობდნენ მელიტონ ბალანჩივაძე, ვანო სარაჯიშვილი, რიმსკი-კორსაკოვი, თევდორე შალიაპინი. სწორედ ალექსი წერეთელმა წაიყვანა პირველად საგასტროლოდ ამერიკაში ეს უდიდესი მომღერალი, რომელსაც საქართველოსთან ბევრი რამ აკავშირებდა.

სამწუხაროდ, დიდი პოეტის ერთადერთმა ვაჟმა მხოლოდ საყველპურო ქართული იცოდა. აკაკი წერეთლის ფონდში დაცულია ლოლიას (ასე ეძახდნენ მას) რამდენიმე, ბავშვური ხელით ნაწერი ღია ბარათი, მამისა და მამიდის, ანასადმი მიწერილი. მას არ შეეძლო დაეფასებინა აკაკის ღვაწლი, პოეზია, თუმცა კი გრძნობდა მის დიდებულებას... ალექსი წერეთელს შთამომავლობა არ დარჩენია. რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ დედასთან ერთად გაემგზავრა პარიზში. თავიდან ხშირად დგამდა სპექტაკლებს ლონდონში, მადრიდში, რომში, სადაც მღეროდა „ვოკალის მეფე“ შალიაპინი, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, ცხოვრება მაინც ვერააწყო და 1943 წელს, 70 წლისა პარიზში სიღარიბეში გარდაიცვალა.

ალექსი წერეთლის არქივმა შემოინახა მისი დიდი მამის 90-მდე პირადი წერილი, რომლებიც მოგვიანებით საქართველოს გადმოეცა და გამოქვეყნდა კიდეც ამგვარი სათაურით — „წერილები ცოლ-შვილთან“.

***გალაქტიონ ტაგანაშვილი***

# აკაკი, პატარა ცემი და ზედნაწერი ლექსი

პარიზში, კალისტრატე სალიას რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ს 1949 წლის მე-5 ნომერში წავაწყდი ქართული ემიგრანტის, ექიმ ვახტანგ ლამბაშიძის მოგონებებს, რომელიც ცემის სანატორიუმის დაარსებას ეხება. მაგრამ გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა ის ამბავი, რომ ლამბაშიძეების ოჯახსა და პატარა ცემის სანატორიუმთან უშუალო კავშირი ჰქონია აკაკი წერეთელს და ეს მოგონება საშუალებას იძლევა, გავეცნოთ დიდი აკაკის ცხოვრების ნაკლებად ცნობილ ეპიზოდსა და ცემის სანატორიუმისადმი მიძღვნილ მის ლექსს.

აკაკი, თურმე ახალგაზრდობიდანვე მეგობრობდა ვახტანგის მამასთან, დავით ლამბაშიძესთან, რომელიც იმ მცირერიცხოვან ქართველთა ჯგუფს ეკუთვნოდა, ვინც არა უბრალოდ იდგნენ ეროვნულ ნიადაგზე, არამედ კონკრეტულ საქმეებსაც აკეთებდნენ — მას დაუარსებია საქართველოში ერთადერთი სასულიერო-საერო ჟურნალი „მწყემსი“, რომლის გამოცემაც, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, ოცდაშვიდი წლის მანძილზე არ შეუწყვეტია.

როგორც ვახტანგ ლამბაშიძე იგონებს, როდესაც აკაკი სხვიტორიდან თბილისში ან ქუთაისში მიდიოდა, აუცილებლად მათ ოჯახში ათევდა ღამეს ზესტაფონში, საიდანაც 1872 წლიდან რკინიგზით შეიძლებოდა ქუთაისში ჩასვლა. აკაკის განსაკუთრებული სიყვარული ბავშვებისადმი საყოველთაოდაა ცნობილი და ამასვე ადასტურებს ვახტანგ ლამბაშიძე: „ბავშვი, როგორც პატარა კატამ იცის და პატარა ძაღლმაც, მაშინვე იგრძნობს ხოლმე, თუ მას დიდი, უცხო ვინმე მიეალერსება... ამიტომაც აკაკის მშვენიერი სახე და სასიამოვნო ლაპარაკი მომხიბლავ მოგონებად მაქვს დარჩენილი. მისი საუბარი ჩემს დედ-მამასთან ნანასავით ყურს მიამებდა და სათაყვანებელ ბუმბერაზად მესახებოდა... ყოველთვის წაიკითხავდა ხოლმე თავის ახალ ლექსებს, რომლებსაც წარმუდგენელის სიადვილით ვიზეპირებდით მეც და ჩემი ძმაც“.

ეს თაყვანისცემა არც შემდეგ განელებულა, როდესაც ვახტანგ ლამბაშიძე უცხოეთიდან ექიმის დიპლომით დაბრუნდა და აკაკისთვის უმცროს მეგობრად და საქმიან პარტნიორად, მეტიც, მეცენატად იქცა. იგი ზესტაფონსა და მთელ შორაპნის მაზრაში ეწეოდა საექიმო პრაქტიკას და აკაკიც ისევ ხშირად სტუმრობდა მათ ოჯახს. სულ მალე, თავისი „კრებულის“ გამოცემა, აკაკიმ თბილისიდან ზესტაფონში გადმოიტანა, რითაც ამ ჟურნალს სიცოცხლე გაუხანგრძლივა სწორედ ლამბაშიძეთა ხელის შეწყობით. თუმცა ხელის მომწერთაგან ფულის გადაუხდელობის გამო, სამწუხაროდ, მოგვიანებით მაინც შეწყდა მისი გამოცემა. ზესტაფონშივე გამოუციათ აკაკის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი და ორი მცირე ფორმატიანი („ჯიბით სატარებელი“, როგორც ვ. ლამბაშიძე უწოდებს) წიგნი — „ბაში-აჩუკი“ და „კიკოლას ნაამბობი“. იმ პერიოდშივე დაუწერია და გამოუცია აკაკის თავისი ცნობილი პოემა — „მედეა“ და ვახტანგ ლამბაშიძესაც თავისი პირველი ქალიშვილისათვისაც მედეა დაურქმევია, რომელიც თავად აკაკის მოუნათლავს. საინტერესოა, რომ ეკლესიაში მათ ამის გამო წინააღმდეგობაც შეხვედრიათ — რუსული მთავრობისაგან, „მედეა“ და სხვა ბევრი სახელი აკრძალული იყო, როგორც წარმართულიო — აღნიშნავს ლამბაშიძე.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე 1898 წლიდან დაუწყია ვახტანგ ლამბაშიძეს ადგილის ძებნა სანატორიუმის ასაგებად და ხუთი წლის შემდეგ „მიუგნია“ პატარა ცემისათვის. მან და მამამისმა 1904 წელს დაიწყეს პირველი სანატორიუმის მშენებლობა და უკვე 15 ივნისისათვის მისი გახსნა და კურთხევა ჰქონდათ გადაწყვეტილი, რასაც აკაკიც უნდა დასწრებოდა, მაგრამ მისი მეგობრის ქუთაისელი ექიმის, სამსონ თოფურიას სიკვდილმა შეუშალა ხელი — იმ დროს აკაკის გული აწუხებდა და ქუთაისში სწორედ სამსონ თოფურიას კუთვნილ საავადმყოფოში მკურნალობდა, სადაც მუდმივად ჰქონია გამოყოფილი ერთი ოთახი. როგორც ლამბაშიძე აღნიშნავს, სწორედ ამ ოთახში, რომლის განუყოფელი ელემენტიც შვიდსიმიანი გიტარა იყოო, შექმნილა უკვდავი „სულიკო“ — აკაკის ლექსითა და ბარბარე მაჭავარიანი-წერეთლის მუსიკით, რომელიც აკაკის მოსანახულებლად დადიოდა ხოლმე საავადმყოფოში.

ივნისის დამლევს აკაკი ერთი დღით მაინც ასულა პატარა ცემში სანატორიუმის დასათვალიერებლად და უთქვამს: „ეხლა კი ცოტა ხნით მოვედი დასათვალიერებლად და „მარიამობის თვეში რამდენიმე დღეს დავრჩებიო“. როდესაც გაისტუმრეს, ვახტანგ ლამბაშიძეს იმ სკამის საზურგეზე, რომელზეც აკაკი იჯდა სანატორიუმის ეზოში, ფანქრით მიწერილი სტრიქონები უნახავს:

„კარგი სანატორია,
ეს პატარა ცემია,
დასუსტებულისათვის,
ჯან-ღონის მიმცემია“.
აკაკი

ლამბაშიძეს თავის მხრივ ერთ სტრიქონიც მიუმატებია:

„ხოლო დამწყებისათვის
დიდი ჭირთა მჩენია“.

სკამისათვის საზურგე მოუხსნია



და საგულდაგულოდ შეუნახავს თავის ოთახში, როგორც ძვირფასი რელიკვია. იქ ინახებოდა ეს ფიცარი „სანამ გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა მთელი სოფლის მონაწილეობით არ გაძარცვეს მთელი ჩემი სანატორიუმი. ეს მოხდა 1918 წლის თებერვალში“ — იხსენებს ვახტანგ ლამბაშიძე.

აგვისტოში, დაპირებისამებრ, სწვევია დიდი მგოსანი პატარა ცემის სანატორიუმს. ცხადია, საუკეთესო ოთახი მიუჩინეს — მთელი პერსონალი თავს ევლებოდა, ყველა ცდილობდა, ესიამოვნებინა. პატარა ცემის ბუნების სიდიადეს მოუხიბლავს აკაკი. იქ გატარებული დღეებითაც დიდად კმაყოფილი დარჩენილა და ჯანმრთელობაც საგრძნობლად განუმტკიცებია — როგორც ლამბაშიძე აღნიშნავს: „აკაკი, ბევრს კითხულობდა, ხშირად ერთობოდა ბავშვებთან ლაპარაკით. დიდებსაც ყურადღებით ელაპარაკებოდა და სიამოვნებით შეექცეოდა იქაურ საზრდოობას (ხუთჯერ დღეში). ისვენებდა ხან ფიჭვნარში, ხან ბაქანზედ, საღამოობით კი ხალიჩაზე წამოწოლილი საუბრით ერთობოდა და ჩვენთან ერთად ელოდა ხოლმე მთვარის ამოსვლას. მთვარე ამოდიოდა სანატორიუმის აღმოსავლეთით მდებარე თორთიზის მთის მწვერვალზე, რომელიც საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ ცოტა მოგვიანებით, ასე, საღამოს 10 საათზედ“. ერთხელ, სწორედ მთვარის ამოსვლის მოლოდინისას აკაკის უთქვამს ვახტანგ ლამბაშიძისათვის:

— აბა, ჩემო ვახტანგ, რომ მთხოვდი, დაგიწერე ლექსი. ხვალ დილით, ჩემთან რომ შემოხვალ, გიკარნახებ. ლექსი აქ მაქვს დაწერილი — და თავის განიერ შუბლზე მიუდია თითი.

აკაკისთან მრავალი წლის ურთიერთობის მანძილზე, ვახტანგ ლამბაშიძეს, როგორც თვითონ ამბობს, დაუფიქსირებია აკაკის ერთი ჩვევა: ხშირად, საუბრისას უცებ გაირინდებოდა და ჩაჩუმდებოდა ხოლმეო. როგორც შემდეგ გავიგე, ამ დროს ლექსს ქმნიდა, რომელსაც ზეპირად იმახსოვრებდა და მხოლოდ მოგვიანებით იწერდაო.

დილით, მართლაც შესულა ექიმი აკაკის ოთახში, მას საწერი მოწყობილობის მიტანა უთხოვია და ეს ლექსი უკარნახია:

**პატარა ცემი**

თუ სენი ვინმეს შემოჰპარვია
და გულს ისარი ნაღვლად სცემია,
მისთვის სამოთხე — საავარაკოდ
და სამკურნალოდ მხოლოდ ცემია.

ჰაერი წმინდა, ხდილი და თბილი,
სურნელ-კეთილად შეზავებული;
ირგვლივ ნაძვნარი, — ქარბუქის ფარი,
შუა — მინდორი აყვავებული.

მდინარე წყალი, ჩუხ-ჩუხ მღერალი,
ვით „უკვდავების წყარო“ კამკამი
და აიაზმად გადმონასხური,
დილა-საღამოს ციური ნამი.

მიველ გაყრის დროს დღე და ღამისა,
როცა ნათელი ბნელს ეჯიბრება,
მაგრამ ძლეული ბუნების რიგით,
რომ შეისვენოს, დროებით ჰქრება.

იქვე მახლობლად მაღალ მწვერვალზე
თავი ამოჰყო, გადმოდგა მთვარე,
ბურთი ციური სასუფევლისა,
გულ-სევდიანი, სხივ-მომფინარე.

სტყორცნა ნათელი, გამოაფხიზლა
ჩაფიქრებული იმ დროს მიდამო
და თითქოს ტკბილად უმახარობლა,
მადლი მოგიძღვნა მაღლით ზეცამო!

შეირხენ შტონი ფოთოლთ შრიალი,
ყვავილოვანი ბიბინებს ველი;
მიმოქრის სიო, ჰგალობს ბულბული,
ქვეყნად გადმოდის სასუფეველი.

გამმსჭვალა მეც ამ სანახაობამ,
ბრძმედში გამავლო და გადამცვალა,
სული ამაღლდა რა საზენაოდ,
ხორცს საამქვეყნოდ ემატა ძალა.

და ვთსქვი: ბუნებავ ძლევამოსილო,
თვით ჯანაოზი შენ ხარ მკურნალი
და ხელის შემწყობ მხოლოდ მასალად
ექიმები და მათი წამალი!

აღტაცებული ვახტანგ ლამბაშიძის თხოვნით, შემდეგში აკაკის ეს ლექსი საკუთარი ხელით ჩაუწერია საგანგებო დავთარში — შთაბეჭდილებათა წიგნში, რომელსაც მერე ყველა დამსვენებელი ავსებდა და ემაყებოდათ, რომ აკაკის ლექსის გვერდით რჩებოდა მათი ჩანაწერებიც.

თავის მოგონებაში ვახტანგ ლამბაშიძე სინანულით აღნიშნავს, — „ეს დავთარი ერთადერთია, რაც ჩემი სანატორიუმიდან გადარჩა, რომელსაც შვილივით ვუვლიდი და მართლაც ჩემს მეხუთე შვილად მიმაჩნდა“. იქვე ჩამოთვლის ღვაწლმოსილი ექიმი იმ ცნობილ ადამიანებს, რომლებმაც პატარა ცემის სანატორიუმში განიმტკიცეს ჯანმრთელობა: ვუკოლ ბერიძე, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი, გიორგი ნიკოლაძე, არჩილ ხარაძე, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, შალვა ლამბაშიძე და სხვები.

ლამბაშიძე თავის მოგონებაში მწუხარებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ ამზადებს ცალკე წიგნს პატარა ცემის სანატორიუმის შესახებ და დიდის სურვილის მიუხედავად, გასაგები მიზეზების გამო, ვერ ახერხებს იქ ნამყოფი პირების მოგონებათა გამოქვეყნებას. თუმცა სიამაყით აღნიშნავს, რომ „ბევრნი ჩემთან ნამყოფნი, პატარა ცემის წყალობით შეძენილი ძალ-ღონით ნაყოფიერად ემსახურებიან ეხლა სამშობლოს, იქაური მზის, ჰაერის და საზრდოობის წყალობით განიახლეს სხეულის ძალა. შეიძლება კიდეც გრძნობენ ამას, მაგრამ საუბედუროდ კარჩაკეტილობის მიზეზით ვერ გამოეხმაურებიან ჩემს განზრახვას და ვერ გაგვიზიარებენ თავის გრძნობებს“.

მკითხველისათვის, ალბათ, არ სჭირდება ახსნა იმას, თუ რატომ აღმოჩნდა ექიმი, მეცენატი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ლამბაშიძე ემიგრაციაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც სამშობლოს მონატრებული.

დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

***ზვიად გურული***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

7



სახაზავი ხელსაწყო

8




10



კაცობრიობის მიერ განვლილი გზა

11



ფრანგების მიერ XVI საუკუნეში შემოღებული სამხედრო წოდება

12



ნადირობის ნებართვა

17

მეფე, რომლის თავლის გაწმენდაც საგმირო საქმეთა ნუსხაში ჩაეწერა ჰერაკლეს

18



სახამებლის პროდუქტი, რომლის გამოც ასე გვიყვარს შემწვარი კარტოფილი

19




ყბის ძვალში მოთავსებული კბილის ნაწილი

20



საუბარი ჟურნალისტთან პრესაში გამოქვეყნების მიზნით

21



ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია, რომელსაც შეისწავლიდა პავლოვი

25




გერმანული ფულის ერთეული

26



სურათზე ევკლიდე (მეცნიერება)

27



გადახრა

30



ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელი მეცნიერება

31



ტოტალიზატორი თავისი არსით

34



თაღი, რომლითაც გადახურულია შენობა

35



ჰაბსბურგების სამეფო გვარის პრინცების ტიტული

36



ზიარება (ბერძნულად)

## შვეულად:

1




ექიმ ბარნარდის მიერ შესრულებული ოპერაციის არსი

2



მგზავრობის ატრიბუტი

3



კანაფის ბაგირი, გვარლი

4

სიცილიური სიტყვა რომელიც ქართულად ჟღერს ასე: „ჩვენი საქმე“

5



გეომეტრიული ფიგურა

6



სექტემბრის ქართული ხალხური სახელწოდება

9



ჩვილის სამოსი

13




სიტყვათა განმარტების მომცემი წიგნი

14



სიმეტრიის დარღვევა, უქონლობა

15



ჯგუფური გასეირნება ბუნების წიაღში საჭმელ-სასმელით

16



გვარი

22



დაბალი წნევის კამერა

23



ლითონთა შეკავშირება დნობით

24



სპეციალური მიზნით გამგზავრებული ადამიანთა ჯგუფი

28



გულითადი ამხანაგი, ლხინის მოზიარე

29



მდინარის ნაპირზე მდებარე ქუჩა

32

ტექნიკური მცენარე, ხარობს დასავლეთ საქართველოში, იხმარება მაღალი ხარისხის ტექნიკური ზეთების დასამზადებლად

33



მაინ რიდის ყველაზე ცნობილი რომანი „... მხედარი“

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ
*რამაზ ალანიამ*

**„კვირის პალიტრა“ №24 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. ხელოვნება; 8. ორანჟერეა; 10. ოჯალეში; 11. ჭიკარტი; 12. მანუალი; 16. ვენტილატორი; 18. ვისკი; 19. რუპია; 20. კაზემატი; 21. ვიტამინი; 23. დაფნა; 25. ბლერი; 27. ილუმინატორი; 30. ტრიტონი; 33. ფურშეტი; 34. კანიონი; 35. იმპორტული; 36. ტკბილეული.

**შვეულად:** 1. ჰერბიციდი; 2. ქვევრი; 3. ბანჯო; 4. კომში; 5. ეჟვანი; 6. მედალიონი; 9. ფლოტილია; 13. მანუფაქტურა; 14. თეორიტიკოსი;15. უკრაინა; 17. სურნელი; 22. სენსაცია; 24. აერარიუმი; 26. რეაქტიული; 28. ნომერი; 29. კრემლი; 31. დანია; 32. კნუტი.

## ბინები

1 ოთახიანი ბინა თემქაზე, მე-11 მ/რ-ში, 48-ე საშ. სკოლის პირდაპირ. ტელ: 32-02-54

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

ან იცვლება 3 ოთახიანი ბინა 2 ოთახიანზე. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვარტ. ტელ: 32-02-54

მიცკევიჩის ქუჩაზე 4 ოთახიანი, არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ლოჯიით, ორი სარდაფით, ტელეფონით, 5-სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. საწყისი ფასი 43.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

სასწრაფოდ! 4 ოთახიანი ჩეხური პროექტის, სუფთა ბინა მე-4 სართულზე, მე-4 მ/რ-ის დასაწყისში დახურული ლოჯიით, ორი ღია აივნით, რკინის კარით, ტელეფონით. საწყისი ფასი 9.000$. ტელ: 68-72-63

2 სართულიანი კერძო, კაპიტალური, 1989 წელს აშენებული სახლი (ოთახების ს/ფართი 120 კვმ), ბუნებრივი აირით, გათბობის სისტემით, ტელეფონით, აივნით, სარდაფით, ორი პატარა ეზოთი, მესამე სართულის აშენების პერსპექტივით. სახლი გარემონტებულია, ესაჭიროება „ციკლოვკა" და კოსმეტიკა. ტელ: 899 52-26-69. ნუგზარი

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

## მილოცვა

**მაგული ჯინჭარაძეს!**

ჩვენო უსაყვარლესო და უთბილესო დედიკო! გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს და სულ ასეთი კარგი იყავი შენი ოჯახისა და აღსაზრდელებისათვის.

*სიყვარულით მამუკა, ნათია და დათო ცინცაძეები*

ყველაზე „როფა", დიდთავა „ნიფერს"

**ბაჩი შავშიშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ კაი-კაი რამეებს. მალე სტუდენტობაც მოგვილოცოს. „შენ ჩვენი მზე ხარ ამომავალი, ცისკრის ვარსკვლავი და სხვა მრავალი!".

*დაბრუდილი სიყვარულით თათო, დათო და თეა*

**შაკუნა მაღრაძეს!**

შაკუნა, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ წარმატებას და სიბრძნეს ცხოვრებაში, მამისეულ სახლში მალე დაბრუნებას, მამის ღირსეული სახელის ღირსეულად ტარებას.

*დიდი სიყვარულით მამიდა*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა — ჯიბის ფულით (ხელფასი), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

## მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89; 97-42-77. ნინო ჭელიძე

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი. არ არსებობს მოურჩენელი თმა, შედეგი — პირველივე სეანსზე. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტელ: 57-50-49. მარიკა

ყურადღება! მშობლებო! დროზე დაეხმარეთ შვილებს! სიმაღლეში ზრდა 4-18 წლამდე (5-10 სმ); ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება: კუნთოვანი დაავადებები, განკურლოგია, მარილების დაშლა ფრანგული პრეპარატებით. ტ: 52-65-18. თამარი; 61-75-81. მზია

სილამაზის სალონი „პოდიუმი-777"! თმის მოდელური შეჭრა კატალოგების მიხედვით — 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება — 5-7 ლარი; მელირება (5-7 ფერი) — 15 -30 ლარი; ქიმიური გასწორება — 20 ლარი; შეღებვა (WELLA) — 12 ლარი; საბანკეტო და საქორწილო ვარცხნილობები — 20 ლარი. თქვენ მოგემსახურებათ სტილისტი ირა გურჯიანი. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №113 (მილიციის ეზოში). ტელ: 95-08-83 (სამს); 68-28-17 (ბინა). 899 57-46-40 (მიღება ჩაწერით)

> სს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81

COMPUTER COMPANY „PULSAR" — კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები ტელეფონით: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

> შპს „ხვეული კიბე"! — უახლესი დიზაინითა და მაღალი ხარისხით მუხის კარ-ფანჯრები, ნებისმიერი სირთულის ხის შიდა კიბეები; მარნებისა და ბუხრების ხით მოპირკეთება. ტელ: 22-02-44; 69-19-52; 65-86-62

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

ფირმების, კავშირის, საწარმოს რეგისტრაცია სწრაფად, რეალურად დაბალ ფასში; იურიდიული და სადვოკატო მომსახურება; შეღავათები დევნილებისა და სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. „მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის ასოციაცია". მის: რუსთაველის 38. II სართ. ტელ: 93-11-51; 62-56-52

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის. მარჯანიშვილის №23. (მეტროსთან) VI სად. (ეზოდან) ბინა №1. მიღება წინასწარი ჩაწერით, სამშაბათს, ხუთშაბათს, 18-20სთ. შაბათს 12-16სთ. ტ: 35-20-06

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის: აბზიანიძის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ენაბლუობის მკურნალობა უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას 18ა, რეაბილიტაციის ცენტრში. VI სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. ტელ: 39-01-12 (სამს. 10-15 სთ); 39-58-77 ბინა.

> ეფექტური მკურნალობა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მთამომავლის ფიტოთერაპევტ ეთერ შავაძის და ბელა კოზირიძის მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით: კუჭ-ნაწლავის დაავადებები, ბუასილი, ბრონქიტი, პროსტატიტი, კეროვანი გამელოტება. მის: ქავთარაძის ქ. №18, შპს „სამკურნალო კომბინატი", ოთახი №423; სამშაბათს, ოთხშაბათს, 12-15 სთ, ან მარჯანიშვილის ქ. №63. ტელ: 96-25-82

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეშხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58

გთავაზობთ არაქიმიურ მკურნალობას სრული განკურნების გარანტიით: ეპილეფსია, შიზოფრენია, ნარკომანია, ალკოჰოლომანია, კლიმაქსი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, გაფანტული სკლეროზი, ფიბრომა, კისტა, მიომა, სოკო, ეგზემა, ფსორიაზი, ჰეპატიტი C. მის: მარჯანიშვილის 5, II სართ, ოთახი 214. ტ: 60-02-49

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ. მიღება რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

> სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGEMAKER). ტელ: 34-32-79

გერმანულ-ქართული ფირმა „DAWIT"-ი გთავაზობთ უცხო ენებისა და კომპიუტერზე მუშაობის შესწავლას ინდივიდუალურად. თქვენ მოგემსახურებიან კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც შეგიქმნიან საუკეთესო პირობებს, თქვენთვის სასურველ დროს. ტელ: 98-78-26 „DAWIT"-ი — ბედნიერი მომავალი თქვენს ცხოვრებაში!

შპს აუდიტური ფირმა „მელიტა" გთავაზობთ: თანამედროვე პრაქტიკულ ბუღალტერიას; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, კომპიუტერული პროგრამების და „ინფო-ბუღალტრის" შესწავლას. გაიცემა სერტიფიკატი. მის: წერეთლის გამზ. №142. „სამთო ქიმიის" შენობა, ოთახი 80. ტელ: 34-22-64; 899 56-32-64; 899 56-32-09

EPS (English Primary School) იწვევს სკოლის მოსწავლეებს ინგლისური ენის შესასწავლად, ქართულ და რუსულ სექტორზე. სწავლება მოიცავს ოთხ ეტაპს საწყისი დონის გათვალისწინებით. ტელ: 39-73-71 (18 სთ-ის შემდეგ)

საზღვარგარეთ წამსვლელთა და ნებისმიერ მსურველთა საყურადღებოდ! ვასწავლი სასაუბრო რუსულ ენას უმოკლეს დროში. შეიძლება ბინაზე მისვლაც. ტელ: 62-88-64; 62-82-30; 899 54-92-60

მიღება კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება: კანის ანატომია, დეფექტები, მკურნალობა, მაკიაჟის დამზადება (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ეპილაცია, მასაჟი, ლოსიონები, ნიღბები და სხვა. შეიძლება სწავლა დაუსწრებლადაც — თვეში 2-ჯერ გამოცხადებით. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, დადიანის ქ. №26. (მეტრო „ვაგზლის მოედანი"). ტელ: 66-53-56

## იყიდება

ნებისმიერი კომერციული საქმიანობისათვის გამსახურდიას №36-ში 125 კვმ ფართის ყოფილი ფოტო-სტუდია მაღალი ჭერით, სველი წერტილებით, ტელეფონით, მის ქვემოთ განლაგებული სარდაფის პრივატიზაციის პერსპექტივით. ტელ: 95-51-63; 899 58-35-13

პიანინო „პეტროფი". ტელ: 32-02-54

გთავაზობთ ხორბალს, ქერს და მზესუმზირას ნებისმიერი რაოდენობითა და საბითუმო ფასებში (პირველი ხელიდან). ტელ: 899 57-33-98

> რეგისტრირებული 100%-იანი ნატურალური, მცენარეული ლოსიონი „ანსალიტი" ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სინთეტიკური პრეპარატებისაგან. მის. კაბ. „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13; „ანსალიტი" თქვენი ბავშვებისათვის არატოქსიური, უსაფრთხო, ნატურალური არჩევანია!

ბალზაკი, 15 ტომი — 50 ლარი (რუსულად); ასი ოპერა რუსულად, 2 წიგნი — 10 ლარი; ლეო ტაქსილი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი — 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) — 5 ლარი; 2 ტომეულები (ცვაიგი, ჰიუგო, ჰემინგუეი, მერიმე და ა.შ.), რუსულად, 2 ტომი — 5 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად — 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

> ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ნერვიულობით სავსე და დაძაბულია; „ნევროსტიმით" მკურნალობა ყოველდღიურ სტრესს სწრაფად უმკლავდება; დამამშვიდებელი, მცენარეული წვეთები „ნევროსტიმი" მკურნალობს ნევროზს, გაღიზიანებადობას, შიშის სიმპტომებს, არეგულირებს წნევას, აწესრიგებს ძილს. მის. მოზრდილთა პოლიკლინიკა №13 (ოპერის პირდაპირ) კაბინეტი №26. ტელ: 37-38-13 (მოიკითხეთ აფთიაქებშიც).

## შევიძენ

შევისყიდით გრძელ თმას. დასაქმებულ ქალთა პარიკმახერებს ვთავაზობთ თანამშრომლობას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

დედოფლისწყაროს რაიონული სააღსრულებო ბიურო იტყობინება, რომ 2000 წლის 27 ივნისს სიღნაღის რ-ნის სოფ. ვაქირში დანიშნულია იძულებითი აუქციონი, იყიდება სააქციო საზოგადოება „ალაზნის ველის" ღვინის ქარხანა ვალის დაფარვის მიზნით. საწყისი ფასი 350.000 ლარი. მსურველებმა მოაკითხონ სიღნაღის სასამართლოში სასამართლო აღმასრულებელს.

დედოფლისწყაროს რაიონული სააღსრულებო ბიურო იტყობინება, რომ 2000 წლის 28 ივნისს სიღნაღის რ-ნის სოფ. წნორში, ზურაბაშვილის ქ. №3-ში დანიშნულია იძულებითი აუქციონი, იყიდება სააქციო საზოგადოება „ქიზიყის" ღვინის ქარხანა ვალის დაფარვის მიზნით. საწყისი ღირებულება 1.500.000 ლარი. მსურველებმა მოაკითხონ სიღნაღის სასამართლოში სასამართლო აღმასრულებელს.

## ხსოვნა



18 ივლისი შენი დაბადების დღეა, ია! ყვავილის სახელი გერქვა ყვავილივით ნაზსა და მშვენიერს, 20 წელში ჩაატიე ყველაფერი — მეგობრების უსაზღვრო სიყვარულიც, ოჯახის შექმნაც, სტუდენტობაც... შემდეგ კი მარადიულ ტკივილად იქეც. ოცდამეერთე დაბადების დღეს შენს გარეშე ვხვდებით შენი უბედური მშობლები, ძმა და შენი ნიკა.

ამბობენ, ვარსკვლავები არ კვდებიან, ვარსკვლავები ქრებიანო მხოლოდ. შენც ვარსკვლავი იყავი და ამიტომაც ჩაქრი ასე უეცრად და ტრაგიკულად, მეუღლის ხელებში დალიე სული. იქნებ მომაკვდავისთვის შენი უბედური დედის ხელს ტკივილი შეემსუბუქებინა, ია, მაგრამ მავანთა უგულობამ არ ინება ეს.

იძინე მშვიდად, ჩემო პატარა, ლამაზო გოგო! ბაღდათის თბილი მიწა მოგიშუშებს ტკივილებს. ჩვენ კი რა დაგვრჩენია მოთმინებისა და მოგონებების მეტი.

*დედა*

**ჯუბა ჩუხუას ხსოვნას**



ჩვენო ჯუბა, შენი დაღუპვიდან წამივით გაირბინა ერთმა წელიწადმა. თითქოს გუშინ იყო, საბერძნეთიდან ბედნიერი რომ დაბრუნდი, ყველასთვის გინდოდა შენი სიხარული გაგეზიარებინა, რომ მიზანს მიაღწიე. არადა, რამდენი იშრომე, რამდენი იმოგზაურე, მიზნისთვის რომ მიგეღწია. ჩამოსვლისთანავე შემოიარე თბილისის ყველა უბანი, ყველა მეგობარი, ყველას ეფერებოდი, ყველას იმედს აძლევდი, თითქოს მართლაც ემშვიდობებოდი.

მაგრამ რა ვიცოდით, თუ ეს წუთისოფელი ასე ულმობელია, რომ შენი ჩამოსვლიდან მესამე დღეს აღარ გვეყოლებოდი.

ჩვენო ჯუბა, წახვედი და თან წაიღე შენი სიხარული, აუხდენელი გეგმები. ჩვენ კი დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი. ცრემლი არ უშრება შენს დამწუხრებულ დედას, ძმას, ძმისშვილებს, მეუღლეს. შენი ობოლი ნუციკო კი შენს სურათებს დაჰყურებს, ეფერება და იგონებს ერთად გატარებულ ბედნიერ წუთებს.

შენი მეგობრები შენს საფლავთან თავდახრილები დგანან და შესანდობარს გიგზავნიან. შენ ხომ ირგვლივ სიყვარულს, სიკეთეს და იმედს თესავდი. ძალიან გვენატრები ჯუბა, ძნელია ჩვენთვის უშენოდ ყოფნა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ვაჟკაცური და სპეტაკი სული სამარადისო სასუფეველში.

*შენი ოჯახი*

**ლილი შავგულიძე-ჩიტეიშვილის ხსოვნას**



შენი ცხოვრება იყო უსასრულო ბრძოლა — ომში დაჭრილი მეუღლის გადარჩენისათვის, შენი შვილებისა და შვილიშვილების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. სანაქებო რძლის უდროო სიკვდილმა ხომ მთლად გაგანადგურა. მოგვაკლდი ყველას.

*შენი ბიძაშვილები: ჯილდა, მარინე კორდაძეები, სიძეები: ირაკლი გოგინაშვილი, ანზორ ლუარსაბიშვილი, ბიძაშვილიშვილი: იკა გოგინაშვილი*

**ლია ლომინაძის გახსენება**



ვისთვის სად გასრულდა გზები მარათონის,
ვის ადრე შეუწყდა, ვისთვის გაიწელა,
შენი გასვლის დროა, დიდო ქალბატონო,
მზე, რაც გეკუთვნოდა, შენიც დაიწვერა.
შენ არ გეკადრება ცრემლთა პროცესია,
ცრემლი მათ სჭირდება, ცოდვა რომ ამძიმებთ,
ალბათ ვარსკვლავების გუნდი მოგესია,
და მშვიდი გალობით გზას გაგიადვილებს.
სხეული ჯანდაბას, სხეული მტვერია,
ჩრდილები მსუბუქად გვაწყვია გონების
რა შემზარავია გლოვის მისტერია,
რა შემზარავია ჩოჩქოლი ყორნების.
მზეებმა სივრცეებს უნდა გაგათოვლონ,
ქარები შენს ბილიკს მაინც იპოვნიან.
სიჩუმემ მოგიცვა, დიდო ქალბატონო,
ჩვენთან კი ისევ ჟღერს გლოვის სიმფონია.

თქვენში არსებობდა უსაზღვრო სითბო და უზომო სიყვარული, ლამაზი სულის არნახული სიმტკიცე — რაც მიწიერთათვის უცხოა და გაუთავისებელი. თქვენ ხომ ქრისტესმიერი სიყვარულით ცხოვრობდით, სიყვარულით იღვწოდით, სიყვარულით სუნთქავდით.

ჩვენო უმშვენიერესო ქალბატონო! ჩვენ ვგლოვობთ! წესია, თორემ თქვენნაირებს გლოვა და ცრემლი არ უხდება. თქვენთვის მხოლოდ მუხლმოყრილნი უნდა ვლოცულობდეთ.

*მარინა და ტარიელ ხარხელაურები*


უფასო განცხადებების გაზეთი

36 გვერდზე

სიტყვა და საქმე

33-10-03 33-10-05



ყოველ ნომერში: 5000-მდე განცხადება,

დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი




*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

CMYK

# სანამ საქართველოში ავტომობილებს რეალური მყიდველი გაუჩნდებოდეს



დღეისათვის საქართველოში საავტომობილო ბაზარი ცივილიზებული სახით თითქმის არ არსებობს. ის თითზე ჩამოსათვლელი დილერები, რომლებიც დასავლური პროდუქციის რეალიზაციას ანარმოებენ, ვერ მუშაობენ იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ქვეყანაში თითქმის არ არსებობს მყიდველუნარიანი მოსახლეობა, და თუ არსებობს, ასეთი მყიდველები თითზე ჩამოსათვლელები არიან. მეორეც, ახალი ავტომობილების რეალიზაციას ერთობ აფერხებს ე.წ. სექენდ ჰენდების — ხელმისაწვდომი ფასის მქონე ნახმარი ავტომობილების სიჭარბე შავ ბაზარზე.

ავტომობილის საუკუნეში ასეთი განუვითარებელი ბაზრის ქონა, ცოტა არ იყოს, სირცხვილია, მაგრამ რას იზამ, რეალობას ვერ გაექცევი და გიწევს იმით დაკმაყოფილება, რის საშუალებასაც ცხოვრება გაძლევს.

ჰოდა, ქართველი ავტომოყვარულიც თავის მოთხოვნებს ძირითადად ნახმარი ავტომობილებით იკმაყოფილებს და ასე იქნება მანამ, სანამ ქვეყანაში საშუალო ფენა არ ჩამოყალიბდება. სწორედ ისეთი, რომელმაც თავის დროზე დიდი მოგება მოუტანა ჰენრი ფორდის მიერ ახლად ჩამოყალიბებულ კომპანიას, რომელმაც პირველმა დაამკვიდრა ამ ინდუსტრიაში კონვეიერი და ამით შეძლო სწორედ საშუალო ფენისათვის ხელმისაწვდომი ფასის მქონე მანქანების მასობრივად გამოშვება.

თავად საქართველოს არ გააჩნია საკუთარი საავტომობილო წარმოება და ასეთ პირობებში ჩვენი ბაზარი მთლიანად უცხოურ პროდუქციას აქვს დაპყრობილი. თუმცა, იმაზე ოცნებაც კი, რომ უახლოეს მომავალში ქართულმა ქარხანამ სამამულო ავტომობილი გამოუშვას, ცოტა არ იყოს,ნაადრევია.

დღეს კი ჩვენებურ ბაზარს ფაქტობრივად შავი ბაზრის სახე აქვს. ქვეყანაში გაყიდული ავტომობილების დიდი უმრავლესობა დიღომში მდებარე ბაზრობაზე იყიდება და ვისაც ჯიბეში ცოტა ფული დაუგროვდება, საყიდლად სწორედ იქ მიდის. შეიძლება გასაკვირია, რომ ამ ბაზარზე მრავლად არის ისეთი ნახმარი მანქანები (ძირითადად „ბეემვეები“ და „მერსედესები“), რომელთა ფასშიც თავისუფლად შეიძლება ახალი, თუნდაც უფრო დაბალი კლასის ავტომობილების ყიდვა.

მაგრამ მყიდველს ვერ გაამტყუნებ. იგი არჩევანს აკეთებს 5-10 წლის ლუქსის კლასის ავტომობილზე (ამ მანქანების ფასი წლოვანებისა და მდგომარეობის მიხედვით 5-10 და ზოგჯერ მეტი ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს) და თუნდაც ამ მანქანების ასაკი საკმაოდ დიდია, მათი პრესტიჟულობა მაინც თავისას შვრება (ვინ რა იცის, ეს მანქანა ახალი იყიდე, თუ შენამდე მის ექსპლუატაციას ვილაც ევროპელი ეწეოდა). თანაც, ქართული მენტალიტეტი რთულად ეგუება ისეთ მოდელებს, როგორებიცაა „შკოდა ფელიცია“, ან „ჰიუნდაი ათოსი“ და მისთანები.

ახალი „გოლფის“ (და მისი კლასის ავტომობილების) საყიდლად კი მინიმუმ 14 ათასი დოლარია საჭირო და მიუხედავად იმისა, რომ დილერი მათ საგარანტიო მომსახურებით და სხვა უპირატესობებით სთავაზობს მყიდველს, ამ უკანასკნელს თვალი მაინც „ბეემვეებსა“ და „მერსედესებზე“ უჭირავს — ამაში გასაკვირი კვლავ არაფერია. ეს ავტომობილები თავიანთი გამძლეობით და აქედან გამომდინარე, მომსახურებაზე ნაკლები დანახარჯებით გამოირჩევიან.

ახალი ავტომობილების მუშტარი, ძირითადად, უცხოური ფირმები და ორგანიზაციები, ასევე სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებია. თუ რომელიმე დილერს გაუმართლა, იგი ამ სერიოზული კლიენტისგან ერთჯერად მსხვილ შეკვეთას მიიღებს. მერე კი თითოეული მყიდველის სალონში შემოსვლას დიდი რუდუნებით დაელოდება.

მაგრამ, მთავრობამ უკვე დაიკმაყოფილა მოთხოვნები (უფრო მეტიც, ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ ზედმეტადაც დაიკმაყოფილა), უცხოური ფირმები კი ჩვენში არც ისე მრავლად არიან (აქ ხომ მათ ბიზნესს თითქმის არ გააჩნია აუცილებელი ხელშეწყობა) და ცივილიზებული ავტობაზარიც სტაგნაციურ სიტუაციაში აღმოჩნდა.

ამის მერე არც ის არის გასაკვირი, რომ თბილისში გამართულ პირველ საავტომობილო გამოფენაზე მხოლოდ რამდენიმე კომპანიის დილერმა გამოფინა თავისი პროდუქცია. მათ შორის, ვინც ეს ვერ მოახერხა, ბევრი ისეთია, რომელსაც ვერ მისდის კარგად საქმე და შესაბამისი თავისუფალი თანხები არ გააჩნია. ისეთებიც იყვნენ, ვისაც რეკლამის ნაკლები იმედი აქვთ (როცა ბაზარი არ არსებობს, რეკლამაც ვერ იმუშავებს).

ზოგმა კი, უბრალოდ, ამჯობინა, დალოდებოდა ახალ საბაჟო კანონს, რომელიც, მათივე იმედით საგრძნობლად გააუმჯობესებს მათ საქმეს.

როცა ბაზარი თითქმის არ არსებობს, არც სპეციალური საავტომობილო გამოცემები გვაქვს. მაგრამ ასეთი გამოცემის როლი შეუძლია შეასრულოს „კვირის პალიტრის“ რუბრიკამ „ავტო“, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველს რეგულარულად გააცნობს არა მარტო მსოფლიო დონის სიახლეებს და ინდუსტრიაში მიმდინარე მოვლენებს, იგი ეცდება გააშუქოს ჩვენებურ ავტობაზარზე მიმდინარე მოვლენები და იმედია, ამით ქართველი ავტომოყვარულის მოთხოვნებს მინიმალურად მაინც დააკმაყოფილებს.

# „გრანდ ჩეროკის“ წარმოება მცირდება

კომპანია „დაიმლერ კრაისლერმა“ გამოაცხადა, რომ მალე დაიწყებს პოპულარული ჯიპის, „გრანდ ჩეროკის“ წარმოების შემცირებას. ეს ავტომობილი დღეისათვის ორ ქალაქში, დეტროიტსა და ავსტრიის გრაცში ეწყობა. შემცირება კი ძირითადად დეტროიტული ქარხანა „ჯეფერსონ ნორთ ასემბლის“ შეეხება.

კომპანიამ გამოაცხადა, რომ წარმოების შემცირების მიზეზია ავტომობილზე მოთხოვნის დაკლება, რაც გამოწვეულია აშშ-ის ბაზრის ჯიპების სეგმენტზე კონკურენციის უაღრესად გამწვავებით.

ბოლო წლებში ამერიკაში განსაკუთრებული პოპულარობით სწორედ ამ კლასის ავტომობილები სარგებლობენ, რასაც უკვე ბევრი ავტომწარმოებელი გამოეხმაურა. ზოგიერთი ისეთი კომპანია (ბეემვე, ლექსუსი, ბუიკი, ოლდსმობილი), რომლებიც ადრე საერთოდ არ აწარმოებდნენ ჯიპებს, ახლა ყველა ღონეს ხმარობს ამ ბაზრის ასათვისებლად, რასაც შედეგად პროდუქციით ბაზრის გადატვირთვა მოსდევს. შესაბამისად, მცირდება მოთხოვნა ადრე დამკვიდრებულ მოდელებზე, რაც აისახა კიდეც „გრანდ ჩეროკის“ გაყიდვების შემცირებაში.

არადა, კომპანიამ შარშან 300 ათასზე მეტი ახალი მოდიფიკაციის „გრანდ ჩეროკი“ გაყიდა. თუმცა, წლევანდელი სამოდელო წლის პირველ კვარტალში შარშან გაყიდული 68.270 ავტომობილის ნაცვლად მხოლოდ 64.442 ავტომობილის გაყიდვა მოხერხდა. მსოფლიო ბაზარზე მოსალოდნელი გაყიდვების შემცირების ტენდენციის გათვალისწინებით ეს სერიოზული მაჩვენებელია და შედეგმაც არ დააყოვნა.

„ჩვენი ძალისხმევა მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებაზეა მიმართული. ამჯერად ბაზარმა წარმოების მოცულობის შემცირება მოგვთხოვა და ჩვენც შესაბამისად ვპასუხობთ ამ მოთხოვნას. სხვაგვარად კონკურენციის გაძლება კიდევ უფრო ძნელი იქნება“, — განაცხადა კომპანიის პრესმდივანმა ტრევორ პეილმა.

„მათი ნაბიჯი ლოგიკურია. თუ თვალს გადავავლებთ „დაიმლერ კრაისლერის“ პირველი კვარტალის რიცხვებს, აშკარა გახდება, რომ გაზრდილი დანახარჯების მაგივრად კომპანია სულ უფრო ნაკლებ მოგებას ნახულობს“, — ამბობს ანალიტიკური კომპანია „გოლდმენ საქსის“ ექსპერტი გერი ლაპიდუსი. „გრანდ ჩეროკიზე“ თავის დროზე დიდი მოთხოვნა იყო, მაგრამ მაშინ ეს მოდელი ერთპიროვნულად ლიდერობდა ბაზარზე. ახლა სიტუაცია იცვლება და ამას კომპანია შესაბამისად პასუხობს“.

მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული საავტომობილო ანალიტიკოს ჯონ კასეზას თქმით, „გრანდ ჩეროკის“ განსაკუთრებით ავიწროებენ „ლექსუს RX 300“, „ჯენერალ მოტორსის“ ახალი მოდელები და განსაკუთრებით „ფორდ ექსპლორერი“, რომელიც ჯიპების ბაზარზე დღეს ერთპიროვნული ლიდერია.





გრანდ ჩეროკი და მისი კონკურენტები

თავად განსაჯეთ: მაღალი კლასის ჯიპების ბაზრის მოცულობა აშშ-ში ბოლო ერთ წელიწადში 12.7%-ით გაიზარდა. ამ დროს „გრანდ ჩეროკის“ გაყიდვებმა 5,6%-ით იკლო. სამაგიეროდ, გაიზარდა „ლექსუსების“ (38,4%-ით), „მიცუბიში მონტეროსა“ (43,8%-ით) და „ექსპლორერის“ (12,4%-ით) შესაბამისი მაჩვენებლები.

მართალია, „დაიმლერ კრაისლერი“ შეამცირებს „გრანდ ჩეროკის“ წარმოებას, რასაც ქარხანაში დასაქმებულთა სამუშაო საათების შემცირება მოჰყვება, მაგრამ როგორც „ჯეფერსონ ნორთის“ პროფკავშირებმა განაცხადეს, ამას არ მოჰყვება მუშახელის ანაზღაურების შემცირება.

# რვა კომპანიამ საერთო ჯამში უკან 740.000 ავტომობილი გაიხმო



აშშ-ის საგზაო უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა გამოაქვეყნა ყოველთვიური რელიზი, რომლის მიხედვითაც ამერიკის ბაზარზე მოქმედმა რვა საავტომობილო კომპანიამ სხვადასხვა პრობლემის გამო უკან გაიხმო დაახლოებით 740 ათასი ავტომობილი და მსუბუქი პიკაპი.

ამ რვა კომპანიას შორის, რა თქმა უნდა, სამივე ამერიკული ავტომწარმოებელი — „ჯენერალ მოტორსი“, „ფორდი“ და „დაიმლერ კრაისლერის“ ჩრდილოამერიკული შტო (კრაისლერი) მოხვდა. დანარჩენები არიან: „ჰიუნდაი“, „ისუძუ“, „მაზდა“, „ფერარი“ და „როლს როისი“.

საბედნიეროდ, როგორც რელიზი გვაუწყებს, ავტომობილების უკან გახმობა არ გამოუწვევია საგზაო შემთხვევებს — მწარმოებლებმა თავად აღმოაჩინეს უწესრიგობები თავიანთი პროდუქციის კონსტრუქციაში.

„ფორდმა“ უკან გაიხმო 1996-98 წლებში გამოშვებული 325.167 ცალი „ფორდ კონტური“ და „მერკური მისტიკი“, რადგან ამ ორი იდენტური მოდელის უკანა მუხრუჭების მწყობრიდან ნაადრევი გამოსვლის შესაძლებლობა გამოვლინდა. სანამ ეს მოხდებოდა, „ფორდის“ დილერებს 530-ჯერ მოუხდათ ამ უწესრიგობის საგარანტიო მომსახურების ხარჯზე აღმოფხვრა.

„ჯენერალ მოტორსმა“ შესაკეთებლად უკან გაიწვია 1999-2000 სამოდელო წლების „შევროლე ექსპრესი“ და „ჯი-ემ-სი სავანა“ მინივენები, რომელთა საჭის გამაძლიერებლის ჰიდრავლიკიდან ზეთის ძრავზე ჟონვას შეიძლება ხანძარი მოჰყოლოდა.

ცოტა არ იყოს, სასაცილოა მიზეზი, რის გამოც „დაიმლერ კრაისლერმა“ გაიწვია 17 ათასი ცალი „დოჯ სტრატუსი“, „კრაისლერ სირუსი“ და „პლიმუტ ბრიზი“, რომლებსაც უგერგილოდ ჰქონდათ დამაგრებული მარკის აღმნიშვნელი ემბლემები.

„ჰიუნდაიმ“ საერთო ჯამში 100 ათასზე მეტი ავტომობილის უფასო ერთდროული რემონტი ითავა. 84 ათასზე მეტ ორ მოდელს, „ელანტრასა“ და „ტიბურონზე“ აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია მათი საწვავის ავზების გაფუჭება, რასაც შეიძლება ხანძარი მოჰყვეს. ამის გარდა, საქარე მინის უწესრიგოდ დამაგრების გამო 16 ათასი „აქცენტი“ იქნა უკან გახმობილი.

„ისუძუმ“ 213 ათასზე მეტი ჯიპი „როდეო“ და „ამიგო“ იმიტომ გაიხმო უკან, რომ წუნი აღმოჩნდა მათი უკანა ხიდების კონსტრუქციაში. „მაზდამ“ 71 ათასი ცალი მოდელი „626“ გაიხმო უკანა მუხრუჭების შესაძლო ნაკლებად ეფექტურობის შიშით.

„ფერარიმ“, იტალიური გიგანტი „ფიატის“ შემადგენელმა ნაწილმა, 477 ცალი მოდელი F355 გაიწვია იმის გამო, რომ მათში მუხრუჭების ეფექტურობის შესაძლო შემცირების საშიშროება აღმოაჩინა. წარმოიდგინეთ, ამ სუპერავტომობილს მაღალ სიჩქარეზე (მისი მაქსიმუმი საათში 325 კილომეტრია) რომ მუხრუჭებმა უმტყუნოს. ამას დაემატა 173 ცალი „მოდენა 360“, რომლებშიც წუნიანი აღმოჩნდა მოცურების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა. მისი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მკვეთრი დამუხრუჭებისას ავტომობილი მართვას კარგავს.

„როლს როისმა“ კი, რომელიც გერმანული „ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შედის, მოდელ „ბენტლი არნეჟში“ წუნი აღმოაჩინა საწვავის მიწოდების სისტემაში, რასაც შეიძლება ხანძარი მოჰყვეს.

რა თქმა უნდა, ამ აქციებით ზემოთ აღნიშნულმა კომპანიებმა დიდი ზარალი იწვნიეს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მათ ამით თავიდან აიცილეს შესაძლო უბედური შემთხვევები მათი პროდუქციის მომხმარებელთა შორის. შესაბამისად, არ შეიბღალება მათი მარკის იმიჯი.

*მოამზადა ავთანდილ ონიანმა*

# რა ელის ლარს?

ქვეყანაში სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. ბიუჯეტის კატასტროფული შეუსრულობის საკითხს ქვეყნის უშიშროების საბჭო განიხილავს, მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტი ყველაზე „დიდ“ რეფორმატორებსაც კი, უკანასკნელად აფრთხილებს, თუმცა სიტუაციის გაუმჯობესების ნიშნები ჯერ არ ჩანს. შეუსრულებელი ბიუჯეტის პირობებში მთავრობას არ ძალუძს მოსახლეობის პენსიებისა და ხელფასების დავალიანება გაისტუმროს, რომელიც წელს, 5 თვეში, დაახლოებით, 300 მლნ ლარამდე გაიზარდა (შარშანდელი დავალიანება 245 მლნ-ს შეადგენს). ვერაფერი მოუხერხეს კონტრაბანდასა და კორუფციასაც, რომელთა გრანდიოზული მასშტაბები, როგორც შუბი ხალათში, არანაირი საშუალებით აღარ იფარება და საქვეყნოდ გვჭრის თავს. ახლა გულის ფანცქალით ველით თბილისში ჩამოსული სავალუტო ფონდის მისიის დასკვნას, რომელიც წინდაწინვე ცნობილია, რომ ძალიან მკაცრი იქნება. უკვე გაისმის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთ (თუ ერთადერთ, არა) გზად, შესაძლოა, ემისია, ანუ მიმოქცევაში ფულის დამატებითი გაშვება იქცეს. ამ ნაბიჯისაგან ხელისუფლება ალბათ ბოლო მომენტამდე შეიკავებს თავს, რადგან ამით ჩვენი ეკონომიკის ის უკანასკნელი ფორ-პოსტიც დაეცემა, რასაც ლარის სტაბილურობა ჰქვია.

რამდენად რეალურია ასეთი საფრთხე, ამაზე თავის პროგნოზს სამი სხვადასხვა პოზიციის მქონე ექსპერტი გვიზიარებს.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი **რომან გოცირიძე:** როცა ხელფასები დასარიგებელია, შემოსავლები კი არ არის, პრობლემების გადაჭრის სამი გზა არსებობს: შემოსავლების გაზრდა, რაც წელს ნამდვილად არ მოხერხდება, საერთაშორისო დახმარების მიღება, რაც ასევე გამორიცხულია და ემისია. ეროვნულმა ბანკმა უნდა მისცეს მთავრობას სესხი ახალი ფულადი ნიშნებით ხელფასებისა და პენსიების დასარიგებლად. ამ გზის გამოყენება ქვეყანას იმ შემთხვევაში შეეძლო, თუკი შარშან სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარებები შემოვიდოდა და მათ ხარჯზე ეროვნული ბანკის რეზერვები გაიზრდებოდა. ამჟამად ეროვნული ბანკის რეზერვები 120 მლნ დოლარს შეადგენს, რაც მარტო წელს გადასახდელ საგარეო ვალებსაც ვერ დაფარავს.

— ***ანუ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ემისია მოსალოდნელია?***

— მე მგონია, რომ შეუძლებელი იქნება სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი ელემენტარული ხარჯების გაწევაც კი, თუ ეროვნულმა ბანკმა არ დააფინანსა მთავრობა. მაგრამ ეს სავალუტო ფონდის პოზიციაზეც იქნება დამოკიდებული; გასარკვევია, მოგვცემს თუ არა ის ამის უფლებას. ემისია ისე უნდა განხორციელდეს, რომ ლარის კურსი არ დაეცეს. ეს პროცესი კი ეროვნულმა ბანკმა უნდა არეგულიროს. მან და მთავრობამ უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ კურსი სტაბილური იქნება, ყოველ შემთხვევაში, იგი არ გადასცდება ბიუჯეტში ჩადებულ პარამეტრებს და ერთი დოლარი 2,05 - 2,1 ლარი ეღირება...

ეროვნული ბანკის მთავარი დილერი **სოსო ფხაკაძე:** ბოლო პერიოდში ლარის კურსის აწევა შეინიშნება. ეს ძირითადად სეზონურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. ზაფხულის დასაწყისიდან, როგორც წესი, საგადამხდელო ბალანსი უმჯობესდება, ანუ მცირდება იმპორტი მისი ნაწილის ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლების ხარჯზე. ეს კი ლარის კურსის სტაბილურობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს.

— ***ხომ არ ემყარება ლარის სტაბილურობა იმასაც, რომ ბაზარზე ლარის მასა საკმაოდ მცირეა?***

— ვერ დაგეთანხმებით, რომ მიმოქცევაში ლარის მასა მცირეა. იგი ქვეყნის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზეა დამოკიდებული და მათი შესაბამისია. თუ, ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკა დამატებით ფულად სახსრებს მოითხოვს, ისინი მიეწოდება მიმოქცევის არხებს.

რაც შეეხება უშუალო კავშირს ფულის მასასა და გაუცემელ ხელფასებს შორის, იგი არ არსებობს, რადგან ეროვნული ბანკი არ არის ის ორგანო, რომელმაც უნდა დაფაროს დავალიანება. ამ ხარჯების გასტუმრება მიმდინარე შემოსავლებიდან უნდა მოხდეს.

— ***ანუ ის ფაქტი, რომ მოსახლეობას ელემენტარული სახარჯო ფული არა აქვს, არანაირად არ აისახება ლარისა და დოლარის კურსზე?***

— თუ ქვეყანა შეძლებს გაისტუმროს მოსახლეობის დავალიანება და მოსახლეობაში სახსრები, ლარის მასა გაჩნდება, ბუნებრივად წარმოიშვება დამატებითი მოთხოვნა საქონელსა და უცხოურ ვალუტაზე. მაშინ ეროვნული ვალუტის ნაწილი უცხოურ ვალუტაზე გადაიცვლება. ამას ლოგიკურად უნდა მოჰყვეს ლარის კურსის დაწევა. ეს ჭეშმარიტებაა. თუმცა ეროვნულ ბანკს, ასეთ შემთხვევებში, რეგულირების დამატებითი მექანიზმები აქვს დოლარზე ზედმეტი მოთხოვნის გასანეიტრალებლად.

— ***ფინანსთა სამინისტრომ ეროვნული ბანკიდან მისაღები სესხების წლიური ლიმიტი უკვე ამოწურა. არადა ვალდებულებების დაფარვის მხრივ მეტად მძიმე ვითარებაა. ზოგი ექსპერტი გამოსავლად ემისიას ასახელებს. მართებული იქნება თუ არა ამ ხერხისთვის მიმართვა?***

— საბიუჯეტო დავალიანებების ეროვნული ბანკის ემისიით დაფინანსება არასწორი გზაა. ამაზე არც ეროვნული ბანკი წავა და არც სავალუტო ფონდი, რომელიც ამის კატეგორიული წინააღმდეგი იქნება. ეს გადაწყვეტილება ყველანაირად წამგებიანი გახდება საქართველოსთვის.

— ***რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მიმდინარე საბიუჯეტო კრიზისმა ლარის კურსზე?***

— ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად აუცილებელია ფულად-საკრედიტოსთან ერთად საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემაც ეფექტიანად მუშაობდეს. მხოლოდ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეკონომიკურ სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს.

ეროვნული ბანკის საქმიანობა ერთადერთი სფეროა, რომელსაც მკაცრი სავალუტო ფონდი დადებითად აფასებს, გადასახადებს რომ ვერ ვკრებთ და ბიუჯეტი, თითქმის, არ გვაქვს, ამაზე სხვისი დასტური აღარ გვჭირდება, ჩვენც კარგად ვიცით, საკითხავი ის არის, როდემდე იარსებებს ქვეყნის ეკონომიკა მის ორ უმთავრეს შემადგენელ ნაწილს შორის ასეთი მკვეთრი დისბალანსით.

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი აქვს ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს, „აღორძინების“ წარმომადგენელს **ნოდარ ჯავახიშვილს**: — მე არ მინდა, რომ საზოგადოებამ ძალიან დიდი ყურადღება მიაქციოს ლარის სტაბილურობას ან არასტაბილურობას. ამას აზრი არ აქვს, რადგან მოსახლეობას ლარი, უბრალოდ, არ გააჩნია და, შესაბამისად, არც კურსს აქვს მისთვის რაიმე მნიშვნელობა. ხოლო იმას, ვისაც ბევრი ლარი აქვს, მისი ბედი მით უმეტეს არ აწუხებს, რადგან ავტომატურად გადაჰყავს დოლარებში. ასე რომ, ამჟამინდელ სტაბილურობას, რუსული გამოთქმისა არ იყოს, „Как мертвому припарки“, მნიშვნელობა აქვს. ლარი სტაბილურია იმიტომ, რომ ის მიმოქცევაში საჭირო რაოდენობით არ არის, სახელმწიფოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისადმი უზარმაზარი დავალიანება აქვს და არ ხდება ემისია. მე ემისიის მომხრე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ არ შეიძლება, ხელისუფლებამ რაღაც დონეზე მაინც არ შეასრულოს თავისი ვალდებულებები. თუ ეს ბიუჯეტის და უცხოური დახმარებების მეშვეობით არ ხერხდება, ქვეყანას მეტი გამოსავალი არ რჩება, ემისია უნდა დაუშვას. ამ შემთხვევაში, ემისიის მოცულობიდან გამომდინარე, ლარი შეიძლება მნიშვნელოვნად დაეცეს.

— ***გამართლებულად მიგაჩნიათ ემისიის დაშვება დღევანდელ სიტუაციაში?***

— თუ ხელისუფლებას არ შეუძლია რაღაც დონეზე ისეთი ბიუჯეტი მაინც შეასრულოს, როგორიც წლევანდელია, სხვა დანარჩენზე საუბარი ზედმეტია, ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს. ამას ოპოზიციონერობის გამო კი არ მოვუწოდებ, უბრალოდ, ჩანს, რომ მას ქვეყნის მართვა აღარ შეუძლია. აღარც იმის თქმა შეიძლება, მოდი, კიდევ ერთხელ ვცადოთო. ეს პირველი ცდა არ იყო. ძალიან დიდი ხანია, ბიუჯეტს ქრონიკულად ვერ ვასრულებთ. საქართველოს არც არასდროს შეუსრულებია იგი, მაგრამ იყო წლები, როცა შესრულება 90%-ს აჭარბებდა. 1996 წელს საქართველო ერთადერთი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რომელსაც მოსახლეობის ერთთეთრიანი დავალიანებაც კი არ დარჩა. ახლა კი, ამ ციცქნა ბიუჯეტსაც 60-65%-ით ვასრულებთ.

— ***თუ ემისიის ეკონომიკური აუცილებლობა დადგება, ხელისუფლება კიდევ უფრო წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდება, რადგან ლარის სიმყარით თავს ვეღარ მოიწონებს...***

— სულაც არ არის აუცილებელი, ემისია ისე დიდი მოცულობის იყოს, რომ კატასტროფა გამოიწვიოს. ინფლაციაც და ლარის კურსის დაცემაც პროგნოზირებადია და შეიძლება ეს თანდათანობით გაკეთდეს. თუ ფულის მასას ბაზარს ულუფებით მიაწვდი, მისი დიდი ნაწილის დასაქონლება მოხდება. ეკონომისტებმა იციან, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკის მართვის ერთ-ერთი მეთოდია. შესაძლოა, ე.წ. ინფლაციური სტიმულირებაც განხორციელდეს. რა თქმა უნდა, ვინმემ რომ დღეს 300 მლნ ლარის გამოშვება გადაწყვიტოს, ლარს კუპონზე უარესი ბედი ელის. მაგრამ თუ იგივე თანხა თანდათანობით გაიშვება მიმოქცევაში და პარალელურად, ამას ბიუჯეტის შევსების მხრივაც პოზიტიური ნაბიჯები მოჰყვება, შესაძლოა, ასეთი მწარე ეფექტი არ მოგვცეს. თუმცა, ინფლაცია აუცილებლად გაიზრდება.

— ***თუ ხელისუფლება ემისიას მაინც დაუშვებს, ეს დროებით შვებას მოიტანს, თუ მას პოზიტიური ცვლილებების ჯაჭვი მოჰყვება?***

— ქვეყანას, სადაც ამ დონის კორუფციაა, არაფერი უშველის. ეს მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ კორუფცია და ხელისუფლების კრიმინალიზაციის დონე შემცირდება, საბიუჯეტო შემოსავლები კი, გაიზრდება.

***გვანცა კვინიკაძე***




1998 წლის 5 იანვრამდე ლარის კურსი სტაბილური იყო და 1,3-ის ნიშნულს არ ასცილებია




## კითხვა-პასუხი

***პაციენტთა უმრავლესობა პანიკურ შიშს განიცდის ბორმანქანის მიმართ. იქნებ არსებობს სხვა საშუალება დაზიანებული კბილის სამკურნალოდ?***

***კერესელიძე***

ბორმანქანით გამოწვეული შიში მართლაც უარყოფითად მოქმედებს პაციენტთა ემოციაზე, რის გამოც ისინი თავს არიდებენ კბილის მკურნალობას. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მისი ხმაურიც კი აფრთხობს ავადმყოფს. ამერიკელმა სტომატოლოგებმა გამოიგონეს კბილის სამკურნალო აპარატურა ლაზერის სხივით, რომელიც კარიესული ღრუს მკურნალობის საუკეთესო საშუალებაა, არც მტკივნეულია და, ამავე დროს, ბორმანქანისგან განსხვავებით, უხმაუროდ მოქმედებს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კბილის ლაზერის სხივით მკურნალობა უკვე ინერგება.

***სტომატოლოგთა დახელოვნების ინსტიტუტი***

***მრიცხველზე აღნიშნულ თანხას სისტემატურად ვიხდი. მაქვს ერთი ნათურა, სხვა მოწყობილობა (ტელევიზორი, მაცივარი და ა.შ.) არ გამაჩნია. ინკასატორი თვეში 5-6 ლარს მთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხაზის გადაჭრით იმუქრება. მეკუთვნის თუ არა ამდენი თანხის გადახდა?***

***მარტოხელა პენსიონერი ნუგზარ ნიკოლაიშვილი***

მრიცხველზე აღნიშ- ... ) ზედმეტი თანხა კი ... გაუცხელებელი (ატმორი) თუ მრიცხველი ნორმალურ მდგომარეობაში არ არის (დაზიანებულია).

***ჯუმბერ ღონღაძე, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მთავარი სპეციალისტი***

***საქართველოს ისტორიის მე-7 და მე-8 კლასის სახელმძღვანელოებში ...ოთსა და იმავე ისტორიულ მოვლენაზე სხვადასხვა თარიღია აღნიშნული. გვაინტერესებს, რომელ ავტორთა სახელმძღვანელოთი ისარგებლოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტმა?***

***თ. ხუციშვილი, თბილისი***

თქვენს შეკითხვაში არ არის დაკონკრეტებული, რომელი თარიღია სადავო, ამიტომ, როცა ერთსა და იმავე საკითხის შესახებ სხვადასხვა სახელმძღვანელოში განსხვავებული თარიღია მოცემული, სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტმა უზუსტობის აღმოსაფხვრელად უნდა მიმართოს ხსენებული დისციპლინის მასწავლებელს, რადგან საგნის მასწავლებელი ვალდებულია იცოდეს ამა თუ იმ მოვლენის აღმნიშვნელი ზუსტი თარიღი.

***რ. გურგენიძე, განათლების სამინისტრო***

***ვცხოვრობ საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, რომელსაც აქვს სართულშუა ხის გადახურვები. მაინტერესებს, ჩემი თანხმობის გარეშე თუ აქვს მეზობელს უფლება, ჩემს ქვემოთ თავის სარდაფში გახსნას სტომატოლოგიური კაბინეტი 30 კვმ ფართზე?***

***თბილისი***

არსებობს მშენებლობის ნორმა იმის შესახებ, თუ საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე რა დაწესებულება შეიძლება განთავსდეს. კერძო სახლებში მეზობელი თქვენს დაუკითხავად განკარგავს თავის ფართობს, საერთო სარგებლობის ბინებში კი, უნდა დაეკითხოს მეზობელს. რაც შეეხება სარდაფში სტომატოლოგიური კაბინეტის გახსნას, იგი ქალაქის არქიტექტურულ ნორმით დაუშვებელია, ხოლო პირველ სართულზე მისი განთავსება დასაშვებია.

***ვ. რცხილაძე, თბილქალაქპროექტის მთავარი არქიტექტორი***

***გარდამეცვალა მარჩენალი მეუღლე, მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი (8 და 10 წლის). მე არ ვმუშაობ. გთხოვთ განგვიმარტოთ, რა დახმარება გვეკუთვნის და რა სახის პრივილეგია არის გათვალისწინებული გადასახადებში?***

***ლ.თ.***

მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო სახელმწიფოს მიერ ორ მცირეწლოვან ბავშვზე დაწესებულია პენსია თვეში 28 ლარის ოდენობით (თითო შვილზე 14 ლარი). თუ მეუღლის გარდაცვალებიდან 3 თვის მანძილზე წარადგენთ საბუთს თქვენი რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში, პენსია მოგეცემათ მეუღლის გარდაცვალების დღიდან. 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ პენსია გაიცემა სოციალურ განყოფილებაში მიმართვის დღიდან. კომუნალურ გადასახადსა და ელექტროენერგიაზე შეღავათი ან სხვა სახის დახმარება ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის.

***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პოლიტიკის დეპარტამენტის საპენსიო პოლიტიკის სამმართველო***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 17 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,960 |
| **გერმანული მარკა** | 0,955 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 2.964 |
| **ევრო** | 1,869 |
| **რუსული რუბლი** | 0,069 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,031 |

შტამპების და ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
საბუღალტრო ანგარიშგება
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:
იურიდიული; ფილოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, მათემატიკის, პედაგოგიური, ჟურნალისტიკის, უცხო ენების.
წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.
9 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს ლიცეუმი
მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა, III-IV სართ.
☎ 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07; 38-87-26

მეორადი მოხმარების ევროპული ტექნიკა იაფად. გარანტია 3 თვე
ტელევიზორები — 300-500 ლარამდე;
სარეცხი მანქანები (ავტომატური) — 270-500 ლარამდე;
ჭურჭლის სარეცხი მანქანები;
გაზქურები და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა.
სახლში მიტანა და დამონტაჟება უფასო
მის: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №9, მაღაზია „ლიბერტი“, I სართ.
☎ 899-55-25-36

ფირმების რეგისტრაცია
თარგმნა და ბეჭდვა
სწრაფად, იაფად
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ, ოთ. 639
☎ 99-02-80; 899-53-91-91

# გუსინსკი დაიჭირეს და... გამოუშვეს



მედიამაგნატ ვლადიმირ გუსინსკის დაპატიმრებას ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა. ასეთი დონისა და გავლენის მქონე მეწარმე რუსეთში პირველად დააპატიმრეს. გენპროკურატურის ცნობით, იგი ეჭვმიტანილია ძალზე დიდი რაოდენობით სახელმწიფო საკუთრების მიტაცებაში, რაც პეტერბურგის ტელეკომპანია „რუსკოე რადიოს" პრივატიზაციაში გამოიხატება. მაგრამ რასაც არ უნდა ამბობდნენ კრემლში, დაპატიმრების მიზეზი „მედია-მოსტის" მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა დამოუკიდებლობა და ხელისუფლების მიმართ მათი კრიტიკული დამოკიდებულებაა. სხვა ყველაფერი - რა თქმა უნდა, ნიუანსია.

ადვოკატ პ. ასტახოვის თქმით, გამომძიებლებმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს. ისე დააპატიმრეს, რომ დანაშაული არ წაუყენებიათ. ვლ. გუსინსკი ბუტირკაში მოათავსეს, მასთან შედარებით „ლეფორტოვო" კურორტია. გუსინსკის დაპატიმრება რუსეთის პრეზიდენტის ესპანეთში ყოფნას დაემთხვა. პუტინი ესპანეთის მეფესთან ერთად ვახშამს უნდა მისჯდომოდა, როცა „მოულოდნელი" ამბავი აცნობეს — არაფერი ვიცი, გენპროკურატურა თავად წყვეტსო — განაცხადა პუტინმა და დაურთო — დეტალები ჩემთვის უცნობიაო.

თუ რუსეთის პრეზიდენტმა არაფერი იცოდა, გამოდის, რომ ქვეყანას სხვები მართავენ. ხელისუფლება შურს იძიებს იმის გამო, რომ გუსინსკის ჰოლდინგში შემავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ვერ მოათვინიერეს და არც თავად გუსინსკიმ დატოვა ქვეყანა.

**მიხაილ გორბაჩოვი**: გუსინსკის დაპატიმრების მიზეზი გახდა ნტვ-ს (იგი შედის ჰოლდინგში „მედია-მოსტ") სიუჟეტი, რომელშიც ლაპარაკი იყო კრემლის კორუფციაზე. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი პუტინი უნდა დაბრუნებულიყო ესპანეთიდან და საკადრისი მიეზღო მათთვის, ვინც დაუშვა გუსინსკის დაპატიმრება. თავის დროზე მეც მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, სიტუაცია ვთქვათ ვილნიუსში ან თბილისში „კონტროლდებაო", ამავე დროს ჩემს ზურგსუკან სრულიად სხვა ხდებოდა. ამიტომაც პრეზიდენტმა გადაჭრით უნდა იმოქმედოს.

**„ვაშინგტონ პოსტი"**: კრემლი ცდილობს გუსინსკის ჰოლდინგი აიძულოს შეწყვიტოს პრეზიდენტის კრიტიკა.

**„მირორი"**: შესაძლოა გუსინსკის დაპატიმრება არის იმ ჯგუფის ძალთა დემონსტრირება, რომლებიც პუტინის საშუალებით მართავს რუსეთს.

P.S. ***მოგვიანებით ცნობილი გახდა რომ გუსინსკი გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს.***

***რუსული პრესის მიხედვით***

# პუტინის საიდუმლო არდადეგები ესპანეთში

როგორც გაზეთი „თაიმსი" იუწყება, ვლადიმირ პუტინის ვიზიტს ესპანელებისათვის მაინცდამაინც დიდი სიამოვნება არ მიუნიჭებია, რადგან გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არალეგალურად არაერთგზის სწვევია ესპანეთს. ესპანეთის პოლიციამ შემთხვევით შეიტყო, რომ ცნობილ სოტოგრანდეს კურორტზე ისვენებდნენ რუსი მილიონერები. პუტინი, მალაჩინოსან რუსებთან ერთად, სტუმრობდა ამავე კურორტზე, ბორის ბერეზოვსკის სახლში. ბერეზოვსკის მეზობლად ცხოვრობდა ის ადამიანი, ვისზეც ესპანელი პოლიციელები ეჭვობდნენ, რომ რუსული მაფის ბოსი იყო.

მაშინ პუტინი ჰიბრალტარზე ჩაფრინდა, იქიდან ესპანეთში გემით ჩავიდა და თავისი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის შესახებ არავისთვის უცნობებია. პოლიციამ დაადგინა, რომ პუტინი შარშან ხუთჯერ ეწვია ამ კურორტს.

პუტინის ვიზიტები სოტოგრანდეში მას შემდეგ შეწყდა, რაც იგი რუსეთის პრემიერ-მინისტრი გახდა.

***კომერსანტი №107***

# ჩეჩნეთს ახალი მეთაური ჰყავს



ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მეთაურად დაინიშნა მუფთი აჰმად-ხოჯა კადიროვი. რუსეთის პრეზიდენტისათვის ადვილი არ იყო ამის გადაწყვეტა; ეტყობა, ბოლოს მაინც „დიდი ბოროტებიდან უმცირესი ბოროტების" არჩევის პრინციპი გამოიყენა.

კადიროვი მუსულმანი მეცნიერია (ერთ ხანს გროზნოს ისლამური ინსტიტუტის რექტორი იყო). ამგვარი ხარისხით მას შეუძლია გახდეს ისეთი ფიგურა, რომელიც დარაზმავს ჩრდილოეთ კავკასიისათვის ტრადიციული ისლამის სუფისტურ მიმდინარეობას „რევიზიონისტ-ვაჰაბისტებთან" საბრძოლველად. როგორც ჩანს, სწორედ ეს არის მისი დანიშვნის მთავარი მიზეზი. კადიროვის კარიერა იჩქერიის სახელმწიფოებრიობის დაწყებასთანაა დაკავშირებული. იგი იმ ჩეჩენ სასულიერო პირებს განეკუთვნება, რომლებიც მხარს უჭერდნენ დუდაევის პოლიტიკას. ჩეჩნეთის პირველ ომში კადიროვი იარაღით ხელში ებრძოდა ფედერალებს. მუფთის წოდება მან მასხადოვის დახმარებით მიიღო. შემდეგ კი ვაჰაბიტების მიმართ მასხადოვის დათმობების გამო, გაწყვიტა იჩქერიის პრეზიდენტთან ურთიერთობა და გადავიდა ფედერალურ ძალთა მხარეზე.

რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელს იმდენივე მოწინააღმდეგე ჰყავს, რამდენიც მხარდამჭერი და ამიტომ ისმის კითხვა, შეძლებს კი იგი ჩეჩნეთის პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას?

***სეგოდნია №126***

# კვლავ ყარაბაღის პრობლემის შესახებ

პაკისტანის სამხედრო ლიდერმა, გენერალმა ფარვიზ მუშარაფმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ყარაბაღის პრობლემის გადასაწყვეტად რადიკალური გზა შესთავაზა. ამასთანავე, ყარაბაღის დასაბრუნებლად გენერალი „ნებისმიერ სამხედრო დახმარებას" დაჰპირდა. ამის შესახებ თვით მუშარაფმა ალიევთან შეხვედრის შემდეგ აუწყა ჟურნალისტებს: „ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტა აზერბაიჯანის შინაური საქმეა. ყარაბაღი ამ სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია და ამ პრობლემას თავისი საშუალებით გადაწყვეტს", — აცხადებს მუშარაფი, და თუ ბაქო კონფლიქტის მოგვარებისთვის სამხედრო გზას აირჩევს, ისლამაბადი მას სამხედრო დახმარებას აღმოუჩენსო. თავის მხრივ ჰეიდარ ალიევმა დაარწმუნა, რომ აზერბაიჯანი ყოველთვის მხარს დაუჭერს პაკისტანის სამხედრო პოზიციას ქაშმირის პრობლემის გადაწყვეტისას. ამ ფაქტმა დელის სასტიკი რეაქცია გამოიწვია.

გენერალ მუშარაფს არაერთხელ მოუთხოვია სომხეთისგან, „გაეყვანა ჯარები ოკუპირებული აზარბაიჯანის ტერიტორიიდან". ამის სანაცვლოდ ბაქო ყარაბაღს ფართო ავტონომიას ჰპირდება.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ნაირა მელქუმიანს მიმართეს შეკითხვით:

**— როგორ კომენტარს გაუკეთებდით ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციას ყარაბაღის პრობლემის შესაძლო მოწესრიგების თაობაზე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ტერიტორიული გაცვლის საშუალებით?**

— არავინ არაფრის გაცვლას არ აპირებს. ვფიქრობ, ეს შორს მიმავალი მიზნების ოსტატურად გათამაშებული პოლიტიკური ინტრიგაა. ტერიტორიული გაცვლის ვარიანტი, ჩემი აზრით, თუნდაც იმიტომ არ არის სწორი, რომ ყარაბაღის კონფლიქტი — სულაც არ არის ტერიტორიული დავა და მისი აქამდე დაყვანა, რა თქმა, უნდა კონფლიქტის არსის შეცვლას ნიშნავს. მეტსაც გეტყვით — სავსებით დაუშვებელი და შეუძლებელია სომხეთის ერთი ტერიტორიის, ასევე სომხეთის მეორე ტერიტორიაზე გაცვლა.

**— რა აზრისაა ოფიციალური სტეფანაკერტი მთიან ყარაბაღში კონდომინიუმის — აზერბაიჯანისა და სომხეთის მხრიდან ერთობლივი მართვის იდეაზე?**

— მთიანი ყარაბაღი, როგორც სახელმწიფო, მყარად დგას ფეხზე, ამიტომაც არანაირად არ საჭიროებს ვინმეს მმართველობის, მით უფრო ორმაგი მმართველობის ქვეშ ყოფნას. რაც შეეხება ამერიკელების მიერ შემოთავაზებულ თავისუფალი ასოციაციის კონცეფციას, მას აქვს საინტერესო ელემენტები. საერთოდ ვფიქრობ, რომ დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი ანალოგიური პრობლემის გადაჭრის გამოცდილება და ამის საფუძველზე შეიქმნას ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების ახალი მოდელი.

***კომერსანტი №105***

# რეზერვაციათა ფედერაცია



ერთი წლის წინ, 1999 წლის ივნისში, 78 დღის ავიათავდასხმების შემდეგ, სერბი გენერლები ნატოელებთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და რეკორდულად მცირე დროში შეათანხმეს კოსოვოდან თავიანთი ჯარის გამოყვანა.

დღეს ბელგრადში კვლავ მილოშევიჩი მბრძანებლობს, მას არც ნატოს ბომბები აშინებს, არც ევროკავშირის ეკონომიკური სანქციები და არც ოპოზიციის მიტინგები. დემოკრატიული სერბეთის კონტურები ძლივს იკვეთება, პაწაწინა ჩერნოგორიაში კი ახალი კონფლიქტი მწიფდება.

ერთი წლის წინ დაბომბილ იუგოსლავიას ეკონომიკურ კატასტროფას, პოლიტიკურ კრიზისს, ლამის სამოქალაქო ომს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყველაფერი არცთუ ცუდად წარიმართა. ზამთარი არც ცივი იყო და არც უშუქო. იუგოსლავიის ხელისუფლებამ შეძლო სწრაფად აღედგინა ელექტრომომარაგება, ყველგან ააშენეს ხიდები და საცხოვრებელი სახლები. სერბეთის აღდგენის კამპანიის წარმატება შემთხვევითი არ არის. პრეზიდენტმა სახალხო მეურნეობის აღსადგენად სპეციალური გადასახადები შემოიღო და რიგი კომპანიებისა აიძულა შეღავათიანი ფასებით ეწარმოებინათ მშენებლობა. სერბეთში, მართალია, ცუდად ცხოვრობენ, მაგრამ არა იმდენად ცუდად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო. მოსახლეობის მესამედი სიღარიბის ზღურბლზეა და მილოშევიჩიც აღარ უყვართ, მაგრამ მძლავრი ოპოზიცია არ არსებობს, ამიტომ მოქმედი ხელისუფლების აგონია, რა თქმა უნდა, კარგა ხანს გაგრძელდება. მილოშევიჩი კი ძალაუფლებას ებღაუჭება, გაერომ იგი სამხედრო დამნაშავედ ცნო და პრეზიდენტის პოსტიდან მისი წასვლა დაპატიმრებას და ჰააგაში სასამართლოს ნიშნავს. ამიტომაც მილოშევიჩი აძლიერებს რეპრესიებს ოპოზიციის წინააღმდეგ. რა გზას უნდა დაადგეს ოპოზიცია? ნატოს მიერ განხორციელებული დაბომბვების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებრიობას ველარ მიმართავს, რადგან ოპოზიცია მართალია მალავს, მაგრამ ცხადია, რომ ფინანსიურ დახმარებას ღებულობდა ნატოს წევრი ქვეყნებიდან. ექსპერტები ოპოზიციას ურჩევენ რუსეთს მიმართონ, მაგრამ რუსეთი იუგოსლავიის მთავრობას ეხმარება ფულით და გაზით. გაეროს მიერ სამხედრო დამნაშავედ გამოცხადებული იუგოსლავიის თავდაცვის მინისტრი პუტინის ინაუგურაციასაც კი დაესწრო. ეგებ შესაძლებელი იყოს მილოშევიჩის კანონიერი გზით დამხობა? მემრისს პარლამენტმა იუგოსლავის პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. ჩერნოგორია იუგოსლავიას გამოეყო, ამიტომაც არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას, არც სერბეთის ოპოზიციური კოალიცია მიიღებს მონაწილეობას. გამოდის, რომ ხელისუფლება კვლავ მილოშევიჩს დარჩება.

რაც შეეხება ჩერნოგორიას, ოდესღაც იუგოსლავიის უმშვენიერეს კუთხეს, იგი ტურიზმით ცხოვრობდა. ახლა იქ ტურისტები თითქმის აღარ ჩადიან, ამიტომ პაწაწინა რესპუბლიკა კონტრაბანდით ირჩენს თავს. მას ესაზღვრება იტალია (ზღვით), ალბანეთი, ხორვატეთი, კოსოვო, სერბეთი, ბოსნია და სერბთა რესპუბლიკა. ათი წლის წინ ეს ადმინისტრაციული წარმონაქმნები არ არსებობდა, მაგრამ საზღვრები იყო და მათი გავლით გაჰქონდათ და გამოჰქონდათ სიგარეტი და ბენზინი. რაც უფრო მკაცრი იყო ეკონომიკური სანქციები, მით ხელსაყრელი იყო კონტრაბანდა. ჩერნოგორია სერბეთთან მშვენიერ დამოკიდებულებაში იყო და ომებშიც მას უჭერდა მხარს. 1996 წელს ყველაფერი შეიცვალა. ჩერნოგორიის ლიდერი ჯუკანოვიჩი მილოშევიჩის პარტიას გამოეყო, 1998 წელს კი ომში სერბეთის მხარეზე არ დადგა.

ამჟამად სერბეთსა და ჩერნოგორიას შორის სახელმწიფო საზღვარი არსებობს, მაგრამ დასავლელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გამოყოფის პროცესი ალბათ მშვიდობიანად ვერ დამთავრდება.

***იტოგი №24***

# ორი კორეა ერთმანეთს შეხვდა

ფხენიანის ისტორიაში პირველად შეხვდა ერთმანეთს გაყოფილი კორეის ორი ლიდერი: კაპიტალისტური სამხრეთის პრეზიდენტი კიმ დე ჯუნი და კომუნისტური ჩრდილოეთის ხელმძღვანელი კიმ ჩენ ირი. ორი კიმის მოლაპარაკება 27 წუთს გრძელდებოდა. შეხვედრის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, სამიტის შინაარსი საიდუმლოებით არის მოცული და მას ზოგადი ფორმულირება მიეცა — „ორმხრივი პრობლემის განხილვა". ამ დღეს ჩრდილოეთ კორეაში რატომღაც არც ერთი გაზეთი არ გამოსულა, სეულის ტელევიზია მთელი დღე მხოლოდ გერმანიის გაერთიანების სცენებს უჩვენებდა. უცხოელი ჟურნალისტებიდან სამიტს მხოლოდ 4 აკრედიტებული ჟურნალისტი ესწრებოდა: სამი ჩინელი და ერთი იტარ-ტასის კორესპონდენტი. კიმ დე ჯუნს 150 ოფიციალური წარმომადგენელი ახლდა, ყველა მათგანი შემოსილი იყო შავი კოსტიუმით, თეთრი პერანგითა და შავი ჰალსტუხით. ჩრდილოელმა კიმმა და მისმა ამალამ უპირატესობა ყავისფერ უნიფორმას მიანიჭა.



სამხრეთელმა კიმმა თავის კოლეგას ორი თეთრი ლეკვი ჩამოუყვანა საჩუქრად, რომლებსაც სახელად „მშვიდობა" და „გაერთიანება" ჰქვიათ. საპასუხოდ, „დიადმა" და „საყვარელმა" (ასე უწოდებენ) კიმ ჩენ ირმაც ძაღლი აჩუქა. სენსაციური შეხვედრა, რასაკვირველია, ჯერჯერობით, ურღვევ მეგობრობას არ ნიშნავს, მაგრამ მტრობა ნამდვილად წარსულს ჩაბარდა.

***კომსომოლსკაია პრავდა №105***

# მშიერთა ომი



შავ კონტინენტზე მომხდარი სხვა კონფლიქტების მსგავსად ეთიოპია-ერიტრიას შორის კონფლიქტი არც ეთნიკური და არც რელიგიური ხასიათისაა — ორივე ქვეყნის მცხოვრებთა უმეტესობა ქრისტიანები არიან და ორივე ქვეყანას ტიგრაის ხალხთა წარმომადგენლები უდგათ სათავეში. კონფლიქტის მიზეზი ტერიტორიული დავა გახდა: ერთიანი სახელმწიფოს გაყოფის შემდეგ გაირკვა, რომ ყოველი მათგანი თავისებურად კითხულობს კოლონიალურ რუკას და დარწმუნებულია, რომ მოწინააღმდეგე მხარემ მისი მიწის ნაწილი მიიტაცა. გარდა ამისა, ეთიოპია ძალიან უკმაყოფილოა წითელ ზღვაზე გასასვლელის დაკარგვით. ომი მოკავშირეებს შორის 1998 წელს დაიწყო, როცა ცხადი გახდა, რომ ახალი „დემოკრატიული" რეჟიმები თავს ვერ აღწევდნენ ქრონიკულ ეკონომიკურ კრიზისს. როცა ცხოვრების დონე კიდევ უფრო ძირს დაეცა, ვიდრე „სოციალისტური" ეთიოპიის დროს, საზღვარზე პირველი გასროლის ხმა გაისმა. ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობა ცდილობს შიდა უკმაყოფილება გარეშე მტერზე გადაიტანოს და მოქალაქეებში პატრიოტიზმის გრძნობა გაამძაფროს. წლეულს, საშინელი გვალვის ფონზე, საბრძოლო მოქმედებები კიდევ უფრო გააქტიურდა. ახლანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს 15 წლის წინანდელ მდგომარეობას, როცა გვალვამ ჰუმანიტარული კატასტროფა გამოიწვია და კრიზისის მიზეზიც გახდა, რასაც მენგისტუს რეჟიმის დამხობა მოჰყვა.

ომი და საზღვარგარეთიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარება ორივე ქვეყნის ხელისუფალთ დიდ შემოსავალს აძლევს.

***იტოგი №24***

# მოკლედ

**მოსკოვში,** 60 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი რუსი დრამატურგი გრიგორი გორინი. ტელემაყურებლები მას კარგად იცნობდნენ პოპულარული გადაცემიდან „თეთრი თუთიყუში", სადაც მას პარტნიორობას უწევდა სატირიკოსი არ. არკანოვი.

გარდაიცვალა პლანეტის უხუცესი ადამიანი **მარია დო კარმო ჟერონიმო**. იგი 1871 წელს დაიბადა და 17 წლამდე მონა იყო.

**ამერიკის** კინემატოგრაფიის ინსტიტუტმა ყველა დროის ასი საუკეთესო კინოკომედიის სია გამოაქვეყნა, რეიტინგი შედგენილია აშშ 1.800 ავტორიტეტული კინემატოგრაფისტის და კრიტიკოსის გამოკითხვის შედეგად. პირველი ადგილი ერგო ბილ უაილდერის „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან". მეორე — სიდნეი პოლაკის „ტუტსის" და მესამე — სტენლი კუბრიკის — „დოქტორ სთრეინჯლავს".

**სირიის** პრეზიდენტის კანდიდატად ქვეყნის პარლამენტმა აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის ვაჟიშვილი — 34 წლის ბაშარი დაასახელა, თუმცა თავისი პრეტენზიები სახელმწიფო მეთაურის პოსტზე საფრანგეთში მცხოვრებმა ასადის ძმამ, 65 წლის რიფაატ ასადმა განაცხადა.

## მიირთვით მეტი პომიდორი



ტორონტოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პომიდორი, ეს ლოყაწითელი ნაყოფი, საუკეთესო საშუალებაა ყოველგვარი სიმსივნური წარმონაქმნის წინააღმდეგ. თუ პომიდორს დიდი რაოდენობით მივირთმევთ, შეიძლება არა მარტო თავის დაცვა სიმსივნეების, მასტოპათიისა და სეფსისისგან, არამედ უკვე წარმოქმნილი დაავადების განვითარების შეჩერებაც.

პომიდორში აღმოჩენილია ნივთიერება ლიკოპინი, რომელიც, სხვათა შორის, ამ საოცარ ბოსტნეულს წითელ ფერს აძლევს. ლიკოპინი ებრძვის ზემოთ ჩამოთვლილ სნეულებებს და ამავე დროს, ანელებს სიბერის პროცესსაც. ექიმებმა დაადგინეს, რომ მკერდის სიმსივნით დაავადებულებს ორგანიზმში ლიკოპინის რაოდენობა დაბალი აქვთ. ადამიანის ორგანიზმს არ ძალუძს თავად გამოიმუშაოს ლიკოპინი, ამიტომ მას საკვებიდან ვიღებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ პომიდორი ცოცხლად კი არ უნდა მივირთვათ, არამედ კერძში, ვინაიდან ხარშვის ან შეწვის პროცესში ჩვენი ორგანიზმი უფრო ადვილად ითვისებს ლიკოპინს.

ლიკოპინს შეიცავს აგრეთვე გრეიპფრუტი, საზამთრო, მაგრამ ყველაზე დიდი რაოდენობით იგი არის პომიდვრის პასტასა და კეტჩუპში.

*პოსლედნიე ნოვოსტი №21*

ხალხური მედიცინა
მაქსიმალური გარანტია!!!
* „ნერვის ანთება“;
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა“
* სახსრების დაავადებები.
მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან!!!
მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, ცოტნე დადიანის 87, კაბ. №11
☎ 69-91-92 (კაბ.); 61-02-97

პირველად საქართველოში ლალის კრისტალით მინიჭებული მშვენიერება

ლალის ლაზერული ეპილაცია ეს თქვენი სილამაზისა და მშვენიერების საუკეთესო გარანტიაა. ასეთი უკონტაქტო (ნემსის გარეშე) ეპილაცია პრაქტიკულად უმტკივნეულოა, ძლიერ სწრაფი და ამასთან, უვნებელია. კანის წინასწარი ტესტირებით.



მობრძანდით, ენდეთ ლალის კრისტალურ ეპილაციას.
მის: ირ. აბაშიძის ქ. №29 ტ: 25-18-88; 25-18-90
გერმანული წარმოების ულტრათანამედროვე აპარატი „RUBY STAR“

მიხეილ სუმბაძის განთქმული ნატურალური სამკურნალო საშუალება უტყუარი და სტაბილური შედეგით
ღრძილების ელექსირი „მკურნალი სუმბაძე“ ®
მწვანე აფთიაქი „ციხანა“
იმკურნალეთ საუკეთესოთი
მცენარეული ნაყენი პირის ღრუს და სასუნთქი სისტემის დაავადების სამკურნალოდ (ნებ. №FT-0104)
◆ღრძილების ანთება ◆პარადონტოზი ◆გინგივიტი ◆პიორეა ◆სტომატიტი ◆ჩირქოვანი გლანდები ◆ბრონქების გაწმენდა ნახველისა და ნიკოტინის დანალექებისაგან ◆სურდოს, გრიპისა და ხველების დროს.
◆წამალი მოთავსებულია 0,5 და 0,33 ლ. მინის ჭურჭელში და დაცულია საფირმო ნიშნით.
მის: ქ. თბილისი, ალმაშენებლის 141 (9-18სთ.) კვირის გარდა; ილ. ჭავჭავაძის 54 (აფთიაქი, 10-20სთ, ყოველდღე); ცოტნე დადიანის 303 (აფთიაქი, 10-20სთ, ყოველდღე).
ტელ: 877-41-86-16; 69-18-38 (საღამოს)

ყურადღება!
100%-იანი გარანტიით
ქალებს, რომელთაც გაწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით ამონაღები, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) გეძლევათ შესაძლებლობა, განიკურნოთ, მხოლოდ ერთი პროცედურით თითოეულ თმაზე. მკურნალობა გრძელდება მანამ, სანამ არ შევეხებით თითოეულ თმას (რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთხელ). მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თმის სიხშირეზე. პროცედურის ჩატარების შემდეგ ყველანაირი პასუხისმგებლობით გრჩებათ უვნებელი კანი და მთელი ცხოვრება დაგდეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. ანაზღაურება - 1 სთ. - 20$.
მის: რჩეულიშვილის ქ. (ზემო ვერა), კორპ. 6 სად. II სართ. 9
☎ 29-42-58; 899-53-01-41


ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა
ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე
თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი“), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

## ცივილიზაციის სენი

კაცობრიობას ცივილიზაციამ ბევრ სიკეთესთან ერთად ერთი „საჩუქარიც“ — კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოშლა „უძღვნა“. ამ თემაზე საუბარი ბევრ ჩვენგანს ეუხერხულება და მდგომარეობიდან გამოსავალს ავად თუ კარგად თავადვე ეძებს. დღესდღეობით, კუჭ-ნაწლავის დისფუნქციის (ფუნქციის მოშლა) ერთ-ერთი ფორმა — შეკრულობა — მსოფლიოს ჯანმრთელი მოსახლეობის 10%-ს, ე.ი. მილიონობით ადამიანს აღენიშნება.

**შეკრულობა** გაიშვიათებული, გაძნელებული დეფეკაცია და ნაწლავების არასრული დაცლის შეგრძნებაა. ჯანმრთელ ადამიანებში ნაწლავების მოქმედების სიხშირე დიდ ფარგლებში მერყეობს და ის მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული, მაგრამ, ჩვეულებრივ, უმრავლესობას ის დღეში ერთხელ აღენიშნება. თუმცაღა, უპირატესად მცენარეული საკვების მიღებისას კუჭის მოქმედება ნორმის პირობებში დღეში 2-3-ჯერაც შეიძლება აღირიცხოს. შეკრულობაზე მხოლოდ მაშინ საუბრობენ, როდესაც დეფეკაცია სისტემატურად კვირაში სამზე ნაკლებია. მაგრამ ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება მაინც აუცილებელია.

საკვების მასის შეყოვნებას არასასურველი, უფრო მეტიც, ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებების შეწოვა ახლავს თან. ამის შედეგად ორგანიზმის „მოწამვლა“ ვითარდება.

შედეგად — ადამიანს აღენიშნება გუნება-განწყობისა და შრომისუნარიანობის დაქვეითება, მუცლის არეში დისკომფორტისა და სიმძიმის შეგრძნება, მეტეორიზმი (შებერილობა). იცვლება კანის ფერი, ვითარდება გამონაყარი.

### როგორ ვებრძოლოთ

თუკი შეკრულობა ორგანულია, დგება ქირურგიული ჩარევის საკითხი.

ჩვეულებრივი შეკრულობის დროს კი, მკურნალობა ითვალისწინებს რაციონში უჯრედით მდიდარი საკვების ჩართვას.

ნაწლავების სტიმულირებას ხელს უწყობს:

— ბოსტნეული, ხილი, შავი ქლიავის ჩირი, ხორბლის ღერღილის (უმჯობესია შავი), პური, გაუცრელი ქატო, დაუმტკბარი ვაშლის წვენი, ხილისა და ბოსტნეულის წვენები, მაწონი და სხვა.

— მნიშვნელოვანია სითხის საკმარისი რაოდენობით — დღე-ღამეში 1,5-2 ლიტრის მიღება.

— კარგია დილით, უზმოზე ერთი ჩაის ჭიქა ცივი წყლის ან ხილის წვენის მიღება;

— მნიშვნელოვანია ფსიქოთერაპიის ჩატარებაც;

— ნაკლებსასურველია მწარე, მჟავე, ცხარე საკვები და ალკოჰოლი;

— არასასურველია საღამოობით მსუყედ დანაყრება;

— თუკი საჭიროება მოითხოვს და ზემოჩამოთვლილი საშუალებანი არ „ჭრის“ — უნდა ჩაიტაროთ მედიკამენტური თერაპია, მაგრამ დიდი სიფრთხილით და ხანმოკლე კურსით. კერძოდ, სპაზმოლიტური პრეპარატებით.

საფაღარათოები, ძირითადად, მწვავედ განვითარებული შეკრულობის დროს იხმარება. მაგრამ ფრთხილად! ასეთი პრეპარატები მავნეა მაშინ, როდესაც ადამიანს მუცლის არეში გაურკვეველი ხასიათის ტკივილი აღენიშნება. ანდა არსებობს ეჭვი ნაწლავთა გაუვალობის შესახებ.

— აგრეთვე ეფექტურია — სამკურნალო მცენარეების მიღებაც — სინამაქის (ალექსანდრეულის) ფოთოლი, ხეშავი, გვირილის ფოთოლი, პიტნა, ხეჭრელის ექსტრაქტი;

— ზეთები: აბუსალათინის, ვაზელინის, ზეითუნის;

— ზოგჯერ კარგ შედეგს იძლევა სამკურნალო ფიზკულტურა, მუცლის პრესის სპეციალური ვარჯიშები, მასაჟი;

— გამართლებულია მინერალური წყალი (ბორჯომი) 1ჩ/ჭ უზმოზე და საღამოს რამდენიმე კვების განმავლობაში.

**დიარეა — ფაღარათი** კუჭ-ნაწლავის მოქმედების დარღვევის



მეორე ფორმაა. ამ დროს ხშირი დეფეკაცია აღინიშნება. დარღვეულია საჭმლის მონელებისა და შეწოვის ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესები. მისთვის დამახასიათებელია ტკივილის შეგრძნება მუცლის არეში, დისკომფორტი, ნაწლავების მტკივნეული, სპაზმური შეკუმშვა...

### მკურნალობა

საჭიროა საკვები 24 სთ-ის განმავლობაში შეიზღუდოს. უნდა მოერიდოთ უმ ბოსტნეულსა და ხილს, ტკბილეულს, ყავას, ალკოჰოლს, შემწვარ, ცხიმიან საკვებს, მარინადებს, სუნელებს, რძის პროდუქტებს. დიარეის სამკურნალოდ იხმარება ოპიატები (კოდეინი 30 მგ დღეში 4-ჯერ), რაც მოთხოვნილებას ამცირებს. მაგრამ ისინი ეფექტურია ქრონიკული დიარეის დროს და არ უნდა გამოიყენოთ წყლულოვანი კოლიტის, ინფექციის არსებობის დროს.

ზოგჯერ ეფექტურია ბრინჯის ნახარში, ქრონიკული დიარეის სამკურნალოდ საჭიროა ვიტამინების გამოყენება. ზოგჯერ ეფექტურია ფსიქოთერაპია, ანტიდეპრესანტები.

*მაია მუხიგული*

## დაფნის ფოთლის საიდუმლოებანი

უძველესი დროიდანაა ცნობილი დაფნის ფოთლის მაგიური და სამკურნალო თვისებები.

— დაფნის ფოთოლი დადეთ ოთახებში. ის ავსებს ადამიანს დადებითი ენერგიით, თვითონ იღებს იმ ნეგატიურს, რაც ხელს უშლის ადამიანს. დაფნის ფოთოლი მშვიდობას და სიმყუდროვეს შემოიტანს ოჯახში.

— ნუ ჩაუვლით გულგრილად დაფნის ტოტებით მოვაჭრეებს. აუცილებლად შეიძინეთ.

— აიღეთ დაფნის ტოტი. გადაიტანეთ მასზე მზერა. მოხერხებულად დაჯექით. ტოტები თანდათან მოგიხსნით დეპრესიას, სევდას, მოაწესრიგებს თქვენს ბიოველს.

— აიღეთ ფოთლები ლუწი რაოდენობით. დაიდეთ მარცხენა ხელის გულზე. იფიქრეთ იმაზე, რაც ყველაზე მეტად გაწუხებთ. მოუყევით ფოთლებს ყველაფერი. ფოთლები შეიძლება ხელიდან ხელში გადაიტანოთ. ისინი „გაიგებენ“ ყველაფერს. თავის მხრივ გაასუფთავებენ თქვენს აურას და მოაწესრიგებენ ბიოველს, დაგიცავენ ბოროტისაგან, სიავისაგან; შეუმჩნევლად დაგიბრუნებენ სიხარულს, სიმშვიდეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას.



— ნერვიული დაძაბულობის დროს დაიდეთ დაფნის ტოტი თავთან, იყოს იქ გამუდმებით. თქვენთვის შეუმჩნევლად დაფნის სურნელი მოგიხსნით სტრესს. თუ გინდათ, რომ მშვიდად დაგეძინოთ, ერთ ტოტს მეორეც მიუმატეთ და საწოლის ქვეშ დაიდეთ. დაფნა გაგათავისუფლებთ კოშმარებისა და მოუსვენარი ძილისაგან.

— ბრონქიტისა და ნახველისაგან გაგათავისუფლებთ დაფნის ფოთლის ნახარში. ნახევარ სუფრის კოვზ დანაყილ დაფნას დაასხით 2 ჩაის ჭიქა წყალი. ადუღეთ 5 წუთი. გააცივეთ და დალიეთ დილა-საღამოს თითო სუფრის კოვზი.

— ინფექციური დაავადებების, გაციების, ანგინის ან გრიპის დროს დალიეთ ხორცის ან თევზის ბულიონი: 100 გ ხორცს ან თევზს ხარშვის დამთავრებისას დაუმატეთ საშუალო ზომის ორი დაფნის ფოთოლი. ადუღეთ კიდევ ორი წუთი. ბულიონი ძალის აღდგენაში მოგეხმარებათ. დაფნის ფოთოლი კი გაანადგურებს ავადმყოფობის გამომწვევ ვირუსს.

უფრო მეტიც, თქვენ შეგიძლიათ საერთოდ განდევნოთ ყოველგვარი ვირუსი თქვენი ბინიდან. ამისათვის რამდენიმე ფოთოლს ცეცხლი მოუკიდეთ. დახურეთ კარები. 10 წუთის შემდეგ შეიხედეთ, თუ ფოთლები დაიწვა, გაანიავეთ ოთახი.

*ნაუკა ი ჟიზნ №6*

## ჯარა ექიმის ხუმრობანარევი რჩევანი

დავიწყებ იქედან, რომ წამალი არის შხამი. ის იმ მთავრობას წააგავს, ხალხს რომ ატყუებს — ყველაფერი კარგად გექნებათო და დროებით გვაყუჩებს. ამიტომაც თქვენს მონა-მორჩილ ჯარა-ექიმს არც წამლის სჯერა და არც მთავრობისა. ის ემორჩილება მხოლოდ ბუს ნებას, ანუ ბუნებას. ეს „ბუ“ კი, კარგა ხანია, თვალებს გვიბრიალებს, მაგრამ ვინაა პატრონი. „ბუნება მბრძანებელიაო“, — ხომ გაგიგონიათ, ვემორჩილებით კი მის ბრძანებებს. აპა, შენც არ მომიკვდე. ვიჭყიპებით ათასნაირი აბებით და გვჭირს უსაშველო „აბომანია“. ჯარა-ექიმი კი ფუფალასთან გააიგივა ზოგზოგიერთმა.

ჩემი რჩევა რომ შეასრულოთ, ბუნებაში — მინდვრად, ან ტყეში, ან მდინარის პირას მოგიწევთ გასვლა. თუ ამას ვერ შეძლებთ, მწვანე აფთიაქს და ბაზარს მიაკითხეთ. დაილოცოს ბოსტნეულობა, მხოლოდ უნიტრატო. წყევლა არ ვარგა, მაგრამ არ დავწყევლო გენური ინჟინერიით მიღებული კარტოფილი? ხელოვნური სასუქით გაპეყილი პომიდორი? თურქული გაბრიგინებული კარტოფილი და ხახვი? რამდენ ექსპერიმენტს უძლებს ჩვენი კუჭი, არაა ნობელის პრემიაზე წარსადგენი, თუ? კაი ბატონო, მსოფლიო გინესის რეკორდებში აღარაა დრო, შეიტანონ? ამიტომაც გირჩევთ, სანამ პროდუქტს კუჭისკენ მისცემდეთ ვიზას, კარგად დაფიქრდით, ღირს მისი იქ გაგზავნა თუ არა.

ახლა ცოტა ხნით დავძაბავ თქვენს ყურადღებას. მას შემდეგ, რაც სადოქტორო დისერტაცია დავიცავი თემაზე „შარდი — ჩვენი მკურნალი“, მოსახლეობაში გახშირდა შარდის სმა. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ეს სითხე უნდა მიიღოს მხოლოდ ნადიეტარმა ადამიანმა. დადგება დრო, როცა მას ტელევიზიითაც გაუკეთდება რეკლამა. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება „კოკა-კოლას“ მწარმოებელ ფირმასთან, რათა მოგვყიდონ მათთვის მინიჭებული რეკლამის უფლება, საქართველომ უკვე გამოყო ბიუჯეტიდან 200 მილიონი ლარი, შეიძლება ამას სოციალური აფეთქებაც მოჰყვეს, მაგრამ მთავრობა ზრუნავს ჩვენი ჯანმრთელობისათვის — ჩვენივე ორგანიზმიდან გამოყოფილი სითხით და მიდის ასეთ რისკზე.

ახლა გავუსწოროთ თვალი სინამდვილეს და ვაღიაროთ: არ ჯობს კოკა-კოლას და მისთანებს (რომლებიც იწვევენ ღვიძლის დაშლას, შხამების დაგროვებას და შარდის ბუშტის ჩაფუშვას) სამკურნალო ქარვისფერი შარდი? გააკეთეთ სწორი არჩევანი.

**თუ ვინიცობაა**, ისე გასუქდით, რომ თქვენი ფიგურა არანაირი ფორმის სარკის ჩარჩოებში არ ეტევა, დალიეთ შარდი!

**თუ ვინიცობაა,** გახურებული უთო დაგეცათ სხეულზე ან ოჯახში შემოჭრილმა მძარცველებმა გაგაუთოვეს, დაისხით შარდი.

**თუ ვინიცობაა**, კბილის უიღბლო დაბჟენის შემდეგ ღრძილები შეგისივდათ, გამოივლეთ შარდი!

**თუ ვინიცობაა,** ბუნებამ ოინი მოგიწყოთ და შეკავება დაგემართათ (ცხრა მთას იქით), მაშინ დართეთ ნება ჯარა-ქირურგს, წაიმუშაოს დაზიანებულ ორგანოზე, რათა შემდეგ კვლავ ჩაარაკრაკოთ.

**თუ ვინიცობაა,** საერთოდ არაფერი გაწუხებთ, მაშინ ნუ დალევთ შარდს და გაუშვით ის იქ, სადაც აქამდე უშვებდით.

მოკლედ, რჩევა ძალიან ბევრია და დანარჩენი სხვა დროისთვის იყოს.

P.S. ახლა ერთი საიდუმლოც უნდა გაგიმხილოთ: ამჟამად ვმუშაობ ახალ თემაზე, რომელსაც ეწოდება „შარდის არომატიზების მეთოდები“. როგორც ხედავთ, ექსპერიმენტები გრძელდება...

თქვენი ჯანმრთელობისათვის წელში გაწყვეტილი ჯარა-ექიმი.

*ნინო შევარდნაძე*

## რეზო ინანიშვილი

# კეთილი ბებერი ბუები

იყო ორი ბუ, ძალიან ბებერი და საბრალობელი ბუ. შვილები აღარ უჩნდებოდათ, ისხდნენ ვეება მუხის ფუღუროში და ან ეძინათ, ან არადა, თავიანთ უბედობაზე ბუზღუნებდნენ: — შუ-ბუ! შუ-ბუ! ბუ! ბუ! — რაღაა ჩვენი სიცოცხლე, რისთვისღა ვარსებობთ ქვეყანაზეო.

როცა შებინდდებოდა, ფაფხურით, აქეთ-იქით ქანაობით მივიდოდნენ ფუღუროს პირას, გადაიხედავდნენ დაბლა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქავდნენ სუფთა ჰაერს, ფრთებს შეატოკებდნენ, გასწევ-გამოსწევდნენ და მერე ერთმანეთის მიყოლებით გამოფრინდებოდნენ გარეთ.

— შუ-ბუ! შუ-ბუ! — მძიმედ დაფრაშფრაშობდნენ ტყით შემოზღუდულ ველებში და ეწერებში, აგიზგიზებული ყვითელი თვალებით ეძებდნენ თაგვებს; ხან მიწაზე სხდებოდნენ, ხან ისევ აფრინდებოდნენ; თუკი თითო თაგვს მაინც მოინადირებდნენ, ამითაც დიდად კმაყოფილნი იყვნენ, — ბებრებს ხომ ძალიან ცოტა საჭმელი ჰყოფნით, ბუებსაც და ადამიანებსაც! — გათენებისას დაბრუნდებოდნენ თავიანთ ფუღუროში და ისხდნენ და ისხდნენ, — ან ეძინათ ერთმანეთთან ზურგშექცეულებს, ან არადა, ძილითაც გულგადალეულები, ისევ თავიანთ უბედობაზე იწყებდნენ ბუზღუნს:

— შუ-ბუ-ბუ! შუ-ბუ-ბუ!

მაგრამ ერთ საღამოს მათთვისაც მოხდა ახალი რამ.

ის იყო ბებერი ბუები ფუღუროდან უნდა გამოფრენილიყვნენ, რომ უჩვეულო ხმა შემოესმათ. გაიხედეს გარეთ, გადასწიეს დიდი, თითქოსდა მოფამფალებული თავები, ჩაიხედეს ძირს და რას ხედავენ: მთლად პატარა ბავშვი, ძალიან ლამაზი პატარა ბავშვი, — რომ ვერც კი გაარჩევ, ბიჭია თუ გოგო, — შემოსულა ტყეში, დგას, ძლივს დგას მუხის ძირას, ხმელ ფოთლებში და ბალახებში, ფუნჩულა ხელები თვალებთან მიუტანია და ტირის, ტირის.

ბებერმა ბუებმა ერთმანეთს შეხედეს, — ამ ბავშვს აქ რა უნდაო, — მაგრამ რადგან არც ერთმა იცოდა ეს და არც მეორემ, ისევ ძირს დაიწყეს ყურება.

იტირა პატარა ბავშვმა, დაიღალა ტირილით, დაიწყო ქანაობა, ჩაჯდა ბალახებში, იქაც იტირა, ჩამოუცვივდა ხელები მუხლებზე. ჩაეკიდა თავი, ჩაწვა ბალახებში, მოიკუნტა, ისედაც პატარა, მთლად დაპატარავდა და იმ ტირილსა და სლუკუნში ჩაეძინა.

ბებერი ბუები ერთმანეთს უყურებდნენ გიზგიზა ყვითელი თვალებით, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

— შესცივდება, — თქვა დედა ბუმ.

— ჰო, შესცივდება, — მიუგო მამა ბუმ.

— ღამღამობით ახლა უკვე ძალიან ცივა.

— მართალია, ღამღამობით ძალიან ცივა.

— გათენებისთვის შეიძლება თრთვილიც კი დადოს.

— შეიძლება. ნამდვილად დასდებს.

— მაშინ ხომ მთლად გაიყინება?

— გაიყინება, აბა, გაიყინება.

— მერე, რა მშვენიერი ბავშვია!

— პატარა ყველა მშვენიერია.

— მაგასაც ხომ დედა ეყოლება?

— დედაც ეყოლება და მამაც.

— ჩავფრინდეთ და ფრთები გადავაფაროთ.

— გადავაფაროთ, გადავაფაროთ.

ფუღუროდან გამოფრინდნენ, ერთი-ორჯერ შემოუარეს ირგვლივ, — შუ-ბუ! შუ-ბუ! — დასძახოდნენ მძინარე ბავშვს, ფრთები სულ ახლო მიჰქონდათ, მათი ნიავი თმას უცახცახებდა, მაგრამ ბავშვი არ გატოკებულა. მაშინ ერთი წინ ჩაუჯდა, მეორე — უკან — ვეებერთელები, თვალებალაპლაპებულები, მთლად ყურადღებით ქცეულნი. იქაც რამდენჯერმე გაიმეორეს: — შუ-ბუ! შუ-ბუ! — და რაკი ბავშვი არც ახლა შეტოკდა, გაშალეს დიდი მსუბუქი, თბილი ფრთები, ბავშვს მთელ სიგრძეზე გადააფარეს და ასე გაშეშდნენ.



ო, რა მშვენიერი სანახავები იყვნენ ერთმანეთს ყბა-ყბა მიდგმული ორი თვალებგიზგიზა ბუ და მათი ფრთების ქვეშ მძინარე ბავშვი!

ამოვიდა მთვარე, ამოჰყვა მუხებისა და რცხილების ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს. ბალახებს ჯერ ცვრის წვრილ-წვრილი წვეთები დაეკიდა, მერე ის წვეთები თანდათანობით გამკვრივდნენ. აცივდა, აცივდა ძალიან. იქვე, სულ ახლოს, დახტოდნენ ციყვები, დაცუცუნებდნენ თაგვები, სადღაც ამოიხაფხაფა აფთარმაც, ბებერი ბუები კი მაინც გაშეშებულები ისხდნენ და ამაყად თავაღერილები გადასცემდნენ თავიანთი სხეულის სითბოს პატარა ლამაზ ბავშვს. პატარებს ხომ ღამღამობით ყველას სჭირდება სითბო, — ბუებსაც და ადამიანებსაც!

გათენებისას ტყეში ხმაური ატყდა. მოისმა ძაღლების ყეფა და თოფის სროლა. ბუებმა ერთხანს ითმინეს, მაგრამ მერე ველარ გაუძლეს შიშს, აფრინდნენ და მუხის ფუღუროს შეაფარეს თავი.

მოცვივდნენ ძაღლები, ატეხეს ღავღავი, მოირბინეს ადამიანებმაც, მოანათეს ფარნები, ჩაიჩოქეს ბავშვთან, იყვნენ ასე... მერე აიყვანეს ხელში, დაუწყეს კოცნა, ხელებით უსინჯავდნენ სხეულს, უკვირდათ, სულ რომ არ შესცივნოდა, ცისკენ იყურებოდნენ, ღმერთს სწირავდნენ მადლობას, ბებერი ბუებისკენ კი არავის ამოუხედავს.

ბებერი ბუები თავიანთ ფუღუროში ისხდნენ: ხან ტყის სიღრმისაკენ მიმავალ ადამიანებს უყურებდნენ, ხან ერთმანეთს შეხედავდნენ. როცა ყველანი გაუჩინარდნენ, ფუღუროში ჩაღრმავდნენ, კრუსუნით, მხრების აწევით შეუქციეს ზურგი ერთმანეთს, ჩაიწიეს, ჩაიწიეს, თავი მხრებში ჩარგეს, სანამ ჩაიძინებდნენ, ჩვეულებისამებრ აბუზღუნდნენ:

— შუ-ბუ! შუ-ბუ! — რაღაა ჩვენი სიცოცხლეო.

მაგრამ ძალიან მალე გაჩუმდნენ, შემობრუნდნენ, გვერდი გვერდს მიჰყუდეს, თავი-თავს და ასე ჩაიძინეს.

# ასი წლის პაპა მეფის სანახავად მიდის

ქართლა იქნებოდა ასის. ბატონიშვილის გმირი ზეზვა გაფრინდაულის ნათლული იყო, სახელიც მისი ერქვა — ზეზვა. შვილის შვილის შვილის შვილები ჰყავდა. სიარული უჭირდა, მაგრამ მაინც გამოდიოდა გარეთ. მიჯდებოდა კედელთან და იყო. მივიდოდა ვინმე, ჩაუცუცქდებოდა წინ და ახარებდა, — ისევ გაუმარჯვნია, პაპა, ბატონიშვილ ერეკლესა, ჩაუჟუჟუნია ლეკები ზაქათალის ქვემოთ. — აჰაჰა! — იტყოდა პაპა და წელში იმართებოდა, სახე უნათდებოდა. მერე და მერე წამოდგომაც დაიწყო, წელში გაჭიმვაც, ხმალივით შემართავდა ხოლმე ჯოხსაც. ღვინობისთვის ბოლოს, საწყლების ზაფხულის თბილთბილ დღეებში, თელავში წასვლაც მოითხოვა. შვილები საქონელში იყვნენ, შვილიშვილებმა გაბედეს, დაღვინებულმა ვაჟკაცებმა, გიორგიმ და ჩალომ, თითმთიმა ჭაკი შეუკაზმეს, შესვეს, გიორგი მარცხენა ფეხს უჭერდა, თან უზანგს უმარჯვებდა, ჩალო საქამრით ეწეოდა დაბლიდან, ჭაკი იდგა, კუნთს არ ატოკებდა. პატარძლები იცინოდნენ ჩუმად, ერთმანეთს მოფარებულნი, ჯალაბი მურმურებდა ღია კარიდან თვალის მოჩრდილვით გამომზირალი, — გასულელდა და გადაბენტერავდა მთლიანად! პაპა კი გაიმართა უნაგირზე, ძვალტყავად ქცეული, ყვრიმალებამომჯდარი წითელი სახე დაუმშვიდდა, ჩოხის კალთები და გრძელი ხანჯალი გაისწორა.

— თქვენც შესხედით — უბრძანა შვილიშვილებს. თიმთიმა ჭაკმა ახლა კი დაიწყო ეზოს შემოვლა. პაპაც არ უჭერდა თავს. გიორგი და ჩალო ცოლებისკენ იყურებოდნენ, შუბლშეკვრით ანიშნებდნენ, ნუ გეცინებათო, ისინიც შესხდნენ ცხენებზე, პაპა წინ გაუშვეს, თვითონ აქეთ-იქით მიჰყვნენ, ცოტა ჩამორჩენით. გიორგის და ჩალოს თოფებიც ეკიდათ. ჩალოს ცხენს — სავსე ხურჯინიც. ნაბდები ხომ სამივეს ჰქონდათ უნაგირს უკან დაკრული.

— ახლოს დაუდექით, ბიჭო! — იძახდა დიდედა, — გადმოგივარდებათ ეგ ბერბეხრეკი.

პაპამ ერთი მიხედა, არაფერი კი უთქვამს.

— ჰა, შენა! — ცხენს შეუწყრა.

ცხენი ცოტაზე წაჩაქჩაკდა. პაპა უნაგირზე ირყეოდა. შვილიშვილები მზად იყვნენ, მთლად ახლოს მიჰყვებოდნენ. პაპას სახე მთლად დაეწმინდა. ღრმად წასულ ცხელ თვალებს თითქმის არ ახამხამებდა. თათარაიძეები შემოხვდნენ, ძმები, გაუკვირდათ, პაპა რომ ცხენზე დაინახეს, — საით, საითო! — დაიძახეს. ვითომც ვერ გაიგონა პაპამ. — თელავს, თელავსო! — მიუგეს გიორგიმ და ჩალომ. — კაი მაყარივით არა ზისო?! ღიმილს მიაყოლებდნენ თათარაიძეები. მერე სხვებიც შეხვდნენ, ყველას ახარებდა, პაპა რომ ცხენზედ იჯდა, თანაც ყინჩად რომ ეჭირა თავი. უნდოდათ, ისიც გაეგოთ, რაზე მიდიოდა თელავს, მაგრამ გიორგიმ და ჩალომაც კი არ იცოდნენ ესა, შინაც არაფერი უთქვამს პაპას, გარდა ამისა, — ისე არ მინდა მოვკვდე, თელავს არ ავიდე ერთხელაცო. ახლაც ყურს იყრუებდა, მარტო წინ იყურებოდა გაშტერებული. გიორგი და ჩალო კვლავ ახლო-ახლოს მიჰყვებოდნენ ცხენებზე რწევით, იმათაც სულ ღიმილი ეფინათ სახეზე.

მარაგიანი დღე აჰყვათ, მშვიდი, მიბურუსებული. ივლიდნენ ერთხანს და დაეხმაურებოდა გიორგი პაპას, — როგორა ხარ, ხომ კარგადა ხარ? პაპას აშკარად სწყინდა ასეთი შეკითხვა, მარტო გვერდზე გამოიხედავდა. გაივლიდნენ ცოტასაც და ისევ: — თუ დაიღალე, დავისვენოთ, თუ გინდა, ცხენდაცხენ დავისვენოთ, პაპა ამაზე კი გამოიხავლებდა, — იყუჩეთ და იარეთ, ბალღებოო. გიორგი და ჩალო ერთმანეთს შეჰღიმებდნენ გაწბილებულები, კიდევ უფრო ჩამორჩებოდნენ პაპას. პაპა სულ წინ და ოდნავ მაღლა იყო მიჩერებული, გიორგი და ჩალო მალ-მალე იხედებოდნენ აქეთ-იქით, თოფებს ისწორებდნენ მხრებზე.

შემოდგომის წვრილი წვიმების შემდეგ ისევ ამწვანებულიყო მდელოები, მწვანედ ღაღანებდნენ ჯეჯილებიც, ხელებს კი აქა-იქლა შერჩენოდათ წითელ-ყვითელი ფოთლები. კუნლები და ჩიტიკომშებიღა გამოიყურებოდნენ მხიარულად, ალაზნის პირას კიდევ — ქაცვები. იქ დაბალ ბუჩქებს სიმწვანეც დაჰკრავდათ, დიდი ტანჭრელი ვერხვები კი შიშვლები იდგნან, ბუჩქებში ჩხართვები წრიპინებდნენ. ცხენებს ფლოქვები სველ ლამში ეფლობოდათ. პაპა ცდილობდა, ვერხვების კენწეროებისთვისაც კი აეწვდინა თვალი. პირველი ფშა რომ შეხვდათ, გიორგიმ დაუძახა:

— მაინთ არა, პაპავ.

პაპამ ცხენი შეაჩერა.

— აბა?

— ქვევით უნდა გავიდეთ, გეგეს სათიბებთან.

— იქ რათა, ბალღო?

— იქ ძალიან თხელია.

— აქეთ, ძველ ფონში?

— მანდ დაღრმავებულია.

— განა როგორ არის დაღრმავებული?!

— ტახტამდე შემოსწვდებათ ცხენებს. მე გამომყევითო, — გიორგიმ. წინ ის წავიდა, მერე პაპა მიჰყვა, მერე ჩალო.

გავიდნენ მშვიდი ლიცლიცით მიმავალ წყალთან. წყალი ძალიან იყო დაკლებული, აქ — გაშლილიც, შუაში მოგრძო კუნძულიც ჰქონდა, წყრთის სიღრმეზე წვრილი კენჭებიც ჩანდა.

— აბა, ეხლა უნდა იყოჩალო, პაპავ!

— გაზაფხულზე გავდი-გამოვდიოდი, ბალღო.



— გახვიდოდი, გახვიდოდი, — ღიმილი შეიკავა გიორგიმ, — შენ წინ წადი, ჩალო!

ჩალომ ცხენი ყოჩაღად შეიყვანა წყალში, პაპა ჩალოს მიჰყვა, გიორგი ქვემოთ მხრიდან მისდევდა, ორჯერ თიმთიმას ალვირსაც მისწვდა. ეს პაპამაც იწყინა და თიმთიმამაც.

— გაიწი. წელამდეც არ მოსწვდება.

ცხენები დადიდებული თვალებით დაჰყურებდნენ წყალს, თითქოს სუნავდნენ კიდევაც, შუა ტალღებში მუცლამდე ჩასხდნენ, პაპამ უცბად ასწია ფეხები, უკან გადაქანდა, გიორგიმ ხელი შეაშველა, მაგრამ პაპას ბოხოხი მაინც გადაუვარდა და წყალმა წაიღო. გიორგი ბოხოხს დაედევნა, ცხენი ფერდებამდე შეადგაფუნა წყალში და ძლივს დაიჭირა. პაპას ცხენი ჩალოს მიჰყავდა აღვირით, უკვე გადიოდნენ ნაპირზე. პაპას თხელი მსუბუქი თმა ასწეწოდა, ძალიან გაუხარდა ქუდის დანახვა.

— აი, გაგახარა ღმერთმა. ძაან გიმარჯვნია, ბალღო!

ჩალოც მხიარულად იღიმებოდა.

პაპამ ბოხოხი დაბერტყა, ჩოხის კალთითაც გამოამშრალა, დაიხურა, მაგრამ ჩამოიწია.

— წყალს რომ წაეღო, უნდა გავბრუნებულიყავით, უქუდოდ ხომ ვერ ვივლიდი, ვაჟნო!

— ჩემს ქუდს მოგცემდი, პაპავ.

— შენა?

— მე რა... — ხელი ჩაიქნია გიორგიმ.

— არა, შვილო... ე, შენც სულ დასველდი, ჩადი, გაიწურე მაინც წინდები.

— რა გაწურვა უნდა, პაპავ!

— მუცელი აგტკივდება.

— ნუ გეშინია.

პაპა უკმაყოფილოდ უყურებდა გიორგის.

ალავერდს რომ მიუახლოვდნენ, პაპამ ეს ბრძანა:

— უნდა დავქვეითდეთ.

— რათა, კაცო, პაპავ?

— როგორა, რათა!

პაპამ უზანგებიდან ფეხები გამოიღო. გიორგის აღარაფერი უთქვამს, ჩამოხტა, შეეშველა. ჩალოც ჩამოხტა. იწერდა პირჯვარს და ისე მიუძღოდა ცხენს პაპა. იდგა ალავერდი — დიდი, თეთრი, მაღალი. მკვეთრად იყო მიხატული მისი ჯვარი ცაზე. შესასვლელს რომ გაუპირდაპირდნენ, პაპა გაჩერდა, შევიდეთ, ვილოცოთო.

— ცხენებთან შენ დარჩი. — უბრძანა პაპამ ჩალოს. მაინც შიშიანობა იყო, ცხენებს ეგრე ვერ დასტოვებდნენ გალავნის გარეთ. ჩალომ აღვირები ჩამოართვა. წავიდა პაპა, წაჩაჩუნდა, ცოტაც და ხანჯლის ბუნიკს მიწას წამოსდებდა. გალავნის შიგნითაც დაიწყეს პირჯვრის წერა. მერე სანთლები იყიდეს, საკვირაოდ გალაღლადებულ საკურთხეველთან დაანთეს. გიორგიმ გაიგონა სიტყვები:

— წმინდაო გიორგივ! შენ გაამარჯვებინე ჩვენს ხალხსა, ჩვენს მეფესა.

დაიჩოქეს.

ატოტებულ ცხენზე მჯდარი წმინდა გიორგი შუბით აწვებოდა ურჩხულს. სუნი იდგა სასიამოვნო. დაფაციცებულნი დაფრატუნობდნენ ეკლესიის მსახურნი, წირვისთვის ემზადებოდნენ.

პაპა და გიორგი რომ გამოვიდნენ, ჩალო შეუშვეს ტაძარში. იმანაც დაანთო სანთლები, იმანაც ილოცა. მერე ცოტაზე კიდევ წავიდნენ ფეხით და იქ შესხდნენ ცხენებზე. მიდიოდნენ დიდ ველში, აჯეჯილებულ ანეულებში. პაპამ როგორღაც ქანაობა დაიწყო ცხენზე. დავისვენოთო, გიორგიმ, ჯერ იუარა პაპამ, მერე დასთანხმდა. გიორგიმ ცხენს ნაბადი ახსნა, გზის იქით გაშალა, წაიყვანეს პაპა და იმ ნაბადზე დასვეს. პაპა გაშტერებული იყო.

— დაწექი, დაწექიო.

— არაო, — არ დაწვა პაპა. ცუდი ფერი ედო, მოლურჯო-მოწითალო, თვალებიც უფრო, მეტად წასვლოდა უკან. სუნთქვა უჭირდა, ახველებდა.

— ღვინო ჩამომისხით ცოტა.

გიორგიმ ხურჯინი გახსნა, სწრაფად გაავსო პატარა ყანწი წითელი ღვინით, შოთიც ამოიღო.

— პური არ მინდა.

პაპამ ხელის კანკალით დაცალა ყანწი.

— თქვენც დალიეთ.

გიორგიმ და ჩალომაც დალიეს თითო ყანწი, პურიც მიატანეს ცოტა.

იყვნენ იმ დიდ ველში და დიდი ცის ქვეშ ის სამნი, სამი ცხენით. დაგოლილ ბუჩქებზე დახტოდნენ კაჭკაჭები, თელავის მხარეს კიდევ, ცაში, ირეოდნენ ჭილყვავები, მალე მოუვიდა ფერი პაპას, გაეღიმა.

— აქ რომ მოვმკვდარიყავ!

— კიდევ ხომ არ გინდა, — ყანწზე ანიშნა გიორგიმ.

— არაო, — ისევ გაიღიმა პაპამ.

ცოტა ხანსაც იყვნენ.

— წავიდეთ ეხლა. — თქვა პაპამ.

— ცუდად არ გახდე ისევ.

— არა. მაგრა ვარ.

უშველეს პაპას, შესვეს ცხენზე. თვითონაც შესხდნენ, ნელი ნაბიჯებით აუყვნენ გზას. მოახლოვდა თეთრი გიორგი. ჯერ იმას სთხოვეს შეწევნა, შემდეგ იყალთოს ღვთაებას, ბოლოს თელავშიც შევიდნენ.

კვირა დღის თელავში მილეთის ხალხი ირეოდა, ურმებიც, ხარ-კამეჩიც, ცხენები, ცხვრები... ყველგან თივა ეყარა, ყველგან რაღაცას ფაციფუცობდნენ, მხოლოდ დუქნებიდან გამოდიოდა მშვიდი კვამლი და მწვადის საამო სუნი. ორ-სამ ადგილას დუდუკიც უკრავდა. დადიოდნენ დართული ქალებიც.

პაპა აქაც ხშირად იწერდა პირჯვარს. მეფის სასახლე რომ გამოჩნდა, დაქვეითება ბრძანა. მიჩაჩუნობდა და ისევ პირჯვარს იწერდა. სასახლის გალავნის ძირას ცხენები იყვნენ გამწკრივებულნი. აქაც იყო ურმები, აქ უმეტესად ჩარდახიანები. ურმებს შორის დაცანცალებდნენ ბავშვები, ნაღვლიანი თვალებით იყურებოდნენ შავითმოსილი ქალები.

გალავნის კართან, შემაღლებულზე ორი თოფოსანი იდგა. პაპამ გიორგის და ჩალოს ხელით ანიშნა, აქ გაჩერდითო, თვითონ წავიდა კარის მცველებისკენ, მცველებმა ერთმანეთისკენ გადადგეს თითო ნაბიჯი.

— ბატონიშვილის ნახვა მინდა.

მცველები თითქოს ვერც ხედავდნენ, მისი ნათქვამი ხომ სულ არ გაუგონიათ.

— მეფის ნახვა მინდა, ერეკლესი. — აუწია პაპამ ხმას.

ერთმა მცველმა ხმის ამოუღებლად ოდნავ აუქნია თოფის კონდახი, შეაყოლე აქედანო.

— ზეზვა გაფრინდაულის ნათლული ვარ, მეფის პაპის მცველი, — უფრო ძალა დაატანა ხმას პაპამ.

მცველები ოდნავ გამოცოცხლდნენ.

— ვისი?

— მეფის პაპის მცველი.

— მერე?

— ბატონიშვილის ნახვა მინდა, მეფე ერეკლესი.

— რა გინდა მეფისაგან?

— თავი უნდა მოვუხარო.

მცველებმა ერთმანეთს შეხედეს კითხვით.

— როგორა?

— თავი უნდა მოვუხარო პატივით.

მცველებმა ისეთ კითხვით შეხედეს ერთმანეთს, ოდნათ გაიწიეს და ცერად დააცქერდნენ ბებერს.

— შენ ვინა ხარ რომა?..

ახლა კი აუვარვარდა სახე პაპას.

— აკი გითხარით... ეგეც არ იყოს — კაცი ვარ, ადამიანი.

— ეე! მეფე აიქ არ, აი... — ლეკის მთისკენ გაიქნია ხელი ცოტა უფრო ასაკოვანმა მცველმა.

— დღეს ხომ კვირაა?

— კვირა და შაბათი იცის ლეკმა?!

პაპა ერთხანს იდგა, მერე შვილიშვილებთან მიბრუნდა.

— უნდა დავიცადოთ.

პაპამ აღვირი ჩამოართვა ჩალოს, ცხენს თითონ წაუძღვა. მიდიოდა, მიქანაობდა და რაღაცას მიჩურჩულებდა. მივიდა ერთ ბებერ იფანთან. იქ გაჩერდა. იქ დააბეს ცხენები, ხურჯინი და ნაბდები ჩამოხსნეს. ნაბდები ძირს გაშალეს. პური, ხორცი და ყველი ამოალაგეს. პაპას პური არ გაუტეხია, ისევ ერთი პატარა ყანწი ღვინო დალია, ყველს წააციცქნა ცოტა. ერთ ხანს იჯდა, გაშტერებული იყურებოდა, მერე წამოწოლა ინება. გიორგიმ თავისი ნაბადიც წაახურა ფეხებთან. ჯერ იუარა პაპამ, მერე მაინც დაიტოვა. გიორგი ცხენების თივისთვის წავიდა. ჩალო იდგა, თითქოს პაპას ჰყარაულობდა.

ეგრე შეღამდა. ბევრი ურემი წავიდა. მიწყდა ჭრიჭინი და გადაძახილ-გადმოძახილებიც. აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა კაცი შავად. სასახლის შესასვლელთან ფარნები აანთეს, მცველებად ახლა სხვები დადგნენ. ნესტიანი სიცივე წამოვიდა. გიორგი და ჩალო ერთ ნაბადში იყვნენ შეყუჟულნი. და უცებ დგრიალი მოისმა, ორი მხედარი ამოვარდა აღმართზე, მათრახები წინ ჰქონდათ წამოწვდილი, ყვიროდნენ:

— გზა! გზა!..

მერე მათ სხვა მხედრები მოჰყვნენ.

გიორგი და ჩალო პაპას ეცნენ.

— გაიღვიძე, პაპა, გაიღვიძე!

ამაოდ ატოკებდნენ, პაპას სამუდამო ძილით დასძინებოდა.

მეფე მოდიოდა. გიორგიმ და ჩალომ მაშინვე იცნეს ის. გედივით კისერმოღუნულ ცხენზე იჯდა, მთლად ახალგაზრდა, ლაღი, პირლიმილიანი. უკან მთელი რაზმი მოსდევდა იარაღის ბრჭყვიალით ასევე ლაღი მხედრებისა.

გიორგიმ და ჩალომ პაპას თავი ანებეს და დაიჩოქეს. ორივემ ღრმად დახარა თავი. მეფეს არც კი მოუხედნია მათკენ, ის წინ იყურებოდა, სადღაც ზარიც დარეკეს. ძგრიალით გაიღო გალავნის კარი.

გიორგი და ჩალო ისევ მუხლებზე იდგნენ, აშკარად ჩამოსდიოდათ ცრემლი.

პაპა გულაღმა იწვა, ხელებაქეთ-იქითჩაჭიმული, ნიკაპი ოდნავ მაღლა აეწია, — ფარნებიდან თუ სწვდებოდა შუქი, — ღამისა და ნაბდების სიშავეში საამო ნათელი ეფინა სახეზე.

# ფრთოსანი ურჩხულები

60 წელზე მეტი ხნის წინ ფრანგმა არქეოლოგმა ბერონ დე პროროკმა ეთიოპიაში გათხრებისას, ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შეიტყო ეშმაკის გამოქვაბულების შესახებ; გადმოცემის თანახმად, იქ ფრთოსანი ურჩხულები ბინადრობდნენ, რომელთაც „სიკვდილის ფრინველებს“ უწოდებდნენ. მეცნიერმა, როგორც იქნა, დაითანხმა ერთი ახალგაზრდა ეთიოპიელი და ამ საიდუმლო მღვიმეების გამოსაკვლევად გაემართა.

გამოქვაბულში მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ საშინელი ფრინველები უზამაზარი ღამურები იყვნენ. გამყოლისაგან პროროკმა გაიგო, რომ ეს ღამურა-ვამპირები ადამიანის სისხლით იკვებებოდნენ. ამის დასტურად, ეთიოპიელმა მეცნიერს აჩვენა ღამურების მიერ დაკბენილი ადამიანები.

ზამბიის ჭაობებში ბინადრობენ საოცარი ფრინველები-ხვლიკები, რომლებსაც აქაურები კონგომატოს ეძახიან. კონგომატო გარეგნულად უზარმაზარ ხვლიკს წააგავს, მაგრამ აქვს ღამურის მსგავსი დიდი ფრთები და კბილებიანი ნისკარტი. იგი მიამსგავსეს წინაისტორიულ რეპტილიას — პტეროზავრს.

არსებობს მონაცემები, რომ მსგავსი არსებები ბინადრობენ ანგოლაში, კენიასა და აფრიკის სხვა ქვეყნებშიც. ნუთუ პტეროზავრებმა ჩვენს დრომდე მოაღწიეს? ბევრი ავტორიტეტული მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს შესაძლებელია.

ერთხელ, 1932 წელს, ამერიკელმა ზოოლოგებმა ჯერალდ რასელმა და აივენ სანდერსონმა დაინახეს, რომ მოულოდნელად სიბნელიდან გამოჩნდა უზარმაზარი ფრთოსანი, რომელმაც მათ გადაუფრინა და მიიმალა! უცნობი არსება ჰგავდა გიგანტურ შავ ღამურას, რომელსაც მაიმუნის სახე და უზარმაზ-



არი ფრთები ჰქონდა. ნამიბიაში ხალხი ყვებოდა ფრთოსანი გველების შესახებ.

1992 წ. თურქმა არქეოლოგებმა საოცარი რამ აღმოაჩინეს. სტამბოლის ერთ-ერთი სასახლის სამარხის გათხრისას იპოვეს უცნაური მუმია, რომელიც ხის სარკოფაგში იყო მოთავსებული. სარკოფაგში იწვა ბიჭუნა, რომლის ნახევარი სხეული ნიანგისა იყო. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბიჭუნა ნიანგმა ჩაიგდო ხელთ და ნახევრად შეჭამა. დაღუპული ბიჭუნას მშობლებს სურდათ, რომ მათი შვილი იმქვეყნად სრულყოფილი ყოფილიყო და ამიტომ მოკლეს ნიანგი და მისი სხეულის ნაწილით შეავსეს ბიჭუნას სხეული. შესაძლებელია მეორე ვარიანტიც: მუმია დაამზადეს ღმერთ სებეკისთვის შესაწირად, რომელიც ძველ ეგვიპტეში მდინარეებისა და ტბების მფარველად ითვლებოდა. მსგავს მუმიებს ხშირად იყენებდნენ აფრიკული კარნავალების დროს. ერთ-ერთი ასეთი მუმია — ნახევრად მაიმუნისა და ნახევრად ნიანგის ტანით, ინახება ლონგბიჩის მუზეუმში.

*ნლო №23*

# წარღვნა ერთხელ უკვე ყოფილა!

კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ წარღვნა ერთხელ მართლაც ყოფილა, შავი ზღვის გამოკვლევებით დაადასტურეს ამერიკელმა მეცნიერებმა. დაახლოებით 7,5 ათასი წლის წინ შავი ზღვის მიდამოებში მომხდარა კატასტროფული მასშტაბის წყალდიდობა, რომელსაც გაუნადგურებია ყოველი სულიერი არსება. თვით შავი ზღვაც ამ წყალდიდობის გამოა წარმოქმნილი. როგორც კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერი გეოლოგები ამტკიცებენ (უილიამ რაიანი და უოლტერ პიტმანი), შავი ზღვა სულ რაღაც რამდენიმე საათში წარმოქმნილა დიდი მტკნარი ტბის ადგილზე. ტბას მსოფლიო ოკეანისაგან ჰყოფდა ბუნებრივი ზღუდე დღევანდელი ბოსფორის სრუტის ადგილზე. მსოფლიო ოკეანეში წყლის მეტისმეტად მომატების გამო, რაც მყინვარების დნობით იყო გამოწვეული, ზღუდე მოინგრა და ზღვის მარილიანი წყლის უდიდესი მასა ტბისკენ დაიძრა. სულ მოკლე ხანში ადგილობრივი ეკოსისტემა დაირღვა და კარდინალური ცვლილებები განიცადა: გაწყდა მტკნარ წყალში მობინადრე ყველა ცოცხალი არსება, წყალდიდობას მოჰყვა ადამიანთა და ცხოველთა უდიდესი მსხვერპლი.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შედეგები ისეთი დიდი იყო, რომ მის შესახებ მხოლოდ გადმოცემები და ლეგენდები შემორჩა. ამ აზრს იცავს რობერტ ბალარდი, რომელმაც შავ ზღვაში 180 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინა უძველესი სანაპირო ზოლი. მისივე აზრით, წყლის სწრაფმა დინებამ აავსო ტბა, რომლიც ნაპირებიდან გადმოვიდა, კატასტროფული ცვლილებების შედეგად ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა. ბალარდის აზრით, სწორედ ეს დაედო საფუძვლად ლეგენდას ბიბლიაში აღწერილ წარღვნის თაობაზე.

*ფავორიტი №10*

# მოჩვენებითი ბუნკერი



ეს მოხდა აღმოსავლეთ გერმანიაში, ერთ-ერთი ტყის მასივში, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც არაერთი გამაგრებული ადგილი იყო შემორჩენილი. ექსკურსიაზე მყოფმა ველოსიპედისტებმა ტყეში შეივლეს. მიმოიფანტნენ. რამდენიმე მათგანი მოულოდნელად წააწყდა ბუნკერის შესასვლელს...

შესასვლელს კეტავდა ლითონის მასიური ცხაური. ბავშვებმა შეძლეს ცხაურის გაღება, შემდეგ მათ ბუნკერში შეიყვანეს ველოსიპედები, მოხურეს ცხაური და ჯაჭვს ველოსიპედის კლიტეები დაადეს. კარგად შემონახული მიწისქვეშა დერეფნით დაგმანულ რკინის კარამდე მიაღწიეს. კარი საკმაოდ მძიმე იყო, ძლივს გააღეს, შევიდნენ და გაჭირვებით მიხურეს. გზა განაგრძეს. მალე ვრცელ შენობაში აღმოჩნდნენ. ირგვლივ სრული სიცარიელე და სიჩუმე სუფევდა.

უცებ, გაისმა ხმაური, ნაბიჯების ხმა და რკინის კარების ანჯამების საშინელი ღრჭიალი. ყმაწვილები შიშისაგან გაშეშდნენ. მიწისქვეშეთის სიბნელემ და სიჩუმემ კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა უცნაური შეგრძნება. მძიმე ნაბიჯების ხმა ხან ახლოვდებოდა, ხან შორიდან ისმოდა. როგორც იქნა, გონს მოვიდნენ და გასასვლელისაკენ გაიქცნენ. მათ მიერ დაკეტილი რკინის კარი ღია აღმოჩნდა, ხოლო ჩაკეტილი ცხაური — ხელუხლებელი.

დამფრთხალი ტურისტები იფიცებოდნენ, აქ აღარასოდეს მოვალთო, მაგრამ ორიოდ დღის შემდეგ რამდენიმე მაინც დაბრუნდა. ამჯერად, მათ არც ცხაური და არც კარი არ ჩაუკეტავთ. შევიდნენ შენობაში და გზადაგზა ფოტოებს იღებდნენ.

ალბათ წარმოიდგენთ მათ გაოცებას, როდესაც დაბეჭდილ ფოტოსურათებზე სრულიად გარკვევით დაინახეს ადამიანის მსგავსი თეთრი ფიგურა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბუნკერში არავინ უნახავთ. მოჩვენებას გამოკვეთილად ჰქონდა თვალები, ცხვირი, პირი...

რამდენიმე თვის შემდეგ ფათერაკების მოყვარულნი კვლავ მიადგნენ ბუნკერს, მაგრამ შესასვლელი ჩახერგილი დაუხვდათ.

*ნლო №23*

# თურმე თვალეზი კომპიუტერის კონკურენტიც შეიძლეზა იყოს

XX საუკუნის მიწურული კვლავ გვაოცებს სასწაულებით. მათ შორის არის წნორელი ქალბატონის, იზაბელა მოლაშვილის ფენომენი, რომლის თვალებს ექსტრასენსთა მსოფლიო ექსპერტმა ბატონმა პიტერსმა „ცოცხალი კომპიუტერი“ უწოდა.

ქალბატონი იზაბელას ფენომენი საინტერესო აღმოჩნდა მეცნიერებისათვის. მას სწავლობდნენ გერმანელი, ნორვეგიელი და სხვა ქვეყნების მკვლევარები და დარწმუნდნენ, რომ კომპიუტერთან შედარებით მის თვალებს განსაკუთრებული ხედვის უნარი აქვს.



თავიდანვე უცნაური ბედი დაჰყვა იზაბელა მოლაშვილს. დაბადებიდანვე საოცარი ნიჭიერებით გამოირჩეოდა. 3 წლისა თავისუფლად წერდა და კითხულობდა. სამწლი-ნახევრის გოგონა მშობლებმა სკოლაში მიაბარეს. დირექციამ შეისწავლა ბავშვის ცოდნა და მონაცემები და იგი მე-3 კლასში ჩარიცხა. 13 წლისამ წარმატებით დაამთავრა წნორის საშუალო სკოლა, შემდეგ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. ერთდროულად სწავლობდა ასპირანტურასა და სამედიცინო ინსტიტუტში; თითქოს ეჩქარებოდა, ყველაფერს სწვდებოდა.

მალე ოჯახური ბედნიერებაც ეწვია, მაგრამ 18 წლისას ოცნებები დაემსხვრა... თავს უბედურებაც დაატყდა — მძიმე ტრავმის შედეგად 18 წელიწადი ლოგინს მიეჯაჭვა, თვალის ჩინიც დაკარგა...

მხოლოდ ღვთის შეწევნით დავრჩი ცოცხალიო, — ამბობს ქალბატონი იზაბელა...

7 წლის შემდეგ ნელ-ნელა მხედველობა დაუბრუნდა და საოცრება მოხდა — მისი მზერა გამჭოლი გახდა...

— როცა ადამიანს ან ნებისმიერ სულიერ არსებას ვუყურებ, ვხედავ ყველაფერს, რაც კანს შიგნითაა. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შორის წინაღობაა, მაგალითად, კედელი, ხედვა მიჭირს. ინდივიდს პირისპირ უნდა ვუყურებდე.

საუბრის დროს ყურადღებით ვაკვირდებოდი იზაბელას თვალებსა და ვგრძნობდი, რომ ისინი ჩემში იყურებოდნენ. ზედაპირზე კი არა, სადღაც შორს, სიღრმეში და ჩემს შეცნობას ცდილობდნენ.

— განსაკუთრებით მიჭირს ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა, მაგალითად, ბაზარში. მოდის ამდენი უცნობი ადამიანი სიცილ-კისკისით, მხიარულად. მე კი ვიცი, რომ ბევრ მათგანს უკურნებელი სენი სჭირს. რომ მივიდე და ვუთხრა, არ დამიჯერებენ, ან გიჟად მიმიჩნევენ. შინ რომ ვბრუნდები, შეშინებული ჩემს სხეულს ვაკვირდები, — რაიმე ხომ არ მჭირსმეთქი.

...სულ ვოცნებობდი, ვანგას შევხვედროდი, მაგრამ ის იმ დროს გარდაიცვალა, როცა მე ლოგინს ვიყავი მიჯაჭვული... მე გამოვცადე, რა არის მოურჩენელი ავადმყოფობა, არავის ეგონა (ჩემ გარდა), თუ გამოვკეთდებოდი, გაჩვენებთ ჩემს ალბომს და მიხვდებით, რომ მეორედ დავიბადე.

**— ბედისწერის გწამთ?**

— რომ არ მწამდეს, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი.

**— შეგიძლიათ მითხრათ, მე რა მჭირს?**

— ახლავე, — ისევ ჩემს შიგნით იყურება. დავიძაბე, იმაზე მეტად შემეშინდა, ვიდრე მეგონა... მისი დიაგნოზი კომპიუტერის დიაგნოზის იდენტური გამოდგა...

(კომპიუტერზე გასული ვარ და დიაგნოზი ხელთ მაქვს. — მ.ყ.)

**— ყოფილა განსხვავება თქვენსა და კომპიუტერის დიაგნოზს შორის?**

— ერთხელ, ექსპერტიზის დროს, მე ორსულობა დავაფიქსირე, კომპიუტერმა — სიმსივნე. ამჟამად იმ ქალბატონს მშვენიერი გოგონა ჰყავს(!).

**— დღეს თუკი ვინმეს რამის გაკეთება შეუძლია, უცხოეთში გარბის, თქვენ...**

— ალბათ ჩემსავით არავინ იცის ჯანმრთელობის ფასი. ცხოვრების საუკეთესო წლები ავადმყოფობაში გავატარე. რომ არა ექიმი-ტრავმატოლოგის დავით გიგაურის თანადგომა, ჩემი შეუპოვრობა და, უპირველესად, ღვთის მოწყალება და მადლი, ახლაც ლოგინად ვიქნებოდი. რა თქმა უნდა, ყველაფერში ამოუცნობი კანონზომიერება არსებობს, მაგრამ ხშირად ჩვენ თვითონ შეგვიძლია ბედისწერა შევცვალოთ, ოღონდ, კიდევ ვიმეორებ — უფლის ნებით. ავადმყოფობამ არ უნდა დაგვჩაგროს. მე ჩემი თანასოფლელების გვერდით ვარ და როცა ისინი აქ მხედავენ, მხნევდებიან.

და ეს ჭეშმარიტებაა. იზაბელა მოლაშვილს ურჩევნია, უწინარესად, თავისიანს დაედოს სალბუნად, ვიდრე უცხოეთში უცხოს დაუამოს ტკივილი, თუნდ დიდი საზღაურის ფასად...

*მაია ყალაბეგაშვილი*

# ტესტი: გაქვთ თუ არა ნათელმხილველობის ნიჭი?

**არასოდეს გიფიქრიათ, გაქვთ თუ არა ნათელმხილველობის ნიჭი? სავსებით შესაძლებელია, რომ გაქვთ და არ იცით. თქვენს ინტუიციასაც მიაყურადეთ ხოლმე...**

**გთავაზობთ ბრიტანელი პარაფსიქოლოგის ტესტს, უპასუხეთ, შესაძლოა ბევრ საინტერესო რამეს ნათელი მოეფინოს...**

***1. დასვენების დღეები თქვენი სურვილისამებრ უნდა გაატაროთ. თქვენ როგორ მოიქცევით?***

ა. საყიდლებზე გავემგზავრები;
ბ. ორდღიან ექსკურსიაზე წავალ;
გ. რომანტიკულ საღამოს გავატარებ ბუნების წიაღში — კარავში.

***2. კინოთეატრში სამი ფილმი გადის, რომლის ნახვას ირჩევდით?***

ა. სამეცნიერო-პოპულარულის;
ბ. ბოევიკის;
გ. მელოდრამის.

***3. დილის ოთხ საათზე ტელეფონის ზარის ხმა გესმით. როგორია თქვენი რეაქცია?***

ა. რეკოს, რამდენიც უნდა, დიდხანს არ გაგრძელდება;
ბ. წყევლა-კრულვით აიღებთ ყურმილს;
გ. შიშით გაიფიქრებთ — „რა უნდა მომხდარიყო?“

***4. მოგჩვენებიათ თუ არა, რომ რაღაც მოვლენა ადრე ყოფილა თქვენს ცხოვრებაში, რაც სინამდვილეში შეუძლებელია მომხდარიყო?***

ა. არა;
ბ. დიდი ხნის წინათ ყოფილა ასეთი რამ;
გ. ხშირად მემართება.

***5. ზოგიერთ ადამიანს წარმატება მოაქვს, თქვენ?***

ა. არა;
ბ. გავიცნობდი ასეთ ადამიანს;
გ. განა არსებობენ ასეთები?

***6. როდის მოგდით საუკეთესო იდეები?***

ა. შუა ძილში;
ბ. დასვენების დროს;
გ. მუშაობის დროს.

***7. აბსტრაქტული სურათის შინაარსი თქვენთვის გაუგებარია. რას ფიქრობთ მაშინ?***

ა. არაფერს;
ბ. ასე ნებისმიერი ადამიანი დახატავს;
გ. შევეცდები, გავიგო, რა სურდა გადმოეცა მხატვარს.

### დაითვალეთ ქულები

**თუ 46-მდე** დააგროვეთ, გონებას უფრო უწევთ ანგარიშს, ვიდრე გრძნობას. ყოველივე გაურკვეველი (ე.ი. ნათელმხილველობაც) გაეჭვებთ. უნდა განავითაროთ თქვენი ინტუიცია.

**47-დან 63 ქულამდე** — ზოგჯერ ენდობით თქვენს წინათგრძნობას და გაქვთ ნათელმხილველობისკენ მიდრეკილება.

**64 და მეტი ქულა** — გილოცავთ, ნამდვილი ნათელმხილველი ხართ.

| კითხვა | ა | ბ | გ |
|---|---|---|---|
| 1 | 5 | 10 | 20 |
| 2 | 15 | 7 | 12 |
| 3 | 3 | 9 | 6 |
| 4 | 5 | 10 | 20 |
| 5 | 4 | 8 | 12 |
| 6 | 12 | 8 | 4 |
| 7 | 2 | 6 | 12 |


ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

ინგლისურ-შვეიცარიული კომპანია გთავაზობთ „სვისჰელსის“ მცენარეულ პროდუქციებს:
ხვრინვის საწინააღმდეგო „გუდნაით სთოფსნორ“-ს და სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების საშუალებას „ჰერბალ ვი“-ს
ბითუმად მყიდველებმა მოგვმართონ:
კომპანია „ფლორეტი“ — 99-87-37;
საცალოდ შეიძენთ თბილისის საბითუმო და საცალო აფთიაქებში; რუსთაველზე შეიძენთ აფთიაქში „ზემელი“ — რუსთაველის №37, ტ: 99-96-58

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**

# კლაუდია შიფერზე უშნოდ პოდიუმზე არავინ დადის



მსოფლიოში ცნობილ მოდელიერს **პაკო რაბანის** საკმაოდ მოკრძალებული კაბინეტი აქვს. მაგიდაზე ყოველთვის იდეალური წესრიგია. ჩაცმულობაშიც თავშეკავებული და გემოვნებიანია, თავშეკავებულია საუბარშიც და ამასთან ძალიან კეთილი.

**— ბატონო რაბანი, რით ამაყობთ ყველაზე უფრო?**

— არაფრით არ ვამაყობ. მხოლოდ კმაყოფილი ვარ, რომ 30 წლის მანძილზე ერთსა და იმავე საქმეს ვემსახურები. ვცდილობ, ჩემი ეპოქის მოდა შევქმნა. დღეში 12 საათს ვმუშაობ და თანაც სიამოვნებით. მუდამ ძიებაში ვარ... დღეს პლანეტაზე 7 მილიარდი ადამიანი დააბიჯებს. აბა, რა ტყავი, ან რა მცენარე გასწვდებათ?.. შესამოსად სხვა მასალა უნდა ვეძებო... ცივილიზაციის ნარჩენების გამოყენება უნდა ვისწავლოთ.

**— არ გსურთ, რომ ნატურალური ბეწვისგან შეკეროთ რაიმე?**

— არასოდეს გამომიყენებია ბეწვი. რუსეთში რომ ვცხოვრობდე, სხვა საქმეა, რუსული ზამთარი მოითხოვს ამას. პარიზში თოვლი იშვიათია.

**— როგორ მოგივიდათ აზრად დეფილეს ჩატარება მუსიკის ფონზე? თქვენ ხომ პირველი მოდელიერი ბრძანდებით, ვინც მუსიკის თანხლებით გაატარა მანეკენები...**

— იმ დროს „ბითლზების“ და „როლინგ სთოუნზის“ დრო იყო და მეც გადავწყვიტე, თანამედროვეობისთვის ფეხი ამეწყო. ამას მოჰყვა გრანდიოზული სკანდალი... თავდაპირველად ყველა ალმაცერად მიყურებდა, მერე კი მომბაძეს...

**— შავკანიანი მანეკენებიც თქვენ გამოიყვანეთ პოდიუმზე პირველად...**

— დიახ და ძვირიც დამიჯდა... ამერიკელები ცხვირ-პირში მაფურთხებდნენ. მე კი მომყავდა ისინი ხან ქუჩიდან და ხან დისკოთეკიდან...

**— კარლ ლაგერფელდმა თავისი მოდელები ვარსკვლავებად აქცია...**

— ეს ხომ დანაშაულია! მაგალითად, კლაუდია შიფერზე უშნოდ პოდიუმზე არავინ დადის. იგი საშინელია, ვერ ვიტან და არასოდეს მივიღებდი ჩემთან სამუშაოდ!..

**— რას სთხოვთ თქვენს მანეკენს?**

— უნდა ესმოდეს, რომ მოდაში მოდელიერი და მანეკენი კი არა, სამოსია ვარსკვლავი. ჟურნალისტებმა ყველაფერი აურ-დაურიეს და აქცენტი კუტიურესა და „საკიდზე“ გააკეთეს. მე არ ვეძებ ლამაზ მანეკენებს; მთავარია, ისეთი ხიბლი ჰქონდეს, რომ თვალს სიამოვნებდეს და ლამაზად დადიოდეს. აღმოსავლელი მოცეკვავეები კარგად დადიან...

**— ხომ არ დაგიკარგავთ გაკვირვების უნარი? შეგიძლიათ წამოიძახოთ — მშვენიერია!..**

— რასაკვირველია. სულ მახსოვს დედაჩემის სიტყვები: „შენ გაქვს მოქმედების სრული თავისუფლება, ოღონდ უფლება არა გაქვს, ქალი დაამახინჯო“. მთელი სიცოცხლე ამას ვითვალისწინებ.

**— დედამ გაგანდოთ მსოფლიო მოდის საიდუმლოებანი?**

— არა. იგი ბუნებით რევოლუციონერი იყო და ყოველთვის მირჩევდა, წავსულიყავი წინ. სხვათა შორის, დედაჩემმა დააარსა ესპანეთის კომუნისტური პარტია, მე კი ახალგაზრდობაში კომპარტიის წევრი ვიყავი. ამის გამო არც ვწითლდები. ჩემი აზრით, კაპიტალიზმი არ არის საუკეთესო წყობილება, მას ხომ სძულს ადამიანი.

**— ერთ ინტერვიუში უნგარომ განაცხადა, — ჩვენი პროფესია ჩვენთან ერთად გაქრებაო. რას იტყოდით ამის შესახებ?**

— არა, ბატონი უნგარო გაქრება; ივ სენ-ლორანი მოკვდება; დიორი მკვდარია, ბალენსიაგა მკვდარია... პარიზი კი პარიზად დარჩება. ყველა ძველ კუტიურეს ჰგონია, რომ მის სიკვდილთან ერთად მოკვდება მოდა... აი, უკვე 78 წელია, ვცხოვრობ პლანეტაზე... ვერ ვგრძნობ ასაკს. მაქვს შექმნის სურვილი, ენთუზიაზმი, სამუშაო...

**— რა არის თქვენი ხასიათის მთავარი თვისებები...**

— სიყვარული საქმისა და სხვების პატივისცემა... მე ბანალური ადამიანი ვარ.

**— ხართ თუ არა ბედნიერი?**

— ამ ქვეყნად ღმერთს ბედნიერებისათვის არ მოვუვლენივართ, არამედ იმისთვის, რომ გავიცნობიეროთ, ვინა ვართ, რა ვაკეთოთ. ბედნიერება არ არსებობს...

**— პაკო რაბანის შურს თუ არა პაკო რაბანისა?**

— არ ვიცი, ვინ არის პაკო რაბანი. მე ვარ ფრანჩესკო რაბანედა კუერვო, ეს ჩემი ნამდვილი სახელი და გვარია. პაკო რაბანი კი ფირმის სახეა.

***კომსომოლსკაია პრავდა №92***

# დიდი მოდელიერები მამონტებივით ქრებიან...

მე-20 საუკუნის დასასრულს მოდის სამყაროში რადიკალური ცვლილება მოხდა. აქამდე მოდის კანონმდებლები მსოფლიოში სახელგანთქმული ხელოვანნი გვეგონა, რომელთა სახელებს ამაყად ვატარებდით ტანსაცმლით. დღეს კი მოდების სახლების მეპატრონეები ცდილობენ, შექმნან მსხვილი, მომგებიანი კორპორაციები და თანდათანობით გვაჩვევენ იმ აზრს, რომ მოდა მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესია, სადაც ამინდს ჟივანშის სახლის ფაქ-



იუბერ დე ჟივანში

ტობრივი მფლობელი, ზემძლავრი ფინანსური ჯგუფი LVMH ქმნის, ბერნარ არნოს ხელმძღვანელობით.

1992 წელს შერერის სამოდელო სახლიდან თავად ამ სახლის დამაარსებელის **ჟან-ლუი შერერის** დათხოვნას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. არადა ამ კუტიურეს სახელი 80-იან წლებში სტაბილურობის გარანტად აღიქმებოდა მოდის სამყაროში. შერერი მალე დაივიწყეს, ალბათ იმიტომ, რომ მისი კაბები, მიუხედავად სილამაზისა და სიკოხტავისა, დიზაინერული აღმოჩენებით არ ბრწყინავდა.

სკანდალური იყო 1995 წელს **იუბერ დე ჟივანშის** წასვლა პოდიუმიდან. ამ დახვეწილი არისტოკრატის მოდის სახლი 1952 წლიდან მოსავდა მომხიბლავ ქალბატონებს ჭეშმარიტი ფრანგული გემოვნებით. ოდრი ჰეპბერნისთვის შექმნილი უბრალო შავი კაბა გახდა მისი მსოფლიო აღიარების სათავე. და აი, ეს კაცი საკუთარი სახლიდან გამოაძევეს და ფრანგული კონსერვატიზმის წმიდათაწმიდა ადგილი — პოდიუმი — საეჭვო რეპუტაციის მქონე ულვაშებაპრეხილმა ინგლისელმა ჯონ გალიანომ დაიკავა.

ფრანგები ძნელად შეეჩვივნენ გალიანოს სტილს, რომელმაც, სულ რაღაც ერთ წელიწადში ჟივანშის მოდების სახლი კრისტიან დიორზე გაცვალა, მისი ადგილი კი ალექსანდრ მაკუინს ხვდა. მოდის მიმდევრებისთვის ლონდონის მუშათა რაიონში გაზრდილი თავხოტორა მაკუინის ზეპურთა შორის გამოჩენა მათთვის სილის გაწვნას უდრიდა. მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ ეს უცხოელი სულაც არ აპირებდა დიდი დიორის ტრადიციების ღალატს. მან ფარივით გამოიყენა ჟივანშის ლეგენდარული სახელი და ახლა ყოველ მის გამოხდომას საზოგადოება მოწონებით ხვდება.

მოდის ინდუსტრიის მორიგი „მსხვერპლი“ გახდა ფრანგული მოდის ცოცხალი ლეგენდა **ივ სენ-ლორანი**, რომელმაც, დიორის ლოცვა-კურთხევით დაიწყო თავისი კარიერა და, ფაქტობრივად, განსაზღვრა ომისშემდგომი მოდის მიმართულებანი. თუმცა, მას მაინც ადამიანურად მოექცნენ — დაუტოვეს მხოლოდ აუტე ცოუტურე, რეტ-ა-პორტერ-ი კი ამერიკელ ალბერ ელბაზს გადასცეს. ამ უკანასკნელმა თავი ვერ დააღწია ივ სენ-ლორანის დიდებას, ნიჭიერი, მაგრამ მაინც მისი მიმბაძველი დარჩა. ალბათ ამიტომაც მოუხდა ტომ ფორდისთვის ადგილის დათმობა. ფორდის კომერციული გენია მოდური ტანსაცმლისა და აქსესუარების დიზაინში გამოიხატა. მან ფეხზე დააყენა გუჩის იტალიური მოდის სახლიც და ახლა მისგან სენ-ლორანის სასწაულთა განმეორებას ელიან...

რას იზამ, დრო თავისას შვება — დიდი მოდელიერები ასპარეზიდან მამონტებივით ქრებიან...

***ვლასტი №7***

# მე ქალს ვმოსავ, კი არ ვხდი...

**პიერ კარდენმა** პარიზის მახლობლად სენტ-უენში ახალი კულტურული ცენტრის გახსნით აღნიშნა თავისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედების იუბილე. ამ ცენტრში ბატონი პიერი მოიწვევს სხვადასხვა ქვეყნიდან ნიჭიერ მხატვრებს, მოქანდაკეებს და მუსიკოსებს, შეუქმნის მუშაობისთვის ყველა პირობას. „50 წლის განმავლობაში დილიდან საღამომდე (შაბათკვირასაც) გულმოდგინედ ვშრომობ, რადგანაც ხელოვნებაა ჩემი ცხოვრების ერთადერთი ვნება“, — აცხადებს კარდენი.

სხვის არასტუმართმოყვარე ქვეყანაში, ცარიელ ადგილზე ააგო მან თავისი იმპერია და ძველი კონტინენტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დღეს მის შეკვეთებს 140 ქვეყანაში 200 ათასი ადამიანი ასრულებს, რომლებიც 900 სხვადასხვა სახის ლიცენზიით აწარმოებენ საქონელს. მის იმპერიაში შედის 1.200 საწარმო, 30 ფირმა, 20-ზე მეტი რესტორანი „მაქსიმი“ და ა.შ. მისი უკანასკნელი ახალშენი მაკედონელის მიერ აშენებულ ალექსანდრიაშია. ახლახან წარმოებაში ჩაუშვა სუნამო „ტრისტანი და იზოლდა“ და ახალი ფორმის ავეჯი. „სრულებითაც არ ვოცნებობ, ვიყო ყველაზე მდიდარი სასაფლაოზე, — ხუმრობს მოდელიერი, — მე ვიცი, რაც არის ულუკმაპუროდ დარჩენა. იქნებ ეს არის ჩემი მამოძრავებელი ძალა“.



16 წლისა იყო, გაკოტრებული იტალიელი მეღვინის მეშვიდე შვილი (პიეტრო კარდინი), როცა სამუდამოდ დატოვა ოჯახი და პარიზის „დაპყრობა“ განიზრახა. პარიზში მაშინ იტალიელებს „ჭუჭყიან მაკარონის მოყვარულებს“ უწოდებდნენ და მხოლოდ უმძიმეს სამუშაოს აძლევდნენ. ყმაწვილს სწავლის საშუალება არ ჰქონდა. მან სამხედრო ბუღალტერიის დაწესებულებაში დაიწყო სამსახური და აქ შესწავლილი მარკეტინგის ანბანი შემდეგ ბრწყინვალედ გამოიყენა: შექმნა საკუთარი მოდელების სახლი, მოაწყო თავისი კოლექციის ჩვენება... როგორც ხშირად უყვარს ხოლმე თქმა, ყველაფერს თავისი ფულით მიაღწია — ერთი სანტიმიც კი არ მისესხიაო. „ერთადერთი მოდელიერი ვარ, რომელიც ბანკების გარეშე ვმუშაობ“, — აცხადებს კარდენი და გლეხური ეჭვით შეჰყურებდა ყოველგვარ კრედიტებსა და პროცენტებს.

კარდენი თავის უდიდეს მიღწევად მიიჩნევს მოდის დემოკრატიზებას. მან მოდა მდიდარი დარბაზებიდან ქუჩაში გამოიყვანა. იმ დროისათვის გაუგონარი რამ ჩაიდინა: მაღალი მოდიდან მზა სამოსზე გადავიდა და მისი ლოზუნგი გახდა: „ელეგანტურობის უფლება ყველა ქალს აქვს, მდიდარსაც და ღარიბსაც“. სწორედ ეს ლოზუნგი გახდა კარდენის მილიონების საფუძველი.

ბიზნესმენმა და მხატვარმა გაარევოლუციონერა თავისი შემოქმედება, უარი თქვა მოძველებულ კლიშეზე, პირველმა შემოიტანა ფუტურისტული ელემენტები, მაგრამ შემოქმედებაში ავანგარდისტი, საქმეში მუდამ არქიკონსერვატორი დარჩა. მის კომპანიაში, სადაც ყოველწლიურად 7-8 მილიარდი დოლარი ბრუნავს, არ არსებობს რთული მართვის სტრუქტურები. თვით კარდენიც ასრულებს ზოგჯერ მთავარი ბუღალტრის მოვალეობას. იგი მიღწეულით არ კმაყოფილდება... და ქმნის პარფიუმერიას, ფაიფურს, ავეჯს, საათს, სიგარეტს, ქვედა საცვალს, ღვინოს და სამკურნალო ბოსტნეულის წვენებსაც კი! „რაიმე რომ შემომაკლდება, იმას მე თვითონ ვქმნი“, — აცხადებს კარდენი. მხოლოდ საფრანგეთში ყოველწლიურად ასი ათასობით მისი თარგით გამოჭრილი კოსტიუმი, პერანგი თუ ჰალსტუხი იყიდება. მოშურნეები გაიძახიან — კარდენმა თავისი ნიჭი კომერციულ კონვეიერზე მიუშვაო. პიერის აზრით კი, მოდა მხოლოდ ხელოვნება და ჩვენი ცივილიზაციის ნაწილი კი არ არის, იგი ინდუსტრიაცაა, რომლის ფასი მრავალი მილიარდია. „ვერასოდეს მივაღწევდი წარმატებას როგორც მოდელიერი, საქმიანიც რომ არ ვყოფილიყავი. მიზნის მისაღწევად მრავალგზის გამიწევია რისკი. ვდებდი არნახულ ნაძლევს, ვიგებდი... და ყველაფერს მარტო ვახერხებდი, — ამბობს კარდენი, — მე პირველმა გავიტანე ჩემი კაბები იაპონიაში, ჩინეთში, ვიეტნამში, ინდოეთსა და რუსეთში. 1991 წელს წითელ მოედანზე უპრეცედენტო დეფილე მოვაწყვე. მოდელიერებიდან პირველი ჩავჯექი კოსმონავტის სავარძელში და პირველად ჩავიცვი კოსმოსური სკაფანდრი. მე მქონდა პირველს მთელი მხატვრული გალერეა და პირველი გავემგზავრე ჩერნობილში“, — ჩამოთვლის კაპიტალისტი.

იგი შთაგონებას არ ეძებს მუსიკაში, ფერწერასა და ლიტერატურაში; არც ეგზოტიკურ ქვეყნებსა და ოპიუმის ბურუსში. „ვხუჭავ თვალებს და ჩემს წარმოსახვაში ვძერწავ სამოსს, რომლის შიგნით წყალი (ანუ ქალი) მოძრაობს... ჩემი კოლეგებისაგან განსხვავებით, მე ქალს ვმოსავ, კი არ ვხდი“...

პიერ კარდენს ნაკლებად აინტერესებს კოლეგების წარმატებები — მათ ნამუშევრებს მხოლოდ იმიტომ ვეცნობი, რომ მათი შეცდომები არ გავიმეოროო...

კარდენს არასოდეს გამოუფენია თავისი „ნაწარმოებები“ დებიუტანტებთან — არ მსურს სხვებთან ერთად ერთ რიგში სიარულიო.

ახლობლები ხუმრობენ, შეძლების მიხედვით არ ცხოვრობს — ძალზე მოკრძალებულიაო. „სიმდიდრე მხოლოდ სულელებს ასხამს თავბრუს, მე ფულს ახალი რამის შესაქმნელად ვიყენებ. ძალიან მომწონს პოპულარობა, ეს ხომ სიყვარულის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა“, — აღიარებს პიერი. მას უამრავი ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის „ოქროს სათითე“; ერთადერთი საბავშვო მოთხრობისთვის „აბრეშუმის მატლის ზღაპარი“ — სენტ-ეკზიუპერის პრემიით დააჯილდოვეს. მოდელიერებიდან იგი პირველი აირჩიეს კაზმული ხელოვნების აკადემიის წევრად. მისი ესკიზით დამზადდა „უკვდავთა“ აუცილებელი ატრიბუტი — დაშნა და თვითონ შეიკერა აკადემიკოსის სამოსი. კარდენი მომჭირნე ადამიანია, მაგრამ როგორც მეცენატი, ძალზე ხელგაშლილია. მან თავისი თეატრის სცენაზე 300 პიესის გმირი შემოსა, წარმატებით გამოდიოდა ამ სცენაზე მაია პლისეცკაია. მისი საბალეტო დასი კარდენმა საოცარი ფერებით ააჟღერა.

მკაცრი რაინდის მაღალი მოდის კარიერა ბრწყინვალედ წარიმართა, პირადი ცხოვრება კი არ აეწყო. მისი მეუღლე გახლდათ ცნობილი მსახიობი ჟანა მორო. სამწუხაროდ, შვილი არ ჰყავდათ. პიერმა ახლახან გაამხილა თავისი საიდუმლო, მას ხუთი ტყუპი უშვილებია და გაუზრდია. დღეს ისინი 20 წლისანი არიან. არავინ იცის, ვის დაუტოვებს თავის იმპერიას. „იმპერია იმდენად ძვირადღირებულია, რომ მისი გაყიდვა ან მემკვიდრეობით გადაცემა შეუძლებელია... ამიტომ მეჯლისს მე წარვმართავ“, — აცხადებს დიდი პიერი.

***ნოვიე იზვესტია №81***

# პირველი კუტიური

მაღალი მოდის დაბადების თარიღი **ჩარლზ ფრედერიკ ვორტის** სახლის გახსნის დღეს ემთხვევა. ეს მოხდა 1858 წელს. მოდის ისტორიკოსები მას პირველ კუტიურედ მიიჩნევენ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მანამდე უცნობ პროფესიას. მკერავისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად შემკვეთის სურვილის შემსრულებელი იყო, კუტიურე საკუთარ სურვილებს კარნახობს კლიენტს. პირველი სერიოზული დიქტატორი მოდის დარგში გახლავთ სწორედ ჩარლზ ფრედერიკ ვორტი.

ის არა მარტო იგონებდა კაბის, პალტოს ან სამეჯლისო სამოსის თარგს, არამედ მის აქსესუარებსაც ქმნიდა — ფეხსაცმლით დაწყებული, შლაპით და ჩანთით დამთავრებული. ვორტი კლიენტებს სთავაზობდა მთლიან კოსტიუმს და თუ შემკვეთს რაიმე არ მოსწონდა, ისლა დარჩენოდა, სხვისთვის მიემართა. ვორტმა კლიენტს ხმის უფლება წაართვა და, ფაქტობრივად, არჩევანიც აღარ დაუტოვა — ან უნდა ჩაეცვათ და დაეხურათ ის, რასაც ვორტი სთავაზობდათ, ან სხვაგან წასულიყვნენ.

1845 წელს დედისგან ნასესხები 5 ფუნტით ინგლისელი ვორტი საფრანგეთში მიემგზავრება. ერთი წლის შემდეგ სამსახურს პოულობს ფირმაში, რომელიც ქიშმირითა და აბრეშუმით ამარაგებს მდიდარ კლიენტებს. სწორედ აქ იწყებს იგი სამზადისს თავისი პატარა რევოლუციისათვის. ხედავს, რომ ფირმის მაღაზიაში ნაყიდი უმშვენიერესი ნაჭრები ხშირად მკერავისა და კლიენტის ერთობლივი მცდელობით საშინელ უგემოვნო, მოუხერხებელ სამოსად იქცევა. ვორტს გვერდით უდგას მისი მომავალი ცოლი, დახვეწილი გემოვნების მქონე მარი ვერნე, რომელიც ჩაცმულობით ხიბლავს საკაბეების საყიდლად მოსულებს.

1858 წელს ვორტი მზა ტანსაცმლის მაღაზიას ხსნის. მის მიერ მოწვეული ქალები კლიენტებს სხვადასხვა ფასონის კაბებს უჩვენებენ. ვორტისა და მისი მეუღლის კლიენტები ხდებიან ზეპური საზოგადოების წევრები, მონარქთა ცოლები და ქალიშვილები.

ვორტის დამსახურებას მოდის წინაშე ნამდვილად შეუდარებელია. მან პირველმა თქვა უარი კრინოლინზე, ნაოჭებზე, გადამეტებულ მაქმანებზე, მოიგონა უშუალოდ სხეულზე ნაჭრის დრაპირება, ამ ხერხს დღესაც იყენებენ. „1870 წლის რევოლუცია არაფერია იმასთან შედარებით, რაც მე ჩავიდინე, როცა ქალები კრინოლინისაგან გავათავისუფლე“, — ამბიციური ტონით აცხადებდა იგი. მან პირველმა შემოიტანა სტილის გრძნობა, ის ხომ მარტო კაბებს არ ქმნიდა, არამედ მის ყველა აქსესუარს. სხვათა შორის, ვორტამდე არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ ტანსაცმელს, ჩანთას ან ფეხსაცმელს შეიძლებოდა ჰყოლოდა ავტორი. მისი წყალობით „ხელოსნობის“ სინონიმიდან სიტყვა „კუტიურე“ მაღალი მოდის შემქმნელის სინონიმად იქცა. როცა 1990 წლებში პარიზის მოდების სახლებმა სამუშაოდ ახალგაზრდა ინგლისელების მიწვევა დაიწყეს, შეურაცხყოფილი ფრანგები აყვირდნენ — ინგლისელები ვერასოდეს ვერ ავლენ ფრანგული „შიკის“ დონემდე, ისინი მაღალ მოდას დაღუპავენო, რაზეც ინგლისელები პასუხობდნენ — ფრანგული მაღალი მოდა ინგლისელმა ჩარლზ ფრედერიკ ვორტმა შექმნაო.

***ტელეობსერვატორი***

# საღეჭმა რეზინმა მსოფლიო დაიპყრო

ადამიანები ღეჭვისგან სიამოვნებას ღებულობენ. ეს მათი ერთ-ერთი ძირითადი ინსტინქტია. არქეოლოგები პირველყოფილი ადამიანების სადგომებში პოულობენ ნივთიერებებს, რომლებიც ძალზე ჰგავს დაღეჭილ ფისს. ძველი ბერძნებიც ღეჭავდნენ ფისს და მის ავკარგიანობაზე მსჯელობდნენ. ერთი სიტყვით, კაცობრიობისთვის არასოდეს ყოფილა უცხო ღეჭვა, მაგრამ ამერიკამ პირველმა შეძლო ამ ინსტინქტის დაკავშირება მრეწველობასთან და მძლავრი ინდუსტრიაც შექმნა.


უილიამ რიგლი




ჩრდილოეთ ამერიკის მცხოვრებნი ყოველთვის ღეჭავდნენ ნაძვის ფისს, მათი მიბაძვით, კოლონისტებმაც დაიწყეს ღეჭვა. დაახლოებით XX საუკუნის დამდეგს დაიწყეს ცვილისა და ფისის შერევა. მაგრამ გასაყიდად გამზადებული პირველი საღეჭი რეზინი მხოლოდ 1848 წელს შეიქმნა. ძმები კერტისები რეზინს ფერმაში ხარშავდნენ. მყიდველი ბევრი ჰყავდათ. მოგვიანებით კერტისებმა პორტლენდში გახსნეს ფაბრიკა და აითვისეს საღეჭი რეზინისა და პარაფინის წარმოება, 200 მუშა ასუფთავებდა ფისს, პარაფინს შაქრის პუდრს ურევდა და ქაღალდში ლამაზად ფუთავდა.

1869 წლის 28 დეკემბერს ოჰაიოს შტატის მცხოვრებმა უილიამ ფინლი სემპლმა სასიამოვნო გემოს მისაღწევად მიიღო რეზინის მასის სხვა სუბსტანციებთან შერევის უფლება, მაგრამ გასაყიდად არ დაუმზადებია, ამიტომაც ისტორიაში არ შევიდა. მაგრამ ამერიკა მაშინ უკვე იდგა ნამდვილი აღმოჩენის წინაშე. ამ უდიდეს ამერიკულ გამოგონებაში ერთმანეთს ერწყმოდა ამერიკის ძველი და თანამედროვე ისტორია. ის, რომ უძველესი მაიას ტომი უხსოვარი დროიდან ღეჭავდა ჩიკლს, ფოტოგრაფსა და გამომგონებელ ადამსს უამბო მექსიკიდან განდევნილმა გენერალმა ანტონიო ლოპეს დე სანტა ანამ. იგი გამომგონებელ ადამსის მეზობლად დასახლდა და მას მიჰყიდა სამშობლოდან წამოღებული საღეჭი მასა — ჩიკლი. ადამსების ოჯახმა ჩიკლი დაანაწევრა, მოხარშა და ფერად ქაღალდებში გაახვია. მისი გაყიდვა არც ერთმა აფთიაქმა და არც საბაყლო მაღაზიამ არ ისურვა. თომას ადამსმა უფასოდ დაურიგა მათ რეზინები, ის კი სთხოვა, თუ ვინმე ისურვებს, დამიკავშირდესო. რამდენიმე დღის შემდეგ 300 შეკვრის შეკვეთა მიიღო. ადამსების ოჯახმა მუშა ქალები დაიქირავა და დაიწყო საღეჭი რეზინის მასობრივი გამოშვება. მათვე დაიწყეს არომატიზებული რეზინის დამზადება.

საღეჭი რეზინი განსაკუთრებული პროდუქტია, იგი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს გემოთი და კარგი შეფუთვით. რაღა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის რეკლამას. საღეჭი რეზინის ბიზნესის წამომწყებნი დიდი ამოცანის წინაშე იდგნენ — საზოგადოება უნდა დაერწმუნებინათ, რომ ღეჭვა არ არის ვულგარული, პირიქით, სასარგებლოცაა. ოჰაიოელი ექიმი ედვარდ ბიმენი პეპსინის ფხვნილებს ამზადებდა კუჭნაწლავის უკეთ ასამუშავებლად, ბუღალტერმა ქალმა ურჩია, პეპსინი საღეჭ რეზინს შეურიეთო. ბიმენმა დაუჯერა და არც არაფერი წაუგია, სწორედ ის გახდა „სასარგებლო“ რეზინის წარმოების თავკაცი. პეპსინიანი რეზინის შესაფუთ ქაღალდზე ღორი იყო დახატული, წარწერა კი მყიდველს მოუწოდებდა — დაღეჭე და ამ ღორივით ყველაფრის მონელება შეგეძლება.



..1916 წელს ახალგაზრდა მენეჯერი ფრენკ კანინგი კბილის ექიმთან მეგობრობამ იმ აზრამდე მიიყვანა, რომ საღეჭი რეზინი კბილებისთვის სასარგებლოდ გამოეცხადებინა. ასე გაჩნდა DENTYNE. ცოტა უფრო ადრე, 1899 წელს, საღეჭი რეზინის დამამზადებელთა ერთი ჯგუფი გაერთიანდა კორპორაციად AMERICAN CHICLE COMPANI. ისინი სწორედაც რომ დროზე გაერთიანდნენ, რადგან საღეჭ ბიზნესში მოვიდა დიდი კომერსანტი უილიამ რიგლი-უმცროსი. ათი წლისა იყო უილიამ რიგლი, როცა მამამისის ფირმაში საპნის გამყიდველად დაიწყო მუშაობა, 1891 წელს კი ჩიკაგოში საპნის საკუთარი წარმოება დააარსა. რიგლი ბიზნესის დარგში გენიოსი იყო „ყველას სიამოვნებს უფასოდ რამის მიღება, — ამობდა იგი და თითო ყუთი საპნის მყიდველს ქოლგით ასაჩუქრებდა. საპნიდან სასმელი სოდის ბიზნესზე გადავიდა, საპონი კარგად საღდებოდა, მაგრამ სოდა, კიდევ უკეთესად, მით უმეტეს, რომ სოდიან ქილას უფასოდ ახლდა ორი საღეჭი რეზინი. პრემია ძირითად პროდუქტებზე პოპულარული აღმოჩნდა და რიგლი მიხვდა — ეს იყო ის, რასაც ეძებდა.

მან ზინოს ფაბრიკას (მერე თვითონ იყიდა ეს ფაბრიკა) რეზინის პარტია დაუკვეთა, მას რიგლის მარკა ამშვენებდა. ეს იყო ეკონომიკური დაქვეითების ხანა და მეწარმეები ცდილობდნენ, ეკონომია გაეწიათ ყველაფერზე, მათ შორის რეკლამაზე. რიგლი ამ მეწარმეთა შორის არ იყო. ის, რაც მან მოაწყო, ფართო სარეკლამო კამპანიის ისტორიაში პირველი იყო. მოწოდება, — დაღეჭეთ LOTTA GUM, UASSER, WRIGLEY 'S SPEARMINTS და JUICY FRUIT — მომხმარებელს ყველგან თვალში ხვდებოდა. სახლების კედლები, ომნიბუსები, ტრამვაები, ჟურნალ-გაზეთები აჭრელებული იყო ამ რეკლამით. პრემიები გრძელდებოდა. რიგლიმ კატალოგიც კი გამოუშვა, რომ კლიენტი ადვილად გარკვეულიყო, რის, მიღება სურდა პრემიად.

რაც შეეხება BUBBLE GUM-ს, მისი წარმატება 1928 წლიდან დაიწყო, გასაბერი რეზინები ძალიან პოპულარული გახდა.

საღეჭმა კომპონენტმა ქვეყნის ისტორიაში თანდათანობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა, მას ომში მოუხდა მონაწილეობის მიღება. 1930 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰოლინგვორთმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ღეჭვის ფსიქოდინამიკა“, სადაც ნათქვამი იყო, რომ ღეჭვა ამცირებს კუნთების დაძაბულობას და ხელს უწყობს სტრესისგან გათავისუფლებას. ამით ისარგებლა რიგლიმ. მეორე მსოფლიო ომს კომპანია მზადყოფნაში შეხვდა. ჯარისკაცის რაციონში შეტანილ იქნა რიგლის საღეჭი რეზინი. ისე რომ, მოკავშირეთა გამარჯვებაში რიგლისაც მიუძღვის წვლილი.

ომმა დაადასტურა პროფესორ ჰოლინგვორთის სიმართლე — ჯარისკაცები ფრონტზე ექვსჯერ მეტ რეზინს იყენებდნენ, ვიდრე მშვიდობიან დროს. ომმა შეამცირა წარმოების ნედლეულის ბაზა. მაგრამ ფილიპ რიგლი — მამის საქმის აქტიური განმგრძობი, ვერ დაუშვებდა, რომ ამერიკელ ჯარისკაცებს უხარისხო რეზინი მიეღოთ. ფრონტზე კვლავ საუკეთესო რეზინი იგზავნებოდა, მოსახლეობას კი დროებით ნაკლებხარისხიანს სთავაზობდნენ. კომპანია მოსახლეობაში ახსნა-განმარტებას ეწეოდა, რათა უკმაყოფილო არავინ დარჩენილიყო. ნედლეული დღითი დღე მცირდებოდა, რიგლი მშვიდობიან მოსახლეობას ვეღარ აწოდებდა პროდუქციას, მაგრამ არც ის სურდა, რომ ხალხს დავიწყებოდა მისი რეზინი. ამიტომაც ცათამბჯენებისა თუ პროვინციული დუქნების კედლებიააჭრელა რეკლამამ, რომელზეც გამოსახული იყო მისი რეზინის ცარიელი შეკვრა, ზედ ეწერა — გახსოვს ეს რეზინი? როცა 1946 წელს კომპანიამ აღადგინა მისი გამოშვება, მას აღფრთოვანებით შეეგებნენ არა მარტო ვეტერანები, არამედ ფაშიზმისგან გათავისუფლებული ქვეყნებიც, რომლებსაც ამერიკელმა ჯარისკაცებმა ასწავლეს ღეჭვა. რიგლიმ ფაბრიკები ააგო ფილიპინებზე, საფრანგეთში, ავსტრიაში, კენიაში. დღეს კომპანიას ფილიალები აქვს მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში. ამ იმპერიას სათავეში უდგას პირველი რიგლის შვილთაშვილი, ისიც უილიამ რიგლია.

# შედედებული რძის ისტორია

გეილ ბორდენი გამომგონებელი იყო, მისი ცხოვრების მთავარი საქმე კი შედედება და დაკონსერვება გახლდათ. ბორდენისნაირ ადამიანებზე ათას რამეს ყვებიან, ეს არც არის გასაკვირი, რადგან მისი სახელი უკავშირდება მეტად საჭირო პროდუქტს — შედედებულ რძეს. ერთი ლეგენდის თანახმად, გეილ ბორდენმა, რომელიც 1851 წელს ლონდონის გამოფენიდან ამერიკაში ზღვით ბრუნდებოდა, შეამჩნია, რომ ზღვის ავადმყოფობა მარტო ადამიანებს კი არა, ძროხებსაც ემართებოდათ. ბორდენისთვის ისიც აშკარა გახდა, რომ თუ ადამიანები ასე თუ ისე უძლებდნენ ზღვის ავადმყოფობას, ძროხები ძალიან ცუდად იყვნენ — აღარ იწველებოდნენ.



გემზე მყოფი ურძეოდ დარჩენილი ბავშვების ტირილმა გეილ ბორდენი დააფიქრა იმაზე, შეიძლებოდა თუ არა ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანების უზრუნველყოფა რძით. ეს მძიმე ამოცანა იყო, რადგან რძე ძალიან მალე ფუჭდება. ასე დაიბადა შედედებული რძის შექმნის იდეა..

გეილ ბორდენი ნიუ-იორკის შტატში დაიბადა. ნიჭიერმა ყმაწვილმა დამოუკიდებლად შეისწავლა ტოპოგრაფია და 1829 წელს ტეხასის შტატის დამაარსებელმა — სტივენ ფულიერ ოსტინმა იგი ოფიციალურ ტოპოგრაფად დანიშნა. 1835 წელს, როცა შტატს გაზეთი დასჭირდა, ბორდენმა მეგობართან ერთად გაზეთის გამოშვებაც დაიწყო, მაგრამ მისი ცხოვრების მიზანი გამომგონებლობა იყო. მისი „მოძრავი საბანაო პავილიონი“ ადგილობრივ ქალბატონებს სადაც სურდათ, იქ აძლევდა ბანაობის საშუალებას. საქორწილო საჩუქრად ცოლს მიართვა სასადილო მაგიდა, რომლის ცენტრი მოძრაობდა და სუფრასთან მსხდომნი ფეხზე წამოუდგომლად იმ კერძს მისწვდებოდნენ, რომელიც სურდათ. ბორდენის გამოგონებებიდან უმნიშვნელოვანესი გახლდათ „აფრიანი ფურგონი“, რომელიც ხმელეთზე და წყალშიც მოძრაობდა. სამწუხაროდ, ის ხშირად ტრიალდებოდა. ამიტომ პროექტი რეალურად ვერ განხორციელდა, მით უმეტეს, რომ თავად გამომგონებელმა მასზე გული აიყარა.


გეილ ბორდენი

იდეაზე უარს ვამბობ, ახალი იდეის სასარგებლოდ, — ამბობდა ბორდენი. შემდეგ შედედებული რძის ჯერი დადგა.

შემთხვევამ, რომელმაც გამომგონებელი აიძულა, მთელი გულისყური შედედებაზე გადაეტანა, მთელი ამერიკა შეძრა. 1846 წლის ნოემბერში, ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელიც საცხოვრებლის ძიებაში ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, სიერა-ნევადის მთებში საშინელ ქარიშხალში მოხვდა, რამდენიმე კვირის განმავლობაში ისინი სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ სამყაროს, ვიდრე მათ დასახმარებლად არ მივიდნენ. გადარჩა მხოლოდ 47 ადამიანი, მათ დანარჩენები შეჭამეს. ბორდენი მარტო ზნეობრივ ფაქტორს არ შეუძრავს, ის მიხვდა, რომ ექსტრემალურ პირობებში ჩავარდნილ მის თანამემამულეებს, რომელთა დიდი ნაწილი თითქმის მთელ ცხოვრებას უკეთესი ადგილის ძებნაში ატარებდა, აუცილებლად სჭირდებოდა საკვები, რომელიც გზაში არ გაუფუჭდებოდა.

რაკი აუცილებელია, მასზე მოთხოვნაც დიდი იქნება, — ფიქრობდა გეილ ბორდენი. მან 1850 წელს გამოუშვა წიგნი, რომელშიც რეკლამირებული იყო მის მიერ გამოგონებული „გამხმარი ხორცი“. ბორდენმა მთელი თავისი ქონება — 60.000 დოლარი და 6 წელი მოახმარა ამ პროდუქტის „წინ გაწევას“. რა თქმა უნდა, მას წინ ელობებოდნენ არმიისთვის ახალი ხორცის მიმწოდებელნი. სხვა პრობლემაც არსებობდა, „გამხმარი ხორცი“ შესახედადაც უსიამოვნო იყო და გემოთიც მეტისმეტად ჩამოუვარდებოდა ახალს. და სანამ„გამხმარი ხორცის“ იდეა დამარცხდებოდა,ბორდენმა გამოიგონა კაცობრიობისათვის აუცილებელი პროდუქტი, რომელმაც სახელი გაუთქვა მის შემქმნელს. მან რძის შედედება ისწავლა.

საბედნიეროდ, ბორდენმა არ იცოდა, რომ ევროპაში მრავალგზის შეეცადნენ რძის შედედებას, მაგრამ უშედეგოდ. იდეაზე ხელი აიღეს. ბორდენი კი ენთუზიაზმით იყო აღვსილი. ცდები უშედეგოდ მთავრდებოდა, მაგრამ ბორდენი არ ეპუებოდა, სჯეროდა, რომ საწადელს მიაღწევდა. ერთხელ შემთხვევით თვალი მოჰკრა, მზარეული ქალი ქვაბის ძირს ცხიმს უსვამდა, რომ საჭმელი არ მიმწვარიყო. ბორდენმა იგივე ოპერაცია რძის აორთქლების წინ ჩაატარა და მიიღო ნივთიერება, რომელსაც ახლა პლანეტის ყველა მცხოვრები იცნობს შედედებული რძის სახელით.

მისი მომზადების მეთოდი იმდენად მარტივი იყო, რომ ვაშინგტონში საპატენტო კომისიის დარწმუნება ძალიან ძნელი გამოდგა. ბოლოს და ბოლოს, საპატენტო კომისიის წევრებმა აღიარეს (ბორდენს ამ საქმისთვის არც ფული დანანებია), რომ ავტორმა პრინციპულად ახალი მეთოდი მოიგონა — ვაკუუმში რძის აორთქლება.

შედედებულ რძეს მაშინვე კომერციული წარმატება ხვდა. ერთი ლეგენდის თანახმად, შედედებული რძის წარმოებაში ფულის ჩასადებად კომპანიონის მოსაძებნად მას მხოლოდ 5 წუთი და 5 ცენტი დასჭირდა. ზღაპარს ჰგავს, მაგრამ შემთხვევითი თანამგზავრი, ვისაც საპატენტო კომისიაში მიმავალმა ბორდენმა რძე გაასინჯა, საბაყლო საქონლით მოვაჭრე და ნიუ-იორკში სასურსათო მაღაზიების ქსელის მეპატრონე აღმოჩნდა. პროდუქტის გემოთი ნასიამოვნებმა ვაჭარმა მაშინვე შესთავაზა ბორდენს კონტრაქტი.

1858 წელს ნიუ-იორკის ჩრდილოეთით, ასი მილის დაშორებით მდებარე სოფელში გაიხსნა შედედებული რძის მწარმოებელი მსოფლიოში პირველი ქარხანა. რეკლამაში ნათქვამი იყო — „ეს არის ძროხის რძე, რომლიდანაც ამომშრალია წყალი და არც არაფერი აქვს დამატებული“.



ბორდენისეული შედედებული რძე ნიუ-იორკის ბაზარზე დროულად გამოჩნდა. იმხანად გაზეთები აჭრელებული იყო ფაქტებით იმის თაობაზე, რომ დაბინძურებულ მინდვრებზე მობალახე ძროხის რძეს ბევრი ადამიანი ემსხვერპლა. ხშირი იყო ბავშვთა სიკვდილიანობა და მიზეზად კვლავ რძეს ასახელებდნენ.

ახალმა პროდუქტმა სავსებით შეცვალა სიტუაცია. ბორდენის შედედებული რძე სასურველი საკვები გახდა როგორც ბავშვებისათვის, ასევე დიდებისთვისაც.

ბორდენმა თავის რძის ქარხანაში სისუფთავეზე უსასტიკესი კონტროლი დააწესა. იგი თავის ხალხს გზავნიდა ფერმერებთან, რათა გაეცნო მათთვის თავისი პირობები. მაგალითად, ბორდენი ითხოვდა, რომ ძროხისთვის მოწველის წინ აუცილებლად თბილი წყლით მოებანათ ცური, ბოსელი სუფთა უნდა ყოფილიყო, ნაკელი ბოსლიდან მოშორებით შეენახათ. ქარხანა მხოლოდ გაცივებულ რძეს ღებულობდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფერმერების საქმეს ართულებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ იცოდნენ, რომ რძე გაუსაღებელი არ დარჩებოდათ. 1875 წელს, ბორდენის სიკვდილის ერთი წლის შემდეგ, „ბორდენ კომპანიამ“ ახალი რძითაც დაიწყო ვაჭრობა, დიდი ბიდონებიდან მყიდველს ჭურჭელში უსხამდნენ. 1885 წელს კი ბორდენ-უმცროსის ხელმძღვანელობით ბოთლებით დაიწყეს რძის გამოშვება. მაგრამ კიდევ 10 წელი გავიდა, ვიდრე რძის ბაქტერიოლოგიური ანალიზი და პასტერიზაცია გახდა რძის წარმოების აუცილებელი ნაწილი.

*გვერდი მოამზადა*
*ნანა ილურიძემ*

# გამოაღეთ ფანჯრები!
## (ალ პაჩინო — ფლეიბოი)

ახალ ფილმში „ინსაიდერი“ ალ პაჩინო ასრულებს შეუბრალებელი ტელეპროდიუსერის როლს, რომელიც ჯეფრი ვიგანდის საქმეს იკვლევს. ვიგანდი თამბაქოს კომპანიის რეალური მეცნიერ-თანამშრომელია, რომელმაც გაახმაურა ის ფაქტი, რომ სიგარეტის ამერიკელი მწარმოებლები დიდხანს ზრდიდნენ თამბაქოში იმ ნივთიერებათა დოზას, რომელიც მწეველს სიგარეტზე დამოკიდებულს ხდის. „ინსაიდერმა“ ამერიკაში დიდი სკანდალი გამოიწვია. პროგრამა „60 წუთის“ ცნობილმა კორესპონდენტმა მაიკ უოლესმა, რომელიც აგრეთვე გამოყვანილია ფილმში, განაცხადა, რომ ფილმში გაყალბებულია მოვლენათა ერთი მესამედი.

ასეა თუ ისე, „ფლეიბოის“ ჟურნალისტებმა ნიუ-იორკის ერთ-ერთ კაფეში მაინც აიღეს ინტერვიუ ალ პაჩინოსაგან.

**ფლეიბოი — ამბობენ, მაიკ უოლესი ძალზე განაწყენებული იყო იმის გამო, თუ როგორ გამოიყვანეს იგი „ინსაიდერში“.**

**ალ პაჩინო** — მე კი მიმაჩნია, რომ უოლესის არაფერი აქვს საწყენი. მან თავის დროზე ბევრს მიაღწია, დიდი და შესანიშნავი სამუშაო გასწია. მაგრამ, ბუნებრივია, გახარებული არ არის. ფილმი აჩვენებს, რომ „60-მა წუთმა“ ვერ შეასრულა დაპირება და ეთერში არ უჩვენა სიუჟეტი თამბაქოს ინდუსტრიის შესახებ. მათ ზურგი აქციეს თავის აუდიტორიას და მაიკ უოლესმა ეს იცის.

**— როგორ უცქერი საკუთარ კარიერას? ოდესღაც უჯანყდებოდი საკუთარ წარმატებას, ახლა, თითქოს სულერთია.**

— ო, არა, ჩემი წარმატება სულაც არ არის სულერთი. წინააღმდეგი არ ვარ, ქუჩაში სეირნობისას სხვების მზერა რომ არ მითვალთვალებდეს და ხალხი ავტოგრაფისთვის არ მაწუხებდეს. ყურადღება ცოტათი მძაბავს, თუმცა მესმის — მათ ესაჭიროებათ კონტაქტი.

**— არასოდეს მოგჩვენებია, რომ ყველა ახალი როლის შესრულებისას დიდი ძალისხმევით უნდა მიგეღწია გამარჯვებისათვის?**

— ეს მიგრძვნია. კოლოსალურ დაწოლას ვგრძნობდი — რაც არ უნდა მეკეთებინა, საკმარისად არ მიმაჩნდა. რაღაც დროის მანძილზე ეს ხელს მიშლიდა და მაიძულებდა მეფიქრა, თითქოს უკვე აღარ შემეძლო დანაპირების შესრულება, თითქოს მიჭირდა, მიმეღო გამოწვევა. მთელი ეს წარმოდგენები ტვინში გიტრიალებს და ხელს გიშლის დატკბე პროფესიით. მაგრამ ამგვარად ასე აღარ ვფიქრობ. მივიღებ თითოეულ როლს, თითოეულ ფილმს — და შემდეგ როგორც გამიმართლებს. ასე გაცილებით ადვილია. ნაკლები სტრესია.

**— ხომ არ გრძნობ ახლა ერთგვარ თავისუფლებას, რაც ადრე არ გქონდა?**

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ აწი ველარავინ მომჩანგლავს. უფრო მომთმენი გავხდი საკუთარი ნაკლის მიმართ.

**— როგორია შენი დამოკიდებულება სამსახიობო ხელობის მიმართ?**

— ერთხელ ბერტოლდ ბრეხტმა თქვა: „აღმოაჩინეთ თქვენთვის პიესის სიტყვები“. აი, საუკეთესო რჩევა, რასაც ნებისმიერ მსახიობს მივცემდი. კითხულობ ტექსტს და ცდილობ, გამოიკვლიო და გახსნა საგნები, რომლებიც ნაწარმოებში თვალსაჩინოცაა და დაფარულიც. შენ უფლება გაქვს გახდე შენივე პერსონაჟი და მიანიჭო მას სიცოცხლე. ეს არის მსახიობის ხელობის საფუძველი. შენ ეძებ საშუალებებს, როგორღაც აღბეჭდო ამ პერსონაჟის მნიშვნელობა.

**— რას გრძნობ, როცა ასახიერებ დაძაბულობისა და სიბრაზის უზარმაზარი სპექტრის მქონე პერსონაჟებს?**

**ალ პაჩინო** — მე მომწონს პერსონაჟები, რომლებსაც ახრჩობთ ემოციები. როგორც მსახიობი, ვცხოვრობ იმ წუთებისთვის, როცა ცეცხლის ალს აფრქვევ. აი, სად იწვი. ეს თითქმის ქმნის კათარზისის შეგრძნებას. უკიდურესობამდე და ექსცესებამდე მისვლა — აი, რა არის მსახიობობის ძირითადი მომხიბლაობა.

ეს არის გრძნობადი განთავისუფლების ფორმა, რაც საშუალებას იძლევა განიცადო ის, რაც კერძო ცხოვრებაში მოითხოვს კონტროლს და სიფრთხილეს. რეალობაში ამგვარი ცხოვრება, როგორი მაცდურიც არ უნდა იყოს, გამთანგველია.

**— მართალია თუ არა, რომ „ნათლიის“ გადაღების დასაწყისში ცდილობდი ისე გეთამაშა, რომ ფრენსის კოპოლას გაეგდე?**

— დიახ, ამაში არის სიმართლის დიდი წილი. ჩემი მხრიდან ეს იყო დიდი, თვითდამანგრეველი მცდელობა და ბედად ფრენსისმა არ გამაგდო. მე უღლის ქვეშ ვიკუნტებოდი. მანამდე არასოდეს მიმიღია მონაწილეობა ფორმით და მოცულობით „ნათლიის“ მსგავს ფილმში და სრულიად გაოგნებული ვიყავი. თავიდან სულ ვცდილობდი მაიკლი ძალზე წყნარად მეთამაშა, შესაძლოა, ზედმეტად წყნარად და ეს ხელს არ აძლევდა იმ ხალხს სტუდიაში, ვინც სასინჯი მასალა ნახა. ამიტომ ფრენსისი მთხოვდა, რომ გამეღო რაღაც უფრო მეტი. მეუბნებოდა, როგორ იბრძოდა, რომ როლი მე მრგებოდა, როგორაა ახლა ყველაფერი დამოკიდებული ჩემზე და ა.შ. აღარ მახსოვს, როგორ ვაპირებდი სიტუაციიდან თავის დახსნას, მაგრამ საქმე კარგად მას შემდეგ წავიდა, რაც გადავიღეთ სცენა, რომელშიც სოლოცოს და მაკკლუსკის ვკლავ რესტორანში. ეს სცენა დამეხმარა, გამემყარებინა მაიკლის ხასიათი. ამის შემდეგ მაიკლს და ყველა დანარჩენს, უკვე სულ სხვა რაღაც აღელვებდათ.

**— 70-იან წლებში ვარსკვლავად იქეცი, მაგრამ, მგონი საკუთარი თავი პლანეტის საუკეთესო მსახიობად არ მიგაჩნდა...**

— იზრდებოდა ჩემი დიდება და იზრდებოდა ეჭვი. თავს აფერის მონაწილედ ვგრძნობდი — თითქოს პოპულარობის მექანიზმის ნაწილად ვიქეცი, სადაც არავითარი მნიშვნელობა და ღირებულება არა აქვს ჩემს სამსახიობო გარჯას. მე არ მსურდა სიყვარული და აღიარება — ამიტომ ყოველივე კარგი, რასაც ჩემზე ამბობდნენ და წერდნენ, ჩემთვის იძენდა სრულიად სხვა მნიშვნელობას, რაც კიდევ ერთხელ მიდასტურებდა ჩემი ცხოვრების სიყალბეს. ეს რთული ასახსნელია, მაგრამ არ შეგიძლია იყო კმაყოფილი არც საკუთარი თავით, არც ცხოვრებით, თუკი ბუნებით თვითდამანგრეველი ხარ, როგორიც მე ვიყავი. შენ ყველაფერს თავიდან დაატრიალებ, სანამ სასურველ მიზანს არ მიაღწევ ანუ არ შეგზიზღდება საკუთარი თავი. დიდი დრო დამჭირდა, ამისგან რომ განვკურნებულიყავი.

**— შენმა სიცილიელმა მამამ შენ და დედაშენი, როუზი მაშინ მიგატოვათ, როცა სულ ორიოდე წლის იყავი. ამის შემდეგ, უახლოესი ადამიანები, დედა და ბაბუა, ერთმანეთის მიყოლებით, რამდენიმე თვეში დაიღუპნენ...**

— (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე სევდიანი ხანა იყო და აქამდე მწყდება გული, რომ ისინი ვერ მოესწრნენ, როგორ განვახორციელე ზოგიერთი ჩემი და მათი ოცნება ცხოვრებაში, მაგრამ ამგვარი ხვედრი



მარგუნა ბედისწერამ... დედა იბრძოდა, რომ უკეთესი ცხოვრება მქონოდა და როცა იგი გარდაიცვალა ისე, რომ მე ჯერ კიდევ არ შემეძლო მისთვის რამე დამემტკიცებინა — ეს ჩემთვის ზურგში ჩაცემული დანის ტოლფასი იყო, მაგრამ ვფიქრობ, მან იცოდა, რომ მე გამომივა, მას სჯეროდა ჩემი.

**— 1981 წელს, „ნაიარევი სახის“ გადაღების შემდეგ იგრძენი, რომ სრულიად გადაიწვი როგორც პიროვნება და როგორც მსახიობი. რამ გაიძულა იმ მომენტში, რომ თეატრს დაბრუნებოდი?**

— მაშინ მე თეატრმა გადამარჩინა. სცენაზე სახლში ვარ. მომწონს დეკორაციის სუნი, მტვერი, მსახიობთა ენერგია. სპექტაკლის შექმნის პროცესი უფრო რეალურია, უფრო თვალსაჩინო. როცა გადამღებ მოედანზე იმყოფები, რვა, ათი საათი იცდი, რომ ერთი-ორი წუთი გადაიღო. კინოში გაიძულებენ, შენი როლი ნაწილ-ნაწილ დააფასოვო, ამსხვრევენ თითოეულ სცენას პატარა სეგმენტებად, ატრიალებენ კამერას ასე თუ ისე. ყველაფერი სრულიად სხვაგვარია, ვიდრე სცენაზე, სადაც ორი საათის მანძილზე გარდაისახები პერსონაჟად, უმზერ მაყურებელს და არ იცი ზუსტად, როგორ მიგიღებს იგი. თეატრალური მოქმედება წააგავს ცირკში თოკზე სიარულს — 15 მეტრის სიმაღლეზე, ბადის გარეშე. როცა კინოს აკეთებ, ბადე არ გჭირდება, რადგან მიწაზე დგახარ.

**— ბოლო სამი წელი მსახიობ ბიველი დ'ანჟელოსთან ერთად გაატარე...**

— იგი ჩემთვის ამხდარი ოცნება იყო. ჩემს გვერდით ყოფნა არასოდეს იყო ადვილი და ყველა, ვინც ჩემთანაა, იძულებულია გაითვალისწინოს ჩემი მიდრეკილება მარტოობისადმი — ისე, რომ მქონდეს შესაძლებლობა ვიფიქრო, ვიაზროვნო. ბიველის ყოველივე ეს ესმის და მითმობს სივრცის ნაწილს. მაგრამ სინამდვილეში მე არ მინდა ამაზე საუბარი. ეს ყოველთვის უხერხული იყო ჩემთვის...

**— ბოლო 4-5 წელია, რაც ლაპარაკობ იმის შესახებ, როგორ ისწავლე დაგენახა ცხოვრებაში მეტი სინათლე...**

— ეს ევოლუციის საკითხია. მე ახლა უფრო კმაყოფილი ვარ ცხოვრებით, ვიდრე ადრე. თუმცა, ეს არის საკუთარი ბოღმის, შეზღუდულობის ლიკვიდაციისთვის გაწეული ხანგრძლივი მუშაობის შედეგი. როცა ცხოვრებას ვიწყებდი, მთლიანად ვიყავი მოწყვეტილი ამ ქვეყანას, მეშინოდა მისი და თითქმის მთელი ცხოვრება მოვანდომე იმას, რომ გავრკვეულიყავი, როგორ მომეცვა და დავმტკბარიყავი ყველაფრით, რაც ირგვლივ გაკრავს. წლობით არ მახარებდა წარმატება. ვერ ვგრძნობდი მოსალოდნელ ბედნიერებას და ამის გამო სიმწარე და ბოღმა მახრჩობდა. სულ უკან ვიხევდი, ვიკეტებოდი საკუთარ თავში... ძალიან მიჭირდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამოვათრიე საკუთარი თავი ამ ორმოდან, რომელიც თავად გავითხარე და შემდეგ შიგ აღარ ჩამიხედავს.

**— რას იტყვი ბავშვობის შესახებ? ხომ იმდროინდელია ამდენი მღელვარება?**

— მე მართლაც შიშსა და მღელვარებაში გავატარე ბავშვობა, რომელიც ძალზე ჩაკეტილი მქონდა. ნებას არ მაძლევდნენ, ქუჩაში სხვა ბავშვებთან ერთად მეთამაშა, ამიტომ ყველასი მეშინოდა. ოჯახის გარეთ მეგობარი არ მეგულებოდა. მსახიობობა ჩემთვის საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალება იყო. მსახიობობაში მეორე ოჯახი აღმოვაჩინე და ამან საშუალება მომცა, გავხსნილიყავი სხვა ადამიანებისთვის. სინამდვილეში მსახიობის ხელოვნება საუკეთესო შხამსაწინააღმდეგო საშუალებაა ჩაკეტილობისა და აფორიაქებული სულის წინააღმდეგ.

**— ფიცხი იყავი?**

— დიახ. დიდი ხნის მანძილზე გამყვა ეს თვისება, მაგრამ დროთა განმავლობაში ვისწავლე საკუთარი ემოციების კონტროლი. საკუთარ ფიცხ ხასიათს სცენისთვის და კინოკამერისთვის ვინახავ. არ შეიძლება იცხოვრო როგორც ბომბმა, აფეთქების მოლოდინში. ეს საოცრად დამღლელია, მერწმუნეთ (იცინის).

**— კმაყოფილი ხარ შენი მუშაობით კინოში 90-იან წლებში?**

— რაღაც კარგად გავაკეთე, რაღაც ცუდად, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ შესრულებული როლებით. ჩემთვის თითოეული როლი — თავისებური გამოწვევაა.

**— იღვიძებ და ყველაფერი გახარებს, რაც ცხოვრებაშია?**

— ოჰო... როგორ გარეკეთ. თავს ცუდად არ ვგრძნობ და უფრო მეტად ვტკბები ცხოვრებით, ვიდრე ადრე. მაგრამ არა მგონია, იმ წერტილს მივაღწიო, რომლის იქითაც ყველა მღელვარება მიმატოვებს. მგონი ეს ჩემი ნაწილია, სწორედ ეს მღელვარება მაიძულებს, უკეთ ვიმუშაო. ჩვენ ვართ ის, რაც ვართ. მაგრამ მე აღარა ვარ ნეგატიური პიროვნება. მე ცხოვრებისგან კარგს ველოდები.

**— შენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება ურჩიოთ ადამიანს.**

— იცით რა? არ არსებობს უფრო საშინელი ციხე, ვიდრე ის რომელშიც თავად ვემწყვდევით. ყველამ უნდა მოძებნოს მეთოდი, როგორ გათავისუფლდეს მისგან და რაც შეიძლება სწრაფად. რა აზრი აქვს ჩამოშვებული ფარდის მიღმა და ჩარაზულ დარაბებში ცხოვრებას. უნდა გამოაღოთ ფანჯრები. აი, ჩემი რჩევა: გამოაღეთ ფანჯრები!

***ფლეიბოი №6***

# უჟმური ისთვუდი



ბავშვობაში კლინტი არც ოცნებობდა მსახიობობაზე. იგი ჯაზით იყო გატაცებული. პროფესიონალი პიანისტი ისთვუდი თავისი ფილმების კომპოზიტორი გახდა. მან მსოფლიოში ცნობილ საქსოფონისტს ჩარლი პარკერს უძღვნა ფილმი „ჩიტი“.

კლინტი სამხედრო სამსახურის შემდეგ ლოსანჯელესის უნივერსიტეტის ეკონომიკურ განყოფილებაზე იწყებს სწავლას. მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს კინოს, როგორც ფართო, მრავალმხრივი ნიჭის იდეალურ გამოხატულებას. აქტიორული ცხოვრება, როგორც ჰოლივუდის ყველა ახალბედა მსახიობისათვის, მკაცრი სკოლა გამოდგა. რეპეტიციებს შორის მომავალი ვარსკვლავი კალიფორნიის ცხელი მზის ქვეშ ორმოებს თხრიდა. რას არ გააკეთებდა კლინტი თავისი დიდი ხნის მეგობარი-მეუღლის მეგი ჯონსონისთვის, რომელმაც ამ კაცის გამო თოფ-მოდელის კარიერა დატოვა. ამ დროს ისთვუდს ბედმა გაუღიმა, მას კოვბოის სერიალში „როუჰაიდში“ იწვევენ, რომელიც 7 წელიწადს გაგრძელდა და ისთვუდს არნახული წარმატება მოუპოვა (რამდენიმე წლის შემდეგ გამოირკვევა, რომ იგი პროფესიული თვისებების გამო კი არ მიუწვევიათ, არამედ, უბრალოდ, ნამდვილი კოვბოივით გამოიყურებოდაო). ისთვუდს სერჯ ლეონე იწვევს თავისთან. კრიტიკოსები დიდხანს არ აღიარებდნენ მას, როგორც სერიოზულ მსახიობს. ისთვუდს ერთფეროვან ფილმებში მონაწილეობის გამო „სიტყვაძუნწი, შლაპიან-პისტოლეტიანი კოვბოის“ იმიჯი მიეწება. იგი სექსუალური რევოლუციის ფონზე არქაიზმად ჩანდა. ვესტერნის ჟანრი, ერთი მხრივ, კომერციულ ჩვენებად იქცა და მეორე მხრივ, კინემატოგრაფიულ თამაშად. ვესტერნი იქცა მსოფლიო მოდელად, რომელშიც ყველა პრობლემას მარტოხელა გმირი გადაწყვეტს, სადაც მკვლელობა (შურისძიება) უკანონობად კი არა, ზეიმად ითვლება. ისთვუდი იყო პირველი, რომელმაც ყველასათვის მოსაბეზრებელ თამაშში ახალი ტრაგიზმის ნოტი შეიტანა. 40 წლისა იწყებს თავის კინოგადაღებას. იღებს სწრაფად და იაფად.

60-იანი წლების ჰოლივუდის სექს-სიმბოლოები ბერდებიან... საქმე ის არის, რომ ზოგიერთი ამას „აკეთებს“ ლამაზად, ვთქვათ, როგორც პოლ ნიუმენი... სხვა — ექსტრავაგანტურად, როგორც მარლონ ბრანდო. ისინი ნელ-ნელა გადადიან ასაკოვან როლებზე ან სახასიათო ეპიზოდებზე. შეიძლება ითქვას, რომ ძალზე განსხვავდება მათგან კლინტ ისთვუდი, რომელსაც ახლახან 70 წელი შეუსრულდა. იგი კვლავინდებურად უნაგირზე ზის და ძველებურად ქმნის თავის ეკრანულ სახეს: გმირია თუ ანტიგმირი — ყოველთვის მთავარია, ირონიული, სკეპტიკოსი და მომხიბლავი მამაკაცი. იგი არ ემორჩილება თავის ასაკს და მოურიდებლად იწვევს მომხიბვლელ და მჩქეფარე ქალებს პარტნიორებად. არ ერიდება თავისი კუნთებმოდუნებული სხეულის დემონსტრირებას, მაგრამ სხვა შემთხვევაში ეს ფაქტი თუ უცნაურ საქციელად მოგეჩვენებათ, ისთვუდთან გამართლებულია.

არავითარი რომანტიკულობა, არავითარი მომგებიანი რაკურსი, არავითარი გასაახალგაზრდავებელი გრიმი... ისთვუდი ძალზე გულახდილია ეკრანზე, მაგრამ პირადი ცხოვრების სიუჟეტებს გულმოდგინეთ მალავს. სწორადაც იქცევა. თაყვანისმცემლებს სულაც არ სურთ თავიანთი კერპი ლოთად ან ნარკომანად იხილონ. ისთვუდი კი, სარწმუნო წყაროებით, თავისი დამზადებული მულტივიტამინების ზედმეტი დოზის მიღების შედეგად კვირაობით ეგდო უგონოდ. მისი საყვარელი ქალის, სანდრა ლოკის სიტყვებით, ისინი (ორთავე) 13 წლის მანძილზე კაროტინით იბრუებდნენ თავს. კაროტინის გადამეტებულმა გამოყენებამ კლინტის კანი აგურისფერი გახადა. ეს დეტალები იმის მაჩვენებელია, რომ ნამდვილი ისთვუდი სრულიად განსხვავდება ეკრანული სახისაგან.

სანდრა ლოკი გადასაღები მოედნიდან წაჰყვა ისტვუდს სასტუმროში... ამას მოჰყვა ოჯახური ცხოვრების ნანგრევებზე აგებული შეშლილი სიყვარული. ლოს-ანჯელესის მახლობლად, ვილაში მარტონი დარჩნენ ცოლი — მეგი და ორი შვილი. კარგა ხანს ვერ უტყდებოდა კლინტი მეუღლეს, ბოლოს კი განუცხადა — სანდრამ ღვთიური სიყვარული მაგრძნობინაო. ეს „ღვთიური სიყვარული“ კი ისთვუდს ყველგან კუდში სდევდა.

საოცარი იყო სანდრას მორჩილება: მას არ სურდა თავისი სანუკვარი არსების უარყოფითი მხარეების დანახვა, უყოყმანოდ გაიკეთა ორი აბორტი, შემდეგ კი სტერილიზაციის ოპერაცია, რადგან კლინტს არ უყვარდა ნამშობიარები ქალები.

სანდრამ რეჟისორობაც მოსინჯა და, მიუხედავად კლინტის ზეწოლისა, წარმატებებს მიაღწია. მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ქალმა ურთიერთობაში კლინტის მიერ დადგენილი სუბორდინაცია დაარღვია და მალე ქუჩაში აღმოჩნდა. ესეც არ აკმარა კლინტმა. ფილმის დადგმისათვის მილიონნახევრიანი ერთობლივი კონტრაქტი ყალბი გამოდგა. მხოლოდ 6 წლის სასამართლო პროცესის შემდეგ მიაღწია სანდრამ გამარჯვებას.

სუსტი სანდრასაგან განსხვავებით, რომელმაც საკმაოდ „მომწიფებულმა“ გაიარა „ისტვუდის სკოლა“, კლინტის ქალიშვილი, ელისონი ოთხი წლიდან ფრიადზე სწავლობს ამ „სკოლაში“. მამისგან მემკვიდრეობით გადაცემული მძიმე და მტკიცე ხასიათიც ეხმარება ამ ცხოვრებაში. ელისონის დაპყრობილ გულთა სიმრავლე მამამისისას არ ჩამოუვარდება.

როგორც ახლობლები ირწმუნებიან, როგორც იქნა, ისთვუდმა იპოვა თავისი მსგავსი (ხასიათით) ქალი, ტელეჟურნალისტი დინა რუისი და თუ ბავშვის პრობლემა აქტუალური არ გახდება, ისინი ბედნიერად იცხოვრებენ. „ჩემი თაყვანისმცემლები გამიხსენებენ, როგორც კარგ ბიჭს, რომელსაც ყველაფერი კარგად აქვს! — გულს იმშვიდებს მსახიობი.

***ტვ პარკი №22***

CMYK



# ფავორიტები წინ მიიწევენ

ბელგიასა და ჰოლანდიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე გადამწყვეტი შეხვედრების დრო დადგა. გუნდების უმრავლესობამ კონტინენტის საფეხბურთო ფორუმზე ორ-ორი შეხვედრა ჩაატარა. გაირკვა პირველ მეოთხედფინალისტთა ვინაობა. ზოგიერთ ნაკრებს თითო მატჩი გასამართი კი დარჩა, მაგრამ შინისაკენ ბილეთების შეკვეთაც მოასწრო. გაიმართა რამდენიმე ულამაზესი მატჩი, იყო პირველი სენსაციებიც. მთლიანობაში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ფავორიტთა უმრავლესობა ბრძოლას მეოთხედფინალიდან გააგრძელებს.

**A ჯგუფი**

**I ტური**

**გერმანია — რუმინეთი 1:1**
**ინგლისი — პორტუგალია 2:3**

**II ტური**

**პორტუგალია — რუმინეთი 1:0**
**ინგლისი — გერმანია 1:0**

დავიწყოთ A ჯგუფით, რომელიც სპეციალისტთა უმრავლესობამ უძლიერესად აღიარა. თითოეული მატჩის მიმოხილვას არ შევუდგებით, ვინაიდან გულშემატკივართა უმრავლესობამ ყველა შეხვედრა ნახა, უბრალოდ შეგახსენებთ, რა ვითარებაა ჯგუფში ბოლო ტურის წინ.

გერმანიის ნაკრების მინიმალური ანგარიშით დამარცხებით პორტუგალიელთა მიერ პირველ ტურში ძლეულმა ინგლისის ნაკრებმა უდიდესი ნაბიჯი გადადგა მეოთხედფინალისაკენ. ბრიტანელები ბოლო ტურში რუმინეთს ხვდებიან და ფრეც აძლევთ ხელს, თავის მხრივ რუმინელებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ და ეს გამარჯვება მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყვანს მეოთხედფინალში, თუ გერმანიამ პორტუგალიას ვერ მოუგო. ევროპის ჩემპიონებს ერთადერთი შანსი აქვთ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად — მათ პორტუგალიას უნდა მოუგონ, რუმინეთმა კი ინგლისს. ასე რომ მეორეადგილოსნის ბედი ბოლო ტურში გაირკვევა, პორტუგალიელებს კი პირველ ადგილს ველარავინ შეეცილება.

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| გერმანია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

**B ჯგუფი**

**I ტური**

**იტალია — თურქეთი 2:1**
**ბელგია — შვედეთი 2:1**

**II ტური**

**იტალია — ბელგია 2:0**
**შვედეთი — თურქეთი 0:0**

იტალიის ნაკრებმა უკვე გაინაღდა ჯგუფში პირველი ადგილი და ბოლო შეხვედრას შვედებთან, „სკუადრა აძურასათვის" პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. სავარაუდოა, რომ ჯგუფში მეორე ადგილს ბელგიის ნაკრები დაიკავებს, რომელსაც თურქეთის ნაკრებთან შეხვედრაში საყაიმო ანგარიშიც უნაღდებს მეოთხედფინალის საგზურს. თურქების გამარჯვების შემთხვევაში ბელგიელთა ადგილს მეოთხედფინალში ისინი დაიკავებენ. არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ თურქებთან ერთად გამარჯვება მოიპოვოს შვედეთის ნაკრებმაც. ამ შემთხვევაში ბელგია მეოთხე ადგილზე გავა, თურქები და შვედები კი ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ და ვინაიდან მათი ურთიერთშეხვედრა მეორე ტურში ფრედ დასრულდა, მეორეადგილოსნის ბედს ბურთების სხვაობა გადაწყვეტს.

**B ჯგუფი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| 2. | ბელგია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| 3. | შვედეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 4. | თურქეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

**C ჯგუფი**

**I ტური**

**ესპანეთი — ნორვეგია 0:1**
**იუგოსლავია — სლოვენია 3:3**

ყველაზე ჩახლართული სიტუაცია უდაოდ C ჯგუფშია. სწორედ იმ ჯგუფში, რომელსაც სპეციალისტები ყველაზე ადვილად პროგნოზირებადს უწოდებდნენ და „ერთი ლიდერის" ჯგუფად მოიხსენიებდნენ. სწორედ ამ „ერთმა ლიდერმა" — ესპანეთის ნაკრებმა გადაასხა ყველას ცივი წყალი. ნორვეგიასთან წააგო და მეოთხედფინალში გასვლა სათუო გაიხადა. პატარა სასაწაული მოხდა იუგოსლავია-სლოვენიის მატჩში. ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტებმა სამბურთიანი სხვაობა გაატანეს ქარს და ყოფილ მეზობლებთან ქულები გაიყვეს, ამ ჯგუფში მეორე ტურის შეხვედრები კვირას გაიმართა. გაზეთის ბეჭდვის დროს არც ერთი მათგანი დასრულებული არ იყო. გაზეთის გამოსვლის დროს თქვენთვის ცნობილი იქნება სლოვენია-ესპანეთის და ნორვეგია-იუგოსლავიის მატჩების შედეგები. სავარაუდოა, რომ ბოლო ტურში ნორვეგია სლოვენიას დაამარცხებს (თუ გუშინვე არ გაინაღდა ჯგუფში პირველი ადგილი) და მეორე მეოთხედფინალისტის ბედს ესპანეთისა და იუგოსლავიის ნაკრებთა შეხვედრა გადაწყვეტს. პირველი მარცხის მიუხედავად პროგნოზები მაინც კამაჩოს გუნდის სასარგებლოდ კეთდება.

**D ჯგუფი**

**I ტური**

**საფრანგეთი — დანია 3:0**
**ჰოლანდია — ჩეხეთი 1:0**

**II ტური**

**საფრანგეთი — ჩეხეთი 2:1**
**ჰოლანდია — დანია 3:0**

თითქმის ყველაფერი გარკვეულია D ჯგუფში. სამშაბათის შეხვედრები მხოლოდ იმას დაადგენს ვინ პირველ ადგილზე გავა და ვინ ბოლოზე. საფრანგეთი და ჰოლანდია ბრძოლას მეოთხედფინალიდან გააგრძელებენ, მანამდე კი 21-ივნისს ერთმანეთში მოსინჯავენ ძალებს და პირველ ადგილოსანსაც გამოავლენენ. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ჩეხეთის ეროვნული ნაკრები. გუნდი, რომელიც აშკარად უძლიერესია მათგან, ვინც მეოთხედფინალის საგზური ვერ მოიპოვა. ჩეხების რა ბრალია თუ ისინი ჩემპიონატის მასპინძლებთან და მსოფლიო ჩემპიონებთან მოხვდნენ ჯგუფში, ან ის, პიერ ლუიჯი კოლინას რომ ჰოლადიასთან მატჩის ბოლო წუთებზე პენალტი მოეჩვენა. ჩეხებმა ორი ისეთი მატჩი წააგეს, არც ერთს რომ არ უჩანდა წაგების პირი. — ასეთია ფეხბურთი. ვერ გეტყვით, როგორ დამთავრდება ჩეხთა და დანიელთა არაფრის მთქმელი შეხვედრა, მაგრამ ფაქტია: ასეთი სუსტი ნაკრები დანიას არც ერთ ჩემპიონატზე არ ჰყოლია.

**D ჯგუფი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| 2. | ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| 3. | ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| 4. | დანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

რა შეიძლება ითქვას ფავორიტებზე? ჰოლანდიის ნაკრები მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩი ჩეხებთან საკმაოდ უსახურად ჩაატარა, დანიასთან აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. სავარაუდოა, რომ რაიკარდის გუნდი ტურნირის მსვლელობისას კიდევ მოუმატებს. ნარინჯისფერები კვლავ უპირველეს ფავორიტებად რჩებიან. ბრწყინვალე ფორმაშია მსოფლიო ჩემპიონი — საფრანგეთის ეროვნული ნაკრები. თუ ფრანგებმა ასე გააგრძელეს, ზიდანის, ანრის, ანელკასა და მათი პარტნიორების დამარცხება ორი წლის წინანდელის მსგავსად, შესაძლოა ვერავინ შეძლოს. ბელგიასთან მატჩში სრული ძალით წარმოჩინდა „სკუადრა აძურა". ამ გუნდს შეუვალი დაცვა ჰყავს, რასაც ორ მატჩში გაშვებული ერთადერთი შემთხვევითი გოლიც მოწმობს.

ესპანეთის ნაკრები ჯერ ჯგუფიდან გავიდეს და მათზე მერე ვისაუბროთ.

## ინგლისელი ბუკმეკერების პროგნოზები

ჯგუფური ტურნირის II ტურის დასრულებამდე ორი დღით დრე ინგლისელმა ბუკმეკერებმა აზრი შეიცვალეს და ჰოლანდიის ნაცვლად უპირველეს ფავორიტად საფრანგეთის ნაკრებს ასახელებენ. თუ „მამლებმა" ჩემპიონობა მოიპოვეს, მათზე ფსონის დამდები ყოველი მოთამაშე ყოველ ფუნტ სტერლინგზე 3,5 ფუნტს მიიღებს. შემდეგ მოდიან ჰოლანდია (1-4,5) იტალია (1-7) და ესპანეთი (2-15). თუ ვინმე გარისკავს და ჩემპიონობას თურქებს უწინასწარმეტყველებს, პროგნოზის გამართლების შემთხვევაში ყოველ დადებულ ფუნტს 125-ზე გაუმრავლებენ და მიართმევენ, მიუხედავად ამისა თურქების გაჩემპიონებაზე თურმე სულ თითო-ოროლა კაცს დაუდვია ფული.

საინტერესოა, თუ ვის უწინასწარმეტყველებენ ჩემპიონატზე ყველაზე მეტი გოლის გატანას. მას შემდეგ რაც ფრანგმა ტიერი ანრიმ ორივე შხვედრაში გამოიჩინა თავი, ბუკმეკერები თვლიან, რომ მას ბომბარდირობის ყველაზე დიდი შანსი აქვს. ანრის კოეფიციენტი 1—4,5-თან ფასდება. შემდეგ მოდიან პატრიკ კლიუვერტი, რომელსაც ჯერჯერობით 1 გოლი აქვს გატანილი (1—8) და ფილიპო ინძაგი (1—9). მომდევნო პოზიციები კი ესპანელ რაულსა და ფრანგ ნიკოლა ანელკას უჭირავთ.

## ვინ ჩაიგდებს ხელში ფიგუს?

მას შემდეგ, რაც პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუმ ინგლისელთა წინააღმდეგ ზღაპრულად ითამაშა, ამ ფეხბურთელის შესაძენად მონინავე ევროპულმა კლუბებმა ნამდვილი ნადირობა დაიწყეს. ყველაზე მეტად რომის „ლაციო" აქტიურობს, რომელიც მზადაა პორტუგალიელის შეძენის სანაცვლოდ საკუთარი სალარო 56.000.000 დოლარით გაალარიბოს. „ფიგუ ის ფეხბურთელია, რომლის შესაძენად არანაირ თანხას არ დავიშურებთ" — განაცხადა რომაელთა პრეზიდენტმა სერხიო კრანიოტიმ. იტალიის ჩემპიონის გარდა, ფიგუს სერია A-ს კიდევ რამდენიმე სუპერკლუბმა დაადგა თვალი. „ბარსელონას" ხელმძღვანელობა პორტუგალიელი ნახევარმცველის გაყიდვას არ ჩქარობს. კატალონიელთა ბანაკიდან გაჟონა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც „ბარსა" ფიგუს გაყიდვის შემთხვევაში ასტრონომიულ თანხას — 115.000.000$-ს მოითხოვს. თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ახლა კლუბის გამოცვლაზე არ ფიქრობს და მისი უპირველესი ამოცანა ევრო — 2000-ზე ღირსეული გამოსვლაა.

## ინგლისური ფეხბურთი 2,5 მილიარდად გაიყიდა

რუპერტ მერდოკმა, რომელიც ცოტა ხნის წინ სპორტის სამყაროში მოღვაწე ყველაზე გავლენიან პირად აღიარეს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან გააფორმა კონტრაქტი, რომლის ანალოგიაც მსოფლიო სპორტში არ მოიძებნება. მომდევნო სამი წლის განმავლობაში პრემიერლიგის მატჩების ტელეტრანსლირების უფლება ავსტრალიელმა მედიამაგნატმა 2,5 მილიარდ დოლარად შეიძინა.

არადა, ამ საქმეში მერდოკს ისეთი კონკურენტები ჰყავდა, როგორებიც არიან ფორმულა — 1-ის ბოსი ბერნი ეკლსტოუნი და პლანეტის უმდიდრესი ადამიანი ბილ გეიტსი, საბოლოოდ ორივე ამ კანდიდატურამ უარი განაცხადა საფეხბურთო ბიზნესში მოღვაწეობაზე და ბურთი და მოედანი მერდოკს დარჩა. პრემიერლიგის მატჩების ტრანსლირების ხარჯზე რუპერტ მერდოკის ტელეკომპანიის ხელმომწერთა რაოდენობამ ფანტასტიკურ რიცხვს— 4,2 მილიონს მიაღწია.

## გულშემატკივრები მსაჯებს ემუქრებიან

მსაჯობა ყოველთვის, ნებისმიერ ჩემპიონატზე განსაკუთრებული კამათის საგანი იყო და არც მიმდინარე ჩემპიონატია გამონაკლისი. ჯერ ჯგუფური ტურნირები არ დასრულებულა და არბიტრთა მიმართ იმდენი საყვედური გამოითქვა, მთელ ჩემპიონატს რომ თავზე საყრელად ეყოფოდა. მას შემდეგ, რაც იტალიელმა პიერ ლუიჯი კოლინამ ჩეხეთის ნაკრების კარში უსამართლო პენალტი დანიშნა, ჩეხეთში იტალიელი არბიტრი კაცობრიობის მტრად მონათლეს და ქრთამის აღებაში დასდეს ბრალი. თურქი გულშემატკივრები კი არცთუ უსაფუძვლოდ თვლიან, რომ იტალიელებთან მატჩში მათ წინააღმდეგ „მოგონილი" პენალტით შეძლეს მათი გუნდის დამარცხება. მსაჯების მიმართ გულშემატკივართა მხრიდან მუქარაც გაისმა და წესრიგის მოედანზე დამცველებს, პირადი მცველების თანხლებით უნევთ გადაადგილება. უეფას დისციპლინარულმა კომისიამ ორივე ზემოთ ნახსენები შემთხვევის შესახებ იმსჯელა და ორივე მსაჯი გაამართლა, ამან სულ გააცოფა ჩეხი და თურქი გულშემატკივრები — „უცხოპლანეტელო კოლინა, შინ წაეთრიე" — ასეთი პლაკატები გამოფინეს ჩეხებმა სტადიონებზე. როგორც ჩანს თავად კოლინას ჩეხთა ნერვიულობა დიდად არ აღელვებს, სურათიდანაც ჩანს, რომ მშვენიერ ხასიათზეა, მით უმეტეს ინგლისი-გერმანიის ურთულესი შეხვედრა უშეცდომოდ წარმართა და თუ ფინალში იტალიის ნაკრები ვერ გავიდა, ალბათ გადამწყვეტი შეხვედრის მსაჯობასაც ანდობენ.



## „ბასკო" ჩემპიონია

ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფონზე, საქართველოს საკალათბურთო პირველობა გარკვეულ წილად ჩრდილში მოექცა, მაგრამ ბათუმის „ბასკოსა" და რუსთავის „აზოტის" ფინალური სერია მაინც ღირს აღნიშვნის ღირსად. შეგახსენებთ, რომ წელს პირველად მოხდა ისე, რომ ფინალში არც ერთ თბილისურ გუნდს არ უასპარეზია, თუმცა ბათუმის „ბასკო" ფაქტობრივად სწორედ ის გუნდია, შარშან „ვითას" სახელით რომ გამოდიოდა და ერთი წლის წინათ იმავე „აზოტს" რომ მოუგო ფინალური სერია. ვერ ვიტყვით, რომ შარშანდელთან ან შარშანწინდელთან შედარებით ჩვენში კალათბურთის დონემ აიწია, შეიძლება პირიქითაც კი მოხდა, მაგრამ დაძაბულობით ბოლო ფინალი შარშანდელზე და შარშანწინდელზე ნაკლები არ ყოფილა. მოგეხსენებათ, საბოლოო გამარჯვებულის გამოსავლენად რომელიმე გუნდმა სამი თამაში უნდა მოიგოს. პირველი მატჩი რუსთაველებმა ათქულიანი სხვაობით მოიგეს. ეტყობა, ამ თამაშს დიდი ენერგია შეალიეს და მომდევნო შეხვედრა ფაქტობრივად ბრძოლის გარეშე დათმეს — 66-105. მესამე მატჩი კი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გადამწყვეტი აღმოჩნდა. ბათუმელებმა ოვერტაიმში 87-82 მოიგეს და გადამწყვეტი შეხვედრის წინ ხასიათიც გაიუმჯობესეს. მეოთხე შეხვედრაშიც დამატებითი ტაიმი დაინიშნა, გამარჯვება კვლავ „ბასკომ" მოიპოვა და საქართველოს ჩემპიონის ტიტულსაც პირველად დაეუფლა. სამწუხაროა, რომ წინა წლების მსგავსად ნერვული დაძაბულობა სპორტის სასახლეში ხშირად ზღვარგადასული ხდებოდა, არც კვერცხებისა და კოკა-კოლას ბოთლების სროლა დაუკლია გულშემატკივარს და არც მსაჯზე გაწევ-გამოწევა, ასეთი ფაქტები საქართველოს ჩემპიონატისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.



*მოამზადა მათე კბილაძემ*

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. კc3

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს სამ სვლაში.



## ინდოელები კოჰ-ი-ნორის დაბრუნებას ითხოვენ



ტონი ბლერმა ნამდვილად პანდორას ყუთი გახსნა, როცა საბერძნეთისთვის პართენონის ფრიზების დაბრუნების საკითხის შესასწავლად საპარლამენტო კომისია შექმნა. დელიში მაშინვე თორმეტმა ინდოელმა დეპუტატმა, ლონდონში ინდოეთის ყოფილი ელჩის მეთაურობით, კოჰ-ი-ნორის დაბრუნება მოითხოვა. 108 კარატიანი „შუქთა მთა“ დედოფლის გვირგვინს ასხივოსნებს. ეს ბრილიანტი XX საუკუნეში პენჯაბის მაჰარაჯას რანჯიტ სინგჰის სიკვდილის შემდეგ, მისმა ვაჟმა საკუთარი ხელით მიართვა დედოფალ ვიქტორიას. დეპუტატების თქმით, ეს იძულებითი ძღვენი ყოფილა და იმედი აქვთ, რომ ინგლისის სამეფო კარი ინდოეთს სხვა ძვირფასეულობასა და ხელოვნების ნიმუშებსაც დაუბრუნებს. ეს ყველაფერი ამჟამად მუზეუმშია დაცული. ანონიმური წყაროს ცნობით, მთავრობა კოჰ-ი-ნორს სამეფო განძსაცავიდან არ გასცემს.

***პარი მატჩი 26/62***

## ბუმბერაზები



მსუქნები ხშირად დიდ პოპულარობას აღწევენ. ზოგი ცირკშიც გამოდის, საზოგადოებას ართობს და თავის სარჩენ ფულსაც აკეთებს. ასე იყო ოდითგან. ერთი ლინკოლნშირელი სქელუა 350 კგ-ს იწონიდა. მისი სიმსუქნის ამბავმა ინგლისის მეფის გიორგი -ის ყურამდეც მიაღწია. მეფემ სასახლის კარზე მიიწვია გოლიათი თანამემამულე. მან გადაწყვიტა, ცხენზე ამხედრებული სწვეოდა ხელმწიფეს, მაგრამ შეჯდა თუ არა, საწყალ ცხოველს წელი მოსწყდა და თქვენი ჭირი წაიღო...

მეორე უზარმაზარი ინგლისელი გახლდათ მისტერ ჰოლკინსი. იგი 440 კგ-ს იწონიდა. ჰოლკინსს ხშირად დაატარებდნენ ლონდონის ქუჩებში ოთხი ხარშებმული ურმით და ხალხს ართობდნენ. ერთხელ, ურემზე რაღაც ფარსაგად შეტორტმანდა და ძირს გადმოეშვა. იქვე დედა ღორი წოლილიყო და თავის 18 გოჭს ძუძუს აწოვებდა. ფუნთუშამ ქვეშ მოიყოლა მთელი კოლტი და დაჭყლიტა! თხუთმეტმა კაცმა ძლივს ააგორა ურემზე ჰოლკინსი.

XX ს-ის ინგლისში ყველაზე მძიმე ადამიანად მიჩნეული იყო ვარვიკშირელი სპუუნერი. იგი 330 კგ-ს იწონიდა. ერთხელ მისი მსახური ვიღაც ფრანგს დაენაძლევა — ჩემი ბატონის შარვალში 360 კგ ფქვილი ჩადისო და მოიგო! სპუუნერს სოფლის ბაზარში ვაჭართან მოუვიდა ჩხუბი. გაცეცხლებულმა ვაჭარმა 15 სმ-იანი დანა აძგერა მუცელში, მაგრამ ვერაფერი დააკლო — სპუუნერს მუცელზე 20 სმ-იანი ქონი ჰქონდა გადაკრული. ინგლისში ცხოვრობდა ვინმე სამუელ შუგარი, რომელსაც სიგრძე და განი ერთნაირი ჰქონდა. ნამდვილი ლოტოს კოჭი იყო — 163 სმ სიმაღლის ბუმბერაზს წელის გარშემოწერილობა 173 სმ ჰქონდა და 380 კგ-ს იწონიდა!

ჯონ კრეიგი სრულიად ნორჩი იყო, როცა პირველი ჯილდო — 1.000 დოლარი მიიღო — გაიმარჯვა კონკურსში „ულამაზესი ბავშვი ნიუ-იორკში“, სიცოცხლის ბოლოს კი გახლდათ „ყველაზე მსუქანი კაცი ნიუ-იორკში“ (440 კგ).

მსოფლიოში მხოლოდ ოთხი კაცი იწონიდა ნახევარ ტონაზე მეტს. მათ შორის ყველაზე მძიმე იყო ფრანგი რენო ლე ჟიურანსენი (622 კგ); ამერიკელი ჯონ ლი 563 კგ იყო. იგი ხის სახლში ცხოვრობდა. ერთ საბედისწერო დღეს იატაკი ჩაუტყდა. საბრალოს, უცდია ამოფოფხება, მაგრამ ვერ მოუხერხებია და ჩაუბარებია კიდეც სული უფლისთვის. ყველაზე ცნობილი ნახევარტონიანი ყოფილა ამერიკელი რობერტ ერლ ჰუგსი. 6 წლისა 90 კგ-ს იწონიდა, 19 წლისამ 170-ს მიაღწია, 30 წლისა — 530 კგ გახლდათ. წლების განმავლობაში ვერ მოძრაობდა. შემდეგ მძიმედ დაავადდა. საავადმყოფოში წაყვანა მოინდომეს, მაგრამ კარებში ვერ შეეტია. მას საგანგებოდ გაუკეთეს რკინა ბეტონის ტახტი, რადგან სხვა არაფერი უძლებდა.

მეოთხე პოპულარული — ამერიკელი მაიკლ ვალკერი 500 კგ-ს იწონიდა. სიმძიმის გამო ვეღარ მოძრაობდა, ამიტომ დღე და ღამე იჯდა უზარმაზარ საწოლზე, რომელიც მინის კედლებიან მანქანის მისაბმელში იყო მოთავსებული. მაიკლი ზაფხულობით დაყვებოდა მოხეტიალე ცირკს, ზამთრობით შინ ბრუნდებოდა. ყველაზე მძიმე ადამიანები მამაკაცები იყვნენ, მაგრამ მათ არც ზოგიერთი ქალი ჩამორჩებოდა. საკმაოდ პოპულარული იყო 370 კგ-იანი ჯოლი დეიზი. დეიზი ცირკში გამოდიოდა. გასართობად დიდ ჯილდოს პირდებოდა მას, ვინც შეძლებდა მის მუხლებზე დასმას, თუნდაც 5 წუთით და არენაზე მაყურებლის მიერ გადმოყრილ ხურდა ფულს ფართო საჯდომით იღებდა.

მეორე ფუშფუშა ბები რუფი ბავშვობიდანვე ცირკში აღმოჩნდა. დედამისი, თავადაც მსუქანი ქალი, მაყურებელს უჩვენებდა თავის 290 კგ-იან ქალიშვილს. ოჯახის თავი კი წარმოდგენის ბილეთებს ყიდდა. ერთხელ ბების სცენაზე იატაკი ჩუტყდა. როგორც იქნა, ამწით ამოიყვანეს, ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ არაფერი ეშველა...

თექვსმეტმა კაცმა ძლივს ჩაასვენა კუბოში საწყალი ბები...

***ნლო №17***

## დოლარი, მაინც დოლარია...

დღეს სიტყვა „დოლარს“ განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა აქვს — მაგიური. თითქმის რელიგიურიც. „დოლარი“ შეძლების, სიმდიდრის და უღრუბლო ცხოვრების ასოციაციას იწვევს. დოლარის მიმართ ასეთი დამოკიდებულება უცებ არ გაჩენილა. მაგალითად, XX საუკუნის რუსეთის იმპერიაში „დოლარში“ შესატყვისი ფინანსურ-ეკონომიკური ბაზა იგულისხმებოდა. ცნობილი სოციალური ძვრების შემდეგ მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. 20-30-იან წლებში ამერიკული ფულის ხსენებაც კი კანონით ისჯებოდა. მოკლედ, „დოლარს“ გულაგის სუნი ასდიოდა. სიტყვა „მევალუტე“ „ხალხის მტრის“ ტოლფასი იყო. ნიკიტა ხრუშჩოვის „მეფობაში ამერიკული ფულის მიმართ ზედმეტი სიმპათიის გამოჩენისთვის საბჭოთა მოქალაქეს პატიმრობით ემუქრებოდნენ. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ასოცირდებოდა — „დოლარი, ვალუტა, შპიონაჟი, პროსტიტუცია — სამშობლოს ღალატი“. 90-იან წლებში რუსეთის საზოგადოებასა და დოლარს შორის ურთიერთობაში გარდატეხის მომენტი დგება. ვალუტას თავისუფლად ყიდულობდნენ და ყიდდნენ. იმ დროს უკვე „დოლარი“ უკავშირდება საზღვრის გარეთ გასვლის პროცედურას. მნიშვნელობა ეძლევა დოლარის დასურათების „განსაკუთრებული სპეციფიკის“ ფაქტს. როგორც ირკვევა, ეს ნახატები სხვა არაფერია, თუ არა აშკარა მასონური აპოლოგია (მართალი გითხრათ, ჩვენს მრავალტანჯულ მოქალაქეს სულაც არ აინტერესებს ამერიკულ ფულზე გამოსახული სიუჟეტის არსი). რუსებმა შეიგნეს მთავარი რამ, რომ დოლარი შენახვის ყველაზე საიმედო საშუალებაა, რომ დოლარი ანგარიშსწორების ყველაზე მოხერხებული ფორმაა; დაბოლოს, დოლარი საჩუქრისა თუ ქრთამის ყველაზე პოპულარული ფორმაა. დღევანდელ ფონზე დავიწყებას მიეცა, რომ „დოლარი“ მარტო აშშ-ის ფულს კი არ ჰქვია, არამედ მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყანისას. მათ შორის კანადის, მექსიკის, ტონგოს სამეფოს, ტრინიდადისა და ტობაგოს რესპუბლიკისა და ავტრალიის ფულის ერთეულია, მაგრამ ყველა ქვეყნის დოლარი სხვადასხვანაირად გამოიყურება. რასაკვირველია, ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების მონეტებსა და კუპიურებზე ელისაბედ დედოფალია გამოსახული; ოკეანიის ეგზოტიკურ სახელმწიფოთა ფულის ნიშნებზე ადგილობრივი მმართველების პორტრეტები, გერბი, ტიპური პეიზაჟები და ცხოველები არის გამოსახული. გამორიცხული არ არის, რომ მომავალში გაიზრდება იმ სახელმწიფოთა ნუსხა, რომლებიც თავიანთ ეროვნულ ვალუტას დოლარს უწოდებენ. არც არის გასაკვირი, დედამიწაზე ახალი სახელმწიფოები თითქმის ყოველ წელიწადს იქმნება და რაც მთავარია, სიტყვა „დოლარის“ საავტორო უფლება არ არის რეგისტრირებული.

***ნეზავისიმაია გაზეტა №103***

## პრინცესას საკადრისი სასახლე

მიუნხენიდან ერთი საათის სავალზე, ალპებში მდებარე პატარა ქალაქ ვარმიშ-პარტენკირხენში შეიძინა სასახლე ტატიანა დიაჩენკომ, რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის ქალიშვილმა. სასახლესთან მისასვლელი გზა უცხო თვალთაგან დაფარულია ხშირი ბუჩქნარით და საუკუნოვანი ხეებით. წარწერა გამვლელს აფრთხილებს, რომ ეს სასახლე და მისი მიმდებარე ტერიტორია კერძო საკუთრებაა და შიგ შესვლა აკრძალულია. გაზეთები თავის დროზე წერდნენ, რომ ეს 20 მილიონ მარკად ღირებული ძველთაძველი სასახლე (საერთო ფართობი 300 მ$^2$) ტატიანასათვის ოჯახის ძველ მეგობარს, რომან აბრამოვიჩს შეუძენია. როგორც ამ სასახლის მხილველნი ამბობენ, ნაგებობას სრული რეკონსტრუქცია უკეთდება. გვერდით კი კიდევ სხვა, საკმაოდ დიდი სახლი შენდება. ასე რომ, ამ შენაძენის ფასი თანდათანობით იზრდება და, ღმერთმა იცის, რამდენ მილიონს მიაღწევს.



„ყოველდღიურად აქ მიუნხენიდან საშენი მასალით დატვირთული მანქანები ჩამოდიან“, — ამბობს მეზობლად მცხოვრები გერმანელი ქალი. ამ დროს რუსეთში ფინანსური კრიზისია და მთელი ქვეყანა მარჩიელობს, — სად ქრება უცხოური კრედიტებიო!

**შტერნი №26**

## აგავას გედის სიმღერა

ზუგდიდში 42 წლის აგავამ ყვავილობა დაიწყო. ასეთი რამ სეკულანტების ოჯახის წარმომადგენელთა შორის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ხდება და შემდეგ ლამაზად კვდება, გედის უკანასკნელი სიმღერის დარად. საქართველოში სამჯერ დაფიქსირდა აგავას ყვავილობა: ბათუმში, სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში და ახლა ზუგდიდში.

ზუგდიდში ყველამ იცის, რომ ზაირა და ორდე ჭითანავების ეზოში ორი სამეფო ვიქტორია ხარობს. ერთს, ოქროსფერი ზოლებით მოვარაყებულ აგავას „პრინცესას“ ეძახიან. მეორე — მწვანეა. სწორედ მან მოამზადა ულამაზესი, სევდიანი სიურპრიზი. ეს პრეტენზიული ბუნების მქონე მცენარე 5 წლისა იყო, როცა ქალბატონ ზაირას აჩუქეს. მას შემდეგ, 37 წელია, ოჯახის წევრები ადამიანივით ესაუბრებიან, ეფერებიან, დილას ესალმებიან, საღამოს ემშვიდობებიან. ზამთარში საგანგებო სათბურში ათავსებენ. მოკლედ, ძალიან გაანებივრეს. მანაც შეიფერა. მცირედი უყურადღებობის გამო „ეჭვიანობს“ და ღეროებს ხრის. ამ ჭირვეულობას ოჯახის დიასახლისი ყოველთვის ითვალისწინებს და ხშირად შვილიშვილებთან — სესილისა და ხატიასთან ერთად საათობით მასთან ზის.



27 აპრილს ქალბატონმა ზაირამ აგავას ყვავილობის პირველი ნიშნები შეამჩნია. თავიდან ღეროებმა მოიწყინეს, შემდეგ მათ შუა ერთი ახალი, გიგანტური ღერო წამოიზარდა. ეს აგავასთვისაც სიცოცხლესთან დამშვიდობების ჟამის დადგომის მაუწყებელია, რაც დაახლოებით წელიწად-ნახევარს უნდა გაგრძელდეს.

სავარაუდოდ, გიგანტი ღერო 5-დან 12 მეტრამდე უნდა გაიზარდოს. 27 აპრილიდან 5 ივნისამდე იგი დღეში 10 სმ-ის სისწრაფით იზრდებოდა, შემდეგ იკლო. ამჟამად ამ ღეროს სიგრძე 6,5 მეტრია. მალე მასზე ყვავილები გამოიკვირტება.

ბუნების საოცრების სანახავად ათეულობით ადამიანი მოდის, მათ შორის ცნობისმოყვარე უცხოელებიც. ერთმა მეტისმეტად მონდომებულმა სტუმარმა აგავას საკმაოდ სოლიდურ თანხად შესყიდვა სცადა, მაგრამ ცივი უარი მიიღო.

ცნობისათვის: აგავას 300-მდე სახეობიდან ზოგიერთი დეკორატულია, ზოგიც ტექნიკური. უნიკალური სამკურნალო თვისებების გამო მისი ღეროების წვენს მედიცინაში იყენებენ.

ეს სამხრეთამერიკული მცენარე მიჩვეულია მზიან ადგილებს, ქვიშიან და ტორფიან ნიადაგს. ჩვენს კლიმატურ პირობებში მცენარის აყვავება კი იშვიათობაა.

ზუგდიდში ამ შემთხვევის შესასწავლად ბიოლოგთა ჯგუფი აპირებს ჩასვლას.

როგორ სახსოვარს დატოვებს 42 წლის აგავა? მის ყვავილებს ხან ირმის რქებს ამსგავსებენ, ხან ზარს, ხან ქოლგას. ჯერჯერობით, კვირტების გარეკანი მეწამული ფერისაა. ერთ მშვენიერ დღეს, როგორც ვარაუდობენ, ყველა ყვავილი ღეროზე ერთდროულად უნდა აფეთქდეს, დონორი ღეროები კი კვდებიან. ასეთი ფეიერვერკით გაეყრება წელიწად-ნახევარში მწვანე აგავა თავის ერთგულ პატრონსა და ოქროსფერ „პრინცესას“. იგი კვდება...

***რუსუდან მიქენაია***

## ქალია თუ კაცი?!

დელის უდიდესი ციხის უფროს აჯაია აგარვალას, ალბათ, ქვეყნად ყველაზე თავსატეხი სამუშაო აქვს. ყოველი ახალი პატიმრის შესვლა ციხეში, წამოჭრის პრობლემას — რომელ საკანში მოათავსოს, ქალებთან თუ მამაკაცებთან. ეს, ჩვეულებრივ, მაშინ ხდება, როცა მსჯავრდებული საჭურისია. ინდოეთში ხომ ეს უკანასკნელები ძალიან ბევრნი არიან. მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ბატონი იძულებული შეიქნა ციხეში საგანგებო მედკომისია შეექმნა პატიმრის სქესის გასარკვევად. მით უმეტეს, რომ საჭურის მსჯავრდებულთა უმრავლესობა, რომელთაც მრავალშვილიანი ოჯახის შექმნაც მოასწრეს საჭურისთა კასტაში გადასვლამდე, ცდილობს ციხეში ცხოვრება გაიიოლოს და ქალების საკანში მოხვდეს როგორმე. ამიტომაც ახლა ციხის უფროსი ცდილობს, მსჯავრდებულებმა მედკომისია სასამართლოში გაიარონ, მაგრამ ჯერ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

***ეხო პლანეტი №21***

## კროსვორდი



**თარაზულად**: 7. საოცრება, ეგვიპტე; 8. სამკუთხედი, თეორემა; 9. მზე, დისკი; 10. სეტერი, კავკასია; 11. რიკოთი, ხევსურეთი; 16. ბუტერბროდი, მაკდონალდსი; 18. მინა, ორეული; 19. ყავა, რძე; 20. ცხვირი, მეტყველება; 21. ქოხი, ფიცრული; 22. გოგო, ძე; 25. ზევსი, სკანდინავია; 27. ჯორჯია, ტეხასი; 30. პლატონი, კირილე; 33. პილატე, ქურდი; 34. ბურატინო, მალვინა; 35. ჟურნალი, კრებული; 36. ჩოგბურთი, მაგიდა.

**შვეულად**: 1. შუა აზია, ამუდარია; 2. აბაზანა, ნათლია; 3. ტერმინალი, თურქეთი; 4. ბალეტი, „დაისი“; 5. ხელფასი, ბილეთი; 6. გამოცდილება, თეორია; 12. განგაში, მანქანა; 13. მონა, ბატონი; 14. სამარე, სარკოფაგი; 15. ნემსი, კაქტუსი; 17. ჩრდილი, მოჩვენება; 23. ბალახი, პარაზიტი; 24. ობობა, სოკო; 26. ცხენი, მჭედელი; 28. ცისტიტი, ყელი; 29. დედამიწა, ლაბადა; 31. დავალება, დესპანი; 32. თავმოყრა, თათბირი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 7. რელიკვია; 8. დედოფალა; 10. სონი; 11. პინოქიო; 12. ანცი; 17. ალფი; 18. ლაცკანი; 19. ტატო; 20. ფეიხოა; 21. ალაფი; 25. მუნი; 26. ატლანტა; 27. ლასო; 28. ანძა; 30. ანტალია; 33. გენი; 34. მკათათვე; 35. გუმბათი.

**შვეულად**: 1. დედოფალი; 2. პიკი; 3. მილი; 4. დელი; 5. აფრა; 6. პლაცენტა; 9. ბოლოკი; 13. პიცერია; 14. მამონტი; 15. ანტანტა; 16. სტაფილო; 22. შუშანიკი; 23. პანტა; 24. ესპანეთი; 29. ალთე; 31. ნევა; 32. იაგო; 33. გუბე.

## №24 (193) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 573 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 207-მა ქალმა და 359-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ქვეყნის კინოსკოლას (მხატვრული თვალსაზრისით) ანიჭებთ უპირატესობას?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენს მკითხველებს ყველაზე მეტად ფრანგული კინო უყვართ, **7,29** საშუალო ქულით „ფრანგული კინო“ პირველ ადგილზეა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ქულების მიხედვით, პირველ ადგილზე „ამერიკული კინოა“, მკითხველთა 32-მა დაუწერა მას 9 ქულა. საერთო ქულების რაოდენობით კი ამერიკული კინო მესამეზეა და მას წინ 7,18 საშუალო ქულით იტალიური კინოც უსწრებს. რესპონდენტთა შორის იტალიური კინოს მოყვარულნი ოდნავ სჭარბობენ ფრანგულის მოტრფიალეთ, რადგან იტალიურ კინოს მაქსიმალური — 9 ქულა 22-მა დაუწერა, ფრანგულს კი — 21-მა. ფრანგულსა და იტალიურ კინოს საერთო კი ისა აქვთ, რომ რესპონდენტთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ (0,71) დაუწერა მათ მინიმალური — 1 ქულა.

ქართული კინო მეოთხე ადგილზეა საშუალო ქულით 6,04. უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველთა 19 სწორედ მას ანიჭებს უპირატესობას ყველაზე მეტად.

ჩვენს მკითხველებს, აქ ჩამოთვლილთა შორის, შედარებით ნაკლებად ხიბლავთ ესპანური, იაპონური და ინდური ფილმები, ყველაზე ნაკლებად კი — ინდური. რესპონდენტთა 58-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა, ყველაზე ნაკლები მაქსიმალური ქულა (0,35) კი ესპანურმა კინომ დაიმსახურა.

მამაკაცებისა და ქალების პასუხებს შორის განსხვავება არ ყოფილა, ხოლო, რაც შეეხება ასაკობრივი ჯგუფების პასუხებს შორის განსხვავებას, ასეთია: 50 წლამდე მკითხველები უპირატესობას ამერიკულ კინოს ანიჭებენ; ხოლო ხანდაზმულ რესპონდენტებს კი ყველაზე მეტად ფრანგული ფილმები უყვართ.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 43 წლის თბილისელი **ლევან ფხაკაძე** და 35 წლის ქუთაისელი **გელა ბერაძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 20 ივნისს, 17 საათზე.

## №25 (194) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიცინგში.*

**№25 (194) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 21 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 22 ივნისის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №25 (194) —
**ევრო-2000**
**რომელი ქვეყნის ნაკრების თამაში მოგწონთ ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს 8— და ა.შ. 1-მდე.

№25(194) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | ნაკრები | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ჰოლანდია | |
| 2 | ბელგია | |
| 3 | საფრანგეთი | |
| 4 | იტალია | |
| 5 | ესპანეთი | |
| 6 | პორტუგალია | |
| 7 | ინგლისი | |
| 8 | გერმანია | |
| 9 | ნორვეგია | |

*მკითხველის რეიცინგი* *

**თქვენი აზრით, ვინ გახდება ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი?**

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ______ ტელეფონი ______

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## *მკითხველის რეიცინგის შედეგები*

მკითხველის რეიტინგში 434-მა რესპონდენტმა დაასახელა **ყველაზე კოლორიტული ქართველი პარლამენტარი.**

პირველი ათეული ასეთია:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვახტანგ ბოჭორიშვილი | 19,4% |
| 2. | ზურაბ ჟვანია | 13,1% |
| 3. | ზურაბ ქაფიანიძე | 12,7% |
| 4-5. | ვახტანგ რჩეულიშვილი | 6,9% |
| 4-5. | გოგი თოფაძე | 6,9% |
| 6. | მიხეილ სააკაშვილი | 6,2% |
| 7-8. | ელენე თევდორაძე | 4,8% |
| 7-8. | გურამ შარაძე | 4,8% |
| 9. | მუხრან მაჭავარიანი | 3,0% |
| 10. | გიორგი თარგამაძე | 2,3% |

საპარლამენტო უმცირესობას ნამდვილად შეუძლია იამაყოს კოლორიტული ადამიანების სიუხვით.

დაახლოებით 3-ს გაუჭირდა ყველაზე კოლორიტული პარლამენტარის დასახელება; 1 თვლის რომ ასეთი არავინაა.

***ორიგინალური პასუხი:*** კოლორიტული ქართველი პარლამენტარი — „ქრთამიკო კორუფცია“.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას ლაარქმევლით?

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________



ზურაბ ჟვანია, ვახტანგ ბოჭორიშვილი

**რ.ყ.** — რა მოგივიდა, შე კაცო, მომე მაი „პაპკა“, ნებით გადადექი, მერე, ედიკო მრჩევლად აგიყვანს, თუ არა და, აგერ არაა ასლანი? რა წააგო ვახტანგია რაზმაძემ? შერჩა ყოლიფერი და ბათუმში იფურჩქნება, აპა?!

***მარიამ ქართლელი, თბილისი***

**რ.ყ.** — რას იზამ ძამა, პროკურორობა და პარლამენტარობა სექსი კი არაა, ორივეს რომ გვესიამოვნოს...

***მ. გურგენიძე, თბილისი***

რესტორანი „პარ-ლა-მენტი“ სააკაშვილის დაკრულზე ცეკვავენ და „თუხთუხებენ“ ბატონები: ჯამლეთ და რევაზ პროკურატურელები.

***თენგიზ თალაკვაძე, ოზურგეთი***

**რ.ყ.** —ჯამლეთ, სააკაშვილისათვის ფუტკაროთერაპია ხომ არ დაგვენიშნა?

**ჯ.ბ.** — რას ამბობ, მერე ნახე მიშას გამწარება.

***ე.ნ. გა, თბილისი***

**ჯ.ბ.** — კოლეგა გვიშველე, სააკაშვილისაგან დაგვიცავი.

**რ.ყ.** — მეგობარო, მე თქვენი კოლეგა არა ვარ, პარლამენტარი ვარ, გაიგე?

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



ჯამლეთ ბაბილაშვილი, რევაზ ყიფიანი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 126 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**რ.ყ.** — ბარაქა, ჯამლეთ, ბარაქა!

**ჯ.ბ.** — წადი შენი!..

**(კ/ფ „ქვევრი“)**

***ზეზვა რაინაული***

**ჯ.ბ.** — პარლამენტში გამოზრდილ ღორებზე რომ გვაქეიფეთ დეპუტატებმა გუშინ, ჯიგრის ყაურმა რატომ არ მოიტანეს, რეზო?

**რ.ყ.** — ჯიგარი არც ერთს არ ჰქონდა!

**ჯ.ბ.** — რას ამბობ კაცო, ღორს ჯიგარი არ ჰქონდა?

**რ.ყ.** — პარლამენტში გაზრდილს ჯიგარი ექნებოდა?!

***ლელა-„გოგიტა“, თბილისი***

**რ.ყ.** — ტრაქტორი რომ დაეჯახა სააკაანთ მიხოს...

**ჯ.ბ.** — ბრალი ტრაქტორს, თორემ მიხო დაზღვეული იყო.

***მეგი, თბილისი***

**ჯ.ბ.** — აღარ ღირს პროკურატურაში მუშაობა, ხელფასზე ხომ არ ვიქნები?!

**რ.ყ.** — ამას მე დიდი ხანია მივხვდი და ამიტომაც შევძვერი პარლამენტში.

***ნოდარ კვერნაძე, თბილისი***

**რ.ყ.** — ხომ გირჩიე შე კაცო, იყარე კენჭი დეპუტატობაზე-მეთქი. ხომ იქნებოდი ახლა შენც მშვიდად?

**ჯ.ბ.** — მე მშვიდად ვარ, ჩემო რევაზ, ის ვაი „რეფორმატორები“ აგერ ამ პაპკაში „მიზიან“, ჩვენი დროც მოვა.

***ლ. ფაზისელი. თბილისი***

**რ.ყ.** — ჯამლეთ! რა არის შე კაცო, შარვალი სველი გაქვს?

**ჯ.ბ.** — თურმე დღეიდან, ვინც კორუფციაში გაერევა, ყველას ასე დაემართება.

**რ.ყ.** — აბა, პატიოსანი ცხოვრება მოგვიწევს.

**ჯ.ბ.** — რატომ პატიოსანი?! მეც და მთავრობის ყველა წევრმაც შევუკვეთეთ წყალგაუმტარი შარვალი.

***გელა ბერაძე, ქუთაისი***

## ფოტო განწყობისათვის



— ნეტა, რეზო ძიას ის ბუები სად ცხოვრობენ?

***



ვერაზე დარბის ბიჭი გაზეთებით და ყვირის:

— გრანდიოზული აფერა! ასი კაცია მოტყუებული!

გამვლელი ყიდულობს გაზეთს...

ბიჭი გარბის და ყვირის:

— გრანდიოზული აფერა! ას ერთი კაცია მოტყუებული.







## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"


„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. მოლიცასთან, უნივერმაღის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაშლიჯვარის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი; არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ბოლნისსა და ახმეტაში ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირას, ოთხშაბათს 10 სთ.-დან.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

(25) *უფასო განცხადების ქვითარი*

განცხადების ტექსტი ________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№25 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 22 ივნისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



შეადგინა რამაზ ალანიამ


## ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეც. ფაკულტეტი)

აცხადებს მიღებას 2000/2001 სასწავლო წლისათვის: 1. სამართალმცოდნეობა; 2. მთარგმნელობითი საქმიანობა: ა) ინგლისური ენა; ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა; 3. ეკონომიკური: ა) საბანკო საქმე; ბ) საბაჟო საქმე; გ) საგადასახადო საქმე; დ) საერთაშორისო ეკ. ურთიერთობები; ე) საგარეო ვაჭრობა; 4. საგამომცემლო საქმე; 5. ჟურნალისტიკა; 6. რეჟისურა (რეპორტიორი).

სამხედრო სწავლებისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს მიწერის მოწმობა, სწავლა ფასიანია. საბუთების მიღება წარმოებს 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა 10-15 სთ-მდე. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 36-60-78.

მის: ტექნიკური უნივერსიტეტის VIII კორპ, II სართ.


## „საბალღო-სალაღო" გვერდის პასუხები

**ფრინველვორდი**

**შვეულად:** 1. გნოლი; 2. ქედანი; 3. გვრიტი; 4. მწყერი; 5. ქორი; 9. არწივი; 10. ჩხიკვი; 12. ოფოფი; 14. ბუ.

**თარაზულად:** 4. მიმინო; 6. როჭო; 7. ყვავი; 8. ძერა; 11. ხოხობი; 13. ორბი; 15. სვავი.

I ა) „სარ", ბ) „ერი"

II ა) პირამიდა, ბ) ავტობუსი

III ა) ერთი კგ 50 თეთრიანები, ბ) არ შეიძლება დადებითი პასუხის გაცემა, როდესაც გეკითხებიან: „გძინავს?", გ) შეიძლება. ლიკა დაბადებულია 31 დეკემბერს და საუბარი ხდება პირველ იანვარს. დ) მე უმანქანოდ გახლდით. ე) ვისაც ყველაზე დიდი თავი ჰქონდა.

IV სიყვარული

V ა) პაპა კარლომ, ბ) იაკობ გოგებაშვილი; „ქაჯანა".

VI ა) რუსეთი, ბ) წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილი, დ) შაქროსაგან.

